

ISSN—0132—6066



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის

მაცნე

საქს

№ 1

ენისა

და

ლიტერატურის

სერია

1. 1990

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე



ИЗВЕСТИЯ АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

ენისა და ლიტერატურის
სერია

СЕРИЯ
ЯЗЫКА И ЛИТЕРАТУРЫ



თბილისი
ТБИЛИСИ

1. 1990

ქრნალი დაარსებულია 1971 წელს, გამოდის 3 თვეში ერთხელ
Журнал основан в 1971 году, выходит раз в 3 месяца

სარედაქციო კოლეგია: გ. ციციშვილი (რედაქტორი),
ზ. ალექსიძე, თ. გამყრელიძე, ა. გვახარია (რედაქტორის მოადგილე),
გ. თოფურია, ს. ცაიშვილი, ბ. ჯორბენაძე (რედაქტორის მოადგილე)

პასუხისმგებელი მდივანი გ. ლლონტი

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ: Цицишвили Г. Ш. (редактор),
Алексидзе З. Н., Гамкrelidze Т. В., Гвахария А. А. (зам. редактора),
Джорбенадзе В. А. (зам. редактора), Топурия Г. В., Цайшвили С. С.

Ответственный секретарь Г. А. Глonti

© „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე“, ვენისა და ლიტერატურის სერია
1990, № 1

რედაქციის მისამართი: თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., № 19, ტელ. 37-24-07
Адрес редакции: Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19, телефон 37-24-07

გადაეცა წარმოებას 27.XII.89; ხელმოწერილია დასაბეჭდად 3.04.90; ში 03591;
ანაწყოების ზომა 7×12³/₄; ქაღალდის ზომა 70×108¹/₁₆; მაღალი ბეჭდვა;
პირ. ნაბეჭდი თაბახი 14.0; პირ. სალ.-ვატ. 14.7; სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 12.0;
ტირაჟი 1500; შეკვეთა 3324; ფასი 1 მან. 20 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Грузинской ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

შინაარსი

წერილები

ს. იორდანიშვილი, ქრისტიანული რწმენის კვლის ძიება „ვეფხისტყაოსანში“	5
რ. თურნავა, ანაკრონტული მოტივები ბერანესა და გრიგოლ ორბელიანის ლირიკაში	17
ე. მაკარაძე, შედარება ქართულ ხალხურ საგმირო პოეზიაში	36
ც. ქურციკიძე, კვლავ „ქართლის ცხოვრების“ ხელნაწერების აპოკრიფულ თხზულებათა შესახებ	49
გ. ჯაფარიძე, მუსლიმი მოღვაწეები ათ-თიფლისის ნისბით VIII—XIV საუკუნეებში	65
ნ. ვახანაძე, ჯალილ მამედყულიზადეს თანამშრომლობა გაზეთ „ვოზროდენიში“	79
გ. თუშმალიშვილი, რამდენიმე თურქული ნასესხობის შესახებ „იადიგარ დაუდში“	88
ლ. გოგუაძე, მესსიერების კონტექსტი და პროპოზიციული მიმართების ზმნათა ფუნქციონირება თანამედროვე ინგლისურ ენაში	93
ქ. ჯაში, თემატური ფორმულა „შინაარსი-ფორმულა“ და მისი რეალიზაცია ფრანგულ და ქართულ ენათა ანდაზურ სისტემებში	106
გ. შურღაია, „განმარტებული ენის სტრუქტურისათვის“	112
ც. შენაბდე, ბასკური ენის აქტუალური დანაწევრება და მარტივი წინადადების (ერგატიული) ჩვეულებრივი სტრუქტურა	129
ნ. მამაცაშვილი, ზოგიერთი შენიშვნა მიმლეობის შესახებ თანამედროვე ინგლისურ ენაში	134

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

ჟ. ჯინჯიხაძე, ბასკური კალენდარი და მისი ტერმინოლოგია	140
კ. დანელია, ახალი ნაშრომი ტექსტის ლინგვისტიკის პრობლემებზე	143
ი. ზიცარი, ე. ჩხოტუა, გარდამავლობის ტიპოლოგია და ღრმა დიაქრონია ქართულ ენაში	147

СОДЕРЖАНИЕ

Статьи

С. Г. Иорданшвили, Следы христианской веры «Витязя в тигровой шкуре»	5
Р. С. Туриана, Анакреонтические мотивы в лирике П.-Ж. Беранже и Григо- ла Орбелиани	17
Э. О. Макарадзе, Сравнение в грузинской народной героической поэзии	36
Ц. И. Курцикидзе, Еще раз об апокрифах рукописях «Картлис цховреба»	49
Г. И. Джапаридзе, Мусульманские деятели VIII—XIV вв. с инсбой ат-Тифлиси	65
Н. А. Вачнадзе, Сотрудничество Джалила Мамедкулизаде в газете «Воз- рождение»	79
Г. А. Тушмалишвили, О некоторых турецких заимствованиях в «Ядигари Дауд»	88
Л. М. Гогуадзе, Контекст памяти и функционирование глаголов пропози- циональной установки в современном английском языке	93
К. Н. Джаши, Тематическая формула «содержание-форма» и ее реализа- ция во французских и грузинских пословицах	105
Г. О. Шургая, К структуре «толкующего языка»	112
Ц. Г. Менабде, Актуальное членение и обычная структура простого (эрга- тивного) предложения языка басков	129
Н. П. Мамацашвили, Некоторые замечания о причастии в современном английском языке	134

Критика и библиография

Дж. М. Джинджихадзе, Баскский календарь и его терминология	140
К. Д. Данелиа, Новый труд о проблемах лингвистики текста	143
Ю. В. Зыцарь, Э. Н. Чхотуа, Типология транзитивности и глубокая дихотомия грузинского языка	147

სოლომონ იორდანიშვილი

ქრისტიანული რწმენის კვალის ძიება „ვეფხისტყაოსანში“*

შოთა რუსთაველი უკვდავი ქმნილების წინასიტყვაობაშივე განმარტავს ღვთის თვისებებს:

„ჰე, ღმერთო ერთო, შენ შექმენ სახე ყოვლისა ტანისა“ (2, 1)¹.

იგი ნათელთა სახეა, უხილავი ძალი, შემწე ყოველი მიწიერისა, რომელსაც იგი საზღვარს დაუდებს. იგი უკვდავი წამისყოფით ერთსა ასად გააზღვის და ასს ერთად. განა ამას არ გვაძენებს ბრძენი ავთანდილ სიბრძნის ტბად ქცეულ ანდერძში?

„ვინ არს ძალი უხილავი, შემწე ყოველთა მიწიერთად,
ვინ საზღვარსა დაუსაზღვრავს, ზის უკვდავი ღმერთი ღმერთად,
იგი გააზღვის წამის-ყოფით ერთსა ასად, ასსა ერთად“ (773, 3).

იგი მაღალი ხმელთა და ცათა მფლობელი, ზოგჯერ თუ პატივთა, ზოგჯერ კეთილთა მზათ მომცემიცაა. უცნაური და უთქმელი, უფალი უფლებათა, მფლობელი გულისთქმათა — ყველა ამ თვისებას მიაწერს უხილავს ავთანდილ ქაშსა ლოცვისასა:

„ილოცავს, იტყვის: „მაღალო ღმერთო ხმელთა და ცათაო,
ზოგჯერ მომცემო პატივთა, ზოგჯერ კეთილთა მზათაო,
უცნაურო და უთქმელო, უფალო უფლებათაო,
მომეც დათმობა სურვილთა, მფლობელო გულისთქმათაო!“ (790, 1).

იგი მოწყალეა: „ღმერთო, ღმერთო, მოწყალეო“ (792, 1), — განაგრძობს ავთანდილ ღაღადისს. „ჰე, ასმათო, მოგვევიდა მოწყალეობა ღვთისა ზენით“ (1333, 2), — ბროლის ფრქვევით შესცინის ავთანდილ, დაკარგულ მთვარას მპოვნელი ასმათს.

* ცნობილ რუსთაველოლოგს სოლომონ იორდანიშვილს თბილისის სასულიერო სემინარიაში სწავლის დროს (1916 წ.) კვლევის საგნად გაუხდია „ქრისტიანული რწმენის კვალის ძიება ვეფხისტყაოსანში“. წერილი მოგვაწოდა მკვლევრის ქალიშვილმა ლალი იორდანიშვილმა.

ნაშრომში სათანადო ადგილთა დამოწმებით წარმოჩენილია „ვეფხისტყაოსნის“ გმირთა თვლით დანახული ღვთის თვისებები, განგება და ბედი. განხილულია შოთა რუსთაველის რელიგიური მსოფლმხედველობა. შრომა დაწერილია საინტერესოდ და გაკეთებულია საყურადღებოდ დასკვნა...

სოლომონ იორდანიშვილის ამ შრომისათვის თავის დროზე უმაღლესი შეფასება მიუცია სემინარიის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს, ცნობილ მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს ე. ს. ი. ბარნოვს და ასეთი მინაწერი დაურთავს: „კარგად გიმეშავია, ეშხიანად დაგიწერია, პოლემიკური ხასიათი ჩამოაკალე, უფრო ცხადად განვითარე ის აზრი, რომ შოთამ ნათელთა თავყანისმცემლობის საუკეთესო დებულებები ორგანულად შეუერთა ქრისტიანულ რწმენას და მთლიანი მსჯელობა გექნება თუნდა საჩაროდ გასატანი“.

ნაშრომი ქვეყნდება პირველად.

¹ „ვეფხისტყაოსანი“, ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების გამოცემა დ. კარბიშვილის წინასიტყვაობით, შენიშვნებითა და ვრცელი ლექსიკონით, ტფილისი, 1903.

პაქ. სსრ კ. პარტიის
სახ. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა



იგი ერთარსებაა და უქამო ქამი, მას მორჩილებენ ციერნი ერთი წამისად
 ამ თვისებებით შეამკობს ავთანდილ უხილავს, როს შესთხოვს: „ბედსა უხუცესსა
 მიქცევ, მიაჯე, შეყრამდის ჩემად და მისად“ ქამსა მეორედ გაპარვისას: იტყვის!

„ჰე, მზეო, ვინ ხატად ვთქვის მზიანისა ღამისად,
 ერთ-არსებისა ერთისა, მის უქამოსა ქამისად,
 ვის გმორჩილებენ ციერნი ერთის, იოტის წამისად“ (816, 1).

იგი არსთა მხედია, ცხოველთა გამკითხველი ყოველთა საესება, კაცთაგან
 გამოუთქმელი. ასმათიც კი ამას შეჰლაღადებს:

„ღმერთო, რომელი არ ითქმი კაცთა ვნითა,
 შენ ხარ საესება ყოველთა, აგვაესებ მზეებრ ფენითა“ (897, 1).

იგი ყოველთა საესება მზრდელია ყოველის დათესილ-დანერგულისა. ამას
 ამცნებს ბრძენი ავთანდილ ცრემლით ვარდ-დათორთვილულ ტარიას, როს იგი
 მცხინვარე ცეცხლმოდებული შესთხოვს მას (ავთანდილს) თავის მიგნურთან
 დაბრუნებას, რადგან თვით დამბადებელსაც კი მის განკურნება ძნელად უჩნს:

„ღმერთსამეცა ვით არ შეეძლო კვლავ განკურნება წყლულისა,
 იგია მზრდელი ყოველისა დანერგულ-დათესულისა“ (909, 3).

იგი არის შემოქმედი. „შემოქმედი ვადიდე და ღმერთსა ვმონე“ (1273, 3), —
 სწერს ჭაჭეთის ციხიდან ტყვედ ქმნილი მთვარე მზეს.

იგი შემოქმედი არსთა მხედავია, მას შესტირს ავთანდილ და იტყვის:

„ღმერთო, რა შეგცოდე შენ, უფალსა, არსთა მხედსა“ (841, 1).

ზეციურნი ძალნი მისგან განაგებენ ქვეყნად ქმნადსა. ამასვე გვამცნებს
 ავთანდილ:

„მაღლი ღმერთსა, შემოქმედსა, არსთა მხედსა,
 ვისგან ძალნი ზეციერნი განაგებენ აქა ქმნადსა“ (1028, 1).

იგი უთქმელი ჭირთაგან მომალხენელია, ყოფილი მყოფი ყურთაგან მოუ-
 სმენელი და განა ასე არ ადიდებს ავთანდილ, როს ფატმანმან ნესტანის ამბის
 მბობით „ტრემლი დაუვსო ცხელანი“.

„ღმერთო, ვმადლობ, რომელი ხარ ჭირთა მომალხენელი;
 ყოფილი, მყოფი, უთქმელი, ყურთაგან მოუსმენელი“ (1228, 2).

იგი, ჭირთაგან მომალხენელი, „უხვია, თუცა სოფელი ძვირია“. ასეთ ნუ-
 გეშს აძლევს გულდამწვარ ტარიას ავთანდილი:

„ნუ გეშის ღმერთი უხვია, თუცა სოფელი ძვირია“ (911, 3).

იგი მართლის მბრჭობელი ცხოველია. წყალობას აძლევს ზეცით შესახულსა.
 ეს ტარიას რწმენაა. იგი ეუბნება ძმა ავთანდილს:

„ღმერთი მოკცემს წყალობასა, მისსა ზეცით შესახულსა“ (1447, 2).

Handwritten notes and a stamp at the bottom left of the page.

იგი საზიერია. დავარიც კი ასე იხსენებს უხილავს: „იცი სიმერთმა საზი-
ურმა“ (560, 3).

იგი საზიერი კეთილის მომვლინებელია, ყოველთვის ტკბილად მხედრობდა. როტს არ დაჰბადებს, ავს წამ-ერთ შეამოკლებს კარვს ახანგრძლივებს. მისი კეთილშემოქმედება თინათინსაც სწამს. იგი ჰკადრებს მამას:

„რად დასწამებ სიმწარესა ყოველთათვის ტკბილად მხედსა?
ბოროტიცა რად შექმნა კეთილისა შემოქმედსა“ (112, 4).

რომ იგი შემოქმედი ავის შემოკლებელია, რომ იგი კარვს ახანგრძლივებს, ამას თვით შოთაც გვამცნებს ბრძენი დივნოს აზრით. უეჭველია ეს შოთას რწმენაცაა:

„ღმერთი კარვსა მოავლინებს, არ ბოროტსა არ დაჰბადებს,
ავსა წამ-ერთ შეამოკლებს, კარვსა ხან-გრძლიად გაავლადებს,
თავსა მისსა უკეთესსა უზადო-ყოფს, არ აზადებს“ (1468, 3).

აი, იგი,

რომელმან „შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა,
„ზეგარდმო არსნი სულითა ჰყენა ზეციით მონაბერითა,
მისგან არს ყოვლი ხელმწიფე სახითა მის მიერითა“ (1, 1).

იგი მომცემია სურვილთა დათმობისა, მიჯნურობის დამბადებელი და მისი წესის დამწესებელი. იგია ძლევის მიმნიჭებელი სატანის დასათრგუნავად. იგი-ვეა ცოდვათა შემსუბუქებელი. ამას შეჰლაღადებს შოთა თავის ძვირფას წინასიტყვაობაში:

„შენ დამიფარე, ძლევა მეც დათრგუნვად მე სატანისა,
მომეც მიჯნურთა სურვილი სიკვდილმდე გასატანისა,
ცოდვათა შემსუბუქება მუნ თანა წასატანისა“ (2, 3).

ღმერთს როს მოეწყინება შეება კაცისა, სიამეს სიმწრით დაუნადვლებს, მაგრამ კაცი მიინც უნდა ჰმადლობდეს, რადგან მისი წადილი და ნებაა.

ამ რწმენისაა თვით როსტევანი, განა ეს არ წარმოთქვა მან, როს იხილა „მიზეხი ლხინთა ლევისა“.

„ღმერთსა მოეწყინა აქანამდის ჩემი შეება,
ამად მიყოს სიამისა სიმწრითა დანადვლება,
სიკვდილამდის დამაწყულულა, ვერვის ძალუძს განკურნება,
მას ვემაღლი, ესე იყო წადილი და მისი ნება“ (99, 1).

იგი უხილავი კაცის ეტლზე დამბადებელია. ეს ტარიას რწმენაა: „ღმერთმან სხვამცა ეტლსა ჩემსა სადმცა კაცი რად დაჰბადა“. სევდით ამცნებს ტარია თავის ძვირფას დას (269, 1).

რაც ღმერთს სწადდეს, კაცი აგრე ჰყოფს:

„ღმერთსა... რაცა სწადდეს აგრე ვყოცა“ (571, 4).

„კაცი ჩემად სამსახურად უღმრთოდ მემცა ვით დაებადე!
ღმერთსა ჩემი უბედობა უნდა, მემცა რას ვეცადე!“ (271, 2), —

გულამოსკვნით შეჰქვითინებს იგივე ტარია. იგი მოწყალე კაცს არ გასწირავს:



„კაცა ღმერთი არ გასწირავს, ასრე მისგან განაწირს!“ (572, 4).

ღრმად სწამს თვით სევდით ფერმიხდილ ტარიას, ის იქმნეს, რაცა ღმერთს ენებოს. ესეც ტარიას რწმენაა:

„აწ იგი იქმნას, რაცაღა ენებოს ღვთისა წადილსა!“ (591, 1).

იგი მოწყალე, კაცს წყალობას ზეცით მოუქუხებს, ჭირსა ღვთისად გადაუქცევს არად ოდეს შეაწუხებს:

„იგი მოგვემს წყალობასა მისსა, ზეცით მოგვიქუხებს, ჭირსა ღვთისად გაგვიცვალებს, არაოდეს შეგვაწუხებს“ (616, 3), —

ამშვიდებს ფრიდონ ტარიას.

„რაცა ღმერთსა არა სწადღეს, არა საქმე არ იქნების“ (774, 4), —

გვამცნებს ავთანდილ თავის ძვირფას ანდერძში. არ გადავა გარდუვალად მომავალი მის ზენა საქმე:

„რაცა მოვა საქმე ზენა, მომავალი არ აგვედების“ (1014, 2).

„უგანგებოდ ვერას მიზმენ, შე-ცა-მეზნენ ხმელთა სპანი; განგებაა, არ დავრჩები ღვთისა ჩემთვის მზანი; ვერ მიხსნიან ვერც ციხენი, ვერ მოყვასნი, ვერცა ძმანი“ (1018, 1), —

ამცნებს მოქარავენთ ბრძენი ავთანდილი.

არა ხორციელს არ ძალუძს განგებისა გარდავლენა, შეცვლა. რაც ღმერთს გაუგია გადასავლად, კაცისა თავსა უნდა გადაჰხდეს.

„უღმრთოდ ვერას ვერ მოვაწევ, ცრემლი ცუდად მელინების, განგებასა ვერვინ შესცვლის, არ-საქმენელი არ იქმნების“ (189, 3), —

ასე ინუგეშებს თავს ტარიას ძებნით მოქანცული ავთანდილ. ამასვე გვამცნებს იგი შემდგომაც:

„თავსა ჩემსა გაგებული იქმნას, რაცა ღმერთსა უნდეს“ (722, 2).

ამასვე ამცნებს იგი ანდერძით როსტევანს:

„არ გადავა გარდუვალად მომავალი საქმე ზენა; არ ვის ძალუძს ხორციელსა განგებისა გარდავლენა“ (776, 3).

აგრეთვე:

„რაცა ღმერთსა გაუგია თავსა ჩემსა გარდასავლად, გარდახედს და შემოვიქცე, აღარ დამრჩეს გული ავლად“ (777, 1).

ღმერთს თუ უნდა, ბედი, ცდა და გამარჯვება არ ასცდება კაცს. ამას ამცნებს ავთანდილ დაწვლულბულ ტარიას:



„ბოლოდ ღმერთი გაუმარჯვებს ყოვლსა პირველ შენაზარსა“ (1365, 4), —

გვამცნებს შოთა.

უსამართლო საქმეს ღმერთი არვის შეარჩენს. განა ამას არ ეუბნება ავთანდილ შერმადინს:

„ზაცა საქმე უსამართლო ღმერთმან ვისმცა შეარჩინა!“ (756, 4).

კაცი ვერას ეცადოს, ღმერთს თუ მისი უბედობა სწადია:

„ღმერთსა ჩემი უბედობა უნდა მემცრა რას ვეცადე!“ (271, 3), —

ქეთინებს ტარიო.

განგება წუთსვე მოჰკლავს კაცსა:

„განგებაა, დღესცა მომკლავს, ქვემცა სადა დავიმალე?“ (423, 4), —

გვამცნებს ავთანდილი.

ღმერთს, ანუ ბედს, სიმწარე კაცისა სამღურავად არ ეთქმის. განა ამას არ გვამცნებს შოთა წინასიტყვაობის ამ ძვირფას სტრიქონებით:

„რაცა ვის რა ბედმან მისცეს, დასჯერდეს და მას უბნობდეს:
მუშა მიწყვე მუშაკობდეს, მეომარი გულოვნობდეს;
ველა მიჯნურსა მიჯნურობა უყვარდეს და გამოსცნობდეს,
არცა ვისგან დაიწყნოს, არცა სხვათა უწუნობდეს“ (18, 1), —

ასე განმარტავს შოთა ღვთის თვისებებს, ასე განმარტავს ღვთის განგებას და ბედს.

„ვეფხისტყაოსანში“ ვპოვებთ აგრეთვე სამოთხე-ქვესკნელის განმარტებასთან ერთად ბოროტი და კეთილი სულების განმარტებას და მათ მოქმედებას.

სამოთხე ზეცაშია. ფიცის გამტეხი მას მოსწყდება, ქვესკნელს დაინთქება. მას გამარჯვება არსად ექმნება, სულს წაიწყმედს: „სრულად მოვწყდე სამოთხესა, ქვესკნელს ვიყო დასანთქარი“ (132, 3), — ეფიცება თინათინი თავის მზეს.

„გეცრუეო, ღმერთმან მიწა მქნას, ნუმცა ცხრითავე ვზი ცითა!“ (399, 4), — ეფიცება ნესტანი ტარიას.

„რამცა სადა გაუმარჯვდა კაცსა, ფიცთა გამტეხელსა!“ (718, 4), — ამცნებს ავთანდილ ვეზირს.

შოთა დიდ მნიშვნელობას აძლევს ფიცის გასრულებას. იგი სჯულის სიმტკიცე და მცნებაა კაცის გამომცდელი.

ამასვე გვამცნებს ავთანდილ: „კაცსა ფიცნი გამოსცდიან“ (730, 3).

„შენ გასტეხე ფიცი ჩემი, სიმტკიცე და იგი მცნება“ (509, 3), — უსაყვედურებს წარბშერტყმით ნესტანი გულლახვარსობილ ტარიას.

„სიცრუევე და ორპირობა ავნებს ხორცსა, მერე სულსა“ (770, 4), — აგონებს ავთანდილ როსტევეანს ბრძენ პლატონისაგან სწავლა-თქმულ სიბრძნეს.

ეშმაკი კაცის ღვინის შემშლელია. ეს თინათინმაც იცის. „ეშმა გჩვენებია ღვინთა შერთა შეცამშლელად“ (113, 3), — ჰკადრებს იგი მამას.

მისი გონება ბოროტებაა. „უბოროტო ვის ასმია, რაც ა კარგი საეშმაკო“ (859, 3), — ამცნობს ბრძენი ავთანდილ სახმილმოდებულ ტარიას.

ვისაც იგი ძმად სძმობია თავს მოაყვლევინებს.

„რას გარგებს მოკვლა თავისა? ეშმა ძმად თურე გძმობია“ (945, 2) ეტყვის გულს ავთანდილს.

ეშმაკს ბიდე აქვს კაცისა ვასაბმელად. ეს ფარსადანმაც უწყის: „მე ღვთისა ვუთხარ, დაუბამს მას ეშმაკისა ბიდესა!“ (558, 2).

ცის ძალთა დასი კაცის მფარველია. მარტოობა ვერას უზამს. ეს ღრმად სწამს ავთანდილს:

„მარტოობა ვერას მიზამს, მცაეს თუ ცისა ძალთა დასი“ (163, 2).

აი, ასეთი შეხედულებისაა შოთა სამოთხე-ქვესკნელზე, ბოროტსა და კეთილ სულეზე, რომელთაც რელიგიასთან დამოკიდებულება აქვთ.

განვიხილოთ რა შოთა რუსთველის მიერ ღვთის ბუნების განმარტება, მისი დამოკიდებულება კაცთან თუ ქვეყანასთან, განვიხილოთ, თუ რომელ სარწმუნოებას უფრო ენათესავება მისი რელიგიური მსოფლმხედველობა.

ბატონი პ. მირიანაშვილი გვამცნებს: რაკი „ვეფხისტყაოსნის“ ხალხი მაჰმადიანია, შეუძლებელი იყო შოთა რუსთველს ღვთის ბუნება ისე განმარტებინა, როგორც განუმარტებია აბდულ-მესიის ავტორს იოანე შავთელს და თამარიანის ავტორს გრ. ჩაზრუხაძეს, თუნდაც უკანასკნელი იგივე რუსთველი ყოფილიყო. მეზობტეთა ღმერთი სამეზობითია, არსებით კი ერთი, მაგრამ შოთა რუსთველის ღმერთი ერთია, **ერთარსება***. უეჭველია ასეთი განმარტება ღვთის ბუნებისა არც ქრისტიანს ეუცხოება. მაგრამ საინტერესო ის არის, რომ ქრისტიანობრივი ელფერი მინც მოაშორა რუსთველმა (იხ. „ძველი და ახალი ქართული შაირობა სადა აშხად განმარტებითა“ პ. მირიანაშვილისა, წიგნი I, 1915, გვ. 136). შემდეგ პატივეცემული პ. მირიანაშვილი განაგრძობს: ავთანდილ და ტარიელ ღრმად მორწმუნე მუსულმანები არიან და პრაქტიკაშიც მისდევენ ისლამის წესებს (იხ. ვაზ. „სახალხო ფურცელი“, 1916, № 589), ზემოხსენებულ წიგნში იგი ნესტანსაც განათლებულ ინდოელ ქალად აღიარებს. მას მუსაფი (ყურანი, პ. მირიანაშვილით) სასთუნალზე უძევს. ტარიელიც მუსაფზე ლოცულობს. გულწაბულ ტარიელს მუყარები და მულიმები უკითხავენ ლოცვა-სა. ავთანდილმა, ვიდრე გაიპარებოდა ტარიელის საქებრად, მიზგითში ილოცა და სხვა.

განვიხილოთ რამდენად შეესაბამება ყველა ეს სინამდვილეს.

რადგან რალაც მიზეზით განათლებული ინდოელი ქალი ბრამას ან შაკია-მუნის (ბუდას) მალიარებლად არა სცნო (რაც უფრო მოსალოდნელი იყო) და ისლამის წესის მიმდევრობა დასწამა, ჩვენი ვალია განვიხილოთ, თუ რამდენად მართალია ეს დებულება.

მუსაფი რომ ყურანი არ გამოდგა (როგორც ეს პ. მირიანაშვილს ეგონა), მგონი უკვე თვითონაც დარწმუნდა (იხ. გ. გვაზავას წერილი, ვაზ. „საქართველოს“ თიბათვის და მკათათვის ნომრები), მიუხედავად იმისა, რომ დ. კარიჭაშვილსაც მუსაფი მაჰმადიანთ სჯულის წიგნად, **ყურანად** განუმარტავს (იხ. „ვეფხისტყაოსნის“ ბოლოს მისი ლექსიკონი, გვ. 329). რადგან სხვა არავითარი უტყუარი საბუთი არ მოეპოვება ბატონ პ. მირიანაშვილს ნესტანის ისლამის სჯულის მიმდევრობისა, გადავიდეთ სხვა გმირებზე და განვიხილოთ, თუ მართლა რამდენად შეიძლება, რომ მათ მუსულმანობა დაეწამოთ. თუ რამდენად მისდევენ პრაქტიკაშიც ისლამის წესებს, თუ რამდენად მოაშორა მართლა რუსთველმა მათ ქრისტიანობრივი ელფერი.

* ხაზი ჩვენია (ს. ი.).

ტარიელმა მუსაფზე დაიფიცა სატრფოს წინაშე, — გვამცნებს პ. მირიანაშვილი, მაგრამ მუსაფი რომ ყურანი არ გამოდგა!



„სრულნი მუყრნი და მულიმნი მე გარეშემო მცვიდიან,
მათ ხელთა ჰქონდათ მუსაფი, ყოველნი იყითხვიდიან“ (339, 2).

ეს სიტყვები ნებას აძლევს პ. მირიანაშვილს მის ისლამის სჯულის მიმდევრად მონათვლისას.

გ. გვაზავას არ იყოს, თუ ებრაელი ექიმი მიიწვიე, ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ მის სჯულის მიმდევარი იყვეთ!

დღესაც არის ჩვენში, რომ მიეარდნილ სოფლებში თათრის მოლებს მცოდნე აქიმებად თვლიან და ავადმყოფების მოსარჩენად იწვევენ. მულიმნი რომ ექიმობის მცოდნენიც იყვნენ, ეს ცოტაა, განა ტარიას სიტყვები — „არ ვიცი რას ჰჩამახვიდიან“ (339, 3), — ქირღვა არაა? და განა შესაძლოა ტარიას ის სწამებოდა, რაც საქირდავად გაუხდია? ან აეთანდილი რომ ისლამის მიმდევარი ყოფილიყო, ნუთუ მის წინაშე ტარიელი მისი (ვითომ და აეთანდილის) სჯულის სასულიერო პირებს და თვით მუსაფს (ყურანს პ. მირ.) ასე ირონიულად მოიხსენებდა?

თვით ის გარემოება, რომელსაც გვამცნებს სათაური „ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთი თავისა (ლოცვა აეთანდილისა მიზგითას) ვერაფერი დამამტკიცებელი საბუთია იმისა, რომ ვითომ აეთანდილი მართლა მეჩეთში (მიზგითა) ილოცდა. სათაურები რომ რუსთველის კალამს არ ეკუთვნის, ამას თვითონ პ. მირიანაშვილი აღიარებს (სათაურები შემდეგ შემოიღეს). მე კი მწამს, რომ იქნებოდნენ ისეთნი, ვინც ვერ ჩასწვდებოდნენ აეთანდილის სულის მისწრაფებას და მას მეჩეთში შეიყვანდნენ!

თუ რამდენად მისდევნენ ეს გმირები ისლამის წესებს პრაქტიკაში, ჰკითხეთ იაგუნდის ჯამებით და ლალის ჰიქებით ღვინის მიმწვდელთ. განვიხილოთ მოკლედ თვით ისლამის სჯულის მიმდევართა წარმოდგენით ბუნება მათი ღმერთისა და შემდეგ შევუღაროთ მათი ღმერთი „ვეფხისტყაოსნის“ გმირთა ღმერთს.

მართალია, მაჰმადის სიტყვები „არა არს ღმერთი გარდა ალაჰისა“ (la ilah illa Allah) მოწმობენ, რომ მათი ღმერთიც ერთია. მათი წარმოდგენით იგი ერთად ერთი მოქმედი ძალაა. მან შექმნა ყოველი ქმნილება (ანგელოზებიდან დაწყებული კაცამდე და ხიდან ქვამდე), ყოველივე საქმე, ყოველივე საგანა, აწმყო, წარსული და მომავალი მსოფლიოსი დამოკიდებულია მთლად ალაჰის წინა განგებაზე. იგი მოქმედებს ისე, როგორც სურს. ალაჰი თვითონ წარმოშობს როგორც კეთილს, ისე ბოროტ საქმეებს კაცთა შორის. იგი დააყენებს გზასა კეთილსა და ბოროტსა. და ვინცა ბოროტ გზაზე დააყენა, იგი წაწყმდება. ერთი სიტყვით, მაჰმადიანთა ღმერთი ჩვენ აღმოსავლეთის დესპოტს მოგვაგონებს, მრისხანე დესპოტს. რაც სურს, ის იქმნება. იგი წარმოშობს როგორც კეთილს, ისე ბოროტს. კაცის ცხოვნება-წაწყმედა მის სურვილზეა დამყარებული. მისი სიყვარული შეუძლებელია. „ღირსეული მის წინაშე არს იგი, ვისაც მეტად ეშინიან“. თვით ანგელოზნიც შიშის გამო სტეშენ თაყვანს.

განვიხილოთ ახლა, როგორია შოთას გმირთა წარმოდგენით ღმერთი.

თვით აეთანდილის ლოცვა, ეს გონებისა და გულის ამაღლება ღმერთისადმი, მოწმობს, რომ მისი ღმერთი მოწყალეა. „ღმერთო, ღმერთო მოწყალეო“, — ასე შეჰლაღადებს იგი უხილავს. თუ რა მოწყალე იყო მაჰმადიანთა ღმერთი, ეს კ' ზემოთ დავინახეთ.

მართალია, ტარია ამბობს: „იგი იქმნას, რაც ენებოს ღვთისა წადილსა“-ო (591, 1), ამასვე გვამცნებს ანდერძში აეთანდილიც: „რაცა ღმერთსა არა სწად-



დეს, არა საქმე არ იქმნების“ (774, 1), რომ „არვის ძალუმს ხორციელსა გებისა გარდავლენა“ (776, 4), რომ „რაცა ღმერთსა ვაუგია თავსა დასაველად, გარდამხდეს და შემოვიქცე, აღარ დამრჩეს გული ავლად“ (777, 1), მაგრამ განა მზიან დღით გაბრწყინებული ტარია არ შეაფრქვევს ავთანდილს, რომ „ღმერთი მოგცემს წყალობასა, მისსა ზეცით შესახულსა!“ (1447, 2). განა ბრძენი თინათინ არ გვამცნებს, რომ ღმერთი ყოველთვის ტკბილად მხედია, რომ იგი ბოროტს არასოდეს არ დაბადებს, რომ იგი მხოლოდ კეთილის შემოქმედია.

„ყოველთათვის ტკბილად მხედსა ბოროტიმცა რად შექმნა კეთილისა შემოქმედსა?!“ (113, 4). თუ რამდენად მოგვაგონებს ალაჰს ეს, ყველასათვის ნათელია.

მართალია, რაც ღმერთს სწადდეს, კაცი აგრე ჰყოფს (271, 3). — მართალია, იგი უნდა იქმნეს, რაც ღმერთს ენებოს (591, 1), მაგრამ, როგორც ფრიდონსაც კი სწამს, „იგი მოგვეცემს წყალობასა მისსა, ზეცით მოგვიქუხებს, ჭირსა ლხინად გავცივალებს, არად ოდეს შეგვაწუხებს“ (616, 3) და ასე საბოლოო მიზანი ღვთის განგებისა კაცის კეთილ გზაზე დაყენებაა. იგი განგება შეთანხმებულია კაცის კეთილმოქმედებასთან. ღმერთი განაგებს ქვეყნიერებას როგორც თავისუფალი პიროვნება. მისი თვითმოქმედება დამყარებულია არა მის სიძლიერეზე, არამედ მის ყოველად მეცნიერებაზე. იგი განგება, როგორც უკვე ვთქვით, შეთანხმებულია კაცის კეთილ მოქმედებასთან. ამას ვერ გხედავთ ჩვენ ისლამის სჯულში. მათ ღვთის განგებას ეს არა აქვს მიზნად. იგი კაცს დააყენებს, როგორც კეთილს, ისე ბოროტ გზაზედაც. არც ბერძენთა განგებას ენათესავება რუსთველის განგება. მისი განგება რომ კაცის კეთილმოქმედებასთანაა შეთანხმებული, იქიდანაც კი ჩანს, რომ შოთამ არც ერთი გმირი არ აატირა ისე, ვით ღვიძლი დედის თანამემცხედრე ოდიშოს. დასასრულ ბერძენთა განგება ბრმა ძალა, რომელსაც თვით ზევსიც ექვემდებარება.

შოთამ დაგვიხატა თავის ძვირფას მარგალიტში მის გმირთა რელიგიური რწმენა, როგორც მათი სულიერი განცდა, და შოთას რელიგიური ლტოლვაც მის გმირთა სულიერ ლტოლვასთან ერთად ჩვენ ქრისტიანულ სულის ლტოლვას უფრო მოგვაგონებს.

როგორც ვთქვით, რუსთველის ღმერთი ერთია. რუსთველი თუ წინასიტყვაობაში ასე შეპლადადებს უხილავს: „ჰე, ღმერთო, ერთო!“, ქრისტიანი ლოცულობს: „მრწამს ერთი ღმერთი!“ (სარწ. სიმბოლოს ერთი წევრი). რა ვუყოთ, რომ იგი ქრისტიანის რწმენით სამპიროვანია. „ესე სამნი, რომელნი სწამებენ ცათა შინა, მამა სიტყვა და სული წმიდა, ესე სამნი ერთნი არიან“, — გვამცნებს მოციქული იოანე (იოანე, თავი 5, მუხ. 2).

მან „შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერთა“, — განაგრძობს ღვთისმეტყველები. ამასვე მოწმობენ სიმბოლოს პირველ წევრის სიტყვები. „შემოქმედი ცათა და ქვეყანისა“, აგრეთვე სიტყვები, რომელნიც ოქროს ასოებით აღიბეჭდა მოსეს მიერ: „დასაბამად ჰქმნა ღმერთმან ცა და ქვეყანა“ (შექ. თავი 1, მუხ. 1). ამასვე გვამცნებენ იოანე მახარობლის სიტყვები: „ყოველივე მის მიერ შეიქმნა და თვინიერ მისა არც ერთი რა იქმნა, რაოდენი რა იქმნა“ (სახ. იოანე, თავი 1, მუხლი 3).

„ზეგარდმო არსნი სულითა ჰყვნა ზეცით მონაბერთა“. — შემოგვესმინა შოთასგან. ამასვე ვკითხულობთ დაბადებაში: „და სული წმიდა იქცეოდა ზედა წყალსა“. ამასვე გვამცნებს პავლე მოციქული: „რამეთუ იგი თავადი მოსცემს ყოველთა ცხოვრებასა და სულსა ყოველით კერძო“ (საქ. მოციქ., თავი 17, მუხ. 25). „მისგან არს ყოვლი ხელმწიფე სახითა მის მიერთა“, — განაგრძობს კვლავ შოთა და მე თვალწინ მიდგება დაბადების სტრიქონები: „ღმერთმან წმი-

და სამებაში ჰსთქვა: „ექმნეთ კაცი ხატებისამებრ ჩუწნისა და მსგავსებოისა“ (შექმ., თავი 1, მუხ. 26). ეს წინასიტყვაობაში, შემდეგ, თვით „ვეფხისტყაოსანში“ შოთა ჩაურთავს ბრძენ დიონისის სიტყვებს:

„ღმერთი კარგა მოაღიწებს, არ ბოროტსა არ დაჰბადებს,
ესა წამ-ერთ შეამოკლებს, კარგს ხან-გრძლად გააკვლადებს,
თავსა მისსა უკეთესსა უზადო-ჰყოფს, არ აზადებს“ (1468, 2), —

რომელნიც უთუოდ შოთას სულიერ ლტოლვის ანასახი, მისი რწმენაც უნდა იყოს. ასეთივე არაა რწმენა ქრისტიანისა? მისი რწმენით ხომ „განგებულობა ღვთისა არის დაუცრომელი მოქმედება ყოვლის შემძლებლობისა, სიბრძნისა და სახიერებისა ღვთისა, რომლითაც დაიცავს ყოფასა და ქმნილებათა ძალსა, მიაქცევთ იმით კეთილთა საქმეთადმი, ყოველს კეთილს შეეწყვა, ხოლო ბოროტს, კეთილის განშორებისაგან წარმომდგარს მოჰკვეთს ანუ განმარტავს და მიაქცევს კეთილთა შედეგთადმი“. თინათინმაც კი იცის, რომ კეთილის შემოქმედი ბოროტს არ დაბადებს. მასაც კი სწამს, რომ იგი ყოველთვის ტკბილად მხედია (112). ტარიაც გვამცნებს, რომ იგი წყალობას აძლევს ზეციურ შესახულსა (1447). ფრიდონსაც სწამს, რომ „იგი მოგვეცემს წყალობასა, მისსა, ზეციურ მოგვიქუხებს, ჭირსა ღვინად გადაგვიქცევს, არად ოდეს შეგვაწუხებს“ (616, 3—4), და განა ამასვე არ მოგვასმენს დავითის ქნარი? „შემწყნარებელ და მოწყალე არს უფალი სულგრძელ და დიდად მოწყალე ტკბილ არს უფალი ყოველთა მიმართ და წყალობანი მისნი ყოველთა ზედა საქმეთა მისთა“ (ფსალ. 144, მუხ. 89).

ეს კიდევ ცოტაა. განა ავთანდილის ლოცვა-ანდერძი ნამდვილ ქრისტიანულ ლოცვა-ანდერძს არ მოგვავიწყებს? ავთანდილმა ანდერძით გვამცნო სიბრძნე პლატონისგან სწავლა თქმული: „სიცრუე და ორპირობა ავნებს ხორცსა მერე სულსა“ (770, 4). „რადგან თავია სიცრუე ყოვლისა უბედობისა“ (771, 1), — დასძენს თავისით ბრძენი ავთანდილ. ამასვე გვამცნებს სოლომონი: „საძაველ უფლისა გულის სიტყვანი ცრუნი“ (იგავი 15, მუხ. 21). ამასვე გვამცნებს პეტრე მოციქული: „რამეთუ რომელსა ჰნებს სიყვარული ცხოვრებისა და ხილვად ღვინი კეთილისანი, დააცხრვენ ენად თვისი ბოროტისაგან და ბაგენი მისნი ნუ იტყვედ ზაკვასა“ (1 პეტ., თავი 3, მუხ. 10) „მე რად გავწირო მოყვარე, ძმა უმტკიცესი ძმობისა“ (771, 2), გულამოსკენით ეკითხება ავთანდილ როსტეგანს და მოავიწყებს:

„წაგიკითხავ, სიყვარულსა მოციქულნი რაგვარ წერენ?
ვით იტყვიან, ვით აქებენ? სცან, ცნობანი შიფერენ,
სიყვარული აგვამაღლებს“, ვით ეყვანნი ამას ჟღერენ“ (772, 1—3).

და მართლაც, განა ქრისტემ არ ამცნო სჯულისმოდღვარს მერე მცნებად: „შეიყვარო მოყვასი შენი“? განა ამ სიტყვებით არ ამცნო ქრისტემ მოწყალებს მცნება თვისი: „იყვარებდეთ ურთიერთს. უფროსი ამისა სიყვარული არავინ აქვს, რათა სული თვისი დასდვას მეგობართა თვისათვის“. ეს სიტყვები ავთანდილისა:

„ვინ დამბადა, შეძლებაცა, მანვე მომცა ძლევა მტერთად,
ვინ არს ძალი უხილავი შემწედ ყოველთა მიწიერთად,
ვინ საზღვარსა დაუსაზღვრებს, ზის უკვდავი ღმერთი ღმერთად,
იგი გაჰხდის წამის-ყოფით ერთსა ასად, ასსა ერთად“ (773).



განა ნამდვილ ქრისტიანის გულის სიღრმიდან ამოხეთქილ სიტყვებს არ მოგვაგონებს?

„ეინ არს ძალი უხილაეი“ და განა ღმერთის უხილაობაზე არ გვაძენებს იოანე მახარობელი: „არ თუ ღმერთი ვის უხილავს“ (იოანე, 6 თავი, მუხ. 46) და თუნდ პავლე მოციქული: „ნათელსა მყოფ არს მიუწოდომელსა, რომელ არავინ იხილა კაცთაგანმან, არცა ხილვად ხელეწიფების (1 ტიმოთ., 6 თავი, 16 მუხ.).

ღვთის უკვდავებაზე არ მეტყველებენ გამოცხადების შემდეგი სტრიქონები?: „წმიდა არს, წმიდა არს, წმიდა არს უფალი ღმერთი ყოვლისა მპყრობელი, რომელი იყო, რომელი არს და რომელი მომავალ არს“ (გამოცხ., თავი 4, მუხ. 8). ამასვე გალობს დავითი: „პირველ მთათა დაბადებამდე და შექმნად ქვეყნისა და სოფლისა და საუკუნიდგან და უკუნისამდე შენ ხარ“ (ფსალმუნი 89, მუხლი 13) და ასე, თითქმის თითოეული ოქროს სტრიქონი ავთანდილის ანდერძის, როგორც მის გულის სიღრმიდგან ამოხეთქილი ლოცვა, ნამდვილ ქრისტიანულ ლოცვა-ანდერძს მოგვაგონებს.

რა ძლიერასია მისი ლოცვა, — „ღმერთო, ღმერთო, გეაქები, რომელი ჰვლობს ქვეყნად ზესა“ (791, 1).

როგორ მოგვაგონებს ყოვლის მპყრობელ მამას („მამა ყოვლისა მპყრობელი“ (სიმ. სარწმუნ.). „ღმერთო, ღმერთო, მოწყალეო“ (792, 1), — შეჰლადედებს ავთანდილ და ეს დავითის გალობათ შემოავსმით: „შემწყნარებელ და მოწყალე არს უფალი“ (ფს. 144, მუხ. 89). თუნდ: „მტერთა ძლევა, ზღვათა ღელვა, ღამით მავნე განმარიდ“. არ მოგაგონებთ: „არამედ გვიხსენ ჩვენ ბოროტისაგან“-ს?

და თუნდ დაწყება ლოცვის:

„მაღლო ღმერთო, ხმელთა და ცათაო,
 ზოგჯერ მომცემო პატივთა, ზოგჯერ კეთილთა მზათაო,
 უცნაურო და უთქმელო, უფალო უფლებათაო,
 მომეც დათმობა სურვილთა, მფლობელო გულის-თქმათაო!“ (790, 1).

იგი ნამდვილი ქრისტიანულია.

„უფალო უფლებათაო“ და განა აგრეთვე არ სახელსდებს უხილავს მოციქული პავლე: „ნეტარად და მხოლოდ ძლიერად, მეუფედ მეუფებათა და უფალად უფლებათა (ტიმოთ., თავი 6, მუხლი 15). შევადართო აგრეთვე: „მომეც დათმობა სურვილთა, მფლობელო გულის-თქმათაო“ და იოანე მოციქულის — „უფროს არს ღმერთი გულისა ჩვენისა და იცის ყოველი“ (იოანე, თავი 3, მუხ. 20). ისიც საყურადღებოა, რომ ავთანდილმა იცის, რომ იგი მიწა და სხვა არაფერია, რომ მას უღვთოთ არაფრის გაკეთება არ შეუძლიან:

„მე, გლახ, რა ვარ? მიწა ცული; თავით ჩემით რამცა ვქმენი?“ (1029, 2).

მან იცის აგრეთვე, რომ არას არგებს კაცს ძლიერება, „თუ არ შესწევს ღვთისა ძალი“ (1024, 2).

ფარსადანს ღრმად სწამს, რომ ყოველივე ბოროტი საქმე ეშმაკისაგან წარმოდგება (558). ასევე მოგვითხრობს თინათინ (112) და ასევე სწამს ლუკან. იგი იუდას ბოროტ განზრახვაზე გვამცნებს: „შეუხდა ეშმაკი იუდას“. ამასვე გვამცნებს იოანე მოციქული: „რომელმან ჰქმნეს ცოდვა, იგი ეშმაკისაგან არს, რამეთუ დასაბამიდგან ეშმაკი სცოდავს“ (იოანე, თავი 3, მუხ. 8).

ქრისტე თუ ამცნებს ვინმე მდიდარს საზღვართა შინა ურიასტანთა: „არავინ არს სახიერ გარნა ღმერთი მხოლო“ (მარკოზ, თავი 10, მუხ. 18) და დავარიც

ღმერთს სახიერად უწოდებს: „უბრალო ვარ, იცის ღმერთმა სახიერებანი“ (560, 3).

ფრიად საყურადღებოა ჩვენთვის ნესტანის ზრუნვა სულისთვის და წარმოდგენა სულის სიმბიოზულზე, სიკვდილის სიტკბოებაზე. იგი ღრმად და რწმუნებული, რომ სიკვდილის შემდეგ იხილავს თავის ჩრდილს, გულის განმანათლებელს და ამიტომ ნალევლით ნაწერ უსტარით შესთხოვს ტარიას: „სული ჩემი შეივადრე, ზეცით მომხვედენ ნუთუ ფრთენი“ (1279, 4). და აგრეთვე:

„ღმერთსა შემვადრე, ნუთუ კვლა დამხსნას სოფლისა შრომასა,
ცეცხლსა, წყალსა და მიწასა, ჰაერთა თანა ძრომასა;
მომცნეს ფრთენი და აღფრინდე, მივხვედე მას ჩემსა ნდომასა:
დღისით და ღამით ვხვედვიდე მზისა ელვათა კრომასა“ (1280).

ეს ყოველივე ნამდვილი ქრისტიანულია. ნესტანი რომ ყურანის მკითხველ-მორწმუნე ყოფილიყო, მას კი ეცოდინებოდა, რომ მის მზის ზილვას ვერ ეღირსებოდა.

თინათინმაც იცის სამოთხე, ქვესკნელი. იგი ფიცით მოახსენებს ავთანდილს: „სრულად მოვწყდე სამოთხესა, ქვესკნელს ვიყო დასანთქმარი“. ვიმეორებ, თინათინიც რომ მაჰმადის სჯულის მიმდევარი ყოფილიყო ნესტანივით (როგორც ჰკონია პ. მირიანაშვილს), მასაც კი ეცოდინებოდა მათი (ქალთა) უმწეო მდგომარეობა, მათი დამცირება სიკვდილის შემდეგ. მართლაც, საკვირველია, რომ „პურიათა“ სიმშვენიერით მოხიბლულ მაჰმადმა მათ სიკვდილის შემდეგ ადგილი არ მისცა და დღესაც მაჰმადიანთა ღვთის მეტყველებს არ ვადაუწყვეტიათ, ექნებთ თუ არა მათ დედაკაცთაც თავიანთი სამოთხე ნეტარება მამაკაცებზე (ავგუსტინის ღვთისმეტყველების სახელმძღვანელო, მეცხრე გამოცემა, გვერდი 316, მოსკოვის გამოცემა, 1914 წ.).

ასე რუსთველის გმირთა რელიგიური ლტოლვა ჩვენ ჰუმანიტარულ ქრისტიანის სულის ლტოლვას უფრო მოგვაგონებს. თუმცა შეიძლება მათ ნათლის თაყვანისმცემლებიც უწოდოთ, რადგან ყველა ის თვისებანი, რომელთაც მიაწერდენ ჩვენი ნათლისთაყვანისმცემლნი წინაპარნი თავიანთ ღმერთს, არ ეწინააღმდეგება იმ თვისებებს, რომლებსაც კი მიაწერენ ღმერთს შოთას გმირები. „ვეფხისტყაოსანში“ ბევრია ისეთი ალაგები, რომელნიც მოწმობენ გმირთა ნათლის, ანუ კეთილის, თაყვანისცემას. საქმე იმაშია, რომ ნათლის თაყვანისმცემელთა წარმოდგენითაც არსებობს ერთი ღმერთი ნათელი, არსებობს აგრეთვე ბნელი, ანუ ბოროტი, რომელთა შორის (და აგრეთვე მათ წარმომადგენელთა შორისაც) ბრძოლაა განუწყვეტელი, თუმცა ბოლოს კეთილი, ანუ ნათელი ააფრიალებს ძლევის დროშასო.

განა ამ რწმენას არ ენათესავება ავთანდილის ბროწეულ ბავიდან ვარდის ფურცლებად გადმოშლილი სიტყვები:

„მზე მოგვეახლა, უკუნი ჩვენთვის აღარა ბნელია,
ბოროტსა სძლია კეთილმან, — არსება მისი გრძელია“ (1337, 3),

ან:

„ვცან სიმოკლე ბოროტისა, კეთილია შენთვის მზანი“.

თუმც ისიც კი შეიძლება, რომ ეს გამოთქმანი ალგორითულადაც მივიღოთ, რომელთა მსგავსნი საღმრთო წერილშიც ბევრი მოიძებნება. მაგალითად, თუნდ: „ერი, რომელი ჰსხდეს სოფელსა და აჩრდილთა სიკვდილისათა, ნათელი აღმოუბრწყინდა მათ“ (ისაია, 9 თავი, მუხ. 1 და 2).

საერთოდ კი ბევრია ვეფხისტყაოსანში ისეთი ადგილები, რომელნიც მოუ-
მოზენ შოთაზე საღმრთო წერილის ღრმა გავლენას. იმის გარდა, რომ ვეფხ-
ვანაა მოციქულთა აზრები გატარებული, შიგადაშიგ მთელი წინადადებებიც კი
ხედება სამღვთო წერილიდან ამოღებული.

აეთანდილის სიბრძნე ნუ გეგონებათ: „ბოლოდ ყოველი დამალული საქმე
ცხადად გამოცხადდეს“. იგი ქრისტემ გვამცნო: „რამეთუ არა არს დაფარული,
რომელი არა გამოცხადდეს“ (მარკოზ., თავი 4, მუხლ. 22; ლუკა, თავი 8, მუხ-
ლი 17; ლუკა, თავი 12, მუხლი 2). თვით იდეა ძმობისა, იდეა თავისუფლებისა,
რომელიც არის გატარებული ვეფხისტყაოსანში, აღმოცენებულია ქრისტიანულ
ნიადაგზე (ამასვე გვამცნებს პატივცემული გ. გვაზავა).

„მიეც გლახაკთა საჭურჭლე ათავისუფლე მონები“, ანდერძად უტოვებს აე-
თანდილი როსტევეანს. ამასვე ვკითხულობთ სახარებაში: „მიეც გლახაკთა“
(მათე, თავი 19, მუხ. 21).

დასასრულ, თუ მოვიგონებთ, რომ ეს უკვდავი ქმნილება ნატვრაა, უიმედო
სიყვარულით წარმოშობილი ნატვრა, ადვილი მისახვედრია, თუ სად პოვებდა
შოთა სულის მყუდროებას, თუ სად აღმოაჩენდა სულის ნავთსაყუდელს.

თუ ვინ ისაღვურებს გატეხილ გულში, ამას ო. უაილდეს De profundis-ი
გვამცნებს, რედინგის ციხეში სისხლით დაწერილი „De profundis“-ი. არც სა-
კვირველია, თუ ეს დიდებული ქვეყნიური სილამაზის მომღერალი მართლა შემ-
დეგ, ბერობაში პოვებდა სულის სიმშვიდეს!

წარმოდგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
წევრ-კორესპონდენტმა ს. ცაიშვილმა

გ რ უ ლ ა ნ თ უ რ ნ ა ვ ა

ანაკრონთული მოტივები ბერძნულ და ბრიტანულ მრავალმხრივ
ლიტერატურაში

ანაკრონთის ღრმად ემოციურმა და თპტიმისტურმა სატრფიალო-საღალბო ლირიკამ მოხიზლა არა მარტო ანტიკური საწყარო, არამედ მისწვდა ქრისტიანული წელთაღიციხვის ყველა საუკუნეს. ანაკრონთს ანტიკურ ხანაშივე გამოუჩნდნენ მიმდევრები, რომელთაც სახელმწიფოებრივი თანამედროვის შემოქმედებაში იზიდავდა გრძობათა სიწრფელე და გრაციოზულობა, სილამაზის, ადამიანისა და სიცოცხლის სიყვარული. იყო ანაკრონთის გაყალბების შემთხვევებიც, როცა მას სწამებდნენ ლოთობას და უზნეობას, მაგრამ ჭეშმარიტმა პოეტებმა სწორად გაიგეს და გაითავისეს მისი პოეზიის ღირსებები. საუკეთესო პოეტები საუკუნეების მანძილზე ხარკს უხდიდნენ ანაკრონთულ ჟანრს.

თავად ანაკრონთის და მისი დროის ლირიკოსების პოეზია გამოხატავდა პროტესტს პიროვნების თავისუფლების შემზღვეველი საზოგადოებრივი ურთიერთობის წინააღმდეგ.

უფრო გვიან, აღორძინების ეპოქაში ადამიანის მიწიერი გრძობების, სიამოვნებისა და ბედნიერებისაკენ მისი სწრაფვის პოეტური ასახვისათვის მყარი საფუძველი შეიქმნა იმდროინდელი ფილოსოფიური აზროვნების სახით. ამას ნათელყოფს რენესანსის გამოჩენილი ფრანგი პოეტების კლემან მაროს, პიერ დე რონსარის და რემი ბელოს ანაკრონთული პოეზიის ნიმუშები.

მე-17 საუკუნეში აღორძინების ფილოსოფოსებს გაუჩნდათ მიმდევრება ლიბერტინაჟის იდეოლოგიური მოძრაობის წარმომადგენლების სახით. მათ პროგრესულ ფრთას ხელმძღვანელობდა პიერ გასენდი. ლიბერტინებს ადამიანის ქცევის ძირითად ნორმად მიაჩნდათ ბუნების მაგალითით ხელმძღვანელობა. ეს ნიშნავდა სიცოცხლით ტყობის უფლების აღიარებას, რასაც ქადაგებდა აგრეთვე ანტიკური ფილოსოფიის დიდი წარმომადგენელი — ეპიკურე. ლიბერტინები ღრმად ჩასწვდნენ რა ეპიკურეს ფილოსოფიას, ყურადღება გაამახვილეს მასში ზომიერების, თავშეკავების და ზნეობრივი სიწმინდის მოთხოვნებზე. ამით წინ აღუდგნენ ძველი ბერძენი ფილოსოფოსის რეპუტაციის გაყალბებას.

ეპიკურეს მოძღვრება შემოქმედებითად აითვისეს აგრეთვე განმანათლებლებმა, რომლებმაც აღორძინების ეპოქის მოღვაწეებთან შედარებით უფრო მწვავედ და შეგნებულად დააყენეს სახელმწიფოსა და ეკლესიის ძალმომრეობისაგან ადამიანის დაცვის საკითხი. პიროვნების გრძობებისადმი განსაკუთრებული ყურადღება მე-18 საუკუნის ფილოსოფიაში გამოვლინდა სენსუალიზმის ორი მიმართულების ჩამოყალიბებით. იდეალისტურმა სენსუალიზმმა ხელი შეუწყო ჰედონიზმის აღორძინებას, რამაც თავი იჩინა ამავე საუკუნის ანაკრონთულ ლირიკაშიც. ჰედონისტურ პრინციპს დაუპირისპირდა დიდი მატერიალისტი განმანათლებლების ჰოლბახის, ჰელვეციუსის, დიდროს შეხედულებები სიამოვნებისაკენ ადამიანის სწრაფვაში გონივრული ზომიერების აუცილებლობის შესახებ. ეს თვალსაზრისი გამოიყვეთება დენი დიდროს ფილოსოფიური თხზულების ერთ-ერთი პერსონაჟის — ექიმ ბორდეს შემდეგ გამოხატვაში: „უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება სასიამოვნოსა და სასარგებლოს გაერთიანებას. სრულქმნილება მდგომარეობს ამ

პაქ. სსრ კ. მარტოს
სახ. სახ. რესპუბ.
ლიტერატურა

სებაში. ესთეტიკურ თანამიმდევრობაში სასიამოვნო და ამავე დროს სასარგებლო მოქმედებამ პირველი ადგილი უნდა დაიჭიროს. მეორე ადგილზე კვნივე ციკვით უარს სასარგებლო მოქმედებას. მესამე ადგილი დაეთმობა სასიამოვნო მოქმედებას, ხოლო რიგის უკანასკნელ პლანზე მოვაქცევთ ისეთ მოქმედებას, რომელსაც არც სიამოვნება მოაქვს და არც სარგებელი¹.

განმანათლებლობის ეპოქის ეპიკურულ-ჰედონისტური ეთიკის გამოძახილი მისწვდა მე-19 საუკუნის ევროპულ ლიტერატურას. ფრანგულ და ქართულ ლიტერატურებში იგი გამოვლინდა პიერ-ჟან დე ბერანჟეს, ანდრე შენიეს, ალ. ჭავჭავაძის, გრ. ორბელიანისა და სხვათა ლირიკაში.

ანაკრონტის ჯანსაღი ფილოსოფიურ-ლიტერატურული ტრადიციების შორეული, მაგრამ სანიმუშო გამგრძელებლები არიან გრიგოლ ორბელიანი და პიერ-ჟან დე ბერანჟე. მათი ანაკრონტული ლირიკის ერთმანეთთან შედარებისას ვლინდება მნიშვნელოვანი ტიპოლოგიური მიმართებები. ამ პოეტების ლექსებს შორის მსგავსების ზოგიერთ ნიშანზე ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში მიუთითა ჩვენმა სახელოვანმა წინაპარმა, თვალსაჩინო ქართველმა კრიტიკოსმა და ეთნოგრაფ-ისტორიკოსმა ნიკოლოზ ბერძნიშვილმა².

ბერანჟემ ანაკრონტული სიმღერები შექმნა შემოქმედების დასაწყის პერიოდში. ისინი თავმოყრილია მისი ლექსების პირველ კრებულში, რომელიც 1816 წელს გამოიცა (სულ 83 სიმღერა). ამის შემდეგ პოეტმა სიმღერას სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლა დაუსახა მიზნად, მისი ლექსი დაიტვირთა გაბატონებული კლასების წინააღმდეგ მიმართული სატირითა და ირონიით, მასში აისახა თანამედროვეთა ცხოვრებისეული პრობლემები და ზოგადსაკაცობრიო იდეები. თუ ბერანჟეს სიმღერებს თვალს გადავავლებთ ქრონოლოგიური თანამიმდევრობით, შევნიშნავთ, რომ დროთა განმავლობაში ანაკრონტულ მოტივებს თანდათანობით შეერია სოციალური და პატრიოტული მოტივები, ხოლო მეორე პერიოდში (1815—1830) ანაკრონტიკა თითქმის გაქრა მისი პოეზიიდან.

ბერანჟეს ორი სიმღერა, რომელიც შეიძლება შევადაროთ ორბელიანის ლექსს „იარალის“, ზასიათდება რამდენიმე ერთმანეთისაგან განსხვავებული მოტივის ერთიანობით. ერთი მათგანი წარმოადგენს მიძღვნას სათაურით „ჩემს მეგობარ დეზოჟიეს“, დაწერილია ბურბონთა მეორე რესტავრაციის შემდეგ, 1815 წლის დეკემბერში; მეორე სიმღერას ეწოდება „დიდებასთან გამომშვიდობება“, დაიწერა მეორე რესტავრაციის დროს — 1820 წლის დეკემბერში.

გრ. ორბელიანის „იარალის“ და ბერანჟეს „ჩემს მეგობარ დეზოჟიეს“ — ორივე ეძღვნება მეგობარს. ორივე ლექსი იწყება ლხინის შთამბეჭდავი სურათით: ქართველი პოეტი და მისი მეგობრები ქეიფობენ ბუნების წიაღში, შიშინებს ჯეირნის მწვადი, კახური ღვინით იესება აზარფეშა, ვაისმის ომხიანი ქართული სიმღერა; ფრანგი პოეტი და მისი მეგობარი მგონები კი შეკრებილან უბრალო ჭერჭეშეშ, დეზოჟიეს მოაქვს ორი ბოთლი ღვინო, პირამდე ავსებს ჭიქებს, სვამენ სამშობლოს და სიყვარულის სადღევრძელოებს, ყურთასმენას ატკბობს და გულს ახალისებს მხიარული რეფრენი; დეზოჟიე ამ ლხინის გული და სულია.

ცხადია, ქართული და ფრანგული ლხინი ჰგავს ერთმანეთს გრძნობებსა სიძლიერით, ხალისითა და სილაღით.

¹ Denis Diderot, Suite de L'entretien, გვ. 726, Dans le livre: Oeuvres de Diderot, v. 25, de la „bibliothèque de la pléiade“, éditions de „La nouvelle revue française“, 1935.

² ქართული ლიტერატურული კრიტიკის ისტორიისათვის, ქრესტომათია, თბ., 1954, ტ. I, გვ. 122—123.



იარალი ლირიკულ გმირს მოუთხრობს საქართველოს გმირული წარსულს შესახებ და მიმზიდველად აღწერს მშვენიერ სანახაობას: ჭაბუკ მეომართა ცხენებით რბოლა და მხედრული ვარჯიში ყაბახზე, რასაც ხალხთან ერთად სიამოვნებით ადევნებს თვალს ერეკლე მეორე.

ბერანჟეს სიმღერაში ასევე მე-18 საუკუნის ფრანგული სახალხო გართობა აღწერილი. ლირიკული გმირი მეგობარ დეზოჟიეს მოაგონებს ძველ ფრანგულ მოხეტიალე თეატრს, რომელიც სატირული ვოდევილებით ამხიარულებდა ხალხს, მოაგონებს აგრეთვე მე-18 საუკუნის კუპლეტისტებს — ჰანარს, ვადეს, კოლეს, რომელთა თამამი შაირების გაკონებაზე ქალბატონები ცოტა უხერხულად გრძნობდნენ თავს. პოეტი ოცნებობს, რომ შანსონიე და სატირის ღმერთი მომუსი ძველებურად ერთად იხილოს სცენაზე, აღდგეს ნამდვილი ფრანგული მხიარულება ერთმანეთით, გულიანი სიცილით, ტამბურინისა და ეყენების ხმებითურთ.

როგორც ბერანჟე, ისე ორბელიანი სამშობლოს ბედნიერ წარსულს უპირისპირებენ მის სავალალო აწმყოს. ქართველი გენერალი ანაკრეონტულ მოტივებს ეროვნულთან აწყვილებს, ხოლო საფრანგეთის სახალხო პოეტს ბახუსისა და ამურის განდიდებასთან ერთად ლექსში ერთდროულად შემოაქვს ეროვნული და სოციალური მოტივები.

გრ. ორბელიანის ლექსში „იარალის“ ქეიფი, ღვინით და სიმღერით თავის-შექცევა უბრალო დროსტარებად არ რჩება, მწვანე ველზე გაშლილ სუფრასთან მამულიშვილები სამშობლოს ბედზე მსჯელობენ, ოცნებობენ საქართველოს განთავისუფლებაზე მეფის რუსეთის კოლონიური რევიზიისაგან.

თავის მხრივ ბერანჟე მოუწოდებს პოეტ-მომღერლებს, ძველებური სიმღერების ტრადიციული სიხალისე, ენთუზიზმი და სატირა მიმართონ არა ზოგადადამიანური მანკაერების ან უმნიშვნელო ყოფითი კონფლიქტების წინააღმდეგ, არამედ ებრძოლონ სოციალურ უსამართლობას, დიდგვაროვანთა ამბარტანობასა და პირმოთენობას, საკადრისი პასუხი გასცენ ვარეშე მტერს. დეზოჟიესადმი მიძღვნილი ეს სიმღერა ცხადყოფს ბერანჟეს მსოფლმხედველობაში მომხდარ ვარდატებას. მას უკვე სწამს, რომ სიმღერა ხალხს კიდევ უნდა აרתობდეს და ახალისებდეს, მაგრამ გაჭირვების ქაშ მოქმედების გზას უჩვენებდეს, ამიტომ სთხოვს მეგობარ შანსონიეს — დეზოჟიეს:

„სცენაზე, სადაც ის თავს ბედნიერად გრძნობს
შენთან ერთად აბრძანდება მომუსი,
აღადგინე ფრანგული მხიარულება
უცხოელების დასანახად
სიმღერა გამოსადეგი იარალია
რომლითაც არაერთ გასაჭირს აღუდგებიან წინ“.

მეორე რესტავრაციის შემდეგ ბერანჟე დარწმუნდა ბურბონების დინასტიის გამცემლობაში, რომელმაც პირადი კეთილდღეობისათვის უცხოელ მოკავშირეებს გაათელინა სამშობლო. იგი მეტად მტკივნეულად განიცდის საფრანგეთში უცხოელი ინტერვენტების შეჭრას ნაპოლეონის საბოლოოდ დამარცხების შემდეგ და ამ ლექსში შენატრის სამშობლოს წარსულ დიდებას.

„იარალის“ პესიმისტურად მთავრდება: გრ. ორბელიანი ეძებს გმირს, რომელიც „ერთისა დაკვრით უსულოდ ვეშაპს მიწად დაჰსცემდეს“. ცხადია, გმირის ალეგორიულ სახეში იგულისხმება ეროვნული ჩაგვრისაგან საქართველოს

3 Oeuvres Complètes de P.-J. De Béranger, Paris, Perzotin, T. I, გვ. 182.



განმათავისუფლებელი ძალა, მაგრამ პოეტს ასეთი გმირი არსად ეძებოდა. მხოლოდ მოთქმაში ხედავს დარდის შემსუბუქებას. მაშასადამე, ანაკრეონტის მსიარულება ტირილით იცვლება, მაშინ როდესაც ფრანგულ სიმღერას ისეე ბახუსი, ამური და მომუსი ახალისებენ. ბოლო სტროფში ფრანგი თანამეინახენი ავსებენ სასმისებს და მსიარულად უმღერიან საქმობლოს დიდებას და სიყვარულს:

„ღამისხი, მეგობარო, ამა ღამისხი, დამაღვიან
დაე, განახლდეს ჩვენი სიმღერები.
დიდებას უნდა შევეწიოთ,
სიყვარულს მხარი დავუშვევით,
ნაყოფიერი მინდორი, რომელზედაც ეწრომობთ,
მთელის მხოლოდ უფრო ნათელ ზეცას.“

ამგვარად, ნათელია, რომ განსახილველი ქართული და ფრანგული ლექსების დასასრულს ორბელიანის რომანტიკული სევდა უპირისპირდება ბერანეს ოპტიმიზმს. ფრანგ პოეტს სჯერა, რომ შანსონიეთა შრომა ნაყოფს გამოიღებს და იმედიანად ელის „ცის გადაწმენდას“ ანუ ქვეყნის უკეთეს მომავლს.

ბერანეს ლექსის „ჩემს მეგობარ დეზოჟიეს“ დაწერიდან გვიღია ზეთი წელი, მაგრამ მასში გამოთქმული იმედი არ გაუმართლდა პოეტს. ამ ხნის მანძილზე უფრო ნათლად გამოჩნდა, თუ რა მძიმე უღლად დააწვა ფრანგ ჯალს თავად-აზნაურთა ხელისუფლების აღდგენა ბურბონთა დინასტიის სახით. არისტოკრატები მათი რევოლუციამდელი უფლებების სრულ აღდგენას მოითხოვდნენ, რთილისტთა თეთრი ტერორი სასტიკად უსწორდებოდა ოპოზიციას, ამშობდნენ დემოკრატიული და ლიბერალური განწყობილებების ყოველგვარ გამოვლინებას. დაიბეგრა შრომელი მასები. სოციალური უთანასწორობის სიმძიმეს ემატებოდა ოკუპანტების ბატონობა ქვეყანაში. ისინი ძარცვავდნენ და აწიოკებდნენ მშვიდობიან მოსახლეობას. საფრანგეთის მდგომარეობა 1815—1820 წლებში თვალსაჩინოდ აისახა სიმღერაში „დიდებასთან გამომშვიდობება“, რომელიც დაიწერა დეზოჟიესადმი მიძღვნილი სიმღერის შექმნიდან ზუსტად ხუთი წლის თავზე.

„დიდებასთან გამომშვიდობებას“ ახლავს შენიშვნა, სადაც ბერანე აღნიშნავს, რომ ოპოზიციის მრავალი წევრი გადადიოდა სამეფო ხელისუფლების მხარეზე. ისინი სხვადასხვა თანამდებობას იკავებდნენ ლუი მეფერამეტის კარზე. განსაკუთრებით აწუხებს პოეტს ნაპოლეონის გენერლებისა და მარშლების შესვლა ბურბონთა სამსახურში. ლექსში სევდანარევი ირონიითაა ნაჩვენები ბრონული ძალების გათიშვა, ამათია, რომელსაც შეუპყრია ფრანგები, ამ რთულ პოლიტიკურ ვითარებაში აქტიური მოქმედების ნაცვლად.

„დიდებასთან გამომშვიდობება“ გამოირჩევა ხატოვანებითა და მხატვრულა სახეების პლასტიკურობით, აგრეთვე ლხინისადმი პერსონაჟების თავდავიწყებული ლტოლვით. ამ ორი ნიშნით იგი ემსგავსება ორბელიანის ლექსს „იარაღის“.

მსგავსებასთან ერთად უნდა გავითვალისწინოთ განსხვავებაც: ბერანესთან ბაკურ ვნებებს საფუძვლად უდევს დიდი სატიკარის ღვინით გაყუჩება-შეშუსუბუქების სურვილი, ხოლო ორბელიანთან მზაარულ თანამეინახეებს გაუმართავთ ლხინი.

და მაინც, მსგავსების ნიშნებს შორის სავანვებოდ უნდა გამოიყოს ის, რომ ბერანეს სიმღერას „დიდებასთან გამომშვიდობება“ და ორბელიანის ლექსს „იარაღის“ განსაკუთრებით აახლოებს მშობელი ერის მონური მდგომარეობის გამო სასოწარკვეთილებამდე მისული ორი პოეტის პესიმისტური განწყობილება;



თუმცა ისინი სევდის გამოხატვის სრულიად საპირისპირო ზერებებს მიმართავენ: გრ. ორბელიანი აშკარად უხსნის გზას გულზე შემოწოლილ დარდს. მკვლევარს ხიბლავს მისი გრძნობების უშუალოება, თითქოს ჩაესმის მწუხარებების მოთქმა და ხედავს მის თვალზე მომდგარ ცრემლს, მაშინ როდესაც ბერანე უდაოდველი ეპიკურელის ნიღაბს იფარებს, ირონიასა და გარეგნულ მხიარულებაში ახვევს მწარე ნაღველს.

როგორც ვხედავთ, გრ. ორბელიანის ლექსის „იარალის“ შედარება ბერანეის სიმღერებთან — „ჩემს მეგობარ დეზოციეს“ და „დიდებასთან გამომშვიდობება“ — ცხადყოფს, რომ ორივე პოეტის შემოქმედებისთვის დამახასიათებელია მხატვრულ სახეთა ფერწერულობა და კოლორიტულობა, პატრიოტული მოტივის სიმძაფრე და მგზნებარება, ბაქხური ვნებების ნატურალისტურ-არტიტული ასახვა.

რაც შეეხება განხილული სამი ლექსის ინტონაციას და დინამიკას, უნდა ითქვას შემდეგი: გრ. ორბელიანის „იარალის“ წარმოდგენს თავისუფალ ლექსს, რომლის მეტრი კონტრასტულად ცვალებადია. იგი ამავე დროს აღსაყვანია ძლიერი განცდებით, ახასიათებს პრეზენტობის თვისება — ავტორი ისტორიულად დაშორებულ მოვლენებს აცოცხლებს მკითხველის თვალწინ. ბერანეის სიმღერა „ჩემს მეგობარ დეზოციეს“ ძირითადად ერთი სასოშითაა შექმნილი, მაგრამ ნაწილობრივ მაინც არღვევს კონვენციური ლექსის ფარგლებს; მასაც ახასიათებს პრეზენტობა და დინამიკურობა, ღრმად ემოციურია. ბერანეის მეორე სიმღერა — „დიდებასთან გამომშვიდობება“ თავისუფალი ლექსია; მასში მდიდარი და ზუსტი რითმების გამოყენება, კეთილზმოვანება ხელს უწყობს ასახული მგზნებარე გრძნობების გამოკვეთას, რაც თავის მხრივ დინამიკურობის საფუძველს ქმნის.

მაშასადამე, ორბელიანის ლექსი „იარალის“ და ბერანეის აღნიშნული ორი სიმღერა ხასიათდება დინამიკური რიტმული ვარიაციებით და მაღალი ლირიზმით განპირობებული ინტონაციით.

გრ. ორბელიანის მიერ 1835 წელს შექმნილი „მუხამბაზი“ („სულით ერთნო“) — ანაკრეონტული ჟანრის ტიპურ ნიმუშს წარმოადგენს. თავდავიწყებამდე მისული ყარაიხელების ლხინს პოეტი თითქოს ყალბით ხატავს, თანამეინახეთა ემოციები ისე ოსტატურადაა გადმოცემული, რომ მკითხველზე დიდ ზეგავლენას ახდენს. ლექსის დინამიკური რიტმი და ჰარმონიული ვლერადობა ხელს უწყობს უსაზღვრო მხიარულების, თამამი სატრფიალო ურთიერთობისა და გულწრფელი მეგობრული განწყობილების ნათლად გადმოცემას.

ასეთივე ლაღი და ძლიერი ვნებების ფონზე გაჩაღებული პურობის სურათია წარმოდგენილი ბერანეის სიმღერაში, რომლის სათაურია „მიეუჭახუნოთ“. თუ გრიგოლ ორბელიანის ლირიკული გმირი ასე იწვევს თანამეინახეებს საქეაფოდ:

„სულით ერთნო, მოღზინნო აწ შერბით
თასით, ჯაშით, ყანწით, აზარფეშებით,
ლხინის სუფრა მოჰფინეთ ყვავილებით,
ალავერდა დასვით თარით ნაქებით,
ყოფა ბუღბუღ ტკბილის ხმით აღუღუნეთ.
ღიშპლიპიტო დაჰკარ დაარაკუნეთ!“

ბერანეის ლირიკული გმირი ღვინით თავის შექცევის ძველებური წესის აღდგენას მოუწოდებს თავის მეგობრებს, რომლებიც, ისევე როგორც ყარაიხელები, უბრალო ადამიანები არიან:

„მიჯახუნება ბრძნული სიამოვნებაა
რომელსაც დღეს უწესრიგობად თვლიან.
მაშინ, როცა ასეთ საქციელს
ადამიანები ამრეზით უუტრებენ,
ჩვენ ისევ ისე მოვიციკეთ და ვიამაყოთ ამით,
ვინც დაგვიცინებს, ჩვენც მასზე გავიცინოთ;
და როცა ჭიქა ჭიქას მოხვდება,
ზოგიერთების გასაოგნებლად,
ჭიქებით ხელში თამამად შეეკრათ წრე,
ჯერ მიუუჭახუნოთ იმისათვის, რომ დაველიოთ
შემდეგ დავევით იმისათვის, რომ მიუუჭახუნოთ“⁴.

ჭიქების მიჯახუნების ტრადიციულ რიტუალში ფრანგი პოეტი მეტაფორულად გულისხმობს ადამიანთა დაახლოებას, ურთიერთპატივისცემისა და სიყვარულის ატმოსფეროს შექმნის საშუალებას, რაც ხაზგასმულია აგრეთვე მანვილგონივრული რეფრენით.

როგორც ქართულ, ასევე ფრანგულ ლექსში მშვენიერთა სქესის წარმომადგენლები მხიარულებით და სითამამით ტოლს არ უდებენ მაშაყაცებს. ორივე შემთხვევაში ლხინი ახალისებს კეთილზმოვანი სიმღერა. ორივე პოეტს ლხინი და ტრფობა ერთმანეთისაგან განუყოფელ მოვლენებად მიაჩნია. ორბელიანი ლირიკულ გმირს ათქმევინებს:

„ვითა ბალი უყვავილოდ, უვარდოდ,
არა მიყვარს ლხინი უეშხ უსატრფოდ!
გულში ეშხით, ხელში ჭამით ილხინეთ
დიმპლიპიტო დაკარ დაარაკუნეთ“.

ბერანჟეს მიხედვით, სიყვარული გულებს აახლოებს ისევე, როგორც მიაქვთ ჭიქა ჭიქასთან, სიყვარული ათრობს ყველა ღვინის ძალით.

ეს ორი სიმღერა ერთმანეთს ჰგავს მხატვრული ენის ზოგიერთი კომპონენტით: ემოციით დატვირთული რიტორული შეძახებანი და მიმართვები ემსახურება ლირიკული გმირების გულწრფელი და გულღია ხასიათის გამოვლინებას. ორივე სიმღერის ემოციური წყობა, აგრეთვე მეტრი, საფუძველს ქმნის რიტმული ვარიაციებისა და დინამიკურობისათვის; ერთშიც და მეორეშიც მოცემულია ბედნიერების ხანმოკლეობის, კეთილდღეობის წარმატლობის იდეა, მაგრამ ორბელიანი უფრო დიდ ადგილს უთმობს ამ თვალსაზრისს, ვიდრე ბერანჟე. ამავე დროს ფრანგი პოეტი მეტ ყურადღებას აქცევს მეგობრობას, რომელიც მიაჩნია დიად გრძნობად და ლხინის მთავარ მიზნად. ამის გამო ქართული ლექსის ყოვლისმომცველი მაეორული ინტონაცია ბოლო ორ სტროფში იცვლება მინორულით, ხოლო ფრანგული სიმღერა ბოლომდე მაეორულად ძღერს.

ამგვარად, ნათელია, რომ ორბელიანის „მუხამბაზში“ („სულთ ერთნო...“) და ბერანჟეს სიმღერაში („მიუუჭახუნოთ“) გადმოცემულია ანაკრონტიკული ლირიკისთვის დამახასიათებელი ხალისიანი განწყობილება, გულწრფელი და ძლიერი გრძნობები. ორივე ლექსი გამოირჩევა არტისტიზმით და ფერწერულობით. როგორც გრ. ორბელიანთან, ასევე ბერანჟესთან მხატვრულადაა ხორცშესხმული სიამოვნებისა და ნეტარებისაკენ ადამიანის ბუნებრივი ლტოლვის ეპიკურესული ფილოსოფიური იდეა.

ღვინისა და ტრფობის ძალა კიდევ უფრო შთამბეჭდავდაა ასახული გრ. ორბელიანის 1829 წლის „მუხამბაზსა“ („ნუ მასმევ ღვინოს...“) და ბერანჟეს

⁴ P.-J. Béranger, გვ. 117.



სიმღერაში, რომლის სათაურია „ორმაგი სიმღერაღე“. ორივე პოეტს ღვინითა და სიყვარულით დატყვევებული ლირიკული გმირები დაუხატავს. მათი შერეულ რებულეები იშვიათი სილამაზითა და მიმზიდველობით გამოირჩევიან. ფრანგი ქალი, რომელიც მითოლოგიური ღვთაების სახითაა წარმოდგენილი, ღვინით სავსე ფინჯანს სთავაზობს თავის სატრფოს, ქართული ქალი კი — ასევე ღვინით სავსე თასს. როგორც ქართული ლექსის, ასევე ფრანგული სიმღერის ლირიკულმა გმირმა იცის, რომ მოწოდებული ღვინო შეიძლება მომაკდინებელი აღმოჩნდეს: ორივე შემთხვევაში მეტაფორულადაა ნაგულისხმევი სასიყვარულო ტანჯვის შხამის გარევა ღვინოში. ორბელიანი ვირტუოზული სრულყოფილებით გადმოსცემს სატრფოს ეშხით დატყვევებული ახალგაზრდა კაცის გრძობებს, ვეაქაცის ცრემლითაა შეზავებული ეს სიტყვები:

„რათ მინდა ღვინო, თუ ვერ გეტყვი: გეტრფი მთვრალ ეშხით!
ნუ მასმევ ღვინოს, უღვინოდ ვარ მთვრალ შენის ეშხით!“

საკონებელშია ჩაყარდნილი აგრეთვე ფრანგი ახალგაზრდა კაცი, რომელიც ასე გამოთქვამს თავის ფიქრებს:

„არა! ვამბობ მე, არ გაგივა ეს ეშმაკობა:
ვიცი, რომ ამან შეიძლება მომკლას კიდევ.
და შენ კი ეს გსურს, მომზიბლაო“⁵.

საბოლოოდ როგორც ქართული, ისე ფრანგული სიმღერის ლირიკული გმირები — მამაკაცები, — ვნებას აყოლილნი და მოზიბლულნი ემორჩილებიან თავიანთი სიყვარულის ღვთაებებს. ორივე შემთხვევაში სიყვარულით და ღვინით თრობა მეტაფორულად ენაცვლება ერთმანეთს, შეყვარებულთა გრძნობები მძაფრია, მაგრამ ბერანჟე აშკარად გვიჩვენებს თავისი ლირიკული გმირის გრძნობების ზანმოკლეობას. ანაკრეონტული პოეზიისათვის დამახასიათებელი სიმსუბუქითა და არტისტულობით უსზღტებიან მგზნებარე გრძნობებს ფრანგი შეყვარებულები. ლირიკული გმირი აცხადებს: ამ ურთიერთობიდან მხოლოდ ერთი რამ შემომრჩა — მას შემდეგ ლამაზების სიყვარული ღვინის გემოს მაგონებსო.

ორბელიანის განხილულ „მუხამაზში“ („ნუ მასმევ ღვინოს...“) კი არ ჩანს ასახული სატრფიალო ურთიერთობის დასასრული. ამასთანავე ვნებათა დელჯა აქ წარმოჩენილია, როგორც ხანგრძლივი და უფრო მტკივნეული პროცესი, ვიდრე ბერანჟესთან. უნდა გავითვალისწინოთ რომანტიკული განსჯის მოცულობაც ამ ლექსში. აქედან ცხადია, რომ ორბელიანი დასახული მხატვრული ამოცანის გადასაწყვეტად მიზანშეწონილად იყენებს შედარებით ნელი ტემპის მქონე თოთხმეტმარცვლიან საზომს, ხოლო ფრანგ პოეტს აურჩევია შეიღმარცვლიანი მეტრი, რომელიც ფრანგულ ლექსთწყობაში გამოირჩევა განსაკუთრებული სისწრაფით. ამ საზომის არათანაბარ რიტმულ ჭგუფებს შორის კონტრასტი (4+3 ან 3+4) ქმნის წყვეტილობის, კრიტომა-ქტირალის შთაბეჭდილებას და კარგად შეესაბამება საღაღობო ლექსის შინაარსს. როგორც ვხედავთ, აღნიშნული ფრანგული და ქართული ლექსები ხასიათდება ძლიერ ემოციებზე დაფუძნებული ღრმად ლირიკული ინტონაციით, ორივე მათგანი ხალისიანი განწყობილებითაა აღბეჭდილი, მაგრამ ქართული ლექსი რომანტიკული სევდიოთაც არის მოცული; ამიტომ ფრანგულ ლექსში უფრო მკაფიოდ ქღერს მხიარული ტონები.

⁵ P.-J. Béranger, 33. 71.



ამქვეყნიური სიყვარულის ხოტბად შექმნილა ანაკრონტული ლირიკის ორი შესანიშნავი ნიმუში: ორბელიანის „ღამე“ და ბერანეს „ბაჯი ქალღმერთი“. პოეტური უშუალობა და ჯანმრთელი ეროტიზმი უდევთ მათ საფუძვლად. მათ ვე ლექსში საცნაური ხდება ეროტიკული განცდების გადმოცემის ვირტუოზულობა: ასახულია ძლიერი და ამავე დროს რთული გრძობები, დახატულია პლასტიკური მხატვრული სახეები. ბერანეს სიმღერა მაღალმხატვრულობითა და პლასტიკურობით უნებურად მოგვაგონებს როდენის მიერ სიყვარულისადმი მიძღვნილ სკულპტურას — მარმარილოში ამტყველებულ „მარადიულ გაზაფხულს“ („L'éternel printemps“). ფრანგი პოეტი ძირითადად ეყრდნობა კონკრეტულ-საგნობრივ განსახოვნებას, ამიტომ მის მიერ შექმნილი სახეები გარკვეულ წილად უფრო პლასტიკურია, ვიდრე ორბელიანისა, რომელიც მედიტაციასაც უთმობს ადგილს თავის „ღამეში“. მიუხედავად იმისა, რომ ამ ქართული ლექსის თექვსმეტმარცვლიანი ტაეპები ხანგრძლივობით აღემატება „ბაჯი ქალის“ რვა მარცვლიან სალექსო სტრიქონებს, ორივე ლექსი ვითარდება დინამიკურად და გამსჭვალულია ემოციური ლირიკული ინტონაციით.

ზემოთ მოყვანილი მაგალითებიც იკმარება იმის გასარკვევად, რომ საზოგადოდ გრ. ორბელიანისა და პიერ-ჟან ბერანეს პოეზიაში ლხინი, მეგობრობა და სიყვარული, როგორც ეპიკურული ნებიერი და სისხლსაცხე ცხოვრების აუცილებელი პირობა, მკიდროდა ერთმანეთთან დაკავშირებული. ორივე პოეტისთვის ღვინო სიხარულისა და სასიცოცხლო ძალის მომნიჭებელი ნექტარია. ბერანე ამბობს:

„ცეცხლოვანი მზის სხივებით სავსე მის ნექტარში
 ხელღვნების ყველა დარგი ჰპოვებს სასიცოცხლო წყაროს“.
 („Brennus ou...“ გვ. 260)⁶

რაც შეეხება ორბელიანს, იგი ერთმანეთს უპირისპირებს ცხოვრების სიმწარეს და ღვინის სიტკბობას შემდეგ სტრიქონებში:

„ამ თქმაში რად, ცრემლნო, თასში შთაცვინდით,
 და ჭირთ მღვნი, ღვინო ტკბილი დამწარნეთ?“
 („მუხამბაზი“ — „სულით ერთნო...“)

ბერანესა და ორბელიანის მიერ მზიარულების წყაროდ აღიარებულ ნადიმს ყოველთვის ახალისებს გონებამახვილური და კეთილზმოვანი სიმღერა, აგრეთვე დოლის ხმები. ყარაჩოხელი მოუწოდებს თანამეინახეებს:

„გულში ეშით, ხელში ჯამით იღხინეთ,
 დიპლიბიტო დაკარ დაარაკუნეთ!“
 („მუხამბაზი“ — „სულით ერთნო...“)

ფრანგულ ლექსში ბახუსის, დოლისა და ჟღარუნას მზიარულ ხმებზე ტალღებად იღვრება სუფთა ღვინო:

„ჟღარუნა ეხმინება ტამბურინს
 რთელის ღმერთისას
 როცა, შავ-ბნელი დარდისაგან განსაკურნებლად
 მოედინება სუფთა ღვინო“.
 („Un tour de marotte“, გვ. 67).

⁶ აქ და ქვემოთაც ნაწყვეტები მოყვანილია ბერანეს ზემოდასახელებული წიგნიდან.
 24



თუ ქართველი გენერლის ლექსებში თასი ივსება წითელი ღვინით და ახარ-
ფეშა კახურით, ფრანგი პოეტის სიმღერებში სუფრის წვერებს უჭირავთ შუქურა-
ხუნა შამპანურით პირამდე სავსე ჭიქები; ერთმანეთს ენაცვლება სახელგან-
თქმული ფრანგული ღვინოები: აი, ვოლნე, პომარ, მულენავან, ბონ, რაც ღირი-
კულ გმირს უდიდეს სიამოვნებას ანიჭებს. იგი აცხადებს:

„ვოლნე, პომარ, ბონ და მულენავან,
თუ თქვენი ასაკი ყურს ხედება, როცა სუფრაზე ჩნდებიო
მე ცოცხალი ვარ, ნამძვილად ცოცხალი, სიცოცხლოთ სავსე!“

ქართულ და ფრანგულ ლხინს ამ ორი პოეტის ანაკრეონტულ სიმღერებში
ასაზრდოებს მეგობრობისა და სიყვარულის ძლიერი და უანგარო გრძნობები.
სუფრასთან მსხდომნი ჭეშმარიტი მეგობრები და გულწრფელად შეყვარებული
ადამიანები არიან. მამაკაცებს ხშირად გვერდს უმშვენიებენ შეყვარებული ქა-
ლები. მოჭიფვე ლამაზმანი სასმისით ხელში ორივე პოეტს ჰყავს დახატული.
მათ ანაკრეონტიკაში სიყვარული მღელვარე, ბუნებით მოვლენილი გრძნობაა,
რომელიც ვერ ეგუება ვიწრო კალაპოტს. მას უსიყვოდ ემონება ქალიც და
მამაკაციც, თუმცა ამგვარი მონობა ხშირად ვერ უძლებს დროის გამოცდას.
ამ ლექსებში ხორციელი საწყისი წინა პლანზეა წამოწეული და „ბუნებრივი
ადამიანის“ ერთ-ერთ სამკაულადაა წარმოჩენილი.

ორბელიანი აღწერს ქალის გარეგნულ სილამაზეს, რომლის ეშხი ხიბლავს
ღირიკულ გმირს ან ყარაჩოხელებს. დაუოკებელი ვენებათაღელვა თამამი ოცნე-
ბისა და ხორციელი ლტოლვის საფუძველი ხდება. მშვენიერთა სქესის წარმო-
მადგენლებს მრავალი თაყვანისმცემელი ჰყავთ, რომელთა შორის ისინი ირჩე-
ვენ ახალ მეგობრებს. ასე მაგალითად, ლექსში „სო-ორ“ „გუნდნი მოტფეთა“
თავს ეხვევიან ლამაზ ქალს, მაგრამ ღირიკულ გმირს ეს თითქმის არ აღელვებს;
იგი იმითაც კმაყოფილია, თუკი მშვენიერი სატრფო მას ზოგჯერ გაიხსენებს.
თავის მხრივ მამაკაცებს ცოდვად არ მიაჩნიათ რამდენიმე ქალის სიყვარული:
კოლორიტულია უბრალო ხელოვნის, ბეჟანა მკერვალის სახე, რომელსაც „ქა-
ლების ლხინად და თაიგულად“ მოაქვს თავი.

თავისი სატრფილო ურთიერთობით ბეჟანა მკერვალს მოგვაგონებს ბერან-
ქეს სიმღერის „გაზაფხულის და შემოდგომის“ ღირიკული გმირი, რომელსაც
გადაუწყვეტია, მოიწესრიგოს ცხოვრება: გაზაფხულზე ლამაზების ტრფობით
დატკბეს, შემოდგომაზე კი ღვინით.

ორი პოეტის ანაკრეონტულ ღირიკაზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ბერან-
ქესთან მამაკაცთა სახეების უმრავლესობას ღირიკული გმირები ქმნიან, რო-
მელთა შორის მრავალი სრულყოფილი რეალისტური ტიპია. ორბელიანთან კი
პირიქით, ღირიკული გმირების ნაცვლად ცალკეული მამაკაცი პერსონაჟები
გვევლინებიან რეალისტურ სახეებად.

რაც შეეხება მშვენიერთა სქესს, მათი სახეები ბერანქეს ანაკრეონტიკაში
უფრო ხშირად დახატულია სრულყოფილად, გარეგნულ პორტრეტთან ერთად
გადმოცემულია ისეთი ცხოვრებისეული ეპიზოდები, სადაც გამოიკვეთება პერ-
სონაჟის ხასიათი, განწყობილება, ცხოვრების წესი. ქალი პერსონაჟები მრავალ
შემთხვევაში ტიპებს წარმოადგენენ. ისინი ღარიბი წვრილბუტყუაზიული ფენის
წარმომადგენლებისა და ეპიკურეულ-ჰედონისტური მოძღვრების ერთგული.
ბუნებით თავისუფალი ადამიანების ზოგადი თვისებებით ხასიათდებიან, მაგრამ
ამავე დროს თითოეული მათგანი ცალკე პიროვნებაა. მაგალითად, ღიზეტი მომ-
ხიბლავი მუშა ქალია. იგი არ არის მკაცრი ხასიათის, ეშმაკობაც ეხერხება, მაგ-
რამ ამავე დროს ქარაფშუტაც არის. ფრეტონი ფარვანასავით ნაზი, მიმზიდვე-

ლი ქალიშვილია. იგი უანგაროდ შეეყვარებულა, თუმცა ზედმეტად გულუბრ-
ყვილია. მარგო გამოირჩევა მოქნილობითა და ლამაზი ტან-ფეხით. მისი მკვ-
ვკრემანი ქალიშვილი კეთილი, მაგრამ კონტრასტული ხასიათის მქონეა. მისი
ხშირად ახირებულია, მოულოდნელად იცვლის განწყობილებას: დილით რომ
მხიარულია, საღამოს ჩხუბობს. უყვარს სიმღერა და ქარგვა, სუფრასთან სერი-
ოზულია, ვერ იტანს ზერელე ქებას — სატრფომ ან 12 კუბლიტი უნდა მიუ-
ძღვნას, ან არც ერთი.

ბერანეეს ანაკრეონტული ლირიკის ქალთა სახეებს რეალისტურობით შეედ-
რებიან ორბელიანის საღამოებო ლექსების მამაკაცი პერსონაჟები: ბეჟანა მკერ-
ვალი, დიმიტრი ონიკაშვილი, ლოპიანა, მირზაჯანა, ალავერდა, რომლებიც აქ-
ტიური, სიცოცხლით სავსე პიროვნებები არიან. მშვენიერთა სქესი ორბელიან-
თან გარეგნული ნიშნებით ან ხასიათის ზოგიერთი შტრიხითაა წარმოდგენილი,
დანარჩენი ადგილი ეთმობა უმთავრესად მამაკაცის განცდების გადმოცემას.
ასახვის ამ თავისებურებაში იგრძნობა რომანტიკოსის მიდრეკილებანი.

ანაკრეონტულ პოეზიაში სიყვარული თუმცა ძლიერი, ბუნებრივი, გულ-
წრფელი და უანგარო გრძნობაა, მაგრამ იგი ამავე დროს ხანმოკლე და ცვალებ-
ბადია. ამიტომ ორბელიანისა და ბერანეეს კონცეფციაში უპირატესობა აქვს
მინიჭებული მარადიულ, უქცობ სიყვარულს, რომელიც აკეთილშობილებს და
სულიერად ამაღლებს ადამიანს. ორივე პოეტის სატრფიალო ლირიკაში მომხიბ-
ლაობითა და სიფაქიხით გამოირჩევა მშვენიერთა სქესის იმ წარმომადგენლე-
ბისადმი მიძღვნილი ლექსები, რომელთაც განსაკუთრებული კვალი დააჩინეს
მათ გულსა და გონებას და რომელთა მიმართ სიყვარულის ცეცხლი არასოდეს
განელდებათ. ორბელიანის პოეზიაში ასეთია ნინო და ეკატერინე ჭავჭავაძეებ-
ისადმი, სოფიო ორბელიანისადმი მიძღვნილი ლექსები, ხოლო ბერანეეს შემოქ-
მედებაში ივლით ფრერის სიყვარულით შთაგონებული სიმღერები.

სიყვარულზე ზემოთ აღნიშნულ ორგვარ თვალსაზრისთან დაკავშირებით
უნდა გაეისხნეთ გრ. ორბელიანის „მუხამზაზი“ („გინდ მეძინოს...“), რომელ-
საც, ასე ვთქვათ, შუალედური ადგილი უჭირავს ამ თვალსაზრისებს შორის.
მასში ჩანს პოეტის დაშორება ეროტიკული სიყვარულის თემიდან და სიყვარ-
ულის სულიერ საწყისებთან მიახლოება. მთავარი პერსონაჟი — მეთევზე
ლოპიანა კდემამოსილი და ფაქიზი სიყვარულის გრძნობას, სულიერ კეთილ-
შობილებას ამტკიცებს; სატრფოსადმი ფიზიკურ ლტოლვას ისეთი მოკრძალები-
თა და პოეტური ფორმით გამოხატავს, რომ უბრალო მეთევზე თავდაპირილ
რანინდად წარმოგვიდგება.

ამგვარად, საფუძველი გვაქვს „გინდ მეძინოს“ შევედაროთ მარადიული,
ყოველსმომცველი და ამაღლებული სიყვარულის თემაზე ბერანეეს მიერ და-
წერილ ერთ-ერთ ლექსს, რომელსაც ეწოდება „რა ლამაზია!“ იგი პოეტმა მი-
უძღვნა ცხოვრების განუწყურელ მეგობარს და საფიცარ სატრფოს ივლით ფრერს.
მშვენიერთა სქესისადმი ბერანეეს პატივისცემა და სიყვარული კარგად ჩანს
მის სიმღერებში, მაგრამ ამ შთაბეჭდილებას კიდევ უფრო განამტკიცებს პოეტის
მიერ თავის მხატვრულ ბიოგრაფიაში გამოთქმული ასეთი აზრი: „მე ქალს ყო-
ველთვის ვუყურებდი არა როგორც მეუღლეს ან საყვარელს, რაც უფრო ხში-
რად ნიშნავს მის დამონებას ან ტირანად ქცევას; მე მასში ყოველთვის ვხედავ-
დი მხოლოდ მეგობარს, რომელიც ღმერთმა მოგვივლინა. პატივისცემით აღსაყ-
სე სიყვარული, რომელიც ამ სქესმა აღმიძრა ახალგაზრდობიდანვე, ჩემთვის
იყო ტკბილი ნუგეშის მარადიული წყარო. ქალებისა და პოეზიის წყალობით
ბოლოს თავი დავაღწიე ცუდი ხასიათისადმი ფარულ მიდრეკილებას, რომე-

ლიც სულ უფრო იშვიათად მახსენებს თავს. საკმარისი იქნებოდა მეთქვა, რომ ეს იყო ქალების წყალობა, რადგან პოეზია ჩემთან მოვიდა მათგან⁷.

ბერანგეს „რა ლამაზია!“ და ორბელიანის „გინდ მეძინოს...“ — ორივე მათგანს მოადგენს თავდავიწყებით შეყვარებული მამაკაცის მონოლოგს. ისინი სატრფოსადმი თავიანთ განცდებს გამოხატავენ უშუალოდ, ექსპრესიულად, მაგრამ დიდი კდემამოსილებით. ასე ვთქვათ, განსულიერებული ეროტიკაა ამ ლექსების საფუძველი. თუ ლობიანას ძილშიც სულში უზის სატრფო, ფრანგული სიმღერის ლირიკული გმირი ასე გამოხატავს თავის გრძნობას:

„ღმერთო დიდებულო, ღმერთო ძლიერო, რა ლამაზია,
ის, ვინც მე მუდამ შეყვარება!“

სატრფოს წინაშე როგორც ქართველი, ისე ფრანგი მამაკაცი უბადრუკად გრძნობს თავს.

„ღმერთო დიდებულო, ღმერთო ძლიერო, რა ლამაზია!
და მე, მე ხომ ასეთი უშნო ვარ“ —

ამბობს ბერანგეს ლირიკული გმირი რეფრენში.

როგორც ფრანგულ, ასევე ქართულ სიმღერაში ნაჩვენებია სანუკვარი სატრფოს სულიერი სილამაზე, ხოლო ფრანგი ქალიშვილის გარეგნული მშვენიერების აღწერა, ვფიქრობთ, თავისი მხატვრული ძალით უტოლდება ორბელიანის ამ მუხამბაზის საყოველთაოდ ცნობილ შესაბამის სტროფს. ტაეპები მოგვყავს მხოლოდ ფრანგული სიმღერიდან:

„მისი სევდიანი თვალების სიმშვიდე
სიყვარულზე ოცნებას აღძრავს.
სიციცხლის ყველაზე მშვენიერი სუნთქვა
ზეცას მასში ჩაუსახლებია.
იგი ჭერ მხოლოდ ოც გაზაფხულს ითვლის,
ტუტები ნორჩად შლილობენ,
ქერა თმები ლივლივებენ,
ათასი ნიჭით დამშვენებულმა
თავად არ იცის საკუთარი თავის ფასი“.

(„Qu'elle est jolie“, გვ. 269).

ეპიკურეს მოძღვრების მიხედვით, ადამიანმა მხიარულება, სიამოვნებისაყენ უტოლვა უნდა დაუპირისპიროს ბედის უკუღმართობას, არ უნდა ესწრაფოდეს განდიდებას და ქონების მოხვეჭვას, რათა შეინარჩუნოს პიროვნული თავისუფლება, სიმართლის თქმის უფლება. ჭეშმარიტი ეპიკურელი უპრეტენზიო, მკაირე შემოსავლით კმაყოფილი კაცია; მას არ აშინებს სიღარიბე, ყველაფერზე ძვირად უღირს დამოუკიდებლობა. ერთ-ერთ ნაწარმოებში ბერანგე ფილოსოფოსი ამბობს: „ბედნიერება და ნეტარება თან ახლავს არა ფულის სიმრავლეს, არა მალალ საზოგადოებრივ მდგომარეობას, არა ძალას, არამედ დარდისაგან თავისუფლებას, სიმშვიდეს და ისეთ სულიერ განწყობილებას, რომელსაც ბუნება განსაზღვრავს“⁸.

ეპიკურეს ეს მოთხოვნა თვალსაჩინოდაა ასახული ორივე პოეტის ანაკრეონ-

⁷ Ma biographie, Ouvrage Posthume de P. J. de Béranger, Paris, Perrotin, გვ. 76.

⁸ იხ. წიგნი: დემოკრიტე, ეპიკურე, ფრაგმენტები, წერილები, თბ., 1959, გვ. 236.



ტიკაში. ამ თვალსაზრისით საინტერესოა გრ. ორბელიანის ლექსების ტონს“ და „მირზაჩანას ეპიტაფია“ — შედარება ბერანეუს სიმღერებთან, გორიცაა „ჩემი თმები“ და „როყე ბონტამი“.

ლირიკული გმირი სიმღერისა — „ჩემი თმები“ მოუწოდებს მეგობრებს: იმხიარულონ, ბედის უკუღმართობას დაუპირისპირონ განცხრომა და თავისუფლება, განდიდებას და სიმდიდრეს სასიამოვნო დროსტარება ამჯობინონ; ვასანხიარულებლად დალიონ ცოტა, ღვინოში ჩაახრჩონ გულის დარდი და ვარამი. განსაკუთრებით ურჩევს, იცხოვრონ სიყვარულისთვის, უყუყუანოდ შესწირონ მას ყოველივე: დიდება, განძი, ჯანმრთელობა და ახალგაზრდობა.

ქართული სიმღერის ლირიკული გმირი ანალოგიურ რჩევას აძლევს ახალგაზრდა ანტონს: „ჰე ჭაბუკო, სიხარულით, დღენი შენნი განატარე, იმხიარულე, შეეჰეცე, ილხინე და შეიყვარე“.

ბედის უკუღმართობით გასაჭირში ჩავარდნილი ადამიანი მეგობრობისა და სიყვარულის წყალობით პოულობს შვებას — ასე მიაჩნია გრ. ორბელიანს, რაც კარგად ჩანს ამ ლექსის შემდეგი ტაეპებიდან:

„მეგობრობასა სიცოცხლე, სიყვარულსა მიეც გული!
ამთვან ჩვენი ცხოვრება არს ტურფად აღყვავებული,
წუხილი გაქვს? მათ მიყურდნე, მყისვე ჰყონ განქარვებული,
მოგცენ იმელი, ნუგეში, სიამოვნება, ღიმილი“.

ორბელიანის ლირიკულ გმირს ახალგაზრდობის ასაკში ყოველი წამი ძვირად უღირს, ამიტომ თითქმის ბრძანებით მიმართავს ჭაბუკ ანტონს:

„ერთსა წამსაც ნუ დაჰკარგავ, გაქვდღეს სახე მოცინარე,
სიცოცხლითა აწვე დასტები, მხიარულობს გული ვიდრე“.

ლირიკული გმირი თავის მოუთმენლობას და ჭარბ ემოციებს ხსნის მოხუცებულობის შიშით: „ფრიად მსწრაფლად გვესტუმრების, ახ, სიბერე შეჭმუხვნელი“, — გვაფრთხილებს იგი.

როგორც ვხედავთ, ორივე ლექსში — „ანტონს“ და „ჩემი თმები“ — საყურადღებოა კეთილდღეობის დროებითობის, წუთისოფლის ამაოების მოტივი, მაგრამ ქართველი პოეტი საგრძნობლად მეტ ადგილს უთმობს ამ პრობლემას, უფრო მძაფრი და დარდიანია ბედნიერების წარმავლობის მისეული განცდა.

ეს ლექსები მიმართვის ფორმითაა დაწერილი. სალექსო საზომი მრავალმარცვლიანი აქვთ, ერთმანეთს ემსგავსებიან აგრეთვე სასაუბრო ინტონაციით. ემოციურად დატვირთული ეპითეტები, მეტაფორები, რიტორული შექაზებანი და შეკითხვები მსგავსი განწყობილებების ჩამოყალიბების მნიშვნელოვანი საფუძველია ამ ლექსებში.

რაც შეეხება ბერანეუს სიმღერას „როყე ბონტამი“, იგი წარმოადგენს მთავარი გმირის თითქმის მთელი ცხოვრების კომპოზიციურად შეკრულ, სურათოვან აღწერას. როყე ბონტამი თავისი ცხოვრების წესით პრაქტიკულად ახორციელებს იმას, რასაც ჭაბუკ ანტონს ურჩევს ორბელიანის ლექსში. ბონტამი ღარიბი, წვრილბუჩუქაზიული წრის წარმომადგენელია. იგი მცირედითაც კმაყოფილია, ოღონდ თავის ნებაზე იცხოვროს, თავისუფლად, ყოველგვარი იძულებითი საქმიანობის გარეშე. როყე არ ეძებს განდიდების იჯას, სვამს უბრალო ღვინოს, თავისი მარგერიტი ურჩევნია მაღალი წრის ქალებს. ის არ ეუბება გაჭირვებას, მაინც მხიარულია.



ორბელიანის ლექსში არ ვლინდება ანტონის სოციალური მდგომარეობა, ცხოვრების პირობები, არ არის გამოკვეთილი მისი უპრეტენზიოება ან ბრუნვა უშფოთველობა. ეს განსხვავება ამ ორ ლექს შორის, ვფიქრობთ, ნიშანდობლივია ბერანესთვის, როგორც კრიტიკული რეალიზმის წარმომადგენლისთვის, ხოლო ორბელიანისთვის — როგორც რომანტიკოსისთვის, რომელიც ემოციების ტყვეობაშია.

როგე ბონტამისებური სიხალისითა და სულიერი წონასწორობით გამოირჩევა ორბელიანის მირზაჯანა, რომელიც „შავედს“ მხიარული სიმღერით ებრძვის. მიუხედავად ასეთი მხიარული განწყობილებისა, „მირზაჯანას ეპიტაფიაში“ სიკვდილის არდღის, რომელიც აქ ოსტატურადაა განსახიფთღებული, მეტად კონტრასტული ტონი შემოაქვს. რაც შეეხება ბერანეს სიმღერას — „როგე ბონტამს“, მის ბოლო სტროფში გატარებული საბედისწერო მოულოდნელობით აღსავსე წუთისოფლის იდეა, მაგრამ ეს არ ჭმნის სასოწარკვეთილების საფუძველს.

ანაკრეონტული მოტივების ფონზე პოეტის რთული და მღელვარე ცხოვრება შთამბეჭდავდაა აღწერილი გრ. ორბელიანის ლექსში „სავათნავას მიბაძვა“ და ბერანეს სიმღერაში „ჩემი მოწოდება“. ამ ლექსების ლირიკული გმირები თავად ავტორები არიან. მათ მხოლოდ სიმღერა მიაჩნიათ ვასაქირში შვების მომტანად და მტრის დამორგუნველად. ისინი მხიარულ ლხინს, სიმღერას და სატრფილო ნეტარებას უპირისპირებენ ბედის უცუღმართობას. ორივე პოეტი ირონიით უყურებს საკუთარ უსუსურობას ცხოვრების სიძნელეთა წინაშე. ბერანე ამბობს: „გადმომსროლეს დედამიწაზე უწნო, გამხდარი და ავადმყოფი, ტანმორჩილს ბრბოში სული შემეხუთა. კეთილმა ღმერთმა მითხრა: იმღერე, იმღერე საბრალო პატარავ!“

ორბელიანი ტკბილად დამღერის ქიანურზე და ამ სიმღერით ხან მოყვარეს ახარებს, ხან კი მტერს „კრიჭას უკრავს“.

„სავათნავას მიბაძვაში“ ბედზე ჩივილი ზოგადი ხასიათისაა. ავტორი წუხს საზოგადოდ კეთილისა და ბოროტის უთანასწორო ბრძოლის გამო, მას სევდას გერის ბედნიერების წარმავლობა, ტრაგიკულად განიცდის იმედის ვაცრუებას (მით უმეტეს, რომ ეს ლექსი ავლაბრის ყაზარმაში პყრობილმა დაწერა 1833 წელს).

რაც შეეხება ბერანეს, იგი თავისი უბედობის მიზეზს საზოგადოებრავ წყობაში, სოციალურ უთანასწორობაში ხედავს. მას, როგორც ღარიბსა და უუფლებოს, ჩაგრავენ მდიდრები და ვავლენიანი პირები. ფრანვ პოეტს თავისუფლება ურჩევნია ყველაზე უმნიშვნელო სამსახურის ბორკილებს, მაგრამ უსახსრობის გამო იძულებულია იმსახუროს. ლექსის დასასრულს ბერანე ისევ სიმღერას აცხადებს თავის მოწოდებად და იმედს გამოთქვამს, რომ ისინი, ვინაც იგი სიმღერებით ამხიარულებს, შეიყვარებენ მას.

მართალია, „სავათნავას მიბაძვის“ ბოლო სტროფებში ვლინდება ავტორის სასოწარკვეთილება, მაგრამ მინც ჩანს მოკრძალებული იმედი იმისა, რომ მისი ლექსები მკითხველთა თანაგრძნობას გამოიწვევს და პოეტური სიტყვა დაუმკვიდრებს სახელს. ამ სიმღერაში ორბელიანი თხოვნით მიმართავს „მუშაკს“ — გიორგი თუმანიშვილს, რომ დაუთმოს ადგილი თავის პოეტურ კრებულში.

ორბელიანისა და ბერანეს თავმდაბლობა, და ამავე დროს საკუთარი შემოქმედებისადმი რწმენა ერთნაირად მკლავნდება აღნიშნული სიმღერების ბოლო ტაეპებში. ქარაველი პოეტი ასე მიმართავს გიორგი თუმანიშვილს:

„მოკ. მუშაკო, ბულბულად ჭებულო,
ჩემს ქიანურს ადგილი წალკოტს ბოლო.
გვებ ვინმემ მსოქვას: ვაი, გრიგოლ საბრალო!“

„როცა საზოგადოება მზიბლავს,
როცა ღვინო მახალისებს,
კეთილი ღმერთი მეუბნება: იმღერე
იმღერე საბრალო პატარაე!“

გარდა ზემოთ განხილულისა, სოციალური მოტივი ბერანეეს სხვა ანაკრეონტულ სიმღერებშიც იჩენს თავს სოციალური უსამართლობის, პიროვნების თავსუფლების შეზღუდვის გამო უკმაყოფილებისა და თანასწორობაზე ოცნებას სახით („ხან ცოცხალი ვარ, ხან მკვდარი“, „ერთი ეპიკურელის Deo Gratias“, „ქღარუნა წრეში“).

ცხადია, ბერანეე ზოგიერთ ანაკრეონტულ სიმღერაში ეპიკურეს აზრს უბრეტენზიობის, მომხვეჭელობისადმი უარყოფითი დამოკიდებულების შესახებ ამდიდრებს პირადი დაკვირვებით შექმნილი შეხედულებებით. გრ. ორბელიანის ანაკრეონტული ლირიკა ამ მხრივ განსხვავებულია. მასში თითქმის არ ვლინდება სოციალური უთანასწორობით გამოწვეული უკმაყოფილება, პერსონალების სოციალური მდგომარეობაც ზოგ შემთხვევაში არ არის თვალსაჩინო.

ორბელიანისა და ბერანეეს ანაკრეონტული ლირიკის მრავალფეროვან ნიმუშებში თავს იჩენს ჰედონისტური განწყობილებანი, მაგრამ ეპიკურული ზომიერების გრძნობის ღრმა პატივისცემა წარმოადგენს ძირითად და განმსაზღვრელ პოზიციას. მათ შემოქმედებაში სიამოვნების ჰედონისტური კულტის ყოველ გამოვლინებას გალანტური და მაღალბოეტური ფორმა აქვს.

ორბელიანი სამართლიანად ცნობს ადამიანის მისწრაფებას სიამოვნებისა და სიხარულისაკენ, ჭეიფი და გართობა ბუნებრივ მოთხოვნილებათა კანონზომიერ დაკმაყოფილებად მიიჩნია, მაგრამ, ცხადია, ეს არ ნიშნავს ლოთობის ხოტბას. ზომიერების გრძნობა არ ღალატობს პოეტს. იგი ყურადღებას ამახვლებს იმაზე, რომ კეთილდღეობა ხანმოკლეა, მუხთალი წუთისოფელი არავის ახარებს. ორბელიანისეული ანაკრეონტიკის მზიარულ ინტონაციებში ხშირად იჭრება რომანტიკული სევდა-კაეშნის მეტ-ნაკლებად ძლიერი მოტივები, რაც კონტრასტული დაპირისპირების მაღალმხატვრული ხერხის საშუალებით დიდ შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველზე. ქართველ პოეტს აფიქრებს ის, რომ წუთისოფლის სტუმარი ადამიანი უსიხარულოდ არ წავიდეს ამ ქვეყნიდან. ადამიანებთან ხალასი, მეგობრული ურთიერთობის გარეშე გატარებული, თუნდაც ხანგრძლივი სიცოცხლე მას არარაობად მიიჩნია. ეს აზრი ფილოსოფიური სიღრმითა და მაღალბოეტური სისადავით აქვს გამოთქმული შემდეგ სიტყვებში: „უსიხარულოდ, უსიყვარულოდ რა სანატრელ არს სიმრავლე დღეთა“.

რაც შეეხება ფრანგ პოეტს, მისი ლექსების პერსონალები ცდილობენ, შეძლებისდაგვარად ტკბილად და მზიარულად გაატარონ ცხოვრება. ერთ-ერთი ლირიკული გმირი სიმღერაში — „ხან ცოცხალი ვარ, ხან მკვდარი“ პირდაპირ აცხადებს:

„როცა სევდა იჭრება ჩემს ციხე-სიმაგრეში,
ილოცეთ ჩემთვის: მკვდრად მიგულეთ, მკვდარი ვარ, მკვდარი.
როცა სიამოვნება გულუხვად მიკლავს წყურვილს
და მზიარულად თავს დამტრიალებს,
ცოცხალი ვარ, მართლა ცოცხალი, ჭეშმარიტად ცოცხალი!“

მართალია, ბერანეე მოქმედების თავისუფლებას ანიჭებს პერსონალებს, მაგ-

რამ ენებათაღელვის ტალღებში შეჭრილთ ფხიზლად ადევნებს თვალ-ყურს, რათა არ დაირღვეს ზომიერების საზღვრები.

ფრანგი შანსონიე თავისი სატირითა და ირონიით მკაცრად ებრძვის ლოთობას და მასთან დაკავშირებულ ყოველგვარ უზნეობას. ამ მხრივ საინტერესოა სიმღერა მრავლისმეტყველი სათაურით — „რა გვენაღვლება!“. იგი შექმნილია ღვინისა და სიყვარულის თემაზე, მაგრამ პოეტი ამჭერად ზომიერებადაკარგული აღამიანების მდგომარეობას გვიჩვენებს.

ღეღამიწაზე ყველაფერი უკუღმა ტრიალებს, — ამბობს მთხრობელი აღნიშნულ ლექსში, — ქალს პატიოსნება დაუკარგავს, მიკიტანი ფულის გარდა არაფერს დაგიდევთ, ვინახები დასეტყვილა და გაყინულა, მეფის მოხელე ვალში ყიდის მოქალაქის ქონების უქანასკნელ ნაშთებს, სუფრის წევრები ზედმეტი სმისაგან ჩაძინებულები მავიდის ქვეშ ვარდებიან, ერთ კაცს ერთდროულად სამი სატრფო გაუჩნია. ბერანეეს ირონიით გამოაქვს სამზეოზე საზოგადოების გულგრილობა ზნეობრივი პრობლემებისადმი. სიმღერის მიხედვით, შექმნილი სავალალო მდგომარეობის გამო არავინ წუხს, რადგან ყველას გადაუტრავს და აღარაფერი ენაღვლებათ. ლექსში სატირა თანდათანობით აღწევს სარკაზმის დონეს. რეფრენი მწარე ირონიით არის აღსავსე. იგი აძლიერებს განუკითხაობისა და უდარდელობის განცდას:

„მაგრამ ბოლოს გადაკრავენ
ოდელია,
არაფერი ენაღვლებათ
ოდელია“.

სიმღერაში „ლოთი და მისი ცოლი“ ფრანგი პოეტი მიზნად ისახავს საზოგადოების ზნეობრივ გაჯანსაღებას. აქ დახატულია ლოთის გროტესკული სახე, მისი ოჯახური ყოფის ტრაგიკომიკურობა.

პიერ-ჟან დე ბერანეე ამაყობდა ფრანგული სუფრის სასახელო ტრადიციებით, მტკივნეულად განიცდიდა მათ დამახინჯებას. სერიოზულ მოთხოვნებს უყენებდა იგი მომღერალ პოეტთა და ლიტერატორთა გაერთიანების — „თანამედროვე მარნის“ წევრების სუფრულ სიმღერებს.

ბერანეე 1813 წელს ერთხმად აირჩიეს „თანამედროვე მარნის“ წევრად, რომელმაც სახელწოდება მიიღო მე-18 საუკუნის ფრანგ შანსონიეტა მსგავსი საზოგადოებისაგან. „თანამედროვე მარნის“ პოეტების, ერთი შეხედვით, მხიარული სიმღერები, ბერანეეს აზრით, მოკლებული იყო აზრობრივ სიღრმეს და ბუნებრიობას. ამის შესახებ ბერანეე „ჩემს ბიოგრაფიაში“ წერს: „სუფრასთან თავის შექცევა მიყვარდა იმის გამო, რომ იგი ათავისუფლებს გრძნობას არტახებისაგან და აღამიანს ათქმევინებს გონებაშავილურ სისულელეებს; მაგრამ ჩემთვის აუცილებელი იყო, ამგვარ სიამოვნებაში მეპოვნა რაიმე ფილოსოფიური მარცვალი და განსაკუთრებით — სიყვარულის მომხიბლველობა... თანამედროვე მარნში“ მე უცხოვდ ვგრძნობდი თავს. ძველი „მარანი“, რომელსაც ასე აქებდნენ ჩვენი მამები, ამ თვალსაზრისით, უეჭველია, არ იყო უკეთესი. საზოგადოებები, რომლებიც მხიარულებას იჩემებენ, იშვიათად არიან ლაღი“⁹.

ბერანეეს შეხედულებები სუფრის კულტურის შესახებ განსაკუთრებით შთამბეჭდავად ისახა მის სატირულ სიმღერაში „პირწუწკები“, რომელიც დაიწერა 1810 წელს. მისი შექმნის ისტორია ასეთია: პოეტი აღუშფოთებია იმდროინდელ გაზეთებში ამა თუ იმ ნადიმისა და იქაური პურ-მარლის დაწერილებით აღწერას, რაც საკმაოდ ხშირად ქვეყნდებოდა თურმე. გემრიელი კერ-

⁹ Ma biographie, გვ. 131—132.

ქების მოყვარული თანამემამულეების ამგვარ თავშეუყავებლობაში ბერაწყეს დაუნახავს ფრანგულ საზოგადოებაში მუცლის მამებლობის მავნე შედეგების გაჩენის საფრთხე და საპასუხოდ დაუწერია ზემოთ აღნიშნული სიმღერა.

პოეტს „პირწუწუკებში“ შექმნილი აქვს მსუნაგი ადამიანების გროტესკული სახეები: საკმლით პირგამოტენილი, ჩასუქებული, წვერგაქონილი მამაკაცები შორიდანაც აფრთხობენ გრაციებს. პოეტი ირონიულად მიმართავს გემრიელი კერძების მოყვარულთ: არ გეშინიათ, რომ დაიხრჩოთ? ასეთი სიკვდილი არც საამაყო და არც სანატრელიო. კალამბურზე აკებული, ირონიით დატვირთული რეფრენი თვალსაჩინოდ გამოხატავს დედააზრს:

„თუ დახრჩობაა, სჯობს სიცილით დაეიხრჩოთ,
დაეიხრჩოთ მხოლოდ სიცილით!“

ლექსში ბოლომდე არ ცხრება საყვედურები ზომიერებადაკარგული ადამიანებისადმი:

„თავდაბალ და გამხდარ მწერალს, რომელიც
გამხმარ პურს მგავე ღვინოში ალბობს,
თქვენ ქედმაღლურად უყურებთ,
თქვენ დაფნა მხოლოდ სოუსისა და ღორის
შესაჯაში გგონიათ,
რადენ უცხოა ასეთი ფსიქოზი ფრანგებისათვის“,

— აღშფოთებით და გოცებით ამბობს პოეტი. მას გულს უკლავს, რომ თანამეინახენი სასაუბროდ აღარ იცლიან, კერძებს ვერ შორდებიან და ხუმრობაც განუდევნიან სუფრიდან.

ბოლო სტროფში ფრანგ მგოსანს დაუხატავს სანიმუშო ეროვნულ ტრადიციებზე დაფუძნებული ღვინის სურათი:

„ფრანგებო, საღილი მხოლოდ დესერტისთვის გავმართოთ,
ამური იქ მობრძანდება, ფილისი მას მოემსახურება,
საცობი პაერს ჭრის და გონება ბრწყინავს,
თავაზიანი სიტყვებიც სასიამოვნოდ უღერს,
და ცეცხლივით ანთებულ ხუმრობას
სითამამის გარკვეულ უფლებას ანიჭებს.
მაშ, ვუმღეროთ ღვინოს, რომელიც შთაგვაგონებს“.

ზომიერი ჭამა-სმა, მხიარულება და გონებამახვილობა, თავაზიანობა, აზრიანი საუბარი, კეთილზმოვანი სიმღერა — ფრანგული ნადიმის ეს დამახასიათებელი ნიშნები, რასაც ბერანე ხაზგასმით გამოყოფს, სავსებით მიესადაგება ქართული სუფრის ტრადიციებს. ეს ფრანგული სიმღერა ალბათ ქართველებსაც დაგვაფიქრებს იმაზე, თუ რამდენად პირნათელი ვართ წინაპართა მიერ ნაადრევად დადგინებული ინტელექტუალური სუფრული ტრადიციის მიმართ.

თავდაპირველობისა და ზომიერების გაკვეთილი შეიძლება ეწოდოს ბერანეს სიმღერას „პატარა ყლუპები“. მასში აფორიზმებად იღვრება პოეტის მოწოდება ზომიერებისაკენ. ასე მაგალითად:

„თავაზიანი მასპინძლის ძველი ღვინო
პატარა ყლუპებით უნდა ვსვათ.“

„ზედნიერებას ცხოვრების ცოდნა მოგვანიჭებს,
თავშეუყავებლობა უმადობას იწვევს.
ჭიქა თუნდაც დიდი იყოს,
უნდა ვსვათ პატარა ყლუპებით“.



როცა ვმსჯელობთ თავდაპირველობასა და ზომიერებაზე, ქართული და ფრანგული სუფრის სასახელო ტრადიციებზე ორბელიანისა და ბერანეს პოეტიკური მიზნებით, უნდა განვსაზღვროთ, თუ რა ადგილი უჭირავს საზოგადოდ ვაზს მათ მსოფლმხედველობაში.

ორივე პოეტის შემოქმედებაში თვალსაჩინოდ და მაღალმხატვრულ დონეზე აისახა მათ მშობლიურ ქვეყნებში არსებული ვაზის კულტი. როგორც ორბელიანს, ასევე ბერანეს ღრმად აქვთ გაცნობიერებული ქართველი და ფრანგი ხალხის ერთნაირად სათუთი და მრავალმხრივი დამოკიდებულება ვაზისადმი. ამ მგონების ლექსები მეტყველებენ იმაზე, რომ ქართველებისთვის და ფრანგებისთვის ვაზი სილამაზის, შრომისა და სიხარულის განუყოფელი ნაწილია, სიცოცხლის ერთ-ერთი მასაზროლებელი წყაროა.

საფრანგეთში ვაზის შემოტანის ლეგენდას ეძღვნება ბერანეს ლექსი „ბრენუსი ანუ გალიაში დარგული ვაზი“. მისი მთავარი პერსონაჟია ბრენუსი — სენონელი კელტების მეთაური, ფრანგების შორეული წინაპარი, რომელმაც ჩვენს წელთაღრიცხვამდე 390 წელს დაიპყრო რომი. პოეტი ასე ალაპარაკებს ამ სახელოვან მეომარს: რომის მინდვრებმა გადამიხადეს გამარჯვების საფასური — იქედან მომაქვს ერთი ძირი ვაზი. ვაზის წყალობით ერთმანეთს სამუდამოდ დაუეკავშიროთ ღირსება, ხელოვნება, დიდება და სიყვარული.

ლექსში ვაზი დახატულია „გამარჯვების გვირგვინად“, „შეფაქლული ყურძენი“ — სხვა ხალხების შურის აღმძვრელად, ყურძნის „ცეცხლოვანი მზით სავსე ნექტარი“ კი — ხელოვნების მაცოცხლებელ წყაროდ.

ბერანეს მსოფლიოს გარშემო სიხარულის დამტარებლად ესახება ღვინით დატვირთული და ყვავილებით მორთული ფრანგული ხომალდები. იგი ღვინოს ადარებს დაპრილი მეომრების სამკურნალო მალამოს. ბრენუსის მიმართვაში ბახუსისადმი ნათლად ჩანს, რომ ვაზი ფრანგი ხალხისთვის სტუმართმოყვარეობის, ცხოვრების სილამაზის საფუძველია, დარდის შემსუბუქების საშუალებაა.

საინტერესოა ბოლო სტროფში მოცემული ქანრული სურათი, რომელიც გამოხატავს ავტორის იდეას იმის შესახებ, რომ განუყოფელია ვაზის და საფრანგეთის სახელები: ბრენუსმა მადლობა შესწირა ზეცას, თავისი ისრით ამოთხარა მიწა, დარგა ვაზი და მხიარულ გალებს თვალწინ წარმოუდგათ მომავალი საფრანგეთი.

საბოლოოდ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პიერ-ჟან დე ბერანეს და გრიგოლ ორბელიანის ლირიკა საზოგადოდ ხასიათდება კონკრეტულ-საგნობრივი განსახილველებით, მხატვრული სახეების სურათოვნებით და პლასტიკურობით, რაც საფუძველად უდევს მგზნებარე და გულწრფელი გრძნობების თვალსაჩინოდ დადმოცემას. ცხადია, იგივე თვისებები ნიშანდობლივია აგრეთვე ორივე პოეტის ანაკრონტიკული ლექსებისთვის.

მათი ანაკრონტიკული სიმღერები მკითხველს იზიდავს ძლიერი ვნებების პოეტური უშუალოებითა და არტისტიკით. სიყვარული და თავისუფლება, ღვაწი და მეგობრობა, მხიარულება და ღვინო — ამ თემებში ორბელიანი და ბერანე ასახავენ ადამიანის სიამოვნებისაკენ სწრაფვის ბუნებრივი და კანონიერი უფლების იდეას. ორივე პოეტი ადამიანის პიროვნული თავისუფლება, მისი გრძნობებისადმი პატივისცემა მიაჩნია საზოგადოებრივი ურთიერთობის პროგრესული განვითარების ერთ-ერთ პირობად.

როგორც ორბელიანს, ასევე ბერანეს ეპიკურეს შეხედულებები სწორადაა აქვთ ვაზრებული და მხატვრულად ხორცშესხმული. ამიტომ მათი ანაკრონტიკის ძირითად ტენდენციას სწორედ ზომიერების მცნება გამოხატავს. ამ ლექსებში წარმოჩენილია ჰემიარიტი მეგობრობა, ხალისითა და გონიერებით გაცისკროვნებული ღვინო, თავდაპირველობა ღვინის სმის დროს, ჟანსალი ერთ-ერთი მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1990, № 1

ტიზმი. ვლინდება ერთგულება ქართული და ფრანგული სუფრის წმინდა ტრადიციებისადმი. ეს ლექსები დასტურია იმისა, რომ მათი ავტორები უფროსწამა ვაზის მაღალი კულტურის მქონე ქვეყნების შვილები არიან.

ორბელიანისა და ბერანჟეს ანაკრეონტულ ლირიკაში სათნოების მთავარი მიმართულების გვერდით თავს იჩენს პედონისტური განწყობილებები. სიამოვნების პედონისტური კულტის ნიშნები უფრო მეტად ბერანჟესთან ვლინდება, ვიდრე ორბელიანთან. პედონიზმის ყოველი გამოვლინება ორივე პოეტს ლექსებში აღბეჭდილია გალანტურობითა და არტისტიზმით.

თუ ორბელიანმა შექმნა თბილისელ მოქალაქეთა რეალისტური სახეები, ბერანჟემ საფრანგეთის წვრილი ბურჟუაზიის წარმომადგენელთა ასევე რეალისტური ტიპები დაგვიჩატა. ორივე პოეტი ასახავს წუთისოფლის ამაოების, ბედნიერების წარმავლობის იდეას, მაგრამ ქართველი მგოსნის ლექსებში სევდა-კაშის ძლიერი ნაკადი იჭრება ამ იდეის გამომხატვისას. ამგვარად, ორბელიანთან ერთი ლექსის ფარგლებში ერთმანეთს მკვეთრად უპირისპირდება უიმედობის განწყობილება და ანაკრეონტიკის ხალისიანი ინტონაცია. ბერანჟეს ანაკრეონტულ სიმღერებში ასეთ მკაცრ დაპირისპირებას არა აქვს ადგილი. აქ ყოველივეს წარმავლობით გამოწვეული სევდა სუსტად ვლინდება სიმღერის ძირითად მხიარულ ტონთან შედარებით. განსხვავებას კიდევ იმაში ვხვდავთ, რომ მხოლოდ ფრანგ პოეტს შემოაქვს ზოგიერთ ლექსში სოციალური მოტივი ანაკრეონტული მოტივების გვერდით. რაც შეეხება პატრიოტულ მოტივს, იგი ორივე მათგანის ანაკრეონტიკაში ვხვდება.

ანაკრეონტული ჟანრი, როგორც ქართველი, ასევე ფრანგი პოეტის ლირიკაში, შექმნილია მაღალმატერული ენით. იშვიათი, ერთმანეთის ანალოგიური ტროპები და მხატვრული ფიგურები ამშვენებს მათ სიმღერებს, რაც ხელს უწყობს მსგავსი ინტონაციების შექმნას. მისამღერი ორივე მგოსნის სასიმღეროდ შექმნილი ლექსების მუსიკალურობის ერთ-ერთი საფუძველთაგანია.

P. C. ТУРНАВА

АНАКРЕОНТИЧЕСКИЕ МОТИВЫ В ЛИРИКЕ П.-Ж. БЕРАНЖЕ И ГРИГОЛА ОРБЕЛИАНИ

Резюме

Впервые рассматривается типологическое соотношение анакреонтики выдающегося французского лирика первой половины XIX столетия Пьера - Жана де Беранже (1780 — 1857) с анакреонтическими стихами знаменитого грузинского поэта - романтика Григола Орбелиани. Выявлен существенный характер и многосторонность такого соотношения.

Лирика Беранже и Орбелиани характеризуется конкретно - предметным отображением действительности, картинностью и пластичностью художественных образов. Эти качества свойственны также анакреонтическим стихам обоих поэтов, которые привлекают поэтической непосредственностью и артистизмом ярко чувственных страстей.

Любовь и свобода, пир и дружба, веселье и вино — в этих темах Беранже и Орбелиани разворачивают идею естественного и законного стремления человека к наслаждению. Одним из многих условий прогрессивного развития общественных отношений оба поэта считают свободу личности, уважение ее чувств.

Как Орбелиани, так и Беранже правильно осмыслили и творчески воплотили воззрения великого греческого философа Эпикура. Сле-

довательно, благоразумие и добродетель составляют основную тенденцию обоих поэтов, но одновременно в их лирике, особенно у Беранже, проявляются гедонистические настроения.

Орбелиани и Беранже в анакреонтических стихах раскрывают му суety сует, тщетности счастья, но первый в отличие от второго делает сильный акцент на уныние и тоску. Кроме того, французский поэт вносит в некоторые стихи социальный мотив. Что касается патриотического мотива, он проявляется в анакреонтике обоих поэтов.

На основе выявленных типологических соотношений сделан вывод, что в анакреонтике Григола Орбелиани прослеживается связь с литературными традициями и философскими основами анакреонтической поэзии XVIII — XIX веков. Анакреонтическая часть лирики грузинского поэта по своему идейно-художественному уровню достойно соперничает с прекрасной анакреонтикой Беранже. Анакреонтические стихи Орбелиани можно поставить в один ряд с наилучшими образцами этого жанра, которому впору пришла стихотворная форма грузинского мухамбазы.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ქართულ-საზღვარგარეთულ ლიტერატურულ ურთიერთობათა განყოფილება

წარმოადგინა შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტმა

ელგუჯა მაკარაძე

შეღარება ქართულ ხალხურ საგმირო კოეფიკში

სპეციალურ ლიტერატურაში შეღარების, როგორც ტროპული მეტყველების ერთ-ერთი სახის, გარეგანი ფორმისა და შინაგანი სტრუქტურის ანალიზს სრულიად გარკვეული მნიშვნელობა აქვს მინიჭებული. შეღარება, როგორც სინამდვილის წვდომის სპეციფიკური ფორმა, მისი ადგილი პოეტური მეტყველების სხვა ხერხთა შორის — აი, ძალზე ზოგადად ის საკითხები, რომლებიც ამგვარმა ანალიზმა უნდა გამოიკვლიოს. შემთხვევითი არც ის გარემოებაა, რომ ხშირად შეღარების აღნიშნული კუთხით კვლევა შემოქმედის მხატვრული ინდივიდუალობის, სინამდვილისადმი მისი დამოკიდებულების თავისებურების დადგენას ისახავს მიზნად. ფოლკლორული შეღარების იმავე რაქურსით კვლევა კი უპირატესად მისი ქართული სპეციფიკის გამოვლენაში გვეხმარება.

საგმირო პოეზიის შეღარების შესწავლას მისი გარეგანი ფორმა-კონსტრუქციის ანალიზით დაეწევა.

უნდა ითქვას, რომ თუ „ხალხური პროზაული ქანრებისათვის ნიშანდობლივია როგორც მარტივი, ისე რთული შედგენილობის შეღარება“¹, პოეზიაში ეს უკანასკნელი თითქმის არ გვხვდება. ამ მხრივ, გამოჩალის, ცხადია, არც საგმირო ლექსი წარმოადგენს. აღნიშნული გარემოება კი ერთგვარად კომპენსირებულია იმით, რომ, ჯერ ერთი, აქ მარტივი შეღარებითაც კარგად ხერხდება საგნისა თუ მოვლენის მკაფიოდ, ნათლად ჩვენება, რაც შეღარების სახის მოხერხებული შერჩევით მიიღწევა (სწორედ აქ ჩანს ხალხის პოეტური წარმოსახვის უნარიც და მხატვრული გემოვნებაც); მეორეც, თავად მარტივი შეღარება ნაირგვარი ფორმით გამოიხატება: კავშირებით, თანდებულობით გარემოებით, ვითარებით ბრუნვაში ჩასმული სიტყვით, მიმღებებისა და ზედსართავი სახელების უფროობითი ხარისხებით, ზმნების შემცველი კონსტრუქციებით... აქვე დავსძენთ, რომ შეღარების ჩამოთვლილ ფორმათა ფორმა-აღნაგობისეული განსხვავება, გარკვეულწილად, მათ მხატვრულ გამომსახველობითობაშიც იხსახება.

ახლა კი უფრო დაწვრილებით ზემოთ დასახელებულ ფორმებზე:

საგმირო პოეზიაში განსაკუთრებით ხშირია შეღარების კავშირით გადმოცემის შემთხვევები. გვხვდება შემდეგი კავშირები: როგორც, ვით, თითქოს, რო (მნიშვნ.: როგორც, ვითარცა).

კავშირით გამოხატული შეღარება, თუ ცალკეულ გამოჩალისს არ მივიღებთ მხედველობაში, ობიექტის ამა თუ იმ მოქმედების დახასიათება-დასურათხატების ამოცანას ემსახურება. თვით მოქმედების გადმოცემის ფორმის მიხედვით კი აღნიშნული ტიპის შეღარებებში შეიძლება გამოიყოს ორი ჯგუფი:

ა) როდესაც შეღარებაში პარალელის ორივე მხარე მეტ-ნაკლებად დასრულებული მოქმედების სახით წარმოსდგება: „დაატრიალა ტყვიამა, როგორც ბორბლის ფრთას წყალია“ (III, 121)².

ასეთ შეღარებაში წინა პლანზე, უფრო ხშირად, მოქმედების ეიზუალურა წარმოსახვის, მისი გათვალსაჩინოების ამოცანა დგას.

¹ ფ. ზანდუკელი, მხატვრული ისტატობის საკითხები ქართულ ფოლკლორში, თბ., 1985, გვ. 116.

² აქ და ქვემოთ ყველგან ვსარგებლობთ ქართული ხალხური პოეზიის მრავალტომეულით.



ბ) როდესაც შედარების საგანი განსაზღვრულ მოქმედებას ასრულებს, ხოლო შედარების სახე ამ მოქმედების კონკრეტულ შეფასებას შეიცავს: „გიორგი ბანიტ ჩაეშვა, როგორც შურდულის ქვანია“ (III, 251).

მსგავსი ხასიათის შედარებაში პრიორიტეტი აქვს მინიჭებული საკუთრივ მოქმედების ტემპის, ინტენსივობის გადმოცემას.

საზოგადოდ, კავშირით გამოხატულ შედარებაში განსაკუთრებით მკვეთრად იმიჯნება შედარების ელემენტები, მათი შეპირისპირებაც რელიეფურად იკვეთება და, შესაბამისად, წარმოსახული სურათიც სრულია, ნათელია.

საგმირო ლექსში თანდებულებანი გარემოებით წარმოდგენილი შედარება გადმოგვცემს:

ა) ობიექტის მოქმედებას: „ცხენს შეჯდა ბედაურზედა, ნიავ-ქარივით ქრისაო (III, 233).

ბ) თვისებას: „აბავ შენ ბაკალაურო, მალეო ცხენივითაო“ (IV, 231).

განსაკუთრებით ხშირია ვით თანდებულებანი გარემოებით გადმოცემული შედარება. შედარებით იშვიათია ებრ (ეხურ, ებრიც), ულებ, ეხულ თანდებულებანი ფორმები.

შედარების ზმნებით გამოხატულ კონსტრუქციებში, ჩვეულებრივ, შეპირისპირების ნიშანი უშუალოდ არ არის მოცემული, მაგრამ ყოველთვის იგულისხმება. მათში ობიექტთა შეწყვილება ხასიათდება ასოციაციითა განსაკუთრებული მრავალფეროვნებითა და სისავსით, ხოლო წარმოსახულ სახესა თუ სურათს, მეტწილ, სიმბოლური ელფერი დაჰკრავს: „ომი არს სავირთაშია, ჩამოტეხვას ჰგავს ცისასა“ (IV, 50).

საგულისხმოა ის გარემოება, რომ თუ საგმირო ლექსში კავშირიანი შედარებები ჰარბობს, ხალხური ლირიკის ნიმუშებში სწორედ თანდებულებითა და ზმნებით გამოხატული შედარებები დომინანტობს. აქ მნიშვნელობა აქვს არა მარტო იმას, რომ ეს უკანასკნელი ფორმები შედარებისა უფრო მოქნილი და ლაკონურია, არამედ იმასაც — მათი საშუალებით განსაკუთრებით კარგად ხერხდება ობიექტის, ან მისი მოქმედებიდან მომდინარე სუბიექტური განცდების გამოხატვა.

საგმირო ლექსში ვითარებით ბრუნვაში ჩასმული სახელით გამოხატულ შედარებებში ძირითადად მოქმედების შედეგის ეფექტურობას ვსმება ხაზი: „გამადის სამხარაული, ჩალად ჩაყარა მკვდარია“ (IV, 124).

რაც შეეხება მიმღეობებისა და ზედსართავი სახელების უფროობითი ხარისხებით წარმოდგენილ შედარებებს, ისინი საანალიზო ქანრის ნიმუშებში იშვიათია, მხოლოდ აქა-იქ გვხვდება.

ბოლოს კი ყურადღებას შევაჩერებთ შედარების ერთ თავისებურ ფორმაზე, რომელიც განსაკუთრებით ნიშანდობლივია ხალხური პროზაული ქანრებისათვის. ამ ფორმის შედარებას, ზღაპარში დადასტურებული სათანადო ნიმუშების გათვალისწინებით, მკვლევარი ფ. ზანდუკელი ასეთ კვალიფიკაციას აძლევს: „ქართულ ხალხურ ზღაპრებში პერსონაჟთა, საგნებისა თუ მოვლენების დახასიათებისას გვხვდება შედარებები არა ფიზიკური ნიშნების მიხედვით, არამედ შესადარებელი ობიექტების თვისებების გათვალისწინებით“³. აღნიშნული ტიპის შედარებაში მკვეთრად საცნაურია მეტაფორული საფუძველი: „ეგრე ტყვრებოდა თოფები, ტოტებს ჩამოჰყრის ხისასა“ (IV, 105).

საგმირო ლექსის ნიმუშებში შედარების აღნიშნული ფორმა იშვიათად გვხვდება.

³ ფ. ზანდუკელი, დასახ. ნაშრ., გვ. 119.



უნდა ითქვას, რომ შედარების ზემოთ განხილულ ნაირგვარ ფორმებში ნალხი ირჩევს იმას, რომელიც მოცემული მხატვრული ამოცანისათვის უფრო შესაფერისი და გამოსადეგია. საერთოდ კი, ფორმისეული გამონახულების მრავალფეროვნებით სავშირო პოეზიის შედარების სახეობრივ-ემოციური შინაარსის მრავალი ნიუანსიცაა შეპირობებული და ერთფეროვნება და მონოტონურობაც თავიდან არის აცილებული.

ნებისმიერი პოეტური შედარება ემყარება მეტ-ნაკლებად რთულ ფსიქოლოგიურ ასოციაციებს, რომლებიც ერთმანეთთან აკავშირებს გარემომცველი სამყაროს ნაირგვარ, ზოგჯერ არსებითად ურთიერთგანსხვავებულ საგნებსა და მოვლენებს. ესა თუ ის ასოციაცია (შხედველობის, სმენის, ყნოსვის, გემოს) წარმოდგენათა შორის ისეთ კავშირს გულისხმობს, რომელიც შეიძლება განხორციელდეს მსგავსების ან კონტრასტის მიხედვით. ეს უკანასკნელი შემთხვევა სავშირო ლექსის შედარებისათვის ძალზე ნაკლებად არის დამახასიათებელი — აქ თითქმის ვერ ვხვდებით უარყოფითი შედარების ნიმუშებს.

წარმოდგენათა რაგვარობა და კავშირის ფორმა, იგივე, ასე ვთქვათ, ასოციაციური მოდელი, განსაზღვრავს შედარების შინაგან სტრუქტურას, რომლის ანალიზი საკმაოდ რთულს, მაგრამ, ამავე დროს, ფრიალ საინტერესო ამოცანას უსახავს მკვლევარს.

როგორც უკვე შესავალში აღინიშნა, შედარება რაიმე ნიშნის მიხედვით აერთიანებს ორ ან რამდენიმე ობიექტს. ეს ნიშანი შესაძლოა გარეგნულად გამონახული არ იყოს, მაგრამ ყოველთვის იგულისხმება. შედარების ნიშანი რომ ვაპრობოთ, იმას კი არ ნიშნავს, რომ შეპირისპირება ყოველთვის მხოლოდ ერთი ნიშნის მიხედვით ხდება. ნებისმიერ პოეტურ შედარებაში ძირითად ნიშანს მეტ-ნაკლები ინტენსივობით თან ახლავს დამატებითი წარმოდგენები თუ ასოციაციები. მკვლევარი ვ. ერიომინა განიხილავს რა შედარების სათანადო ნიმუშებს, დასკვნის: „ყველა განხილული შედარება აგებული იყო საგნებისა თუ მოვლენების ისეთი გაერთიანების გზით, რომ საშუალებას იძლეოდა გამ. ი. გვეყო მოცემული საგნისა თუ მოვლენის განმსაზღვრელი ნიშანი. მაგრამ ეს მთავარი ნიშანი შეპირისპირებისა თითქმის არასოდეს აღმოჩნდება ხოლმე ერთადერთი, ახალი ნიშანი, რომელიც შედარებით იქმნება, იბადება დამატებითი ასოციაციების ხარჯზე“⁴.

უნდა ითქვას, რომ შედარებაში წარმოდგენათა მეტნაკლებობა, სიმცირეცა და მრავალფეროვნებაც, ყოველთვის განსაზღვრულია მოცემული ტროპის ფორმა-კონსტრუქციითა და კონკრეტული კონტექსტით⁵. საერთოდ კი მრავლისმომცველობა და სისავსე შედარების ღირსებად არის ჩათვლილი. დ. ლიხაჩოვის თქმით: „საპიროა, რომ შედარება ეხებოდეს არა ერთ ნიშანს, არამედ მრავალს, ამ დროს ის განსაკუთრებით მარჯვედ შეიძლება მივიჩნიოთ“⁶.

აღნიშნულ მოთხოვნას სავშირო პოეზიის შედარებათა დიდი ნაწილი აკმაყოფილებს. ასეთ შემთხვევაში, ჩვეულებრივ, შედარების სახე ისეა შერჩეული, რომ შინაგანად რამდენიმე ნიშანს მოიცავს. განვიხილოთ ასეთი მაგალითი: „სედ იჯდეს სვილის ფერაი, ესხდეს ქორივით თვალები“ (III, 102).

აქ შედარება პორტრეტულ შტრიხს გახაზავს — გპირის თვალებს წარმოსახავს. ხატიც ვიზუალურად წარმოსადგენია, თუმცა, იმავე დროს, სხვა ნიშანსაც

⁴ Еремнина В. Т., Поэтический строй русской народной лирики, Л., 1974, 83-94.

⁵ იქვე, 83-88.

⁶ Лихачев Д. С., Поэтика древнерусской литературы, М., 1973, 33, 182.



ატარებს — გმირის შინაგან ძლიერებაზე, ვაჟკაცურ ბუნებაზე მიგვანიშნებს. მაგრამ რამდენ ნიშანსაც არ უნდა მოიცავდეს შედარება, იშვიათი გამონაკლისის გარდა, მანაც შეიძლება გამოიყოს ერთი ძირითადი, ასე ვთქვათ, ყრდენი ნიშანი, რომელიც წინა პლანზე დგას და რომელსაც მოცემული შეპიროსპირება უშუალოდ ემყარება. ეს ნიშანი შეიძლება გამოხატავდეს, გარეგნულ, ვიზუალურ მსგავსებას ობიექტებისა: „კამეჩობა გამორეკა, შავი მელანჩოლი არი“ (III, 219);

ან მათი მოქმედების ასევე ვიზუალური მსგავსებიდან მომდინარე ასოციაციებს ემყარებოდეს: „ისრე დიოდა თევზები, როგორც მთებზედა ცხვარი“ (III, 154).

საკმაოდ ხშირია აგრეთვე ისეთი შედარება, რომელიც სმენით შთაბეჭდილებებს გადმოგვცემს: „ოხანოს ჭოგს დაუდგება, ხმა უქექს, როგორც ზარია“ (IV, 193).

ზოგჯერ შედარება რაოდენობრივ წარმოდგენასაც გამოხატავს: „ძროხა და ღორი გაწყვიტეს, რიყესავით ყარეს ცხვარი“ (III, 233).

მაგრამ შედარებათა დიდი ნაწილი საგმირო ლექსში აგებულია ობიექტთა შინაგანი ნიშან-თვისებების გადატანის საფუძველზე და ამით მკვეთრად განსხვავდება სატრფიალო ლირიკის შედარებისაგან, რომელიც, მეტწილად, მხედველობით წარმოდგენებზეა დაფუძნებული. ჩვენ ვფიქრობთ, საქმე ვაქვს სრულიად გარკვეულ მოვლენასთან: საგმირო პოეზიაში ხალხს გმირი, ხშირად საგნებიცა და მოვლენებიც, უფრო ფუნქციონალური, არსითი გამოვლენის თვალსაზრისით აინტერესებს და თავის პოეზიასაც ამ ნიშნით აღბეჭდავს. საკმარისია ითქვას, რომ თვით ე. წ. პორტრეტული შედარებებიც კი მკვეთრად მისწრაფვიან გმირის შინაგანი თვისებების წარმოჩენისაკენ (ჩვენ მიერ ზემოთ განხილული შედარება, რომელშიც გმირის თვალები შეპიროსპირებული იყო ქორის თვალებთან, ამის დასტურია).

ერთი ობიექტიდან მეორეზე გადატანილი თვისება შესაძლებელია დაფიქსირდეს გარეგნულად გამოხატული ნიშნის სახით. ამ დროს შედარება წარმოდგენათა განსაკუთრებული მრავალფეროვნებით არ გამოირჩევა: „იმედა ჩამეშველა, შევარდენივით მაღია“ (IV, 199).

ცხადია, შევარდენი მრავალი ნიშნის მატარებელია, მაგრამ მათგან არჩეულია მხოლოდ ერთი — სისწრაფე.

უფრო ღრმა, ნაირსახოვან ასოციაციურ წრეს ქმნის ის შედარებები, რომლებშიც რომელიმე მთავარი ნიშანი უშუალოდ არ არის მოცემული (შესაძლოა ის კონტექსტში გაცნაურდეს): „ზაჩლიდან შამაემართენ ოთხნი ლომივით ძმანია“ (III, 135).

ასევე, მეტწილად, თვისებათა გადატანით არის განსაზღვრული შინაგანი სტრუქტურა ისეთი შედარებებისა, რომლებიც ამა თუ იმ მოქმედებას გადმოგვცემს. ასეთ შემთხვევაში მოცემული მოქმედება შედარების სახის გამორჩეულად მკვეთრად დამახასიათებელი თვისება, მისი ფუნქციაა: „ჩამოვიდოდა ლაშქარსა, მიმინოსავით ჰქრისაო“ (IV, 177).

ამრიგად, ხალხი უმეტესწილად მიმართავს ისეთ შედარებებს, რომლებიც შინაგანი ნიშან-თვისებების გადატანის საფუძველზეა აგებული, მაგრამ ნათქვამი იმას არ ნიშნავს, რომ ასეთი შედარებები ვიზუალურ ეფექტს მოკლებულა.

საზოგადოდ, ხალხური პოეზია მკვეთრად მისწრაფვის სურათოვნებისაკენ. ამის ერთ-ერთ მთავარ მოტივად ის მიგვაჩნია, რომ ხალხური ლექსი მოსასმენად არის გამოიზნული — თვალხილული ხატი კი უფრო მკაფიოდ აღსაქმელაა, ხოლო ტექსტში მოწოდებული ინფორმაცია შედარებით ადვილად გასაცნობიერებული.

აქედანვე შევნიშნავთ, რომ თითქმის ყველა პოეტური ხატი, რომელიც სწავლით პოეზიაში პოეტური შედარებით იქნება, ვიზუალურად წარმოდგენილია ცხადია, მხედველობაში გვაქვს ისეთი შედარებებიც, რომლებიც თვსმისადატანით ხდება. განვიხილოთ ასეთი მაგალითი: „ყაყაჩი შავერდაშვილი ქორსა ჰგავ მალის მთისასა“ (III, 128).

მოყვანილი შედარება უდავოდ ნაირსახოვან ასოციაციებს აღძრავს, მაგრამ დიდი დაკვირვება არ არის საჭირო შევნიშნოთ, რომ შეპირისპირება ემყარება არა იმდენად გარეგნულ მსგავსებას, რამდენადაც შინაგანს, თვისებრივს. მსმენელისათვის მოცემული შედარებით უპირველეს ყოვლისა ვაქცავთ შინაარსი ცნაურდება. მაგრამ აქ საინტერესო ის არის, რომ გმირის აბსტრაქტულ, განყენებულ თვისებებს, რომლებიც მოქმედს შეეძლო პირდაპირ მოეწოდებინა, ფიზიკური არსებობა აქვთ მინიჭებული, ისინი ხელით შესახები და თვალით სახილველი არიან. ხატვის ეს გზა, რომელიც საზოგადოდ დამახასიათებელია საგმირო პოეზიისათვის, ცხადია, მომგებიანია — მოქმედი მშვენიერად ახერხებს მსმენელს მიაწოდოს სწორედ ადვილად აღსაქმელი, მკაფიო ხატები.

ამრიგად, ზემოთ წარმოებული დაკვირვება საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ საგმირო პოეზიის შედარების იმანენტური სტრუქტურა საკმაო მრავალფეროვნებით ხასიათდება. თავად შედარება ერთდროულად ავლენს როგორც გამომსახველობით, ისე შემფასებლობით უნარს, რაც მოცემული ტროპის უთუოდ დიდ მხატვრულ ღირსებაზე მეტყველებს.

ცნობილია, რომ ჰიპერბოლიზაცია, იგივე მხატვრული გაზვიადება, ხალხური პოეტური შემოქმედების გამოჩენულად პოპულარული სტილისტიკური ხერხია. ის მეტ-ნაკლებად ახასიათებს ნებისმიერ ფოლკლორულ ქანს, მაგრამ საგმირო პოეზია მათ შორისაც გამოირჩევა. საქმარისია ითქვას, რომ იდეალური გმირის სახის, ასევე იდეალური გარემოს, რომელშიც მოღვაწეობა უხდება გმირს, პოეტურ წარმოსახვაში აღნიშნული ხერხი შეუცვლელია. საგმირო ლექსში ჰიპერბოლიზაციის ქანრულ სპეციფიკად ისიც უნდა მივიჩნიოთ, რომ, ვთქვათ, სატრფიალო ლირიკისაგან განსხვავებით, სადაც გაზვიადებულია პერსონაჟის გარეგნული კდემამოსილება, აქ უფრო გმირის ფიზიკური უნარ-შესაძლებლობა, მისი ქცევა-მოქმედება თუ ამ მოქმედების შედეგია გადაჭარბებულად წარმოდგენილი.

აღბათ, გადამეტებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ პოეტური გაზვიადებით შეპირობებულია საგმირო ლექსის სტილის ქანრული განსაზღვრულობის მრავალი ასპექტი. ეს ითქმის მხატვრული მეტყველების ფორმებზეც, რაც ეპითეტის მაგალითზეც კარგად ჩანს. მაგრამ საგმირო ლექსში ჰიპერბოლიზაცია უფრო ხშირად მხატვრული შედარების პრინციპით ხდება. დავაკვირდეთ, რის ირჩევს მოქმედი ობიექტად, რომელთანაც შედარებულია გმირი: „ლომი, ვეფხვი, მგელი, კანჯარი, არწივი, ქორი, შევარდენი, „ამოშვებული ელვა“, მეზი, ნიაქარი, „ფერ-შაუცვლელი“ რკინა და ა. შ.

ასევე, გმირის ქცევა-მოქმედება, რომელიც შედარებით გადმოიცემა, თითქმის ყოველთვის ჰიპერბოლიზებულია. იდეალური გმირი „მეზივით გაკვივისა“ და „ხარივით ბუბუნებს“, „ნიაქარივით დაჰქრისა“ და „მიმინოსავით დაფრანავს“, მტრის მოლოდინში „ლომივით დგას“, ხოლო მტერზე ისე მიიწევს, „როგორც ნადირი ცხვარზე“; ბრძოლაში „ჭეირანივით შეფრინდება“ და „ლომივით ტრიალებს“, „ქარასავით ბრუნავს“ და „ვეფხვივით გმინავს ჰყრის“. უცნაურია სიკვდილიც — „ვეფხვივით შამაწვენა“.

ცხადია, რეზულტატი მისი მოქმედებისა სათანადოა: ისე „ფანტაზს“ მტრის ლაშქარს, როგორც „მგელი ფანტოს ცხარია“; მოწინააღმდეგეს „ხის ტოტეზის ბიეთ ჰეფავს“, „მხალივით კეპავს“, ხოლო მკვდრებს „ჩალასავით ჰყრის მხალივით“.

ახლა ვნახოთ, როგორ არის წარმოდგენილი საგმირო ლექსში საგნები და მოვლენები, ზაერთოდ გარემო, სადაც გმირს ქცევა-მოქმედება უხდება: ცხენი „შავარდენივით მალია“ და მოკლულ პატრონს ისე დასტირის, „როგორც საყვარელს ქალია“. მტრის ლაშქარი ისე „გადმოდის ზუშეთის ღელეს, როგორც ნაგუბარი წყალიო“; ომი „ცის ჩამოქცეას“ ჰგავს; თოფის ქუქა „ჩამოტეხვას ჰგავს ცისასა“; ტყვია ისე „წვიმს“, „როგორც წყალი“; ხმალ-ხანჯლის ჩქამი ისეთია, „იტყვი დაიძრა ზეავიო“; „ღებისგან ძმისა ტირილი დაქცევასა ჰგავს ცისასა“; გმირის სიკვდილი „თოფივით იზამს ჩქამს“ და ა. შ.

ამრიგად, ვფიქრობთ მოყვანილი მაგალითებიდანაც ნათელია, რომ საგმირო პოეზიის შედარება მკვეთრად აირეკლავს საკუთრივ ეპოსის ზოგად პოეტურ-სა და ესთეტიკურ პრინციპს — ჰიპერბოლიზაციას. ჰიპერბოლური შედარებები მოცემული ეპოსისათვის ნიშანდობლივი ემოციური ველის, ამაღლებული განწყობილების შექმნას უწყობს ხელს.

ხალხური პოეზისათვის დამახასიათებელია მკვეთრი დინამიზმი, სინამდვილის, როგორც სულიერი ცხოვრების, ისე საგნობრივი სამყაროს, მოძრაობა-მოქმედებაში, ცვალებადობაში წარმოსახვა. ეს ტენდენცია მხატვრული გამოსახვისა გამორჩევივით მკაფიოდ შეიმჩნევა საგმირო პოეზიაში. ისიც უნდა ითქვას, რომ აქ, ხალხური ლირიკისაგან განსხვავებით, სადაც საქმე გვაქვს ნაირსახოვან გრძნობათა მოძრაობა-ცვალებადობასთან, დინამიკურობა ობიექტის სიერცეში ვადაადგილების, მისი ფიზიკური აქტივობის შედეგია.

საგმირო ლექსში გმირის ხასიათი იკვეთება არა იმდენად ცალკეულ თვისებათა, ნიშანთა ჩამოთვლა-აღწერაში, არამედ ქცევაში, მოქმედებაში. შესაბამისად, აქ როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ. ისეთი შედარებები ჰარბობს, რომლებიც მოქმედებას ვადმოგვცემს. მაგრამ ჩვენ მათზე საგანგებოდ არ შევჩერდებით, რადგან ისედაც ცხადია, რომ ამ დროს პოეტური ხატი შინაგანი ექსპრესიის, დინამიზმის შემცველია, ვთქვათ ამ ტიპისა: „ტრიალებს ღუბიანური, ტრიალებს, როგორც ტარია“ (III, 138—139).

ამჯერად ჩვენი ინტერესის საგანია ისეთი შედარებები, რომლებიც მოქმედებას უშუალოდ არ ვადმოგვცემს, მაგრამ, ამის მიუხედავად, დინამიკურ ხატებს წარმოგვიდგენს. აქ აღსანიშნავია ორი მომენტი:

ა) ცნობილია, რომ პოეტური ხატი მხოლოდ მოცემულ კონტექსტში არსებობს და ამ კონტექსტშივე აღიქმება (ცხადია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ცალკე აღებულს მხატვრულ-ესთეტიკური ღირებულება არ გააჩნია); ამდენად, შესაძლოა, ხატი, რომელიც შედარებით იქმნება, ისეთ კონტექსტში იყოს, რომ მოქმედებაში, მოძრაობაში წარმოიჩინდეს. ნათქვამი რომ უფრო ნათელი იყოს, განვიხილავთ კონკრეტულ მაგალითს: „გოგია დაუტრიალდა, მთის შავარდენის ფერია“ (III, 169).

ვფიქრობთ, კამათს არ უნდა იწვევდეს ის გარემოება, რომ აქ პოეტური ხატი მხოლოდ მთლიან კონტექსტში გვეძლევა და „მთის შავარდენის ფერა“ გმირის ცალკე გამოყოფა, ან, უკეთ, კონტექსტიდან ხელოვნური „ამოვლევა“ წმინდა ფორმალისტური ოპერაციის ტოლფასი იქნება. მაშასადამე, გმირის სახე იმგვარ კონტექსტში აღიქმება, რომელიც კონკრეტულ მოქმედებას („დაუტრიალდა“) გამოხატავს. ცხადია, პოეტური ხატიც ექსპრესიულია, დინამიზმათ ხასიათდება.

ბ) შედარების ობიექტად მოხმობილია ისეთი საგანი თუ მოვლენა, რომელიც შინაგანად მოძრაობის, მოქმედების გამომხატველია და ასეც წარმოადგენს გინება. მაგალითად: „გაბურთა ალუდაური დაეღნებას ზგავ ცისასა“ (IV, 34).

ცხადია, „ცის დაეღნება“ კონკრეტული მოქმედების, მოძრაობის ასოციაციას იწვევს და მასთან შედარებულ გმირს ჩვენ სტატეიურ მდგომარეობაში ვერც წარმოვიდგენთ.

ამრიგად, საგმირო პოეზიის შედარებისათვის ნიშანდობლივია დინამიკური, შინაგანი ექსპრესიით დატვირთული პოეტური ხატები, რაც ამ უკანასკნელთა შთამბეჭდაობის, პლასტიკურობის ერთი უმნიშვნელოვანესი პირობათაგანია. აქვე გვახსენდება არისტოტელეს საყოველთაოდ ცნობილი დებულება: „მე თელსაჩინოს ისეთ გამოთქმას ვუწოდებ, რომელიც საგანს მოქმედებაში გვიჩვენებს“⁷.

ჰეგელის თქმით, „შედარებანი წარმოადგენენ შეყოვნებას, დიდხანს შეჩერებას ერთსა და იმავე საგანზე“⁸. ამ შეყოვნებას მრავალი მიზეზი გააჩნია, იმის მიხედვით, სინამდვილის ლირიკულ, ეპიკურ თუ დრამატულ განსახოვნებასთან გვაქვს საქმე.

ჰეგელის შეხედულებებში, ოდენ შედარების, როგორც „პოეტური შეყოვნების“, მიზეზებისა და მიზნებისა, მათში სიტყვიერი შემოქმედების ლირიკულ, ეპიკურ და დრამატულ გვარეობით საწყისთა არსითი, თვისებრივი განსხვავებაც იკითხება. ამაზე ყურადღებას საგანგებოდ არ გავამახვილებთ და მხოლოდ ჩვენთვის ამჟამად განსაკუთრებით საინტერესო ორ მომენტს გამოვყოფთ: ა) ჰეგელი მკვეთრად გამოარჩევს და ერთმანეთს უპირისპირებს ლირიკულ და ეპიკურ შედარებებს; ბ) მათ მხატვრულ მიზანდასახულობასა და ფუნქციას ერთმანეთისაგან ასხვავებს;

ბუნებრივია, სპეციალური ამოცანა გვეკარნახობს, დავსვათ კითხვა: როგორ „გამოიყურება“ აღნიშნულიდან გამომდინარე საგმირო ლირიკულ-ეპიკური ლექსის შედარება?

ამთავითვე უნდა ითქვას, რომ საანალიზო ყანრის ნიმუშებში ცალკე ლირიკული და ცალკე ეპიკური შედარებების გამოყოფა მხოლოდ პირობითობას დონეზე თუ მოხერხდება — იმის გათვალისწინებით, ამ ორიდან რომელი გვარეობითი საწყისის პრიორიტეტით არის აღბეჭდილი ესა თუ ის შედარება. საგმირო ლექსებში მოცემული ტროპი, ერთი მხრივ, იმთავითვე ეპიკური განსახოვნების ნიშნის მატარებელია, რადგან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, თითქმის ყველა პოეტური ხატი, რომელიც შედარებით იქმნება, ვიზუალურად წარმოსადგენია. მხედველობითი შეგრძნებანი კი „ადამიანის აღქმას ყველაზე უფრო გასაგნებულ, ობიექტირებულ სახეს აძლევს“, ხოლო „მხედველობითი ხატებს“ წინ წამოწევა პოეტური აზროვნების ეპიკურ წყობასა და ხასიათზე მიუთითებს“⁹. მეორე მხრივ, აღნიშნული გვარეობითი საწყისი საგმირო პოეზიის შედარებაში ძალზე ხშირად გაშუალებულია სინამდვილის ლირიკული აღქმითა და ვანცდით, ობიექტის ემოციური წარმოსახვით. მასში მკაფიოდ გამოკრთის ხალხის დამოკიდებულება გმირის, აგრეთვე საგნებისა და მოვლენებისადმი:

⁷ არისტოტელი, რიტორიკა, თბ., 1981, გვ. 188.

⁸ ჰეგელი, ესთეტიკა, ტ. I, თბ., 1970, გვ. 474. ჰეგელის თელსაჩინოსი ემყარება მის მიერვე მახვილგონივრულად მიგნებულსა და შედარების, როგორც პოეტური შემეცნების ფორმის, სპეციფიკად მიჩნეულ ნიშანს — მნიშვნელობისა და სურათის ერთდროულად, გვერდ-გვერდ არსებობას.

⁹ გრ. კიკნაძე, მეტყველების სტილის საკითხები, თბ., 1957, გვ. 301—302.



სიყვარული და სიძულვილი, აღტაცება და სინანული, ზოგჯერ ირონიაც კი. ნათქვამი რომ უფრო ნათელი იყოს, განვიხილავთ რამდენიმე ტიპურ შემთხვევებს ლექსში — „ვაეკია მაჩუროშვილი“ — მთქმელი „ფშავლის გაზრდილი მშობრის“ შესახებ მოგვითხრობს. ვაეკიამ „თოფი ჰკრა ძმისა მამკლავსა, წყალს მისცა დაღისტანისასა“. აქ საკუთრივ ამბავი მთავრდება, მაგრამ ვაეკიას გმირობით აღტაცებული მთქმელი ვერ ფარავს მოჭარბებულ ემოციებს და ლექსის დასასრულს აცხადებს კიდევ თავის სიმპათიას გმირისადმი:

„გაგერშლის ჯოგის მგელსა ჰავ
ვაშლოვანის ტყისასა,
ვეფხვსა გვანილა პწყლიანსა
სპერიოზიის კლდისასა“ (III, 168).

პერსონაჟის, აგრეთვე საგნებისა და მოვლენების ლირიკულ-ემოციური წარმოსახვა განსაკუთრებით მკაფიოდ იჩენს თავს დიალოგებსა და მონოლოგებში, უფრო კონკრეტულად, პირდაპირ მეტყველებაში, როგორც მთქმელის („ვაეკიაცო, ულვაშოკობო, თვალები გიგავს ჯიღასო“ (III, 103), ისე პერსონაჟის („თათრებმა ნახირ დამტაცეს, მოვდივარ, როგორც მეხია“ (III, 128).

იშვიათად შედარებაში ობიექტისადმი ირონიული დამოკიდებულება გამოკრთის: „შაშვივით პირი დააღე, ვირივით დაიღრიალე“ (IV, 193).

ამრიგად, როგორც ვხედავთ, საგმირო ლექსში შედარება ხასიათდება ლირიკულ და ეპიკურ საწყისთა ერთგვარი სინთეზით — ხან ერთის, ხან კიდევ მეორის უპირატესი გამოვლენით. ჩვენ მიერ ზემოთ განხილული მაგალითები უფრო სინამდვილის სუბიექტურ-ემოციური განსახოვნების ნიშნით იყო აღბეჭდილი. ცხადია, მათ გვერდით ისეთ შედარებებსაც ვხვდებით, რომლებშიც პრიორიტეტი აქვს მინიჭებული ობიექტურ განსახოვნებას, პერსონაჟის, საგნებისა და მოვლენების რეალური სახით ჩვენებას.

ხალხური პოეტური შემოქმედების ნებისმიერი ჟანრისათვის დამახასიათებელია როგორც ზოგადი, საერთო ფოლკლორული, ისე საკუთრივ ჟანრული მხატვრულ-ესთეტიკური პრინციპებიდან ამოსვლა. ფოლკლორული ჟანრის შიგნით ამ ორი ნაკადის დიალექტიკური თანაარსებობა, ერთიანობა აყალიბებს მის, როგორც დასრულებული ესთეტიკური ფენომენის, სახეს.

აღნიშნული ტენდენცია განსაკუთრებით მკვეთრად აირეკლება სახისმეტყველებაში. კერძოდ, საგმირო პოეზიასთან დაკავშირებით უკვე შენიშნულია, რომ მის „მდიდარ პოეტურ სამკაულში გვხვდება ზეპირსიტყვიერების ყველა ჟანრში გამოყენებული (ე. ი. საერთო ფოლკლორული. — ე. მ.) მხატვრული სახეები, მაგრამ ძირითადად პოეზიის ამ უბანს გააჩნია საკუთარი, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი სიმბოლოები, ეპითეტები, შედარებანი და მხაფორმულები“¹⁰.

აქვე საჭიროდ მიგვაჩნია დავაზუსტოთ, ჩვენი აზრით, ერთი არცთუ უმნიშვნელო დეტალი: როდესაც მსჯელობა გვაქვს ცალკეული მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხის ზოგადფოლკლორულ გავრცელებაზე, აქცენტი უნდა გადაკეთოთ არა ამ მოვლენის ნებისმიერ გამოვლინებაზე (როდესაც ხატი მექანიკურად გადადის ერთი ჟანრიდან მეორეში, ან მთქმელს მხატვრული ალლოღალატობს), არამედ ამა თუ იმ ჟანრის შიგნით მისი განმეორებადობის სიხშირესა

¹⁰ ქ. სიხარულიძე, ქართული ხალხური საგმირო პოეზიის საკითხები, თბ., 1970, გვ. 67.

და ინტენსიურობაზე, სისტემატურობაზე, ქანრის თემატიკაა და მიზნდსა და
ლობასთან, ესთეტიკურ კრედოსთან თანხმეირებაზე. აღნიშნულის გაფრთხილ
ნებით, უფრო შთამბეჭდავი ჩანს ის ფაქტი, რომ საგმირო პოეზიას მხოლოდ
„გააჩნია საკუთარი, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი სიმბოლოები, ეპი-
თეტები, შედარებანი და მზაფორმულები“.

საგმირო პოეზიაში შედარებათა საერთო ხასიათი სწორედ მოცემული ქან-
რის ესთეტიკური პრინციპებისა და ფუნქციური განპირობებულობის, თემატი-
კისა და მოტივთა რკალის, სიუჟეტური სიტუაციების ორიგინალურობით არის
განსაზღვრული. მრავალი მათგანი უკვე მუდმივ ფორმულად გვევლინება: პერ-
სონაჟის, მისი თვისებების, მოქმედების, სხვადასხვა საგნის, მოვლენებისა და
პროცესების წარმოსახვა წინასწარადებული, ტრადიციული სახეებით ხდება.
მათი ძალზე დიდი ნაწილი საკუთრივ საგმირო პოეზიის წიაღში ჩამოყალიბე-
ბული და ფორმირებული ჩანს. ვფიქრობთ, ისინი განსაკუთრებით მკაფიოდ
ავლენენ ქანრის ზოგად მხატვრულ-ესთეტიკურ პრინციპებს. განვიხილავთ კონ-
კრეტულ მაგალითებს:

გმირის დასახასიათებლად ხალხი ფართოდ მიმართავს მზახატებს, კერძოდ,
გავრცელებულია შეპირისპირება ქორთან: „ცხენზე შეჯდება — ქორსა ჰგავ,
დაუჭეოთებს — მგელია“ (III, 92); არწივთან: „სამნი მეც დამჩნენ მოძმენი,
არწივსა გვანან მთისასა“ (III, 137); ლომთან: „ბაჩლიდან შამეშართნენ ოთხნი
ლომივით ძმანია“ (III, 135).

ასევე მზაფორმულებით არის გადმოცემული ესა თუ ის მოქმედება: მტრის
„აკეზა“: „ისე აკეპე ლეკები, როგორც ბოლოკი მხალია“ (III, 120); ლაშ-
ქრის „დაფანტვა“: „ეგრე დაფანტა ლაშქარი, როგორც მგელმ ფანტოს ცხე-
რია“ (IV, 48); ტყვედ წასხმა: „ჯალბანიც ლეკებმ გარეკეს, როგორც ნოტიო
ცხვისისაო“ (III, 211); ბრძოლა: „შულდ იქნის სარქის მალალსა, ჩამოტეხნას
ღვავ ცისასა“ (III, 108) და ა. შ.

ზემოთ ჩვენ მხოლოდ რამდენიმე მაგალითი მოვიყვანეთ საილუსტრაციოდ.
საერთოდ კი საგმირო პოეზიაში შედარება „საზრდობის“ ძირითადად ტრადი-
ციული, დაშტამპული ხატებით და ამ ტენდენციის დაძლევის ცდა მაინცადა-
მანც არც შეინიშნება, თუ, ცხადია, მხედველობაში არ მივიღებთ სინტაგმატურ
ღონეზე მათი მიმართების ნაირგვარ ვარიაციას, აგრეთვე როდესაც საქმე ეხება
ისეთ ობიექტს, ან კონკრეტული სიუჟეტური სიტუაციის კარნახით წინწამოწე-
ულ ამ ობიექტის თვისებას თუ მოქმედებას, რომელთათვისაც მზახატი უბრა-
ლოდ გამოუსადეგარია, შეუფერებელია.

ჩვენ უკვე შევნიშნეთ, რომ ტრადიციულ სახეთა ძალზე დიდი ნაწილი სწო-
რედ საგმირო პოეზიის წიაღში შემუშავებული ჩანს. ამ პროცესს კი, რასაკვირ-
ველია, ქრონოლოგიურად დროის გრძელი მონაკვეთი, ხალხის მიერ სინამდვი-
ლეზე დაკვირვების „ისტორიული“ გამოცდილება, ხანგრძლივი პოეტური ტრა-
დიცია დასპირდებოდა. აღნიშნული გარემოება ქანრის, როგორც მხატვრული
და ესთეტიკური სისტემის, დასრულებულობაზე მიუთითებს.

დაბოლოს, თუ ინდივიდუალური, მწიგნობრულ ლიტერატურაში ტრადიცი-
ული ხატებით, დაშტამპული სახეებით ოპერირება ავტორის შემოქმედებითი
არსენალის სიმწირეზე მიუთითებს, ფოლკლორული შემოქმედებისათვის მსგავსი
შეფასება ჭეშმარიტებას მოკლებულია და მიუღებელი. ამ უკანასკნელში
მზახატები და მზაფორმულები მისი არსებობის ფორმის, შემოქმედებითი პრო-
ცესის თავისებურების მაუწყებელია და არამც და არამც ხალხის მხატვრული
წარმოსახვის სიღარიბისა.



ზეპირსიტყვიერი პოეტური შემოქმედების მხატვრული მეტყველების შესწავლისას იმთავითვე თავს იჩენს ერთი მეთოდოლოგიური ხასიათის სიძველე. მკვლევარს საქმე აქვს ასობით ტექსტთან, ამა თუ იმ მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხის აურაცხელ ნიმუშთან. ასეთ ვითარებაში იგი იძულებული ხდება ხშირ შემთხვევაში უარი თქვას ფიგურალური გამოთქმის ნებისმიერი გამოვლენის (რავინდა საინტერესო არ უნდა იყოს ის) გამოწვლილვით ანალიზზე და ამის ნაცვლად აქცენტი გადაიტანოს ტიპურზე, ისეთზე, რომელიც ზოგად კანონზომიერებას წარმოაჩენს („ყოველგვარი მეცნიერების გვირგვინს კანონზომიერებათა აღმოჩენა წარმოადგენს“¹¹). ალბათ, ამიტაც არის გამოწვეული ის ფაქტი, რომ სპეციალურ გამოკვლევებში ხშირად მიმართავენ მხატვრული მეტყველების ამა თუ იმ ფორმის სისტემატიზაცია-კლასიფიკაციას (თემატურსა თუ სხვა).

შედარებათა კლასიფიკაციის ოპტიმალურ გზად მიგვაჩნია დაყოფა-დაჯგუფება მოცემული ტროპის სამივე ძირითადი ელემენტის — შედარების საგნის, შედარების სახის და საერთო ნიშნის — გათვალისწინებით. ცხადია, ვერც კლასიფიკაციის შემოთავაზებული ფორმა იქნება უნივერსალური ხასიათის, მასში პირობითობის ელემენტიც გამოიწვევს, სამაგიეროდ ის შედარების სახეობრივი და ფუნქციური მოცემულობების სისტემურ მთლიანობაში გაცნობიერების საშუალებას ასე თუ ისე შეგვიქმნის.

1. პირველ ჯგუფში ერთიანდება ის შედარებები, რომლებიც ობიექტის გარეგნულ მახასიათებელს აღმოგვცემს. აქ უპირველეს ყოვლისა, უნდა გამოიყოს პორტრეტული შედარებები.

საზოგადოდ საგმირო პოეზიისათვის მაინცდამაინც არ არის დამახასიათებელი გმირის პორტრეტის დეტალური დამუშავება. ამის მიზეზი ჩვენ გმირის ტრადიციული ხალხური იდეალის თავისებურებაში უნდა დავინახოთ. შესაბამისად, აქ პორტრეტულ შედარებებს არცთუ ისე ხშირად ვხვდებით და რაც არის, ისიც თემატური ერთფეროვნებითა და სიმყარით ხასიათდება. ამ მხრივ, თითქოს გამოიწვიოს წარმოადგენს ერთი საგმირო-სახოტბო ლექსი „მეტერნ შორით დამთხვებიანა“ (IV, 239), სადაც გმირის პორტრეტის საკმაოდ დეტალურ დამუშავებასთან გვაქვს საქმე, თანაც მთლიანად შედარებით.

საგმირო ლექსში შედარებით უფრო ხშირია გმირის თვალების პორტრეტული ნიუანსების გამოხატვა. აქაც პოეტური შედარება სავაჟაკო თვისებების მიმანიშნებელია: „ვაჟაკო, ულვაშოკობო, თვალები გიგავს ჭილასო“ (III, 103).

ზოგჯერ შედარებაში გმირის მხარ-ბეჭის პორტრეტული შტრიხიც გაიღვავებს: „მამუკას მუქლარაულსა, მგარნი შაორდნად აყრიან“ (IV, 107).

ამრიგად, როგორც განხილული მაგალითებიდანაც ჩანს, საგმირო ლექსში შედარებით გადმოიცემა გმირის პორტრეტის ისეთი ნიუანსები, რომლებიც მის საგმირო-სავაჟაკო თვისებებზე მიგვანიშნებს.

შედარება, რომელიც ქალ-პერსონაჟს ახასიათებს, აქა-იქ გამოჩნდება და ისიც პორტრეტული ხასიათისაა: „ქიშმიშით გასუქებული, გაბადრულ მთვარეს ვგვეარო“ (III, 139).

ასევე თითზე ჩამოსათვლელია შედარება, რომელიც ამა თუ იმ საგნის გარეგნულ მახასიათებელს გამოხატავს. უფრო ხშირია ობიექტის ფერზე ხაზგასმა: „მაშინ იხარე ლურჯაო, მთები რო ჰგვანდეს ლილასა“ (III, 91).

¹¹ ვ. პ. რ. პ. ი., ზღაპარის მორფოლოგია, თარგმანა და წინასიტყვაობა დაურთოთ მარიამ კარბელაშვილმა, თბ., 1984, გვ. 24.

2. მომდევნო შინაარსობრივ-თემატურ ჯგუფში ერთიანდება ის შედარებები, რომლებიც მოქმედებას გადმოგვცემს. აქ შეიძლება გამოიყოს: ა) შედარებები, რომლებიც გვიჩვენებს, იშვიათად ცალკეულ საგანთა, ერთი ადგილზე შედარებით გადმოსახლებაზე, რომელიც გვიჩვენებს, რომ სივრცითი ფონი, ზოგჯერ დროის მახასიათებელიც, შემოფარებული არ არის. ამ დროს მოცემული ტროპით გადმოიცემა: მოძრაობა განუსაზღვრებლად სივრცეში, მოძრაობის დასაწყისი და დასასრული, გაქცევა, მოწინააღმდეგის დევნა და წამოწევა...

საგმირო ლექსში გვიჩვენებს სივრცეში გადაადგილება, რომელიც პოეტურა შედარებით გადმოიცემა, წარმოუდგენელი სისწრაფით ხასიათდება. აქ საკმარისია მოვიყვანოთ მხოლოდ რამდენიმე მაგალითი და დავაკვირდეთ შედარების სახეს:

გვიჩვენებს მოძრაობა განსაკუთრებით ხშირად შედარებულია ნიავე-ქართან: „შაქდა და ეგრე წავიდა, როგორც დაღბეროს ქართი“ (III, 224); შევარდენთან: „ფიცხლავ შინისკენ გაფრინდა, ვით შევარდენი ფრთიანი“ (IV, 127); ქორთან: „სამნია კოლოთანელნი, სამნივ ქორებრივ ხქრიანა“ (IV, 92).

რიცხვი სახე-სიმბოლოებისა, რომელთა შემწეობით გვიჩვენებს სივრცეში გადაადგილება გამოიხატება, კიდევ შეიძლება გვახსენებდეთ: არწივი, მიმინო, კანჯარი, ირემი, მეხი, ელვა...

იშვიათად, შედარებაში გადმოიცემა მოძრაობა-გადაადგილება ისეთი ობიექტისა, რომელიც სხვაგან თავად გვევლინება მოძრაობის სიჩქარის გამოხატველ სახე-სიმბოლოდ¹². ასეთ შემთხვევაში, მთქმელი ან უგულებელყოფს ამ ობიექტის მოძრაობის ტემპის გამოხატვას: „გაღის-გამოდის ტყვიანი, როგორც ფუტკარი სკახედა“ (III, 154), ან კიდევ შედარების სახედ გვევლინება ისეთი ობიექტი, რომელიც უფრო დიდი სისწრაფით ხასიათდება. ასეთია, მაგალითად, ირმის შედარება ნიავე-ქართან: „გაფრინდა ნიავე-ქარივით, რქებმა წაიღო ზრიალი“ (IV, 246).

ბ) შედარება გადმოგვცემს ისეთ მოქმედებას, რომელიც ლოკალურ სივრცით ფონს გულისხმობს: საქმე გვაქვს არა ობიექტის ვრცელ მანძილზე გადაადგილებასთან, არამედ მოქმედებასთან, რომელიც ერთ განსაზღვრულ ადგილზე ხდება. ასეთი შედარებები ფართოდ გამოიყენება გვიჩვენებს საომარი მოქმედების გადმოცემისას: „თოფისა სროლა დაუწყო, ტრიალებს, როგორც ქარია“ (III, 141), ან: „ტყენზეთი გადმოხტ გიორგი, ქორივით დაბრუნდისაო“ (IV, 53).

როგორც მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, გვიჩვენებს მოქმედება აქაც გამოჩენული სისწრაფით ხასიათდება. შესაბამისად, თავს იჩენს ზემოთ ჩამოთვლილი მოძრაობის გამოხატველი სახე-სიმბოლოები: არწივი, კანჯარი, მიმინო, ქორი, ქარი და ა. შ. ამათ გარდა შედარების სახედ შეიძლება წარმოვადგინოთ იყოს სხვა ობიექტებითაც, როგორცაა: ჯარა, ტარი, ხარი და ა. შ.

ცალკეულ შემთხვევაში ამა თუ იმ მოქმედების გადმოცემისას პრიორიტეტი აქვს მინიჭებული გამოსახვის საკუთრივ ვიზუალურ მხარეს: „წინატეს ჩამაგვივიენეს, ნისლებ როგორის პირსაო“ (IV, 114).

გ) შედარებაში მოქმედების ხასიათი, შესაძლებელია, უშუალოდ რეზულტატის გადმოცემით ვახდეს საცნაური. განსაკუთრებით შთაბეჭდავია გვიჩვენებს საომარი მოქმედების შედეგი: „ისე აკეპე ლეკები, როგორც ბოლოკი მხალია“ (III, 119).

იშვიათად შედარებაში მოქმედების შედეგის რაოდენობრივი მახასიათებელიც გამოჩნდება: „ომდენი დარჩა ნახოცი, როგორც რიყზე ქვანია“ (III, 231).

¹² ამ გარემოებას მიუთითებს ფ. სელივანოვი ნაშრომში: Сравнение в былинах, в кн-е: Фольклор, как искусство слова, вып. 3, М., 1975, გვ. 125.



საზოგადოდ, მოქმელი ყოველთვის ცდილობს, რომ გმირის მოქმედების დღეი შთაბეჭდილი, ეფექტური იყოს. ამ მიზნის მიღწევა კი დიდად არის მოკიდებული საკუთრივ შედარების სახის მოხერხებულ შერჩევაზე.

ამრიგად, შედარებით გადმოიკემა ნაირგვარი ობიექტის ასევე ნაირგვარი მოქმედება. რაც შეეხება შედარების სახეს, იგი შესადარებელი ობიექტისა და მოქმედების ხასიათის შესაბამისად არის შერჩეული.

3. ცალკე ჯგუფად უნდა გამოიყოს შედარებები, რომლებიც ობიექტის ამა თუ იმ თვისებას გამოხატავენ, ანდა ობიექტის ზოგად შეფასებას შეიცავენ.

შედარებები, სადაც გმირის თვისება უშუალოდ არის მოცემული და ამ გზით შეფასებული, თითზე ჩამოსათვლელია. მათში უფრო ხშირად აქცენტირებულია გმირის ისეთი თვისება, როგორცაა სიმარტე: „იმედა ჩამეშველა, შავარდენივით მალა“ (IV, 199), იშვიათად გულადობა: „სიკვდილს არ დასდევს დავითი, გულ უძე, როგორც ქვანია“ (IV, 113).

ხალხი ამგობინებს გმირის ესა თუ ის თვისება უშუალოდ მოქმედებაში გამოხატოს, ან ისეთ შედარებებს მიმართოს, რომელიც ზოგად შეფასებას შეიცავს და იმანენტურად მრავალი ნიშნის მატარებელია.

გმირის შეფასება ყოველთვის მისი ვეჟაკური თვისებების ხაზგასმით ხდება. მოვიყვანთ მხოლოდ რამდენიმე მაგალითს: „ეგ ბაბუხურის შვილია რკინას ღვაგ ფოლადისასა“ (IV, 69), ან: „ზე დარჩის ალუდაური, დაეღვებას ღვაგ ცასასა“ (IV, 248).

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, გმირის შეფასება ხდება ქორის, არწივის, ლომის, ვეფხვის, მებისა და სხვა სახე-სიმბოლოებით.

ზოგჯერ შედარებაში თავს იჩენს ცალკეულ მოვლენათა ასევე ზოგადი შეფასება.

4. მომდევნო შინაარსობრივ-თემატურ ჯგუფში ერთიანდება შედარებები, რომლებიც პერსონაჟის შინაგან, სულიერ მდგომარეობას გადმოგვცემს.

ასეთი შედარებით გადმოიკემა გმირის სულიერი აქტივობა: „ფიცებელა ნაროზული წითელ გველივით შქერდისა“ (IV, 69).

იშვიათად გმირი თავის სულიერ მდგომარეობას ტირილითაც გამოხატავს: „შააკლდა ტყვია-წამალი, დაჯდა, ქალურად სტირსაო“ (IV, 177).

ერთგან პერსონაჟის სულიერი მდგომარეობა გაცხადებულია ისეთი შედარებით, რომელსაც მეტაფორული საფუძველი გააჩნია: „ეგეთი ამაიგმინა, თითქო გველმა ჰკრა კბილიო“ (III, 254).

საზოგადოდ, შედარებები, რომლებიც პერსონაჟის სულიერ მდგომარეობას გადმოგვცემს, საგმირო ლექსში სიმრავლით არ გამოირჩევა.

ჩატარებული ანალიზი საშუალებას გვაძლევს გვაკეთოთ რამდენიმე ძირითადი დასკვნა:

1. საგმირო პოეზიის შედარების გარეგანი ფორმა და შინაგანი სტრუქტურა მრავალფეროვნებით ხასიათდება.
2. მოცემულ ტროპში მკაფიოდ აირეკლება ეპოსის ძირითადი პოეტური და ესთეტიკური პრინციპები: ჰიპერბოლიზაცია, დინამიზმი, ლირიკულ და ეპიკურ გვარეობით საწყისთა სინთეზი.
3. მრავალი შედარება უკვე მზაფორმულად გვევლინება. ტრადიციულ სახეთა დიდი ნაწილი სწორედ საგმირო პოეზიის წიაღში შემუშავებული ჩანს საუკუნეთა მანძილზე. აღნიშნული გარემოება კი მოცემული ეპოსის, როგორც მხატვრული და ესთეტიკური სისტემის, დასრულებულობაზე მიუთითებს.
4. შედარების მხატვრულ-გამომსახველობითი ფუნქცია მრავალმხრივ იკვე-



თემა: წარმოაჩენს პორტრეტულ ნიუანსებსა და საგნის გარეგან მახასიათებლებს და აღმოგვცემს ნაირგვარ მოქმედებასა და ამ მოქმედების შედეგს, გამოხატავს ობიექტის ამა თუ იმ თვისებას, ან ამ ობიექტის ზოგად შეფასებას შეიცავს, აცხადებს პერსონაჟის სულიერ მდგომარეობას.

Э. О. МАКАРАДЗЕ

СРАВНЕНИЕ В ГРУЗИНСКОЙ НАРОДНОЙ ГЕРОИЧЕСКОЙ ПОЭЗИИ

Резюме

Внешняя форма и внутренняя структура сравнения в героической поэзии характеризуется многообразием.

В сравнении ясно отражаются основные поэтические и эстетические принципы жанра: гиперболизация, динамизм и др.

Многие сравнения представляются нам уже традиционными формулами. Большая часть традиционных образов является разработанной именно в недрах героической поэзии на протяжении многих веков.

Художественно - выразительная функция сравнения выявляется многообразно: рисует детали портрета персонажа и внешний облик предмета, передает разнообразные действия и результат этого действия, выражает то или иное свойство объекта, или же душевное состояние персонажа.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორისტიკის განყოფილება
წარმოადგინა შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტმა

ცილა ჟურნალი

 კვლავ „ქართლის ცხოვრების“ ხელნაწერების
 აპოკრიფულ თხზულებათა შესახებ

„ქართლის ცხოვრების“ დღეისათვის ცნობილი ხელნაწერებიდან ორს — მარიამისეულსა (კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის S 30 ხელნაწერი, 1638—1646 წწ.) და მაჩაბლისეულს (იმავე ხელნაწერთა ინსტიტუტის H 2135 ხელნაწერი, 1736 წ.) — უძღვის აპოკრიფული თხზულებები, პირველს — ორი, ხოლო მეორეს — ერთი.

მარიამისეული „ქართლის ცხოვრების“ პირველი აპოკრიფი, რომლის ავტორადც დასახელებულია ეფრემი, საკმაოდ ვრცელია. მას ხელნაწერის 48 ფურცელი უჭირავს (1r—49r) და შემდეგი სათაური აქვს: „თქმული წმიდისა მამისა ჩუენისა ეფრემისი, თარგმანი დაბადებისათჳს ცისა და ქუეყანისა და ადამისთვის, ვითარ მისცულეს გუამი მისი და დამარხეს გოლგოთას, და ცუალეზა ნათესავთა, ვითარ ეპოვეთ ნათესაობა ქრისტესი ჳორცითა, ვითარცა წერილ არს სახარებასა ლუკას თავსა ადამისითჳს, ყოველთა მამათა (!), ვიდრე ქრისტესამდე, უფლისა და ღმრთისა ჩუენისა. პირველად ხოლო ესე თარგმანა წმიდამან [მა]-მამან ჩუენმან ეფრემ, შობა მამათმთავართა ადამისიდჳს ვიდრე ქრისტესამდე, შაცხოვრისა და ღმრთისა“.

ეს აპოკრიფი, როგორც სათაურიდანაც ჩანს, მოგვითხრობს ქვეყნისა და ადამიანის გაჩენის ამბებს, კაცობრიობის ისტორიას ადამიდან ქრისტემდე. იგი მთავრდება ქრისტეს ჳვარცმისა და ამაღლების აღწერით. ამ ისტორიის გადმოცემისას თხზულება თითქმის მთლიანად ბიბლიურ ცოდნას ემყარება, მხოლოდ შიგადაშიგ ბიბლიისეული თხრობები შეზავებულია აპოკრიფული ეპიზოდებითა და ლეგენდებით, აპოკრიფული ჩანართები ხშირად გამდიდრებულია ავტორისეული ლირიკული წილსვლებით.

მეორე აპოკრიფი, რომელიც იმავე მარიამისეულ „ქართლის ცხოვრებაში“ უშუალოდ მოსდევს ეფრემის ავტორობით ცნობილ პირველ აპოკრიფს, არას მცირე მოცულობის თხზულება: „წმიდისა და ღმრთივ განბრძნობილისა დიდისა ბასილისი თხრობა ეველოს [მი]მართ, მოძღურისა თჳსისა, შიშუელ-მართალთათჳს და ქუეყნისა საზომისათჳს აღმოსავლითჳს ვიდრე დასავლეთამდე“ (49v—52r).

აპოკრიფში აღწერილია ედემი, სადაც შიშუელ-მართალნი მკვდრობენ, დასახელებულია ედემიდან სხვადასხვა მანძილზე განლაგებული გეოგრაფიული ადგილები, მოთხრობილია, თუ როგორ მოხვდნენ იქ ე. წ. შიშუელ-მართალნი.

რაც შეეხება მაჩაბლისეულ „ქართლის ცხოვრებაში“ დაცულ აპოკრიფულ მოთხრობას, მას თხზულებას ვერც ვუწოდებთ, რადგან თავისი არც სათაური აქვს და არც დასასრული: მაჩაბლისეული „ქართლის ცხოვრება“ ყოველგვარი დასათაურების გარეშე უშუალოდ ამ ტექსტით იწყება¹. მოვიყვანთ რამდენიმე

¹ ხელნაწერში აპოკრიფულ მოთხრობას წინ უძღვის ანტირიქონიანი ტექსტი, ესაა ყველა-სათვის კარგად ცნობილი „ახალი ქართლის ცხოვრების“ შესავალი, ანუ ვახტანგ VI-ის სწავლულ კაცთა კომისიის ცნობილი მიმართვა ქართველთა მიმართ. აი, ეს შესავალიც: „პატიოსან-ნო და დიდებულნო ქართველნო, ეამთა ვითარებისაგან „ქართლის ცხოვრება“ განრწყუნილ იყო, რომელიმე მწერალთა მიერ და რომელიმე ეამთა ვითარებისაგან არღარა წერებულ იყო.



სტრიქონს ამ ე. წ. აპოკრიფული მოთხრობის დასაწყისიდან: „სათაყობისა სიბრძნით შემოქმედსა მას ღმრთისა და უფლისა ჩუენისა, რათა შექმნასა წამოცხადება ესე მრავლისა სიბრძნისა მისითა და აურაცხელისა სახიერებისა მისისათა არა-არსებისაგან არსებად მოყუანებად ამისად და ვითარცა იტყუიან ღმრთისმეტყუ-ელნი ეკლესიისანი, ვითარმედ მხოლოდ სიტყუათა ოდენ თქუა და ყოველივე იქმნა“... და სხვ. დასასრულს კი ასევე უშუალოდ, რაიმე დაბოლოების აღნიშ-ვნის გარეშე, ებმის ლეონტი მროველის „მეფეთა ცხოვრების“ ტექსტი.

ეს თხზულებაც ქვეყნისა და ადამიანის გაჩენის, ადამისა და მისი შთამომავ-ლების ბიბლიურ ისტორიას მოგვითხრობს, ოღონდ მარიაამისეული „ქართლის ცხოვრების“ აპოკრიფისაგან საკმაოდ განსხვავებულად, თანაც იგი გაცილებით მოკლეა: წყდება ნოესა და მისი შვილების თავგადასავალზე.

სამივე თხზულება გამოცემულია.

მარიაამისეული „ქართლის ცხოვრების“ აპოკრიფები გამოაქვეყნა ე. თაყაი-შვილმა 1906 წელს. ეს ტექსტები მის მიერ გამოცემულ მარიაამისეულ „ქართ-ლის ცხოვრებას“ დამატებად (დამატება I) ერთვის სათაურით: „აპოკრიფული მოთხრობანი, რომელნიც წინ მიუძღვიან მარიამ დედოფლის ქართლის ცხოვ-რების ხელნაწერს“². პირველი აპოკრიფი („დაბადებისათჳს ცისა და ქუეყა-ნისა“...) ამის შემდეგ აღარ გამოცემულა³, მხოლოდ მისი ერთი მონაკვეთის — „ჟამნი დღისა და ღამისას“ ქართული ტექსტი და მისი ფრანგული თარგმანი გამოაქვეყნა 1927—1928 წწ. ზურაბ ავალიშვილმა⁴. მეორე აპოკრიფის „შო-შუელ-მართალათჳს და ქუეყანისა საზომისათჳს“... კრიტიკული გამოცემა არ-სებობს. იგი საგანგებოდ შესიწავლა და ვრცელი გამოკვლევითურთ გამოსცა კ. კეკელიძემ⁵, ცოტა უფრო ადრე ასევე ვრცელი გამოკვლევა უძღვნა აღნიშ-ნულ აპოკრიფს და ე. თაყაიშვილის ზემოთ დასახელებული გამოცემის მიხედ-ვით ფრანგულად თარგმნა იმავე ზურაბ ავალიშვილმა⁶.

მაჩაბლისეული „ქართლის ცხოვრების“ აპოკრიფული მოთხრობაც მხოლოდ ერთხელაა გამოცემული. ისიც ე. თაყაიშვილმა გამოაქვეყნა შემდეგი სათაუ-

ხოლო მეხუთემან ვახტანგ, ძემან ლეონისმან და ძმისწულმან სახელოვნის გიორგისმან, შე-კრიბნა მეცნიერნი კაცნი და მოიხუნა, საცა რამ ქართლის ცხოვრებაები პოვნა, და კჳლად გუჯარნი მცხეთისანი, გელათისანი და მრავალთა ეკლესიათა და დიდებულთანი, და შეამოწმეს და, რომელი განრყუნილ იყო, განმართეს, და სხვადა წერილნი მოიხუნეს, რომელიცე სომეხთა და სპარსთა ცხოვრებისაგან გამოიხუნეს და ესრეთ აღწერეს“.

² ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლის ვარიანტი, გამოცემული ე. თაყაიშვილის რედაქ-ტორობით, თბ., 1906, გვ. 786—849.

³ ეს აპოკრიფი შემდგომში ე. თაყაიშვილმა გამოსაცემად მოამზადა A 153 ხელნაწერის მიხედვით, რომელსაც ვარიანტები გაუწყო მარიაამისეული „ქართლის ცხოვრების“ ტექსტიდან. მაგრამ, სამწუხაროდ, ამ გამოცემის განხორციელება მკვლევარს აღარ დასცალდა (იხ. კ. კეკე-ლიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ე. თაყაიშვილის პირადი საარქივო ფონდი, საქმე № 58). აღნიშნული აპოკრიფის ტექსტი გამოსაცემად მომზადა ჩვენ მიერ ოთხი ხელნაწერის მიხედ-ვით (ქუთ. 128, A 153, S 30, ლენინგრადის სალტიკოვ-შხედრინის საქარო ბიბლიოთეკის ოთხე ბატონიშვილის № 10) და გადაეცა გამოსაქვეყნებლად.

⁴ Notice sur une version géorgienne de la Caverne des Trésors, apocryphe syriaque attribué à saint Ephrem, Extrait de la Revue de l'Orient Chrétien Dirigée par R. Graffin, t. VI (XXVI), 1927—1928, № 3—4, გვ. 381—405.

⁵ კ. კეკელიძე, გიმნოსიოგისტები ძველ ქართულ ლიტერატურაში, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, II, თბ., 1945, გვ. 108—129. იხ. აგრეთვე: მისივე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, I, თბ., 1951, გვ. 423.

⁶ Z. Avalichvili, Géographie et légende, dans un écrit apocryphe de saint Basile: Revue de l'Orient Chrétien, Dirigée par R. Graffin, t. VI, (XXVI), 1927—1928, № 3—4, გვ. 279—304.

რით: „აპოკრიფული მოთხრობა, რომელიც წინ უძღვის „ქართლის ცხოვრების“ მჩაბლისეულ ხელნაწერს“⁷.

მარიამისეული „ქართლის ცხოვრების“ პირველი აპოკრიფის რაობა ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში პირველად ივ. ჯავახიშვილმა გაარკვია. მან სირიულ და ეთიოპურ შესაბამის ტექსტებთან შედარების შედეგად დაადგინა, რომ ეს თხზულება ასურული „განძობა ქვაბის“ ერთ-ერთი ვერსიის თარგმანს წარმოადგენს. გარდა ამისა, ქართულ სამეცნიერო წრეებს გააცნო კ. ბეცოლდის წიგნი (Karl Bezold, Die Schatzhöhle, Leipzig, 1883) და იმავე ავტორის დებულებები იმის შესახებ, რომ, მართალია, ეს აპოკრიფი, ისევე როგორც ქართულში, ასურულ და ბიზანტიურ მწერლობაშიც ეფრემს მიეწერება, მაგრამ იგი სინამდვილეში ეფრემ ასურს არ ეკუთვნის. თხზულება დაწერილი უნდა იყოს VI საუკუნეში ეფრემის ერთ-ერთი მიმდევრის მიერ⁸. აღნიშნული აპოკრიფის ქართული ვერსია უცხოენოვან ტექსტებს (სირიულს, არაბულს, ეთიოპურს) შეუდარა ზ. ავალიშვილმაც, მან გაარკვია ტექსტობრივი მიმართებები, დასვა საკითხი იმის შესახებ, თუ რომელი ენიდან, როდის და სად უნდა იყოს შესრულებული ქართული თარგმანი⁹. იგი, სახელდობრ, თვლიდა, რომ, მართალია, ეს ტექსტი XVII ს. ხელნაწერთაა ცნობილი, მაგრამ აშკარად ატარებს შედარებითი სიძველის კვალსა და ნიშნებსო.

როგორც აღნიშნავენ, ამ აპოკრიფს დიდი გავლენა მოუხდენია ბიზანტიისა და აღმოსავლეთის ქრონოგრაფებსა და ისტორიკოსებზე. ამ გავლენას არ უნდა ასცდნოდნენ აგრეთვე ქართველი ისტორიკოსები და მემატრიანენიც¹⁰. ლეონტი მროველის „მეფეთა ცხოვრებაზე“ ამ გავლენის ფაქტები თვალსაჩინოდ წარმოაჩინეს ი. ჯავახიშვილმა¹¹ და კ. კეკელიძემ¹². კ. კეკელიძის აზრით, აღნიშნული თხზულებით ლეონტის გარდა ჟუანშერსაც უნდა ესარგებლა¹³. „მოქცე-

⁷ აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XVII-B, 1953, გვ. 24—47.

⁸ ივ. ჯავახიშვილი, Государственный строй древней Грузии и древней Армении, т. I, 1905, გვ. 26—27; მისივე, ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა, წიგნი I, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა (V—XVIII სს.), ტფ., 1916, გვ. 120.

⁹ ზ. ჯანაშვილი ამ აპოკრიფს აიგივებდა ე. წ. ნებროთის წიგნთან, რომელიც ხშირად იხსენიება ქართულ ისტორიულ წყაროებში (Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа, вып. XXIX, გვ. 19, 43, 44). ზ. ჯანაშვილის ეს მოსაზრება სამართლიანად გააყრიტყა კ. კეკელიძემ (იხ. კ. კეკელიძე, ლეონტი მროველის ლიტერატურული წყაროები, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, XII, თბ., 1973, გვ. 21—25; მისივე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, გვ. 399—403). ნაშრომში „საიდან და როგორ ვარნდა „ქართლის მოქცევის“ ქრონიკაში სახელწოდება „არიან-ქართლი“ (1948 წ.) თყაყაიშვილი წერდა: „აქ საჭიროა კიდევ აღნიშნოთ, რომ „ქუეპი სავანძურის“ შესწავლა აყენებს საკითხს „ნებროთის წიგნის“ არსებობის შესახებ, მაგრამ ამ საკითხს ჩვენ სტენგელის აპოკრიფის ახალ გამოცემაში განვიხილავთ (გვ. 626), მაგრამ, როგორც ზემოთ უკვე აღნიშნეთ სტენგელის აპოკრიფის ახალი გამოცემა ე. თყაყაიშვილს აღარ დასცალდა, ამიტომ ნებროთის წიგნის საკითხიც განუხილველი დარჩა.

¹⁰ Z. Avalichvili, Notice sur une version géorgienne de la Caverne des Trésors..., გვ. 391.

¹¹ ე. თყაყაიშვილი, აპოკრიფული მოთხრობა, რომელიც წინ უძღვის..., გვ. 25.

¹² ივ. ჯავახიშვილი, Государственный строй..., გვ. 20—27; მისივე, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა..., გვ. 120—122.

¹³ კ. კეკელიძე, ლეონტი მროველის ლიტერატურული წყაროები, გვ. 21—25, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, გვ. 399—403.

¹⁴ კ. კეკელიძე, დასახ. ნაშრომები, გვ. 21, გვ. 400.



ვამ ქართლისაჲს“ ქრონიკის შემდგენლის მიერ „განძთა ქვაბის“ ქართული ვერსიის გამოყენებაზე ყურადღება გაამახვილა ე. თაყაიშვილმა¹⁴.

ამ აპოკრიფის ადგილს „ქართლის ცხოვრებაში“ და მის კავშირს ლეონტი მროველის თხზულებასთან პირველად კ. კეკელიძე შეეხო. იმასთან დაკავშირებით, რომ მარიამ დედოფლის „ქართლის ცხოვრების“ რედაქციაში აღნიშნული აპოკრიფი წინ უძღვის ლეონტი მროველის „მეფეთა ცხოვრებას“, კ. კეკელიძე წერს: „ეს ასეც უნდა ყოფილიყო, ლეონტიმ განიზრახა დაეწერა უძველესი ისტორია თავისი ერისა. ამ ისტორიას ის ვერ დაიწყებდა, როგორც იტყვიან, ex abrupto, მისთვის საჭირო იყო ისეთი ნაწარმოები, რომელიც მას ზოგიერთ უმთავრეს დებულებებს მისცემდა და თან ქართველთა ისტორიას მსოფლიო ისტორიას დაუყავშირებდა. ასეთია სწორედ დასახელებული აპოკრიფი, რომელიც, როგორც გამამართლებელი და დამამტკიცებელი მისი ისტორიული შრომისა, მისი, ასე ვთქვათ, შესავალი და პრობლემატიკული ნაწილი, თვით ლეონტიმ გადმოთარგმნა და მკითხველი საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი გახადა“¹⁵. თხზულება კ. კეკელიძემ ბერძნულიდან თარგმნილად მიიჩნია¹⁶.

შესაბამისად, კ. კეკელიძე „განძთა ქვაბის“ ქართულად თარგმნას XI საუკუნისათვის ვარაუდობდა (ლეონტი მროველი XI საუკუნის მოღვაწეა). ე. თაყაიშვილის აზრით კი, ეს აპოკრიფი ქართულ ენაზე უნდა თარგმნილიყო არა უგვიანეს IX საუკუნისა (წინააღმდეგ შემთხვევაში „ქართლის მოქცევის“ ქრონიკის შემდგენელი მას ვერ გამოიყენებდა)¹⁷. სხვათა შორის, „განძთა ქვაბის“ ტექსტის ენობრივი შესწავლა საეცხებით იძლევა უფლებას, რომ მისი ქართული თარგმანი IX საუკუნისათვის უკვე არსებულად ვივარაუდოთ (ამ ძეგლის ენობრივი მიმოხილვა ერთვის „განძთა ქვაბის“ ჩვენ მიერ გამოსაცემად მომზადებულ ტექსტს, რომელიც ახლო მომავალში გამოქვეყნდება).

საკითხი იმის შესახებ, თუ რა მიზანს ისახავდა „განძთა ქვაბის“ ქართული თარგმანის „ქართლის ცხოვრების“ ტექსტისათვის დართვა, უფრო დაწვრილებით განიხილა ს. ყაუხჩიშვილმა. „ის გარემოება, — წერდა ს. ყაუხჩიშვილი, — რომ მარიამისეულ ნუსხასშიც და მაჩაბლისეულშიც „ქართლის ცხოვრება“ ლეონტი მროველის თხზულებით კი არ იწყება, არამედ მოთხრობით ქვეყნის გაჩენაზე, შემთხვევითი არ შეიძლება იყოს. ამ ორ ნუსხაში „ქართლის ცხოვრების“... დაწყებამდე მოთხრობილი თქმულებები წარმოადგენენ „მსოფლიო ისტორიას“ (მამინდელი გაგებით), სადაც ისტორიის სახელმძღვანელოს რედაქტორი გადმოსცემს მკითხველს ქვეყნის გაჩენის ამბავს, ამის მომდევნო პირველ მამათა ისტორიას, ისრაელთა თავგადასავალს და ა. შ.“¹⁸. ს. ყაუხჩიშვილის აზრით, აპოკრიფული თქმულებები, რომლებიც წინ უძღვიან მარიამისეულ და მაჩაბლისეულ „ქართლის ცხოვრების“ ხელნაწერებს, მათ ორგანულ

¹⁴ ე. თაყაიშვილი, საიდან და როგორ გაჩნდა სახელი „არიან-ქართლი“ ქართლის მოქცევის“ ქრონიკაში, საქართველოს სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. IX, № 9—10, 1948, გვ. 621—627.

¹⁵ კ. კეკელიძე, ლეონტი მროველის ლიტერატურული წყაროები..., გვ. 23. მისივე ძველი ქართული მწერლობის ისტორია, I... გვ. 411.

¹⁶ იქვე.

¹⁷ ე. თაყაიშვილი, საიდან და როგორ გაჩნდა სახელი „არიან-ქართლი“..., გვ. 624.

¹⁸ ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1955, გვ. 011. ამ წიგნის შესავალში, რომელიც ს. ყაუხჩიშვილს ეკუთვნის, მე-4 პარაგრაფი — „ქართლის ცხოვრება“ და „მსოფლიო ისტორია“ თითქმის სიტყვისიტყვით იმეორებს ამავე სათაურის სტატიას, რომელიც მკვლევარს გამოქვეყნებული ჰქონდა უფრო ადრე ა. წულუკიძის სახ. ქუთაისის სახელმწიფო პედინსტიტუტის შრომებში (ტ. VII, 1947, გვ. 1—7).

ნაწილებს წარმოადგენენ: ისინი ასწავლიან ქართველ მკითხველს, რომ „საქართველოს ისტორია არის ნაწილი მსოფლიო ისტორიისა“¹⁹.

ის ფაქტი, რომ მარიამისეულ და მაჩაბლისეულ „ქართლის ცხოვრებათა“ აპოკრიფული თხზულებები სხვადასხვა შინაარსის ტექსტებია, ამგვარი დასკვნის გამოტანას ხელს არ უშლის; ს. ყაუხჩიშვილისავე აზრით: „ასეთი განსხვავებულობა ამ ორ ნუსხას შორის გვაფიქრებინებს, რომ „ქართლის ცხოვრების“ ნუსხათა რედაქტორები პირველ სტატიად ათავსებდნენ „მსოფლიო ისტორიას“, ხოლო ეს ისტორია შეიძლება დაწერილი ყოფილიყო სხვადასხვანაირად“²⁰.

იმასთან დაკავშირებით, თუ როდის დაიწყო „ქართლის ცხოვრების“ ხელნაწერებში მსოფლიო ისტორიის ტექსტების შეტანა, მკვლევარი წერს: „მსოფლიო ისტორია“ „ქართლის ცხოვრების“ ხელნაწერებში შემთხვევით კი არ არის მოხვედრილი, არამედ იგი იმთავითვე მოიპოვებოდა „ქართლის ცხოვრებაში“, როგორც მისი შესავალი ნაწილი“²¹. ს. ყაუხჩიშვილი აქვე იმასაც აღნიშნავს, რომ ეს მოვლენა ჩვენში დამოუკიდებლად არ გაჩენილა, იგი ბიზანტიურ ისტორიოგრაფიაში არსებულ ტრადიციას ემყარება²².

მარიამისეული „ქართლის ცხოვრების“ ე. წ. „მსოფლიო ისტორია“, ანუ აპოკრიფი „თარგმანი დაბადებისათვის ცისა და ქუეყანისა და ადამისთვის“.. დამოუკიდებელი თხზულებაა²³, რომელიც, როგორც უკვე გარკვეულია, ასურული „განძთა ქვაბის“ ერთ-ერთი ვერსიის თარგმანს წარმოადგენს. მაჩაბლისეული „ქართლის ცხოვრების“ აპოკრიფულ თქმულებას კი, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, თავისი არც სათაური აქვს და არც დასასრული. იგი უსათაუროდ იწყება და დაბოლოების გარეშე უშუალოდ ერწყმის ლეონტი მროველის „მეფეთა ცხოვრებას“. ამიტომ ბუნებრივად ისმის კითხვები: რას წარმოადგენს ეს აპოკრიფად მიჩნეული მოთხრობა? დამოუკიდებელი ნაწარმოებია, თუ რომელიაღაც სხვა თხზულების ნაწილი? თარგმანია, თუ ორიგინალური ქართული ძეგლი?

ს. ყაუხჩიშვილს თავის შრომებში ამ საკითხზე რატომღაც ყურადღება არ გაუმახვილებია. დამოუკიდებელ და ამავე დროს ქართველი ავტორის მიერ შედგენილ ნაწარმოებად მიიჩნია იგი ე. თაყაიშვილმა. აღნიშნული აპოკრიფული მოთხრობის გამოცემის წინასიტყვაობაში იგი წერდა: „ეს საყურადღებო აპოკრიფი სპეციალურად უნდა იყოს შედგენილი ქართველის მიერ. ეს უკანასკნელი სარგებლობს გარდა ძველი აღთქმისა, აგრეთვე, რა თქმა უნდა, სხვა აპოკრიფებით, რომელნიც ჭერჭერობით არსადაა ცნობილი ჩვენს ლიტერატურაში. ნაწილობრივ მას „ქვაბ საგანძურის“ გავლენაც ეტყობა... მაგრამ მასში მოიპოვება აგრეთვე ბევრი სხვა ცნობები, რომელნიც სხვა წყაროებიდან მომდინარეობენ“²⁴. ე. თაყაიშვილის აზრით, ეს აპოკრიფი შექმნილი უნდა იყოს XVII ს-ის მეორე ნახევარში, ან XVIII ს-ის პირველ მესამედში²⁵.

¹⁹ იქვე.

²⁰ იქვე, გვ. 012. ს. ყაუხჩიშვილის დაკვირვებით, ასეთივე „მსოფლიო ისტორია“ წამძვარებული უნდა ჰქონოდა ანასეულ „ქართლის ცხოვრებასაც“, რომელსაც ხელნაწერში პირველი 15 ფურცელი უნდა სჭეროდა და რომელიც შემდეგში დაკარგულა.

²¹ იქვე, გვ. 013.

²² იქვე.

²³ ეს აპოკრიფი სხვა ტიპის კრებულებშიც გვხვდება. იხ. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის A 153, H 433, H 881, H 1064, ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის № 128, გ. ლეონიძის სახ. სახელმწიფო ლიტ. მუზეუმის № 3 და სახელმწიფო არქივის № 784 ხელნაწერები.

²⁴ ე. თაყაიშვილი, აპოკრიფული მოთხრობა, რომელიც წინ უძღვის..., გვ. 27.

²⁵ იქვე, გვ. 28.

ს. ყაუხჩიშვილი, როდესაც ბიზანტიურ ისტორიოგრაფიაში მსგავსი ტრადიციის არსებობაზე მიუთითებს და აღნიშნავს, რომ საკუთარი ისტორიისათვის მსოფლიო ისტორიის მოკლე მიმოხილვის დართვა საშუალო საუკუნეებში ბიზანტიური ისტორიოგრაფიისათვის არის დამახასიათებელიო, ნიმუშად ასახელებს ერთი ბიზანტიური ქრონოგრაფის (=მსოფლიო ისტორია) ქართულ თარგმანს, „რომელშიც, — როგორც თვითონ ამბობს, — ყოფილა სწორედ ასეთივე „მსოფლიო ისტორია“ (ქვეყნის გაჩენიდან ნოეს შვილებამდე, ვიდრე თარგამოსამდე), რომელიც „ქართლის ცხოვრების“ მაჩაბლისეულ ნუსხაში გვაქვს“²⁶. მას მოჰყავს აღნიშნული ქრონოგრაფის დასაწყისი, რომელიც საესებით იდენტურია მაჩაბლისეული „ქართლის ცხოვრების“ შესავლის დასაწყისისა: „სათნო უჩნდა სიბრძნითა შემოქმედსა მას ღმერთსა და უფალსა ჩუენსა, რათა შექმნას სოფელი ესე“ და სხვ.²⁷

ს. ყაუხჩიშვილმა ბიზანტიური ქრონოგრაფისა და მაჩაბლისეული „ქართლის ცხოვრების“ აპოკრიფული მოთხრობის დასაწყისებს შორის მსგავსება კი აღნიშნა, მაგრამ არაფერი უთქვამს იმის შესახებ, თუ რა მიმართება შეიძლებოდა ყოფილიყო აღნიშნულ ქრონოგრაფსა და მაჩაბლისეული „ქართლის ცხოვრების“ აპოკრიფულ მოთხრობას შორის. ასე რომ, ამ მიმართების საკითხი სამეცნიერო ლიტერატურაში ღიად დარჩა.

მაჩაბლისეული „ქართლის ცხოვრების“ ეს ე. წ. აპოკრიფული მოთხრობა შევეუდარეთ ზემოხსენებული ქრონოგრაფის ტექსტს²⁸. მრავალრიცხოვანი ხელნაწერებიდან შესადარებლად შევარჩიეთ ლენინგრადის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის M 22 ხელნაწერი (იგი გადაწერილია მოსკოვში 1738 წელს და წარმოადგენს დედანს ყველა დანარჩენი ხელნაწერისათვის. გადამწერები არიან ონისიმე და ეფრემ გარსევანიშვილები) ეს ქრონოგრაფი ქართულად ითარგმნა მე-18 საუკუნის დამდეგს მოსკოვში არჩილ მეფის ინიციატივით. როგორც მიწაწერებიდან ირკვევა, ტექსტის პირველი ნახევარი (თეოდოსი მეფის ისტორიამდე, ჩათვლით, 408—450 წწ.) ბერძნულიდან უთარგმნია ბაგრატ სოლოლაშვილს, რომელსაც თავისი ნაწილი 1706 წ. დაუმთავრებია. იმავე წელს თარგმანი გაუგრძელებიათ არჩილსა და მის თანამშრომლებს რუსული ენიდან²⁹.

მაჩაბლისეული „ქართლის ცხოვრების“ აპოკრიფული მოთხრობა სიტყვა-სიტყვით გაჰყვა ქრონოგრაფის შესავალ ნაწილს. ამ ტექსტთა დასაწყისები რომ

²⁶ ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ..., გვ. 011.

²⁷ იქვე, გვ. 011. ბიზანტიური ქრონოგრაფის ხელნაწერი ამგვარი დასაწყისით ს. ყაუხჩიშვილისათვის ივ. ჭავჭავაძისგან გადაეცა ჯერ კიდევ 1919 წელს. შემდეგ თვითონ მას კიდევ ათი ამგვარი ხელნაწერი დაუძებნია. ესენია: კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის H ფონდის ხელნაწერები: № 166, 294, 704, 722, 868, 1198, 1358, 1671, 2214, 2252 (იქვე, გვ. 014).

დღეისათვის ამ ქრონოგრაფის 20-მდე ხელნაწერი აქვს აღნუსხული კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის არქივების განყოფილების გამგეს მ. ქავთარიას, რომელმაც ეს მრავალმხრივ საყურადღებო ძეგლი გამოსაცემად მოამზადა. მან თავის მიერ გადმოწერილი ტექსტი დაგვიტოვა კიდევ სარგებლობისათვის.

²⁸ აღნიშნული ქრონოგრაფის ვერსიები, მათ შორის ქართულიც, საგანგებოდ შეისწავლა ი. ლებედევამ. იგი აღმოჩნდა XVI—XVII სს. ძეგლი — ე. წ. ფსევდო-ლორთბო ქრონოგრაფი: И. Н. Лебедева, Поздние греческие хроники и их русские и восточные переводы: Палестинский сборник, выпуск 18 (81), Ленинград, 1968, გვ. 3—140.

²⁹ ხელნაწერი აღწერილი აქვს რ. ორბელს: Р. Р. Орбели, Грузинские рукописи Института востоковедения, вып. I, М.-Л., 1956, გვ. 53—54.

სავსებით იდენტურია, ზემოთ უკვე ითქვა. ამა მოგვაცქეს პარალელური ადგა-
ლები ტექსტის შიდა ნაწილებიდან:

H 2135

M 22

ხოლო მუნად გამოვიდოდა მდინარეცა იგი, რომელიცა რწყევდა სამოთხესა მას, ხოლო განიყოფოდა ოთხ ნაწილად მდინარე იგი: და ერთსა მას ეწოდებინ ფისონ, რომელიცა მოვლის ქუეყანასა მას ევლატისსა. ხოლო მუნ არს ოქრო და ოქრო ქუეყანისა მის კეთილ არს ფრიად. ხოლო გამოვალს მუნ ანთაკიცა და ქუა იგი კაპოეტ. და მეორესა მას მდინარეს ეწოდებინ გეონ, ხოლო ესე მოვლის ყოველსა ქუეყანასა ეთიოპისსა და მესამესა მდინარესა ეწოდებინ ტიგრიზი და შთამოვლის დიდისა ლევითა და გრგვიწიითა და გარე-მოვლის ქუეყანასა მას ასურასტანისასა. და მეოთხესა მას მდინარესა ეწოდებინ ეფრათი და განვლის ბაბილოანსა და გამოჰყრის თვალთა პატოისანთა მრავალსაყიდლისათა და ყოვლად შუენიერთა (გვ. 6).

ხოლო მუნად გამოვიდოდა მდინარეცა იგი, რომელიცა რწყევდა სამოთხესა მას, ხოლო განიყოფოდა ოთხ ნაწილად მდინარე იგი: და ერთსა მას ეწოდებინ ფისონ, რომელიცა მოვლის ქუეყანასა მას ევლატისსა. ხოლო მუნ არს ოქრო, და ოქრო ქუეყანისა მის კეთილ არს ფრიად. ხოლო გამოვალს მუნ ანთაკიცა (!) და ქუა იგი კაპოეტი. და მეორესა მას მდინარესა ეწოდებინ გეონ, ხოლო ესე მოვლის ყოველსა ქუეყანასა ეთიოპისსა. და მესამესა მდინარესა ეწოდებინ ტიგრიზი, და შთამოვლის დიდისა ლევითა და გვირგვინითა და გარე-მოვლის ქუეყანასა მას ასურასტანისასა. და მეოთხესა მას მდინარესა ეწოდებინ ეფრათი და განვლის ბაბილოანსა და გამოჰყრის თვალთა პატოისანთა მრავალსაყიდლისათა და ყოვლად შუენიერთა (გვ. 19—20).

H 2135

M 22

ხოლო ღმერთმან დაადგინა იგი სამოთხესა შინა, რათა იყოს იგი და სკვიდეს სამოთხესა მას. და დასდვა სახელი მისი ადამ. და ვინათვან ოთხი კუთხე არს ქუეყანისა: აღმოსავლეთი, დასავლეთი, სამკრეთი და ჩრდილოეთი, და ამისთვისცა სახელ-სდვა სახელი ესე: ხოლო პირველი ანი აღმოსავლეთათ ითქმის და დონი დასავლეთად და მეორე ანი ჩრდილოეთად და მანი სამკრეთად. ხოლო შუენიერების სხვა რიგადცა სახელი ესე, რამეთუ ებრეულად ადამ და ადამან ქუეყანასა ეწოდებინ, და აწ ვინათვან მიწითვან იყო გამოსული, ამისთვის (!) სახელ-სდვა ადამ (გვ. 11—12).

ხოლო ღმერთმან დაადგინა იგი სამოთხესა შინა, რათა იყოს იგი მუნ და სკვიდეს სამოთხესა მას. და დასდვა სახელი მისი ადამ. და ინათვან (!) ოთხი კუთხე არს ქუეყანისა: აღმოსავლეთი, დასავლეთი, სამკრეთი და ჩრდილოეთი. და ამისთვისცა სახელ-სდვა მას სახელი ესე: ხოლო პირველი ანი აღმოსავლეთათ (!) ითქმის და დონი დასავლეთად და მეორე ანი ჩრდილოეთად და მანი სამკრეთად. ხოლო შუენიერების სხვა რიგათაცა სახელი ესე, რამეთუ ებრეულად ადამ და ადამან ქუეყანასა ეწოდებინ. და აწ ვინათვან მიწითვან იყო გამოსული, ამისთვის სახელ-ედვა ადამ (გვ. 24—25).

მაჩაბლისეული „ქართლის ცხოვრების“ აპოკრიფულ მოთხრობაში ქრონო-
გრაფთან იდენტური ტექსტი ნოეს შვილთაშვილებს — მერსემ და ნებროთის
ხსენებაზე წყდება:

H 2135

M 22

და იყო წყალნი (!) გარდაჯდომილად მისგან ვიდრე წლით-ღრუნამდე (!) ორი ათას ორას-ორმოცდაორი. ხოლო მას ეამსა იყუნეს შვილისშვილთაგანი ნოესთა და გამოსჩნდეს გვირნი და გონებამაღალი მერსემ. და ნებროთ (გვ. 36).

და იყო წელინი გარდაჯდომილ ადამითვან ვიდრე წლით-ღრუნამდე ორი ათას ორასორ-მოცდაორი. ხოლო მას ეამსა იყუნეს შვილი-შვილთაგანი ნოესთა გვირნი და გონებამაღალი მერსემ და ნებროთ.

ქრონოგრაფში ამის შემდეგ ტექსტი გრძელდება მერსემ და ნებროთის თავგადასავლის მოთხრობით („ხოლო მერსემ დაემკვიდრა სოფელსა მას ეგვიპტისასა და ამისთვის ეწოდა სოფელსა ეგვიპტე, რამეთუ ებრეულად მერსემ ეგვიპტედ გამოითარგმანების, და ნებროთ დაემკვიდრა ქუეყანასა მას ასურასტანეთისასა, ხოლო ამისთვის სახელ-ედვა ქუეყანასა მას ასურასტანეთი, რამეთუ ერთსა ძესა სემისსა ეწოდებოდა ასურ...“ და სხვ.), შემდეგ მოსდევს სხვა

ბიბლიური ამბები³⁰. მაჩაბლისეულ „ქართლის ცხოვრებაში“ კი ზუსტად აღვნიშნავთ ადგილას (ე. ი. „გონებამალაღნი მესრემ და ნებროთ“-ის შემდეგ) ქრონოგრაფისეულ ტექსტს აგრძელებს ლეონტი მროველის „მეფეთა ცხოვრებების“ შეერთების ადგილას მათ შორის ჩართულია ერთი გადასამბელი ფრაზა და „მეფეთა ცხოვრების“ პირველი წინადადებაც რამდენადმე შეცვლილი სახითაა წარმოდგენილი. მოგვყავს ეს ადგილი. შესაძარებლად ვიღებთ ლეონტი მროველის „მეფეთა ცხოვრების“ დასაწყისის მარიამისეული „ქართლის ცხოვრების“ ხელნაწერიდან:

H 2135

S 30 (მარიამისეული ქ. ცხ-ის ხელნაწერი)

...გონებამალაღნი მესრემ და ნებროთ. ხოლო იყო სხვაცა ძიხვ ნოესი ავნან რომელი (I) შვა იაფეთ, ძემან ნოესმან და ავანან შვა თარიშის და თარიშის შვა თარგამოზ, და ესე თარგამოზ იყო მამა სომეხთა და ქართველთა და რანთა და მოვაკანელთა, შერთა და ლეთა, მეგრელთა და კავკასიელთა. და იყო კაცი გმირი. და შემდგომად განყრფისა ენათსა, ოდეს აღაშენა ნებროთ ბაბილოვანსა გოდოლი და განყენეს (I) მუნ ენანი და ვანიბიენეს ყოველსა ქუეყანასა... (გვ. 36).

პირველად ვახსენოთ ესე, რამეთუ სომეხთა და ქართველთა, რანთა და მოვაკანელთა, შერთა და ლეთა და მეგრელთა — ამათ თვსთა ერთი იყო მამა, სახელით თარგამოს (I), ესე თარგამოს იყო ძე თარბისი, ძისწული იაფეთისა, ნოს ძისა, და იყო ესე თარგამოს კაცი გმირი. და შემდგომად განყრფისა ენათსა, ოდეს აღაშენეს ბაბილონს გოდოლი და განყენეს მუნ ენანი და ვანიბიენეს (I) მუნ ყოველსა ქუეყანასა... (გვ. 52r).

ამის შემდეგ მაჩაბლისეული და მარიამისეული „ქართლის ცხოვრების“ ტექსტები ზუსტად ერთნაირად გრძელდება. როგორც ვხედავთ, მაჩაბლისეულ ნუსხაში ლეონტი მროველის „მეფეთა ცხოვრება“ ისე მოხერხებულად და ბუნებრივადაა გადაბმული ქრონოგრაფისეულ ტექსტთან, რომ „ქართლის ცხოვრების“ სხვა ხელნაწერებში ცალკე რომ არ არსებობდეს ლეონტის ეს თხზულება, მკითხველი მათ ერთმანეთისაგან ვერც გააცალკევებდა.

ამგვარად, სრულიად აშკარაა, რომ მაჩაბლისეული „ქართლის ცხოვრების“ აბოკრიფული მოთხრობა არ არის დამოუკიდებელი ნაწარმოები, იგი ზემოხსენებული ბიზანტიური ქრონოგრაფის დასაწყისის ნაწილია.

ისმის კითხვა, რა გზით მოხვდა გიორგი მაჩაბლის მიერ გადაწერილ „ქართლის ცხოვრებაში“ ქრონოგრაფის ტექსტი და ვის ეკუთვნის მისი, ასე ვთქვათ, შერწყმა ლეონტი მროველის „მეფეთა ცხოვრებასთან“, ამაზე პასუხს იძლევა კ. გრიგოლიას ნაშრომი: „ქართლის ცხოვრების“ მაჩაბლისეული ხელნაწერი და მისი მნიშვნელობა მეცნიერებისათვის“³¹, სადაც ამ ხელნაწერის შედგენილობისა და წყაროების საკითხებია გარკვეული³².

ხელნაწერის ანდერძში თავისი ვინაობის, ხელნაწერის გადაწერის ადგილისა და დროის აღნიშვნის ვარდა, ვადამწერი გიორგი მაჩაბელი იძლევა ცნობას იმის შესახებაც, რომ მას „მეფის არჩილის ნაქონი ქართლის ცხოვრება“ ჰქონია

³⁰ ექვსთა დღე და საერთოდ ბიბლიური ისტორია ქრონოგრაფში საქმაოდ ვრცელადაა მოთხრობილი, M 22 ხელნაწერში მას მიეღო 54 ფურცელი უპირავს (ფფ. 10—63).

³¹ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. VIII, № 7, 1947, გვ. 487—494. ამ ხელნაწერზე, როგორც კ. გრიგოლია მიუთითებს (დასახ. ნაშრ., გვ. 487, სქოლიო), სხვებზე უფრო ადრე უმუშაუნია ნ. ბერძენიშვილს, ხოლო შემდეგ ილ. აბულაძესა და ს. ყუხჩიშვილს. ს. ყუხჩიშვილს თავისი დაეკვირვებები გამოქვეყნებული აქვს (იხ. „ქართლის ცხოვრება“, ანა დედოფლისეული ნუსხა..., გვ. XXVII—XXXIII).

³² სხვათა შორის, როგორც კ. გრიგოლიას დასახელებული ნაშრომიდან ვტყობილობთ, თვითონ ხელნაწერს მეტად საინტერესო ისტორია ჰქონია: ქ. მოსკოვში 1736 წ. გიორგი მაჩაბლის მიერ გადაწერილი ეს ხელნაწერი გარკვეული ხნის შემდეგ რუსთველს საქართველოში



ხელთ, რომ არჩილისეული ხელნაწერი „დიად ძველი იყო“ და მასში „ამის შებენი არ ეწერა“: „მე, ფრიად ცოდელი (!) გიორგი მაჩაბელმან, დაწვერე წმინდანის ხელნაწერი ესე ქართლის ცხოვრება, დიად ძველი იყო, მეფის არჩილის ნაქონი, ამის შებენი არ ეწერა. მოსკოვის ქალაქს დაიწერა ქრისტეს აქეთ ათას შვიდას ოცდათექვსმეტს — 1736, დასაბამითგან შვიდი ათას ორას ორმოცდაოთხს — 7244“ (გვ. 665).

ხელნაწერის ერთ-ერთი მინაწერი იმასაც იუწყება, რომ მის გადამწერს არჩილის ნაქონი ხელნაწერის გარდა სხვა „ქართლის ცხოვრებაც“ უნდა ჰქონოდა ხელთ: „ორი ქართლის ცხოვრება მქონდა, ამ ერთში თამარ მეფის ანბავი სხვა რიგად ეწერა, ამ მეორის — სხვა რიგად. ორივე დაწვერე, ამ რვეულმა იმიტომ გამოცვალა სიტყვა ორივესი“ (გვ. 400).

არჩილ მეფის ნაქონი „ქართლის ცხოვრების“ ხელნაწერი ჭრჭერობით მიუკვლეველია. მინაწერში დასახელებულ მეორე ხელნაწერს კი კ. გრიგოლიამ მიაგნო: იგი აღმოჩნდა ე. წ. ქალაშვილისეული „ქართლის ცხოვრება“ — კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის Q 207 ხელნაწერი, გადაწერილი 1731 წელს მოსკოვში³³.

მაჩაბლისეული და ქალაშვილისეული „ქართლის ცხოვრების“ ხელნაწერების შედარებისას კ. გრიგოლიამ შეამჩნია, რომ ეს ორი ხელნაწერი არაჩვეულებრივად ჰგავდა ერთმანეთს როგორც თავიანთი თავგადასავლით, ისე შემზადების ხერხებითა და რედაქციული თავისებურებებით. გარდა იმისა, რომ ორავე ხელნაწერი გადაწერილია მოსკოვში ერთი და იმავე პერიოდის გადამწერთაგან 5 წლის ინტერვალით (ქალაშვილისეული — 1731 წელს, მაჩაბლისეული — 1736 წელს), ისინი, „ქართლის ცხოვრების“ დანარჩენი ხელნაწერებისაგან განსხვავებით, ერთდროულად შეიცავენ „ქართლის ცხოვრების“ როგორც ძველი, ისე ახალი რედაქციის ტექსტებს (ამ თავისებურების გამო კ. გრიგოლიამ მათ პირობით რუსეთული რედაქცია უწოდა)³⁴. კ. გრიგოლიამ ისიც შენიშნა, რომ ორსავე შემთხვევაში ხელნაწერის ძირითად ნაწილს ძველი „ქართლის ცხოვრების“ ტექსტი შეადგენს, ოღონდ იმ სხვაობით, რომ ერაჯ ქალაშვილს ძველი ნუსხა პირდაპირ აქვს ჩაყვრებული ხელნაწერში, ვიორგი მაჩაბელი კი მის გადწერას ახდენს.

ამ ორი ხელნაწერის ტექსტობრივი შედარების შედეგად მკვლევარმა კიდევ უფრო დააზუსტა, თუ რა უნდა ჰქონოდა აღებულ მიაჩაბლისეულ „ქართლის ცხოვრებას“ ქალაშვილისეული ნუსხიდან და რა — არჩილისეულიდან. იგი წერს: „მაჩაბლისეული ხელნაწერის გარკვეული ნაკვეთები: ლეონტი მროველის თხზულების დასაწყისი ნაწილი, ბასილი ეზოსმოძღვრის თხზულების შესავალი, „ქართლის ცხოვრების“ გაგრძელება და ოცდაათმეჩვიდმეტე მეფე ფარსმანის ცხოვრების ნაკვეთიც ქალაშვილისეულიდან მომდინარედ ჩანს. რაც

გამოუგზავნია, სადაც იგი 1774 წ. მიუღიათ. ხელნაწერი აქ ქართლ-კახეთის სამეფო სახლის წევრთა და მათთან დაახლოებულ პირთა ხელში მოხვედრილა. გარკვეული დროის შემდეგ იგი კვლავ რუსეთში წაუღიათ, ოღონდ ახლა უკვე პეტერბურგში. რაჟი იგი სალტიკოვ-შჩედრინის სახ. საჯარო ბიბლიოთეკაში იოვანე ბატონიშვილის ნაქონ ხელნაწერთა კოლექციაში აღმოჩნდა, კ. გრიგოლია სავსებით სამართლიანად ვარაუდობს, რომ ეს ხელნაწერი საქართველოდან იოვანე ბატონიშვილს უნდა წაეღო სამეფო სახლის წევრთა იძულებითი გადასახლების დროს XIX საუკუნის დამდეგისათვის. 1923 წელს კი საბჭოთა კავშირის მთავრობის განკარგულებით რუსეთში დაცულ სხვა ქართულ ხელნაწერებთან ერთად ეს ნუსხაც კვლავ საქართველოს დაუბრუნდა.

³³ ეს ხელნაწერი თავის დროზე ივ. ჯავახიშვილმა აღმოაჩინა და შესწავლა კიდეც. იხ. ივ. ჯავახიშვილი, ახლად აღმოჩენილი „ქართლის ცხოვრება“ და თამარ მეფის მეორე აქამდე უცნობი ისტორიკოსის თხზულება, ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, III, თბ., 1923, გვ. 186—216.

³⁴ კ. გრიგოლია, „ქართლის ცხოვრების“ მაჩაბლისეული ხელნაწერი... გვ. 494.

შეხება მაჩაბლისეული ნუსხის მთელ დანარჩენ ნაწილს, ლეონტი მროველის თხზულების ნაკვეთიდან მოკიდებული: „შემოსვლა სპარსთა და მეფობა მეგრების“ ნისი“ უმათა აღმწერელის უკანასკნელ სიტყვებამდე: „მე ენა ვერ საკურველისა და საშინელისა თქმად“, არჩილისეული ნუსხიდან მომდინარეობს და მის პირს წარმოადგენს“³⁵.

ჭალაშვილისეული ხელნაწერი დღეს თავნაკლულია: ლეონტი მროველის „მეფეთა ცხოვრების“ დასაწყისი ნაკვეთი, რომელიც მაჩაბლისეულმა ხელნაწერმა შემოგვინახა, მას აკლია. რაკი ჭალაშვილისეული „ქართლის ცხოვრება“ მე-7 რვეულით იწყება, კ. გრიგოლია ლოგიკურად ვარაუდობს, რომ ჭალაშვილისეულ ხელნაწერში 6 რვეულის შემცველ ფურცლებზე საცესებით დაეტეოდა და კიდევაც უნდა ყოფილიყო არა მხოლოდ ლეონტი მროველის თხზულებას დასაწყისი ნაკვეთი, არამედ აპოკრიფული მოთხრობა ცისა და ქვეყნის გაჩენის შესახებ და ახალი „ქართლის ცხოვრების“ შესავალიც³⁶, ე. ი. მთელი ის ტექსტი, რომელიც დღეისათვის მაჩაბლისეული ხელნაწერის თავშია წარმოდგენილი. კ. გრიგოლიას ეს ვარაუდი ჩვენთვის საცესებით მისაღებია.

როგორც M 22 ხელნაწერის აღმწერელი რ. ორბელი წერს, „ქრონოგრაფის თარგმნის პერიოდი დაემთხვა XVIII საუკუნის ქართული ორიგინალური ისტორიოგრაფიის აყვავებას, აგრეთვე ვახტანგ VI-ის კომისიის მიერ „ქართლის ცხოვრების“ კრებულების რედაქტირებას“³⁷. ასე რომ, საცესებით მართებულია, ვიფიქროთ, აღნიშნული აპოკრიფული მოთხრობა ზემოხსენებული ქრონოგრაფიდან პირველად შეტანილი იქნა ე. ჭალაშვილის მიერ გადაწერილ „ქართლის ცხოვრების“ ხელნაწერში შეიძლება სწორედ ვახტანგ VI-ის სურვილითა და გადაწყვეტილებით. აქედან გადმოიღო იგი 5 წლის შემდეგ გიორგი მაჩაბელმა ზემოთ ჩამოთვლილ სხვა ნაწილებთან ერთად³⁸ თავის გადაწერილ „ქართლის ცხოვრებაში“. სხვათა შორის, აქედანვე უნდა ჰქონდეს გადმოღებულ გიორგი მაჩაბელს ახალი „ქართლის ცხოვრების“ შესავალიც, რომელიც ვახტანგ VI-ის სწავლულ კაცთა კომისიას ეკუთვნის და რომელიც წინ უძღვის მაჩაბლის მიერ გადაწერილ „ქართლის ცხოვრებას“.

მაჩაბლისეული „ქართლის ცხოვრების“ ძირითადი (ძველი) ნაწილის წყარო, როგორც ხელნაწერის ანდერძიდან ჩანს, არჩილ მეფის ნაქონი „ქართლის ცხოვრებაა“. როგორც უკვე აღვნიშნეთ, კ. გრიგოლიას გარკვეული აქვს, თუ კონკრეტულად რა ნაწილი უნდა გადმოეწერა გ. მაჩაბელს არჩილის ნაქონი „ქართლის ცხოვრებიდან“³⁹. სამეცნიერო ლიტერატურაში გარკვეულია ისიც, რომ მაჩაბლისეული „ქართლის ცხოვრება“ იმ ნაწილში, რომელიც არჩილ მეფის ნაქონი „ქართლის ცხოვრებიდან“ გადმოწერილად ითვლება, საცესებით ემთხვევა მარიამისეული „ქართლის ცხოვრების“ ტექსტს⁴⁰. ე. თაყაიშვილის გამოთქმა რომ ვიხმაროთ, არჩილის ნაქონი ხელნაწერი მარიამისეულის ტიპისა ყოფილა⁴¹. ე. თაყაიშვილისავე დაკვირვებით, „ამას აშკარად ამტკიცებს მათი

³⁵ იქვე, გვ. 490—491.

³⁶ იქვე, გვ. 492.

³⁷ P. P. Орбели, დასახ. ნაშრ., გვ. 54.

³⁸ იგულისხმება მაჩაბლისეული „ქართლის ცხოვრების“ ის ნაწილები, რომელთაც კ. გრიგოლია ჭალაშვილისეული ნუსხიდან მომდინარედ მიიჩნევს, ე. ი. „ლეონტი მროველის თხზულების დასაწყისი ნაწილი, ბასილი ეზოსმოძღვრის თხზულების შესავალი“, „ქართლის ცხოვრების“ გაგრძელება და ოცდაათმეჩვიდმეტე მეთე ფარსმანის ცხოვრების ნაკვეთი“. იხ. აქვე.

³⁹ კ. გრიგოლია, დასახ. ნაშრ., გვ. 491.

⁴⁰ ს. ყაუხჩიშვილი, ქართლის ცხოვრება, ანა დედოფლისეული ნუსხა, გვ. XXX—XXXIII.

⁴¹ სუმბატ დავითისძის ქრონიკა ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა შესახებ, ტექსტი გამოსცა შესავლით, შენიშვნებით და ორი გენეალოგიური ტაბულით საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის ნამდვილმა წევრმა ე. თაყაიშვილმა, თბ., 1949, ნაკვ. 27, გვ. 9.

შემადგენელი ნაწილების ერთგვარობა და, პირველ ყოვლისა კი, სუმბატ და ვითისძის ქრონიკა, რომელიც სხვა ძველ ხელნაწერებში, ანასეულში და შემდგომში შეილისეულში, არ მოიპოვება; ამას ამტკიცებს კიდევ ის ფაქტი, რომ ამჟამად მეფის ისტორია ამ ნუსხაში პირველი („აზმანი შარავანდედთანის“) ვარიანტით ყოფილა წარმოდგენილი“⁴².

მარიამისეულ „ქართლის ცხოვრებას“, როგორც ვიცით, ორი აპოკრიფული თხზულება უძღვის წინ: ფსევდოეფრემის „თარგმანი დაბადებისათვის ცისა და ქუეყანისა და ადამისთვის...“ და ფსევდობასილის „შიშუელმართალთათვის და ქუეყანისა საზომისათვის“. საინტერესოა, უძღოდა თუ არა აღნიშნული აპოკრიფები არჩილ მეფის ნაქონ „ქართლის ცხოვრებას?“

ლენინგრადის სალტიკოვ-შჩედრინის სახ. საჯარო ბიბლიოთეკაში იოვანე ბატონიშვილის ხელნაწერთა კოლექციაში მე-10 ნომრით მივაკვლიეთ იმავე გიორგი მაჩაბლის მიერ გადაწერილ ხელნაწერს, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ამ ორ თხზულებას შეიცავს — აპოკრიფებს „თარგმანი დაბადებისათვის ცისა და ქუეყანისა და ადამისთვის“... და „შიშუელ-მართალთათვის და ქუეყანისა საზომისათვის“... ხელნაწერი 37 ფურცლისაგან შედგება, ბოლონაკლულია, წყდება „შიშუელ-მართალთათვის“... აპოკრიფის შემდეგ ადგილზე: „მაშინ მიუვლინა უფალმან წინასწარმეტყუელი ღმრთისა იერემია“... სავარაუდოა, რომ ხელნაწერს ბოლო ერთი ფურცელი უნდა აკლდეს. ხელნაწერი რესტავრირებულია. ალაგ-ალაგ კიდევები ჩამოხეული ჰქონია და დაუწებებიათ, ამის გამო პირველ და ბოლო ფურცლებზე ცალკეული სიტყვები არ იკითხება⁴³.

ფსევდოეფრემის აპოკრიფი პირველსავე ფურცელზე იწყება. სათაური ნაწერია წითელი მელნით. სათაურის პირველი წინადადება ორჯერ მეორდება. ჯერ წერია: „თქუმული წმინდისა მამისა ჩუენისა ეფრემისა, თარგმანი დაბადებისათვის ცისა და ქუეყანისა“; ამის შემდეგ კი მოდის სრული სათაური: „თქუმული წმინდისა მამისა ჩუენისა ეფრემისა თარგმანი დაბადებისათვის ცისა და ქუეყანისა და ადამისათვის, ვითარ მისცვალეს გვამი მისი და დამარხეს გოლგოთას, და ცვალება ნათესავთა, ვითარ ეპოვეთ ნათესაობა ქრისტესი ჯორცითა, ვითარცა წერილ არს სახარებასა ლუკას თავსა ადამისითგან, ყოველთა მამათა(!), ვიდრე ქრისტესამდე, უფლისა და ღმრთისა ჩუენისა. პირველად ხოლო ესე თარგმანი წმიდამან მამამან ჩუენმან ეფრემ, შობა მამათმთავართა ადამისითგან ვიდრე ქრისტესამდე, მაცხოვრისა და ღმრთისა“.

სათაურსა და ტექსტის დასაწყისის შორის წითლითვე წერია: „აღიწერა გიორგი მაჩაბლის კელითა“.

ხელნაწერის ქალაღდის ხარისხი, მისი ზომა, მელანი, გადაწერილი ტექსტის გრაფიკული და ორთოგრაფიული თავისებურებები აბსოლუტურად ემთხვევა მაჩაბლისეული „ქართლის ცხოვრების“ ქალაღდის ხარისხსა და ზომას, მელანს, ტექსტის გრაფიკულსა და ორთოგრაფიულ თავისებურებებს. ამ ორ ხელნაწერს ერთნაირად ახასიათებს ან-მეტობა: გაზასა (=გზასა), ასომთავრულ პირველ ასოში სიტყვის დანარჩენი ასოების ჩასმა, შიგადაშიგ ასოების ორნამენტირება, რიცხვის აღმნიშვნელ სიტყვასთან კიდვზე ციფრის მიწერა: „მოკულა აბრაამ ას სამეოცდახუთისა წლისა“ (კიდვზეა მიწერილი: 165), ალაგ-ალაგ ცალკეული სიტყვებისა და ფრაზების წითელი მელნით ჩაწერა, ყოველი გვერდის ბოლოს

⁴² იქვე.

⁴³ ხელნაწერი აღწერილი აქვს მ. ქავთარიას. აღწერილობა გამოქვეყნებული არ არის.



ე. წ. კუსტუსის დართვა, ორსავე ხელნაწერში ტექსტი 26 სტრიქონიდან დასვს. შთაბეჭდილება აშკარად ისეთია, რომ გიორგი მაჩაბელს ეს ორი ხელნაწერი ერთდროულად უნდა ჰქონდეს გადაწერილი. ამ შთაბეჭდილებას აძლიერებს, რომ იოვანე ბატონიშვილის ხელნაწერთა კოლექციაში აღნიშნული ხელნაწერები ერთმანეთის მომდევნო ნომრებით ინახებოდა: მაჩაბლისეული „ქართლის ცხოვრება“ ამ კოლექციაში თავის დროზე მე-9 ნომრით იყო დაცული.

მეორე მხრივ, ლენინგრადული ხელნაწერის აპოკრიფების ტექსტები თითქმის სიტყვასიტყვით მიჰყვება მარიამისეული „ქართლის ცხოვრების“ შესაბამის ტექსტებს. მათ შორის განსხვავება მხოლოდ და მხოლოდ ოთოვრაფისა და გადაწერტა უნებლიე შეცდომებში ვლინდება. მარიამისეულ ხელნაწერში ერთვან ტექსტის თანამიმდევრობა არეულია, იგივე სურათი გვაქვს ლენინგრადულ ხელნაწერშიც (S 30, 29r—34v; იოვ. კ. № 10, 24r—26v); ლენინგრადული ხელნაწერი იმეორებს მარიამისეული „ქართლის ცხოვრების“ აპოკრიფებში გაპარულ ზოგიერთ უნებურ შეცდომასაც.

ამგვარად, მაჩაბლისეული „ქართლის ცხოვრების“ გადაწერის ისტორია და იოვანე ბატონიშვილის კოლექციის № 10 ხელნაწერის აპოკრიფული ტექსტების იდენტურობა მარიამისეული „ქართლის ცხოვრების“ იმავე აპოკრიფებთან უფლებას გვაძლევს, დავასკვნათ, რომ არჩილ მეფის ნაქონ „ქართლის ცხოვრებას“ ნამდვილად უძღოდა ეს ორი აპოკრიფი.

კ. გრიგოლიას სიტყვები: მაჩაბლისეული „ქართლის ცხოვრების“ მეშვეობით „ჩვენ საშუალება გვეძლევა საკუთარი თვლით წავიკითხოთ მეფის არჩილის ნაქონი „ქართლის ცხოვრებაო“, ზემოხსენებული ლენინგრადული ხელნაწერის შესწავლის შედეგად შეიძლება ასე დაზუსტდეს: ჩვენ საშუალება გვეძლევა უკვე სრული სახით წავიკითხოთ მეფის არჩილის ნაქონი „ქართლის ცხოვრება“.

რამ აიძულა გიორგი მაჩაბელი, ანდა მისეული „ქართლის ცხოვრების“ გადაწერის ინიციატორები, რომ არჩილისეული ნუსხიდან გადმოწერილი აპოკრიფების ტექსტი გვერდზე გადაედოთ და „ქართლის ცხოვრების“ დასაწყისი ნაწილის მსოფლიო ისტორიის ტექსტით შესავსებად ჭალაშვილის ნუსხისათვის მიემართათ?

შეიძლება ვიფიქროთ, რომ, როდესაც გიორგი მაჩაბელმა აპოკრიფების გადმოწერა დაასრულა, მაშინ შენიშნეს, რომ არჩილ მეფის ნუსხაში ლეონტო ბროველის „მეფეთა ცხოვრებას“ დასაწყისი აკლდა (მაჩაბლისეულ ხელნაწერში არჩილის ნუსხიდან გადმოწერილი „მეფეთა ცხოვრების“ ტექსტი, როგორც ვიცით, თავნაკლულია და შემდეგი ადგილიდან იწყება: „შემოსვლა სპარსთა და მეფობა მირიანისი“), საჭირო იყო ამ დანაკლისის შევსება. იქვე არსებობდა ჭალაშვილისეული „ქართლის ცხოვრება“, რომელსაც დასაწყისი სრული ჰქონდა (რა თქმა უნდა, იმ დროისათვის). რაკი ჭალაშვილისეულ ხელნაწერში „მეფეთა ცხოვრების“ ტექსტი შერწყმული იყო აპოკრიფულ შესავალთან, მათი გათიშვა მიზანშეწონილად აღარ ჩათვალეს და ტექსტის გადმოწერაც თავიდან დაიწყეს. მეორე მხრივ, მაჩაბლისეული „ქართლის ცხოვრების“ გადაწერის ინიციატორები ხომ იგივე პირები იყვნენ, რომლებიც ჭალაშვილისეული ხელნაწერის გადაწერას მესვეურობდნენ, ამიტომ მათ იმისათვის, რომ მათივე ინიციატივით გადაწერილი ხელნაწერებისათვის ერთი და იგივე შესავალი წაემძღვარებინათ, ცხადია, მიზეზიც ერთი და იგივე ექნებოდათ.

აქ გვინდა კიდევ ერთ საკითხს შევხვდეთ, სახელდობრ, რა მიზნით წაუძღვარეს ფსევდოფერემის სახელით ცნობილი აპოკრიფი „განძთა ქვაბისა ქართლის ცხოვრების“ ტექსტს?

სამეცნიერო ლიტერატურაში, როგორც უკვე გვქონდა ამაზე საუბარა, ცნობილია თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც „განძთა ქვაბის“ ტექსტი წარმოადგენს „ქართლის ცხოვრების“ შესავალს, მის ორგანულ ნაწილს. იგი დაურთავს „ქართლის ცხოვრებისათვის“ თვითონ ლეონტი მროველს, როგორც მსოფლიო ისტორია, რათა ეჩვენებინა მკითხველისათვის, რომ საქართველოს ისტორია არის ნაწილი სწორედ მსოფლიო ისტორიისა.

აღნიშნული თვალსაზრისი სპეციალისტების მიერ ძირითადად გავიარებულა⁴⁴. ამ თვალსაზრისში, სახელდობრ, მის იმ ნაწილში, უნდა მივიჩნიოთ თუ არა „განძთა ქვაბი“ „ქართლის ცხოვრების“ ორგანულ ნაწილად, თავის დროზე ეჭვი შეიტანა ექ. თაყაიშვილმა. მისი აზრით, ჯერ ერთი, „განძთა ქვაბის“ ტექსტი ერთი სიტყვიდან არ არის ვადაბმული ლეონტის ისტორიასთან; მეორეც, ამ აპოკრიფს მარიამისეულ „ქართლის ცხოვრებაში“ მოსდევს მეორე აპოკრიფი — ფსევდობასილის „შიშუელმართალთათვის და ქუეყანისა საზომისათვის...“, რომელიც ნამდვილად არ შეადგენს „ქართლის ცხოვრების“ ორგანულ ნაწილს და არა აქვს მასთან კავშირი⁴⁵.

აღსანიშნავია, რომ ექ. თაყაიშვილის გარდა არც ერთი მკვლევარი არ დაინტერესებულა იმით, თუ რატომ მოხვდა ეს მეორე აპოკრიფი „ქართლის ცხოვრებაში“. მართლაც, თუ „განძთა ქვაბს“ „ქართლის ცხოვრების“ შესავალ ნაწილად მივიჩნევთ, გასარკვევეი დარჩება საკითხი, რა მიზანი ჰქონდა იმავე „ქართლის ცხოვრებაში“ „განძთა ქვაბის“ მომდევნოდ ამ მეორე აპოკრიფის შემოტანას, რომელსაც თავისი შინაარსით არავითარი კავშირი არა აქვს არც მსოფლიო და, მით უფრო, არც საქართველოს ისტორიასთან.

ჩვენი აზრით, არც ის ვარაუდი უნდა იყოს მისაღები, თითქოს „განძთა ქვაბი“, როგორც მსოფლიო ისტორიის შემცველი ტექსტი, თვითონ ლეონტი მროველს წამედვარებინოს „ქართლის ცხოვრებისათვის“. საეჭვოა, რომ ისეთი რანგის ისტორიკოსს, როგორც ლეონტი მროველი იყო, მიზნად დაესახა მის მიერ შედგენილი „ქართლის ცხოვრებისათვის“ მსოფლიო ისტორიის წამდვარება და ამისთვის კანონიკური ისტორიული თხზულების ნაცვლად უკრიტიკოდ გამოეყენებინა აპოკრიფი. უფრო საეჭვოა, რომ მას ამ აპოკრიფისათვის შესაბამისი კონტექსტისათვის სრულიად შეუფერებელი მეორე აპოკრიფი შეეწყვილებინა.

მკვლევარმა ალ. აბდლაძემ გაითვალისწინა რა, რომ მარიამისეულის გარდა, ჩვენამდე მოღწეულ „ქართლის ცხოვრების“ დანარჩენ ნუსხებში ამ აპოკრიფული თხზულების წამდვარების ფაქტი დადასტურებული არ არის და, „ქართლის ცხოვრების“ სომხურ რედაქციაშიც აპოკრიფული „შესავლის“ არავითარი კვალი არ შეიმჩნევა, გამოთქვა მოსაზრება, რომ ამგვარი „შესავლის“ დართვას „ქართლის ცხოვრებისათვის“ დიდი ხნის ისტორია არ უნდა ჰქონოდა და ამ

⁴⁴ იხ. М. Д. Лордкипанидзе, К вопросу об использовании античных и византийских письменных источников в грузинской историографии; Историко-филологические разыскания, I, Тб., 1980, გვ. 151. მისივე, რა არის „ქართლის ცხოვრება“, თბ., 1989, გვ. 91.

⁴⁵ ე. თაყაიშვილი, აპოკრიფული მოთხრობა, რომელიც წინ უძღვის..., გვ. 28.



მზრივ „ქართლის ცხოვრების“ რედაქტორები XVII—XVIII საუკუნეებში, კიდევ ძიების პროცესში უნდა ყოფილიყვნენ⁴⁶.

აღ. აბლაძის ეს დასკვნა მხოლოდ მაჩაბლისეულ „ქართლის ცხოვრებას“ ესადაგება, რომლისთვისაც, როგორც გაირკვა, სწორედ XVIII ს-ის 30-იან წლებში დაურთავთ შესავლად ფსევდოდოროთეს ქრონოგრაფიდან ამოღებული ტექსტი, თანაც რედაქტორებს მსოფლიო ისტორიის შემცველი ეს ტექსტი შინაარსობრივად საკმაოდ „ორგანულად“ დაუკავშირებიათ ლეონტი მროველის „მეფეთა ცხოვრებასთან“.

რაც შეეხება „განძთა ქვაბისა“ და „შიშუელმართალთათეს...“ აპოკრიფებს, „ქართლის ცხოვრებაში“ მათ სხვა დანიშნულება უნდა ჰქონდეთ. ჩვენი აზრით, ალბათ, სწორი იქნება, თუ ვიფიქრებთ, რომ „ქართლის ცხოვრებაში“ მათი ჩართვა, რაც უნდა მომხდარიყო ერთდროულად და ერთი პირის მიერ, ასახვა იმ ტენდენციისა, რომელიც არსებობდა შუა საუკუნეებში, როდესაც ბიზანტიურ ქრონოგრაფებში, ცხადია, მათი შევსებისა და შინაარსის გამდიდრების მიზნით, შეჰქონდათ აპოკრიფები, „ცხოვრებები“, ეპისტოლეები, საეკლესიო მამათა ცალკეული ნაწარმოებები, გამოხატვები სხვადასხვა მატრიანეებიდან და სხვ.⁴⁷ როგორც აღნიშნავენ, ხსენებულ სტატიებს ქრონოგრაფის კრებულებში ისე ანაწილებდნენ, რომ მათში გადმოცემული ამბები ქრონოლოგიურ შესაბამისობაში ყოფილიყო ძირითად ტექსტში სათანადო ადგილას მოთხრობილ შინაარსთან⁴⁸. ბიზანტიური ქრონოგრაფების ამ თავისებურების გათვალისწინების შემდეგ საკვებით გასაგები ხდება ისიც, თუ რატომაა, რომ აღნიშნული ორი აპოკრიფი მაინცდამაინც წინ უძღვის „ქართლის ცხოვრების“ ტექსტს: ამ აპოკრიფებში მოთხრობილი ამბები ხომ ქრონოლოგიურად უსწრებენ ქართველ მეფეთა ცხოვრების ისტორიას.

აღსანიშნავია, რომ ბიზანტიური ქრონოგრაფებისთვის დამახასიათებელი ამ თავისებურების გამოვლენას „ქართლის ცხოვრების“ ტექსტში სხვაგანაც ვხვდებით: Q 795 ხელნაწერში, რომელიც XVI საუკუნის ბოლოს თუ XVII საუკუნის დასაწყისში ანასეული „ქართლის ცხოვრებიდან“ გადმოუწერია უცნობ გადამწერს, ამ უკანასკნელის მიერ დამატებით შეტანილია ე. წ. „ლაშა გიორგის დროინდელი მატრიანე“ და „იოვანე ზედაზნელის ცხოვრება“⁴⁹. აღნიშნული მოვლენის ამგვარ ახსნას მხარს უნდა უჭერდეს აგრეთვე „ქართლის ცხოვრების“ ხელნაწერებში „არჩილ მეფის წამების“ ტექსტის არსებობის ფაქტიც. ამ შემთხვევაში არა აქვს მნიშვნელობა, ლეონტი მროველს ეკუთვნის და მისი შემოტანილია თუ არა „ქართლის ცხოვრებაში“ ეს თხზულება⁵⁰, ლეონტი მროველიც შუა საუკუნეების ისტორიკოსია, რომელიც კარგად იცნობდა ბიზანტიურ ქრონოგრაფებს და „ქართლის ცხოვრებაზე“ მუშაობის

⁴⁶ ალ. აბლაძის, „ქართლის ცხოვრება“ და საქართველო-სომხეთის ურთიერთობა, თბ., 1982, გვ. 86.

⁴⁷ Большая Советская Энциклопедия, т. 28, «Хронографы». სხვათა შორის, ბიზანტიურ ქრონოგრაფებში მოგვიანებით ჩართულ ამ სტატიებს ქრონოგრაფების განსაკუთრებით საინტერესო კომპონენტებად თვლიან. იხ. О. В. Творогов, Задачи и перспективы издания хроник и хронографов: Летописи и хроники, М., 1976, გვ. 190.

⁴⁸ О. В. Творогов, Задачи и перспективы..., გვ. 191.

⁴⁹ ნ. შოშიაშვილი, „ანასეული ქართლის ცხოვრების“ პირის გადაწერის თარიღი; მრავალთავი, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, V, თბ., 1975, გვ. 51.

⁵⁰ „წამება წმიდისა და დიდებულისა მოწამისა არჩილისი“ ლეონტი მროველის თხზულება და მინეული.

დროს ალბათ ითვალისწინებდა კიდევ ამ ქრონოგრაფების შედგენის ბურებებს.



ნაშრომში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით დავასკვნით:

1. მაჩაბლისეული „ქართლის ცხოვრებისათვის“ წამძღვარებული ე. წ. აპოკრიფული მოთხრობა დამოუკიდებელი თხზულება არ არის. იგი XVI—XVII ს-ის ბერძენი ავტორის, ფსევდოდოროსთვის, ქრონოგრაფის შესავალი ნაწილია. ეს ქრონოგრაფი ქართულად უთარგმნიათ XVIII ს-ის დამდგეს მოსკოვში არჩილ მეფის ინიციატივით.

2. ქრონოგრაფის შესავალი ნაწილი გიორგი მაჩაბელს გადმოღებული აქვს არა უშუალოდ ქრონოგრაფის ხელნაწერიდან, არამედ ერაზ ჭალაშვილისეული „ქართლის ცხოვრებიდან“ ამ „ქართლის ცხოვრების“ ე. წ. ახალ ნაწილთან ერთად (კ. გრიგოლია).

3. ლენინგრადის სალტიკოვ-შჩედრინის სახ. საჯარო ბიბლიოთეკის იოვანე ბატონიშვილის ხელნაწერთა კოლექციის № 10 ხელნაწერი, რომელიც გ. მაჩაბლისავე ხელითაა გადაწერილი და შეიცავს იმავე აპოკრიფებს, რომლებსაც მარიამისეული „ქართლის ცხოვრება“ (ფსევდო ეფრემის „განძთა ქუბასა“ და ფსევდო ბასილის „შიშუელმართალთათვის“...) „ქართლის ცხოვრების“ ე. წ. ძველ ანუ ძირითად ნაწილთან ერთად (კ. გრიგოლია), გადმოწერილი უნდა იყოს არჩილ მეფის ნაქონი „ქართლის ცხოვრებიდან“, რომელიც დღეისათვის დაკარგულია.

4. გიორგი მაჩაბლის მიერ გადაწერილი „ქართლის ცხოვრების“ ე. წ. ძველი ნაწილი ლენინგრადის № 10 ხელნაწერის აპოკრიფებთან ერთად არჩილ მეფის ნაქონი „ქართლის ცხოვრების“ სრული ტექსტის აღდგენის შესაძლებლობას იძლევა.

5. ლენინგრადის № 10 ხელნაწერის აპოკრიფები თითქმის სიტყვასიტყვით იმეორებენ მარიამისეული „ქართლის ცხოვრების“ შესაბამის აპოკრიფებს, ე. ი. არჩილ მეფის ნაქონი „ქართლის ცხოვრება“ მარიამისეულის მსგავსი ყოფილა არა მხოლოდ „ქართლის ცხოვრების“ ძველი ნაწილის, არამედ აპოკრიფული ტექსტების მიხედვითაც.

6. „ქართლის ცხოვრების“ ხელნაწერებისათვის (ჭალაშვილისეული, მაჩაბლისეული) ე. წ. „მსოფლიო ისტორიის“ ტექსტის წამძღვარება მეორეული ჩანს. ასევე გვიან, მაგრამ განსხვავებული მიზნითაა შემოტანილი მარიამისეულ (← არჩილისეული) „ქართლის ცხოვრებაში“ ზემოხსენებული ორი აპოკრიფი. აქ საქმე უნდა გვექონდეს შუასაუკუნეების ბიზანტიური ქრონოგრაფების ტრადიციასთან, როდესაც ამ ქრონოგრაფებში, მათი შინაარსის გამდიდრების მიზნით, შეჰქონდათ აპოკრიფები, ცხოვრებები, ეპისტოლეები, საეკლესიო მამათა ცალკეული ნაწარმოებები, გამოწაკრებები სხვადასხვა მატრიანეებიდან და სხვ.

Ц. И. КЪРЦИКИДЗЕ

ЕЩЕ РАЗ ОБ АПОКРИФАХ В РУКОПИСЯХ «КАРТЛИС ЦХОВРЕБА»

Резюме

В двух списках «Картлис цховреба» (История Картли), именуемых списками царицы Мариам (S 30, 1633 — 46 гг) и Гиоргия Мачабели (H 2135, 1736 г. Москва), данному памятнику предшествуют апокрифические сочинения. В первой рукописи содержится два сочинения, во второй — одно. В списке царицы Мариам представлены апокрифы: «О сотво-



рении неба и земли и о Адаме». . . — перевод одной из сирийских версий «Пещеры сокровищ» и «О нагомудрецах и о землемери до запада», принадлежащий перу Псевдо - Василия. В апокрифе, содержащемся в «Картлис цховреба» Мачабели, отсутствует заглавие, не имеет он и конца.

В первом апокрифе списка царицы Мариам и в апокрифическом рассказе списка Мачабели описывается история человечества: в первом — с сотворения мира и Адама до появления Христа, во втором — с сотворения мира и Адама до приключений потомков Ноя — Месре и Неброта. Во втором апокрифе «Картлис цховреба» царицы Мариам речь идет о рае, где обитают т. н. нагомудрецы и перечисляются места, находящиеся на различных расстояниях от рая.

На основании языковых данных грузинский перевод «Пещеры сокровищ» вполне возможно датировать периодом до IX века. Такую же давность предполагает и грузинский перевод апокрифа «О нагомудрецах». Что же касается т. н. апокрифического рассказа списка «Картлис цховреба» Мачабели, то этот рассказ оказался введением хронографа, принадлежавшего греческому автору XVI — XVII веков Псевдо-Дорофею. (Означенный византийский хронограф по инициативе царя Арчила был переведён на грузинский язык в Москве в начале XVIII века). Как выяснил К. Григолия, это апокрифическое введение, наряду с новой частью «Картлис цховреба», Мачабели перенёс из «Картлис цховреба», переписанной в Москве в 1731 году Еразом Чалашвили.

Г. Мачабели в качестве одного из источников переписанной им «Картлис цховреба» в колофоне рукописи ссылается на принадлежавший царю Арчилу список «Картлис цховреба», утраченный в настоящее время. По предположению К. Григолия, в «Картлис цховреба» Мачабели с упомянутого списка была переписана древняя, т. н. основная часть «Картлис цховреба».

В Ленинграде, в публичной библиотеке им. Салтыкова-Щедрина, в коллекции царевича Иоанна под номером 10 хранится еще одна рукопись, переписанная рукою Г. Мачабели. Она содержит именно те апокрифы, которые имеются в списке «Картлис цховреба» царицы Мариам, т. е. «Пещеру сокровищ» Псевдо - Ефрема, и «О нагомудрецах». . . Псевдо - Василия.

Все данные свидетельствуют о том, что Г. Мачабели означенные апокрифы и текст «Картлис цховреба» переписал одновременно. По нашему мнению, источником упомянутой ленинградской рукописи № 10, как и древней части списка Г. Мачабели «Картлис цховреба», является рукопись, принадлежавшая царю Арчилу.

Выясняется, что апокрифы рукописи № 10 так же дословно следуют за апокрифами списка царицы Мариам, как древняя часть «Картлис цховреба» Гиоргия Мачабели за соответствующим разделом той же «Картлис цховреба» царицы Мариам.

В «Картлис цховреба» Г. Мачабели вводная часть, т. н. «История мира», была внесена в 30 -ых годах XVIII века. Что касается апокрифов «Пещеры сокровищ» и «О нагомудрецах», думается, что включение данных апокрифов в рукописи «Картлис цховреба» является следствием отображения той тенденции, которая существовала в средние века, в частности, когда в византийские хронографы вносили апокрифы, жития, мученичества, послания, изречения св. отцов и др.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ტექსტოლოგიისა და კოლოკოლოგიის განყოფილება
წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა
ე. მეტრეველმა

ბოჩა ჯაფარიძე

 მუსლიმი მოღვაწეები ათ-თიფლისის ნისბით
 VIII—XIV საუკუნეებში*

20. აბუ ლ-ფადლ ჰუბაშ იბნ იბრაჰიმ იბნ მუჰამმად შარაფ ად-დინ ქამალ ად-დინ ჯამალ ად-დინ ბადი აზ-ზამან ათ-თიფლისი — XII ს. გამოჩენილი მეცნიერი, რომელსაც ეკუთვნის მრავალი ნაშრომი ფილოლოგიაში, მედიცინაში, ასტრონომიაში, ასტროლოგიაში და სხვა დარგებში. შუა საუკუნეების მდიდარ არაბულ ბიოგრაფიულ ლიტერატურაში, რომელიც დღემდე გამოცემული, ის არ იხსენიება. პირველად ჰუბაშ იბნ იბრაჰიმ ათ-თიფლისის და მის შრომებს ასახელებს XVII ს. თურქი მეცნიერი ჰაჯი ხალიფა⁶⁰.

ჰუბაშ ათ-თიფლისის ერთი ნაშრომის („ქიფაიათ ატ-ტიბბ“) ნუსხეებში ავტორის ნისბად მითითებულია ალ-ღაზნავი, რაც ალ-კუნავის (კონიელი) დამახინჯებულ ფორმად არის მიჩნეული⁶¹. ფილოლოგიურ ნაშრომებში მის სახელს ემატება ტიტული ადობი, სამედიცინო თხზულებებში — ჰაქიმი და მუთაბაბიბი, ხოლო ასტრონომიულსა და ასტროლოგიურში — მუნაჯჯიმი, შეიხი და საიდი⁶².

ორიენტალისტთა ყურადღება ჰუბაშ ათ-თიფლისი XIX ს. 40—50-იანი წლებიდან მიიქცია⁶³ და მის შესახებ დღემდე ბევრი რამ არის დაწერილი⁶⁴.

* ვაგრძელება. დასაწყისი იხ. „მაცნე“, ელს, 1989, № 4.

⁶⁰ ჰაჯი ხალიფა. ქაშფ აზ-ზუნუნ ფი ასამი ალ-ქუთუბ ვა ლ-ფუნუნ, ტ. I, ბაირთ (თარღის გარეშე), გვ. 262, 263 და სხვ. თავის სხვა ნაშრომში („ჯიჰან ნუმა“) ჰაჯი ხალიფა (იგივე ქათბ ჩელები) ბაქოს აღწერის დროს იხსენიებს ამ ქალაქიდან გამოსულ შაფიტების ფაქის, „ქატეგორიებისა“ და „ქევეის წესების“ ავტორს თიფლისის. გ. ალასანია ამ უკანასკნელს ჰუბაშთან აიგივებს (იხ. ქათბ ჩელების ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, თურქულიდან თარგმნა, შესავალი და სძიებლები დაურთო გ. ალასანიამ, თბ., 1978, გვ. 120, 264, შენ. 49).

⁶¹ Хубайш Тифлиси, Описание ремесел, Перевод с персидского, введение и комментарии Г. П. Михалевиц, М., 1976, гв. 51.

⁶² იქვე, გვ. 52; ჰაჯი ხალიფა, ქაშფ აზ-ზუნუნ, ტ. II, გვ. 1644.

⁶³ იხ. Г. П. Михалевиц, Введение, — წიგნში: Хубайш Тифлиси. Описание ремесел, გვ. 13—14. იმ მკვლევართა შორის, რომლებიც პირველად შეეხებნენ ჰუბაშ ათ-თიფლისის, იყო ცნობილი რუსი ორიენტალისტი ნ. ხანიკოვიც — Extrait d'une lettre de M. Khanykof à M. Dorn, „Mélanges Asiatiques“, t. II, 1856, გვ. 522—23.

⁶⁴ ამ ნაშრომებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია: A. A t e s. Hicri VI—VIII (VII—XIV) asrlarda Anadolu'da farsca eserler, „Turkiyat mecmuasi“, VIII, 2, 1945, გვ. 97—101. ი. აფშარის შესავალი წერილი წიგნში — ჰუბაშ თიფლისი, ბაიან ას-სანა'ათ, „ფარჰანგ-ე ირან-ზამინ“, ტ. 5, № 4, თებრან. 1336/1957, გვ. 279—297. ა. მუნზაევი, ფარჰანგ-ნამე-ე არაბი ბე-ფარსი, თებრან. 1337, გვ. 65—69. შ. რაიაჰი, პიზაგანგ-ე ფარსი დარ დიჰარ რუმ, „იჰანდე“, № 7-8, 1360/1981, გვ. 620-25. Г. П. Михалевиц, Введение, გვ. 11—61. ქართველ მკვლევართაგან ჰუბაშ თიფლისის შესახებ იხ.: შ. ამირანაშვილი, „ვეფხისტყაოსნის“ დასურათება, მინიატურები შესრულებული XVI—XVIII საუკუნეებში, თბ., 1957, გვ. 15. ვ. გაბაშვილი, საქართველოს სავაჭრო ურთიერთობები XII საუკუნეში, თსუ შრომები, ტ. 121, 1967, გვ. 204. ქათბ ჩელების ცნობები..., გვ. 120, 264. შ. გაბაშვილი, საქართველოს ქალაქები XI—XII საუკუნეებში, თბ., 1981, გვ. 92. გ. ჯაფარიძე, ჰუბაშ თიფლისელი და მისი ტრაქტატი, გაზ. „წიგნის სამყარო“, 26.1, 1977. გ. ამირანაშვილი, ერთი რეცენზიის გამო, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 4. V. 1984.

5. მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1990, № 1

გამოთქმულია ვარაუდი, რომ ის იმ თბილისელთა რიცხვს მიეკუთვნებოდა, რომლებმაც თბილისი დავით აღმაშენებლის მიერ ქალაქის აღების შემდეგ დატოვეს⁶⁵. საერთოდ კი ჰუბაშის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ მსჯელობა მისი შრომების საფუძველზე არის შესაძლებელი.

არტთუ დიდი ხნის წინათ ირანელმა მკვლევარმა მ. რაიაჰიმ ყურადღება მიაქცია იმ ფაქტს, რომ ჰუბაშ ათ-თიფლისის ერთი სამედიცინო ნაშრომი „თაკვიმ ალ-ადვიამ“, რომელიც არაბულად დაიწერა, მიძღვნილია აბასელთა სახალიფოს ვეზირის შარაფ ალ-დინ ალი იბნ ტარაფ აზ-ზაანაბისადმი (1128—1139-40), დაახლოებით 540/1134-35 წლამდე⁶⁶. აქედან გამომდინარე, ირკვევა, რომ თბილისიდან ემიგრირებული ჰუბაში ბაღდადში დასახლებულა. აქ უნდა შეედგინა მას კიდევ სხვა სამი სამედიცინო ნაშრომი არაბულად „რისალა ატ-ტიბბია“, „ნაზმ ას-სულუქ“ და „ქამილ ათ-თადბირ“⁶⁷.

ჰუბაში ათ-თიფლისის ცხოვრების შემდეგი პერიოდი, დაახლოებით XII ს. 50-იანი წლებიდან, დაკავშირებულია რუმის სელჩუკთა სახელმწიფოსთან და მის სატახტო ქალაქთან — კონიასთან. აქ შექმნა მან სპარსულ ენაზე თავისი მთავარი შრომები, რომელთა ნაწილიც მიუძღვნა სულტან კილიჩ-არსლანს (1156—1193) და სელჩუკ უფლისწულებს.

ჰუბაში ათ-თიფლისის გარდაცვალების ზუსტი თარიღი უცნობია. ჰაჯი ხალიფა იძლევა 629/1231-32 წ.⁶⁸, რაც აშკარად მიუღებელია. ჰუბაში, რომელმაც თავისი პირველი ნაშრომი 1135 წლისათვის დაწერა, ამ დრომდე ვერ იცოცლებდა⁶⁹. კ. ბროკელმანი ასახელებს დაახლოებით 600/1202-3 წ.⁷⁰, მაგრამ ეს თარიღი ამ მოიძიება წყაროებში და საეჭვოა. მ. რაიაჰი ვარაუდობს, რომ ჰუბაში ათ-თიფლისი გარდაიცვალა არა უადრეს 559/1163-64 და არა უგვიანეს 579/1183-84 წლებისა⁷¹, რაც უფრო ახლოა ქეშმარიტებასთან. იმედია, რომ მომავალში ახალი წყაროების პუბლიკაციები ნათელს მოჰფენენ და უფრო დაზუსტებენ ამ საკითხს.

ჰუბაში ათ-თიფლისის შრომები დიდი ხანია აღნუსხულია მკვლევართა მიერ. უკანასკნელად ისინი დაწვრილებით განიხილა გ. პ. მიხალევიჩმა⁷². ზოგიერთი დამატებით ამ ნაშრომებს ქართველი მკითხველისათვის ქვემოთ ერთხელ კიდევ დავასახელებთ.

სახელოსნო ტრაქტატი. „ბაიდან ას-სანა'ათ“ („ხელობათა აღწერა“).

ეს ნაშრომი, რომელიც დაიწერა კონიაში, სულტან კილიჩ-არსლანის კარზე, ითვლება ჩვენამდე მოღწეულ ყველაზე ადრეულ სპარსულ სახელოსნო ტრაქტატად და წარმოადგენს გამოყენებითი ხასიათის მცირე ენციკლოპედიას, რომელიც შეიცავს ავტორისათვის პრაქტიკაში ცნობილსა და უმეტესად კი სხვადასხვა შრომიდან შეკრებილი სხვადასხვაგვარი სახელოსნო ხეჩხებისა და რეცეპტების აღწერას⁷³. ტრაქტატი შედგება 20 თავისაგან, რომლებშიც განხი-

⁶⁵ Г. П. Михалевич, Введение, გვ. 52; მ. რაიაჰი, დასახ. ნაშრ., გვ. 620.

⁶⁶ მ. რაიაჰი, დასახ. ნაშრ., გვ. 620.

⁶⁷ იქვე, გვ. 620—621.

⁶⁸ ჰაჯი ხალიფა, ქაშუ აზ-ზუნუნ, ტ. II, გვ. 1379.

⁶⁹ მ. რაიაჰი, დასახ. ნაშრ., გვ. 623.

⁷⁰ C. Brockelmann, Geschichte der arabischen Litteratur, Supplementbänd, I, Leiden, 1937, გვ. 893.

⁷¹ მ. რაიაჰი, დასახ. ნაშრ., გვ. 623—624.

⁷² Г. П. Михалевич, Введение, გვ. 18—49.

⁷³ იქვე.



ლუღია მეცნიერება აღქმის შესახებ, ძვირფასი ქვების, ბროლის, ემალისა და ქიქურების სხვადასხვა ფერად შეღებვის, ძვირფასი ქვების გაპრიალების, ვილის პირებისა და ყოველგვარი იარაღის გამოწრობის, საღებავთა, ტუშისა და მელანის შერევის, ქალაღზე წარწერების ამოშლის, ყოველგვარი წარწერის გამჟღავნების, ტილოს გარეცხვის, ტანსაცმლიდან ლაქების ამოყვანის ხერხები და სხვა საკითხები⁷⁴. ტრაქტატის სახელოსნო-ყოფითი ხასიათი, მისი მრავალფეროვანი შინაარსი და მარტივი ენა მიუთითებს, რომ ის გამიზნული იყო განათლებულ ადამიანთა ფართო წრისა და ქალაქის ხელოსნებისათვის. ჰუბაიშ ათ-თიფლისის ეს ტრაქტატი 1957 წ. გამოსცა ი. აფშარმა სტამბოლის აია-სოფიის მეჩეთის წიგნთსაცავისა და თეირანის ცენტრალური ბიბლიოთეკის ხელნაწერების საფუძველზე⁷⁵. მისი რუსული თარგმანი, ვრცელი შესავალი წერილითა და კომენტარებით ეკუთვნის გ. პ. მიხალევიჩს⁷⁶.

ფილოლოგიური ნაშრომები: 1. „კანუნ-ე ადაბ“ („განათლების წესი“) — ფუნდამენტური ლექსიკოგრაფიული ნაშრომი, არაბულ-სპარსული ლექსიკონი, რომელიც ჰუბაიშმა დაასრულა 545/1150 წ. და მიუძღვნა სულტან კილიჩ-არსლანს⁷⁷. ჰაჯი ხალიფა მას უწოდებს ძვირფას წიგნს, რომელსაც არ მოეპოვებოდა ბადალი სიზუსტესა და სრულყოფაში⁷⁸. „კანუნ-ე ადაბ“ XVIII ს-ში ითარგმნა თურქულად. 1971—1972 წწ. ის სამ ტომად გამოიცა თეირანში⁷⁹.

2. „კავაფი“, „ქითაბ ალ-კავაფი“ („რითმები“, „რითმების წიგნი“) — სპარსულ ენაზე განმარტებული არაბული რითმების ლექსიკონი. ცნობილია სხვა სათაურებითაც: „თარჯუმან-ე კავაფი“ („რითმების განმარტება“), ან „ქითაბ ბაიდან ალ-კავაფი“ („რითმების ახსნათა წიგნი“). ეს ნაშრომი, რომელიც მიეძღვნა კილიჩ-არსლანსა და მის ვაჟს — კუტბ ად-დინს⁸⁰, გამიზნული იყო პოეზიის მოყვარულთათვის, დამწყებ პოეტთათვის, მათთვის, ვისაც სურდა გაცნობოდა ძნელსა და იშვიათ არაბულ რითმებს⁸¹. თხზულება გამოუცემელია. არსებობს მისი მრავალი ნუსხა.

3. „ეუფუჰ-ე კურ'ან“ („ყურანის მნიშვნელობები“) — ყურანის ლექსიკონის განმარტება სპარსულ ენაზე. დაიწერა 558/1162-63 წ. კონიაში⁸². 1961 წ. გამოიცა თეირანში სტამბოლის სულაიმანის ბიბლიოთეკის უნიკალური ხელნაწერის მიხედვით⁸³.

4. „ჯავამი' ალ-ბაიდან დარ თარჯუმან-ე კურ'ან“ („ყურანის თარგმანის განმარტებათა კრებულები“) — ლექსიკონი-ცნობარი სპარსულ ენაზე, რომელიც

⁷⁴ Хубайш Тифлиси, Описание ремесел, гл. 65—66.

⁷⁵ ბაიდან ას-სანა'ათ ბე თასპი ვა მუკადამა-იე ირაჟ-ე აფშარ. „ფარხანგ-ე ირან-ზამინ“, თეჰრან, ტ. V, № 4, გვ. 279—457, 1336/1957. იხ. ო. ლ. ვილნევესკის რეცენზია — Абу-л-Фазл Хубейш Ибрагим Тифлиси, Биян ас-сана'ат (описание технологий), «Советская этнография», 1959, № 2, гл. 180-82.

⁷⁶ Хубайш Тифлиси, Описание ремесел..

⁷⁷ Г. П. Михалевич, Введение, гл. 42.

⁷⁸ ჰაჯი ხალიფა, ქაშუ აზ-ზუნუნ, ტ. II, გვ. 1310.

⁷⁹ ჰუბაიშ იბნ იბრაჰიმ თიფლისი, კანუნ-ე ადაბ, ბე ევთემამ-ე ლულამ-რეზა ტაჰერ, ტ. 1—3, თეჰრან, 1350—51. საბჭოთა მეცნიერებრთაგან ამ ნაშრომის შესახებ იხ: Г. Г. Заприне заде, Об арабско-персидском словаре Хубейша Тифлиси «Канун ал-адаб», Вторая всесоюзная конференция семитологов, 14—18 июня, 1968. შტრ.: Эпиграфика Востока, XX, 1971, гл. 109.

⁸⁰ Г. П. Михалевич, Введение, гл. 44.

⁸¹ იქვე, გვ. 45.

⁸² იქვე.

⁸³ აბუ ლ-ფაზლ ჰუბაიშ იბნ იბრაჰიმ თიფლისი, ეუფუჰ-ე კურ'ან ბე-სა'ი ვა ევთემამ-ე შაჰდი მუჰაკკი, თეჰრან, 1340/1961.

განმარტავს ყურანის ლექსიკურ და სტილისტურ თავისებურებებს⁸⁴. გამოუცემელია. მისი ერთადერთი ნუსხა დაცულია თეირანის უნივერსიტეტის წიგნთსახლში⁸⁵.
გიგლიშვილი

5. „ბაიჰან ათ-თასრიფ“ („უღლები განმარტება“). ჩვენამდე არ მოაღწია. მოხსენიებულია „კანუნ-ე ადაბისა“ და „ვეჯუჰ-ე ყურ'ანის“ შესავალში⁸⁶.

6. „თალხის 'ალალ ალ-ყურ'ან“ („ყურანის შემოკლებული განმარტება“). ჩვენამდე არ მოაღწია. დასახელებულია „ბაიჰან ას-სანა'ათ“-ის შესავალში⁸⁷. მას იხსენიებს ჰაჯი ხალიფა⁸⁸.

სამედიცინო ნაშრომები: 1. „თაკიმ ალ-ადვიჰა“ („წამალთა ცნობარი“) — ფარმაცოლოგიური ნაშრომი არაბულ ენაზე, რომელიც დაიწერა XII ს. 30-იანი წლების დასაწყისში. მისი პირველი ნაწილი წარმოადგენს სამკურნალო ნივთიერებათა სახელების ცხრილებს არაბულ, სპარსულ, ბერძნულ, ლათინურ და სირიულ ენებზე. სულ აღწერილია 734 დასახელების წამალი. მეორე ნაწილში ახსნილია ამ წამალთა შედგენილობა და მათი სამკურნალო თვისებები⁸⁹. არსებობს ამ თხზულების მრავალი ნუსხა. „თაკიმ ალ-ადვიჰას“ („წამალთა დაყოფა“) სახელწოდებით თხზულების არასრული ხელნაწერი ინახება მოსულში, იბრაჰიმ ჩელეზი 'ატტარის კერძო კოლექციაში⁹⁰. „თაკიმის“ სპარსული თარგმანი „ადვიჰე-იე მუფარრიდა ვა მურაქქაბა“ დაცულია თეირანის მეჯლისის ბიბლიოთეკაში⁹¹.

2. „მაჯმუ'ათ რასა'ილ ტიბბიჰა“ („სამედიცინო ტრაქტატების კრებული“). ეს კრებული, რომლის ერთადერთი ნუსხა დაცულია პრინსტონის უნივერსიტეტში, შეიცავს 9 სამედიცინო ტრაქტატს: „თაკიმ ალ-ილაჯ ვა თაკიდრათ ალ-მინჰაჯ“ („მკურნალობის შესავალი და მეთოდის განსაზღვრებები“) — მედიცინის საფუძვლების შესახებ; „ავდიჰათ ალ-ადვიჰა“ („ნაკადულები წამლებისა“) — წამლების შედგენილობის, მომზადებისა და გამოყენების შესახებ; „რუმუზ ალ-მინჰაჯ ვა ქუნუზ ალ-ილაჯ“ („ნიშნები მეთოდისა და საგანძურები მკურნალობისა“) — სნეულებათა სახელწოდებების, მათი სიმპტომების, წამალთა რეცეპტებისა და გამოყენების ცხრილები; „არ-რისალა ალ-მუთა'არაფა ბი-ას-სიჰა ალ-მუთარადაფა“ („სინონიმთა აღიარებული ტრაქტატი“) — სამედიცინო ლექსიკონი; „ლუბაზ ალ-ასბაზ“ („მიზეზთა არსი“) — სნეულებათა განსაზღვრის, მათი მიზეზების, სიმპტომებისა და მკურნალობის შესახებ; „შარბ ბა'დ მასა'ილ მუნთაჰაბა მინ ქითაზ კანუნ“ („იბნ სინას“) „კანუნიდან“ ამოკრებილი ზოგიერთი საკითხის განმარტება“). „თაჰსილ ას-სიჰა ბი-ლ-ასბაზ, ას-ჩითთა“ („ექვსი საშუალებით გამოჯამრთელება“) — ექვსი ძირითადი პირობის შესახებ, რომლებიც აუცილებელია ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად; „რისალა ფი მა იათა 'ალლაჟუ ბი ლ-ა'ზიჰა ალ-მუტლაჟა ვა ლ-დაფა'იჰა“ („ტრაქტატი იმის შესახებ, რაც უკავშირდება იდეალურ საკვებსა და წამლებს“) — დიეტის შესახებ. „იხთისარ ფუსულ ბუკრატ“ („ჰიპოკრატეს თავების შემოკლება“) ⁹². ერთი ტრაქტატი კრებულიდან „თაჰსილ ას-სიჰა“, რომე-

⁸⁴ Г. П. Михалевич, Введение, стр. 45.

⁸⁵ იქვე.

⁸⁶ იქვე.

⁸⁷ იქვე, გვ. 45.

⁸⁸ ჰაჯი ხალიფა, ქაშუ ან-ზუნუნ, ტ. I, გვ. 479.

⁸⁹ Г. П. Михалевич, Введение, стр. 41.

⁹⁰ იქვე.

⁹¹ იქვე.

⁹² Descriptive Catalogue of the Garret Collection of Arabic Manuscripts in the Princeton University Library, by Ph. K. Hitty, N. Faris, B. Abd al-Malik, Princeton University Press, 1938, გვ. 347, № 1108.

ლიც ოთხი ნაწილისგან შედგება, დატულია დამასკოს აზ-ზაჰირიას ეროვნულ ბიბლიოთეკაში⁹³. მისი პირველი ნაწილი 1914 წ. დიბეკდა დამასკოში⁹⁴ დატულია.

4. „ზაიდან ატ-ტიბზ“ („მედიცინის აღწერა“). გამოუცემელია. მისი ნუსხა დატულია თეირანის სიპაჰსალარის მედრესეს ბიბლიოთეკაში⁹⁵.

5. „ნაზმ ას-სულუქ“ („ქცევის წესი“) — „მარტივ წამალთა ლექსიკონი“. გამოუცემელია. ამ ნაშრომის ნუსხა დატულია ბრიტანეთის მუზეუმში⁹⁶.

6. „სიჰჰათ ალ-აბდან“ („სხეულის სიჯანსაღე“). ამ ნაშრომმა ჩვენამდე არ მოაღწია. მოხსენიებულია ჰუბაჰმ ათ-თიფლისის „ქამილ ათ-თა-ბირის“ შესავალში⁹⁷.

7. უსათაურო სამედიცინო ნაშრომი არაბულ ენაზე ებრაული ანბანით. მ. ი. ულმანი მას ასახელებს ბოდლეს ბიბლიოთეკის აღმოსავლური ხელნაწერების კოლექციაში⁹⁸. ნაშრომი შედგება 15 ნაწილისგან — ტემპერატურა, ავადმყოფობათა მიმდინარეობა და კრიზისები, სისხლის გამოშვება, განტვირთვა საფალარათო საშუალებებით, გულისრევა, ქირურგია, ქალთა სნეულებები, პიგიენა, ფიზიკური ვარჯიშები, ბალნეოლოგია, საჭმელები და სასმელები, ჯანმრთელობის შესანარჩუნებელი საშუალებები, საშუალებები, რომლებიც თვითონ იქმნება, განსხვავებები მრავალჯვარი სნეულებებისა, შესანიშნავი ბუნებრივი ნივთიერებები.

ასტრონომიული, ასტროლოგიური და სხვა ნაშრომები: 1. „ზაიდან ან-ნუჯუმ“ („მნათობთა აღწერილობა“) — სპარსულ ენაზე. განმარტავს ვარსკვლავთა და ციურ მნათობთა მოძრაობას, ეხება ასტროლაბებს და მათ მოწყობილობას⁹⁹. ამ თხზულების ნუსხა დატული იყო ირანელი ფილოლოგისა და პოეტის მ. ბაჰარის კერძო ბიბლიოთეკაში. თავის „სტილისტიკაში“ მან გამოაქვეყნა თავი ასტროლაბების შესახებ ამ ტრაქტატიდან¹⁰⁰.

2. „მადხალ ილა 'ილმ ან-ნუჯუმ“ („მნათობთა მეცნიერების შესავალი“) — ასტრონომიული თხზულება სპარსულ ენაზე. გამოუცემელია. ამ ნაშრომის ნუსხა დატულია სტამბოლში ნურ-ი ოსმანიეს კერძო ბიბლიოთეკაში¹⁰¹.

3. „მალჰამათ აღ-დანიჰალ“ („დანიელის წინასწარმეტყველებანი“) — ასტროლოგიური ტრაქტატი, რომელშიც ასტრონომიული და ასტროლოგიური მოვლენების საფუძველზე ჩამოთვლილია წინასწარმეტყველების ხერხები. შექმნილია კილიჩ-არსლან II-ს. ბრიტანეთის მუზეუმის კატალოგში ის შეტანილია „უსულ ალ-მალჰამი“-ის („წინასწარმეტყველებათა საფუძველები“) სახელწოდებით¹⁰². დატულია ამ თხზულების მრავალი ნუსხა სპარსულად და ერთიც —

⁹³ ფიკრის ალ-მასტუტათ დარ ალ-ქუთუბ აზ-ზაჰირია. ალ-ულუმ ეა ლ-ფუნენ ალ-მუბთა-ლიფა 'ინდა ალ-არაბ. ველა'ა მ. ს. ას-საბბა', დიმაშე, 1980, გვ. 11.

⁹⁴ ათ-თიფლისი, თაჰსილ ას-სიჰჰა ბი-ასაბბ ას-სითთ, ალ-ჯუზ' ალ-ავეალ მა'ა ალ-ჯადელ, დიმაშე, 1333/1914.

⁹⁵ Г. П. Михалевич, Введение, გვ. 41.

⁹⁶ იქვე, გვ. 42.

⁹⁷ იქვე, გვ. 41.

⁹⁸ M. U l m a n n, Die Medizin im Islam, „Handbuch der Orientalistik“, Bd. VI. Leiden-Köln, 1970, გვ. 169.

⁹⁹ Г. П. Михалевич, Введение, გვ. 46.

¹⁰⁰ მ. თ. ბაჰარ, საბჭმენსი ია თარიხ-ე თატავურ-ე ნასრ-ე ჟარსი, ტ. 1—3, თეჰრან, 1321—1327.

¹⁰¹ Г. П. Михалевич, Введение, გვ. 46.

¹⁰² Ch. R i e u, Catalogue of the Persian Manuscripts in the British Museum, vol. II, 1881, გვ. 512.

არაბულად, ჰალაბის (სირია) არაბული მეცნიერების ინსტიტუტში¹⁰³. გამოიქვეყნა ლითოგრაფიული წესით თეირანში 1925 წ.¹⁰⁴

4. „ქამილ ათ-თაბირ“ („სრულყოფილი განმარტება“) — ტრაქტატი მრგობის ახსნა-განმარტების შესახებ სპარსულ ენაზე, რომელიც მიეძღვნა კილიჩ-არსლან II-ს. დატულია მისი მრავალი ნუსხა¹⁰⁵. გამოიქვეყნა თეირანში 1969 წ.¹⁰⁶.

არ შემონახულა ჰუბაჟმ ათ-თიფლისის კიდევ სამი ნაშრომი: „სამარ ალ-მასაილ“ („საკითხთა შედეგები“), „ქამილ ათ-თადბირ“ („სრულყოფა მართვისა“) და „კანუნ ალ-ლუბაჟ“ („სიბრძნის წესი“)¹⁰⁷, რომელთა შინაარსზეც მსჯელობის საშუალება არა გვაქვს.

ჰუბაჟმ ათ-თიფლისი, რომელიც ფლობდა არაბულ, სპარსულ, ბერძნულ, ლათინურსა და სირიულ ენებს, როგორც უნახეთ, ძირითადად წერდა არაბულად და სპარსულად. მკვლევრები აღნიშნავენ, რომ ჰუბაჟმის პიროვნება უაღრესად საყურადღებოა, როგორც სპარსული ენის პიონერისა რუმის სელჩუქთა სახელმწიფოში. მ. რაიაჰი წერს, რომ მან „შეიტანა და განავრცო სპარსული ენა რუმში, წარუძღვა სპარსული ენის ქარაეანს ამ ქვეყნის ცენტრებში“¹⁰⁸. სპარსულად შედგენილ მის თხზულებებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებათ საერთოდ ირანული კულტურის ისტორიისა და კერძოდ კი — სპარსული ენის ისტორიის შესასწავლად¹⁰⁹. მართალია, უმეტესწილად ისინი კომპილაციურია, მაგრამ ეს გარემოება არ ამცირებს მათ ღირსებებს, რადგანაც მის მიერ დასახელებულ წყაროთა უმრავლესობას არ მოუღწევია ჩვენამდე¹¹⁰.

21. აბუ ისჰაკ იბრაჰიმ იბნ ჰუმაიდ იბნ აჰმად ათ-თიფლისი ას-სუფი — მუჰადდისი, სუფი შეიხი, ვაჰარი. ალ-მუნზირის (გარდ. 1258 წ.) ცნობით დაიბადა თბილისში 532/1137-38 ან 533/1138-39 წწ. სწავლობდა ალექსანდრიაში ცნობილ შაფიტ მუჰადდისთან აბუ ტაჰირ აჰმად იბნ მუჰამმად ალ-ისბაჰანი ას-სალაფისთან¹¹¹ (გარდ. 576/1180-81 წ.) და შემდეგ თავადაც გადაცემდა პაღისებს. გარდაიცვალა კაიროში 618 წლის 13 ზულ კა'დას (1221 წ. 9 თებერვალი) და დაკრძალეს მუკატტამის მთის კალთაზე¹¹².

22. აბუ ლ-კასიმ 'აბდ ალლაჰ (ანას) იბნ 'აბდ ალ-აზიზ იბნ 'აბდ ალლაჰ ათ-თიფლისი ალ-მულაზალი — ფაიკი, მუჰადდისი, სუფი შეიხი. მის შესახებ ცნობები მოიპოვება ალ-მუნზირის, აზ-ზაჰაბის (გარდ. 1348 წ.) და ას-სალაფის

¹⁰³ M. K a m a l, Catalog of Manuscripts, University of Aleppo, 1400, 1980, გვ. 154.

¹⁰⁴ Г. П. Михалевич, Введение, გვ. 49.

¹⁰⁵ იქვე.

¹⁰⁶ ჰუბაჟმ იბნ იბრაჰიმ თიფლისი, ქამილ ათ-თაბირ ბე-თასლიჰე მუჰამმად ჰუსაინ რუჰნაჰად-ე ადამიათ, თბილისი, 1348/1969. ჰუბაჟმის ამ ნაშრომს მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა N. B l a n d-ის ნაშრომში — On the Mohammadan Science of Ta'bir, or the Interpretation of Dreams, „Journal of the Royal Asiatic Society“, XVI, 1856, გვ. 118—171.

¹⁰⁷ მ. რაიაჰი, დასახ. ნაშრ., გვ. 624.

¹⁰⁸ იქვე.

¹⁰⁹ იქვე.

¹¹⁰ იქვე.

¹¹¹ აბუ ტაჰირ ...ალ-ისბაჰანი ას-სალაფი ალექსანდრიაში დასახლდა 511/1117-18 წ. 546/1151 წლიდან სიციცილის ბოლომდე ასწავლიდა სპეციალურად მისთვის გახსნილ მედრესეში. იბნ ხალლიქან, ვაფაიათ ალ-აიჰან, ჰაკეკაჰე ი. 'აბბას, ტ. I, ბაირუთ, 1398/1978, გვ. 105—107.

¹¹² ალ-მუნზირი, ათ-თქმილა ლი-უფაიათ ან-ნაჟლა, ჰაკეკაჰე ვა'ალლაჰა 'ალაჰი ბ. ა. შა'რუფ, ბაირუთ, 1401/1981, ტ. III, გვ. 63, № 1850.

(გარდ. 1363 წ.) თხზულებებში¹¹³. დაიბადა დაახლოებით 1122 წ. თბილისში, შემდეგ დასახლდა ბაღდადში, სადაც მიიღო განათლება. აქ დაუახლოვდა ცნობილ სუფის აბუ ნაჯიბ ას-სუჰრავეარდის (გარდ. 1168 წ.)¹¹⁴, რომელთანაც მუშაობდა ფიქს (სამართალს). ჰადისებს მას ასწავლიდნენ ცნობილი მუჰადისები აბუ ლ-მუხაფფარ ჰაბბათ ალლამ იბნ აჰმად იბნ აშ-შიბლი (გარდ. 557/1161-62 წ.), აბუ ზურა'ა იბნ მუჰამმად იბნ ტაჰირ ალ-მუჰადდასი (გარდ. 566/1170 წ.) და სხვ.¹¹⁵ 'აბდ ალლამის ერთ-ერთი მოწაფე იყო ალ-მუნზირი. გარდაიცვალა ბაღდადში, 620 წ. 17 რაბი' ალ-ავეალს (1223 წ. 20 აპრილი) და დაკრძალეს ბაბ ალ-ჰარბთან.

23. **იბნ სადიდ ათ-თიფლისი** — მოხსენიებულია არაბი ავტორის აბდ ალ-ლატიფ ალ-ბაღდადის (გარდ. 1231 წ.) მიერ საქართველოში ჯალალ ად-დინის შემოსევისთანა (1225 წ.) დაკავშირებით. იბნ სადიდს ჯალალ ად-დინისთვის შეუვალობის პირობით (ამან) უომრად ჩიუბარებია საქართველოს სამეფოს ერთ-ერთი ქალაქი¹¹⁶.

24. **ზაჰირ ად-დინ ათ-თიფლისი** — საქართველოში ჯალალ ად-დინის შემოსევების თანამედროვე. ცნობილი არაბი ისტორიკოსის იბნ ვასილის (გარდ. 1298 წ.) ერთ-ერთი ინფორმატორი¹¹⁷.

25. **აჰმად იბნ იბრაჰიმ ათ-თიფლისი** — ხელოსანი, მისი სახელი იკითხება 1228 წ. ქ. დივრიჯში (მცირე აზია) აგებულ აჰმად შაჰის მეჩეთის (ჯამი' კაჰირა) კათედრის წარწერაში (გააკეთა აჰმად იბნ || იბრაჰიმ ათ-თიფლისი)¹¹⁸.

26. **აბუ ლ-ბიკა საბით იბნ თავან იბნ აჰმად ნაჯმ ად-დინ ათ-თიფლისი** — მუჰადდისი, სუფი შეიხი, იმამი და პოეტი. ცნობები მის შესახებ შემოგვიწვინებს არაბმა ავტორებმა: ალ-ირბილიმ (გარდ. 1239 წ.), აბუ შამამ (გარდ. 1268 წ.),

¹¹³ ალ-მუნზირი, ტ. III, გვ. 97, № 1925; აზ-ზაჰაბი, ალ-მუხთასარ ალ-მუჰთაჯ ილაჰი მინ თა'რიხ აბი 'აბდ ალლამ მუჰამმად იბნ სა'იდ იბნ მუჰამმად იბნ ად-დუბაისი, თაკიკ მ. ჯავეად, ტ. II, ბაღდად, 1963, გვ. 147—148 (აზ-ზაჰაბი ორჯერ იხსენიებს ამ პიროვნებას, ჯერ 'აბდ ალლამის, მერე კი ანასის სახელით). Das Biographische Lexicon des Sa'ahaddin Halilibn Aibak as-Safadi, Teil IX, Hrsg. von G. Van Ess, Wiesbaden, 1974, გვ. 423, № 4358.

¹¹⁴ Дж. С. Тримингэм, Суфийские ордены в Исламе, пер. с английского под редакцией и с предисловием О. Ф. Акимушкина, М., 1989, გვ. 39.

¹¹⁵ იბნ ას-საბუნი, თაქმილათ იქმალ ალ-იქმალ. თაკიკ მ. ჯავეად, ბაღდად, 1959, გვ. 56, შენ. 2. იბნ 'იმად ალ-ჰანბალი, შაზარათ აზ-ზაჰაბ ღი ახბარ მან ზაჰაბ. ტ. IV, ბაზრუთ, 1399/1979, გვ. 181, 217.

¹¹⁶ C. Cahen, 'Abdallatif al-Baghdadi, portraitiste et historien de son temps, „Bulletin d'Études Orientales“, t. XXIII, Damas, 1970, გვ. 123. გ. ჯაფარიძე, ახალი არაბული წყარო XIII საუკუნის საქართველოს ისტორიისათვის, ჟურნ. „ციცქარი“, 1980, № 1, გვ. 137.

¹¹⁷ იბნ ვასილს მოჰყავს ზაჰირ ად-დინის ნაამბობი: „ერთ თბილისელს (მუსლიმს) უთქვამს თავისი შეილებითვის: თუ კი ალლამი — მაღალიმც არს იგი — დაუპყრობს თბილისს მუსლიმებს (და ამ დროს მე ცოცხალი აღარ ვიქნები), დადექით ჩემს საფლავთან და ჩამომძახეთ: ალლამა — მაღალიმც არს იგი — დააპყრობინაო თბილისი მუსლიმებს და (მართლაც), როცა დაიპყრო ჯალალ ად-დინმა (თბილისი), ამ კაცის ერთ-ერთი შეილი მივიდა მამის საფლავზე და იძახდა მის წინ ამას: — იბნ ვასილ, ჯამალ ად-დინ იბნ სალიმ, შეფარრიჯ აღ-ქურუბ ღი ახბარ ბანი აიფუბ, ტ. IV, ბაზრუთ, 1972, გვ. 18. იბნ ვასილთან დამოწმებული ეს პასაჟი, ვფიქრობთ, კარგად ასახავს XIII ს. 20-იან წლებში მუსლიმთა ანტიქართულ და ანტიქრისტიანულ განწყობილებებს, რამაც გაუადვილა ხვარაზმელებს თბილისის აღება.

¹¹⁸ Répertoire chronologique d'épigraphie Arabe, Tome onzième, Deuxième fascicule, Le Caire, 1942, გვ. 126, № 4189; ტ. კახიანი, დმანისის არაბული წარწერები, თბ., 1965, გვ. 13.

ალ-მუნზირიმ, იბნ შაქირ ალ-ქუთუბიმ (გარდ. 1363 წ.), ას-საფადიმ და იბნ თალრი ბირდიმ¹¹⁹ (გარდ. 1470 წ.). სავარაუდოა, რომ დაიბადა XII სუფიურულ ნებში. განათლება უნდა მიეღო ქ. ბაღდადში. ამაზე მიუთითებს ის, რომ ნაჯდ ად-დინ ათ-თიფლისი გადაცემდა ჰადისებს, რომლებიც მოსმინა ცნობილ ბაღდადელ ისტორიკოსთან და მუჰადლისთან იბნ ალ-ჯაუზისთან (გარდ. 1200 წ.). ბაღდადშივე დაუახლოვდა ის სუფიური მოძღვრების ცნობილი სკოლის (ტარიკა) — სუჰრავერდის ფაქტობრივ დამაარსებელს, სახელგანთქმულ სუფის შიჰაბ ად-დინ ას-სუჰრავერდის¹²⁰ და გახდა მისი ერთ-ერთი დიდი მიმდევარი (მინ ქიბარ ასჰაბიჰი). ას-სუჰრავერდი ძალზე აფასებდა ნაჯდ ად-დინს და ანდობდა მას ჩაესწორებინა შეცდომები თავის შრომებში¹²¹. ბაღდადში ნაჯდ ად-დინი სარგებლობდა დიდი ავტორიტეტით. აბასიანთა ზალიფას ის ეგვიპტეში ელჩადაც კი გაუგზავნია, მაგრამ ამ მისიის თარიღი და მიზეზი ჩვენთვის უცნობია.

ნაჯდ ად-დინ ათ-თიფლისიმ გაიარა სუფიდ მოქცევის მრავალსაფეხურიანი გზა, გახდა სუფიების შეიხი. ბიოგრაფები აღნიშნავენ, რომ მან იცოდა სამართალი (ფიკჰ), რელიგიის საფუძვლები (უსულ), მუჰამადთან დაკავშირებულ გადაცემები (ახბარ), ეთიკა (სულუქ), არაბული ენა და გრამატიკა, პოეზია, „შარიათისა და ტარიკათის მეცნიერება“¹²² ('ილმ აშ-შარი'ა ვა ატ-ტარიკა), ეწეოდა მისტიურ ვარჯიშებს (რიადა) და ზნობრივ გაწმენდას (მუჯაჰადა). იყო კალიგრაფი, წერდა საკუთარ ნაწარმოებებს და დაუწერია მრავალი ტომი (ქათაბა ალ-აჯზა'), მათ შორის ლექსებიც. ძნელი სათქმელია, შემოინახა თუ არა მისი ლექსების დივანი. არაბული ხელნაწერების დღემდე გამოცემულ და ჩვენთვის ხელმისაწვდომ კატალოგებში ისინი არ შეგვხვედრია. მაგრამ ჩვენ საშუალება გვქონდა მოგვეძიო ნაჯდ ად-დინ ათ-თიფლისის 8 ლექსი¹²³, რომლებიც შემოგვიინახეს მისმა ბიოგრაფებმა. ოთხი მათგანი დაკუთვლია იბნ შაქირ ალ-ქუთუბისა და ას-საფადის ბიოგრაფიული ენარის თხზულებებში¹²⁴ და

¹¹⁹ ალ-ირბილი, თარის ალ-ირბილ, ჰაკაკაჰუ ვა 'ალლაჟა 'ალიჰი სამი იბნ ას-საიდ ხამას ას-საკარ, ტ. I (გამოცემის ადგილისა და თარიღის გარეშე), გვ. 258—259. აბუ შამა, თარაჰიმ არ-რიჟალ ალ-კარნან ას-სადის ვა ას-საბი' ალ-მარჟუ ზი-ზა'ალ 'ალა არ-რავდათთან, ბაჰრუთ, 1974, გვ. 162. ალ-მუნზირი, ტ. III, გვ. 366—367, № 2529. Das Biographische Lexicon des Salahaddin Halil ibn Aibak as-Safadi, Teil X, Hrsg von A. Amara und J. Sublet, Wiesbaden, 1980, გვ. 469. Ibn Shakir al-Kutubi, Fawat al-wafayat, Ed. by I. 'Abbas. vol. I, Beyrouth, 1973, გვ. 270. იბნ თალრი ბირდი, ან-ნუჯუმი აშ-ზაჰირა ფი მულუქ მისრ ვა ალ-კაჰირა. ტ. VI, ალ-კაჰირა, 1963, გვ. 286.

¹²⁰ შიჰაბ ად-დინ ას-სუჰრავერდის შესახებ იხ.: Дж. С. Тримингем, дасახ. ნაშრ. გვ. 39—40. A History of Muslim Philosophy, Ed. and introduced by M. M. Sharif, Wiesbaden, 1963, გვ. 353—372.

¹²¹ ამდენად, ნაჯდ ად-დინ ათ-თიფლისი შეიძლება ჩათვალოს შიჰაბ ად-დინ ას-სუჰრავერდის ცნობილი ნაშრომების „ავარიფ ალ-მარჰუმ“, „ჯაზბ ალ-კულუბ ფი მუეფასალათ ალ-შაჰ-ბუბ“ და „ნულუბათ ალ-ბაჰიან ფი თაფსირ ალ-კურ'ან“ რედაქტორადაც.

¹²² სუფიზმში შარი'ათი და ტარიკათი მისტიური „გზის“ პირველი და მეორე ეტაპებია. იხ. Дж. С. Тримингем, дасახ. ნაშრ., გვ. 298, 302.

¹²³ ეს ლექსები არაბულად და საერთოდ, ნარკვევი ნაჯდ ად-დინ ათ-თიფლისის შესახებ პირველად დაებეჭდეთ დამასკოს არაბული ენის აკადემიის კურნალში 1983 წ. — ნაჯდ ად-დინ ათ-თიფლისი შარი'ათი სუფი მინ ალ-კარ ას-საბი' ალ-ჰიჯრი. „მაჟალა მაჰმა' ალ-ლუღა ალ-არაბია ბი-დომუჟა“, ტ. 58/IV, დომუჟა, 1403/1983, გვ. 795—804. მოკლედ იმავე საკითხზე იხ. ჩვენი წერილი „სირიული ჩანახატები“, ვახ. „ლიტერატურული საქართველო“, 9. VIII, 1985.

¹²⁴ იხ. სქოლიო № 119.

მომდინარეობს ნაჯმ ად-დინის უმცროსი თანამედროვის შიკაბ ად-დინ ალ-კუსის (გარდ. 1255 წ.) ოთხტომიანი ლექსიკონიდან „თაჯ ალ-მა'რიფ“ („ლექსიკონთა გვირგვინი“¹²⁵).

ქართული
ენის
სწავლის
ინსტიტუტი

ვიძლევიტ ამ ლექსების თარგმანებს:

ის სიმღიდრეა ყველაზე ცუდი,
თვით რომ არ იცი, როგორ მოიგე,
შეცოდე მაშინ, როცა იიღე,
მისი დახარჯვით ვერ იხვირე¹²⁶.

* * *

თუ ჩემი გული ნუგეშის შუქს დალანდავს შენში,
ენება მაშინვე წააქეზებს შენი ტრფობისკენ,
მაგრამ თუ დაცდა სამღერავი, მიუგებს ენება,
ნუშეცა ყოფილა ის მიჯნური, ვინც იწუწუნა¹²⁷.

* * *

დღეს არვინ იცის, როგორ მოდის სარჩო დღიური,
არამს და ალალს ერთურთისგან ველარ ვანსხეავებთ,
მაგრამ ხელი ზომ ზოგს მოკლე აქეს და ზოგს — გრძელი,
ერთს დიდი ლეკვა ხედება წილად, მეორეს — მცირე¹²⁸.

* * *

გამოიყენე შენი დღე რადგან,
ის მარტოოდენ არის სტუმარი,
დღეს მოიხვეწე, რაც ძალგის იგი,
ღრო გაიღეებს ვითა მახვილი,
წამები ამ დღის არ დაგეკარგოს,
მათი დაკარგვა ცოდვა იქნება,
დაეხსენ შერმისს, ფიქრს მომავალზე,
სად რა იქნება, როგორ იქნება¹²⁹.

ნაჯმ ად-დინ ათ-თიფლისის ეს უკანასკნელი ლექსი კარგად გამოხატავს სუფი პოეტის დამოკიდებულებას ამ ცხოვრებისადმი. ე. ბერტელსის თანახმად, სუფიურ წრეებში გავრცელებული იყო გამოთქმა: „სუფი თავისი დროის შვილია“ (ას-სუფი იზნ ვაკთიპი). ეს იმას ნიშნავს, რომ სუფი მხოლოდ ამ, მიმდინარე წამით ცხოვრობს, რადგანაც განვლილი უკვე აღარ არსებობს, ხოლო მომავალი კი ჯერ არ დამდგარა და ასევე რეალურად ჯერ არ არსებობს¹³⁰.

ნაჯმ ად-დინი ათ-თიფლისის კიდევ ოთხი ლექსი, რომლებიც ალ-ირბილის პირადად მოუხმენია პოეტისგან, შეტანილია ამ ავტორის „ირბილის ისტორია-

¹²⁵ ალ-კუსის ეს ლექსიკონი, რომელშიც მოხსენიებული იყო ავტორისათვის ცნობილი მუჰამადისები, რამდენადაც ვიცით, არ შემონახულა. ალ-კუსის შესახებ იხ.: ალ-ადფაჟი, ალ-ჟამი' ალ-ასმა' ალ-ფუდალა' ვა არ-რუვათ, მისრ, 1966, გვ. 158.

¹²⁶ ლექსი დაწერილია რამალის პოეტური ზომით.

¹²⁷ ლექსი დაწერილია ჭამლის პოეტური ზომით.

¹²⁸ დაწერილია სარაის პოეტური ზომით.

¹²⁹ დაწერილია რამალის პოეტური ზომით.

¹³⁰ E. Э. Бертельс, Избранные труды, Суфизм и суфийская литература, М., 1965, გვ. 37.

ში¹³¹. ერთი მათგანი ნაგმ აღ-დინს 1215 წ. აგვისტოში დაუწერია ცნობილი სუფის აბუ ტალიბ ალ-მაჰქის (გარდ. 996 წ.) წიგნზე — „კუთ აღ-კულუბ მუ'ამალათ ალ-მაჰბუბ“ („გულთა საზრდო სატრფოსთან ურთიერთობაში“).¹³² წარმოადგენს ამ ნაწარმოების ხოტბას. მეორე გამოხატავს პოეტის დამოკიდებულებას ჰადისებისადმი. მოგვყავს მხოლოდ დანარჩენი ორი ლექსის თარგმანა:

ზოგიერთები წყნარად რჩევას რომ იძლევიან,
ამ დროს ურჯუენი და სასტიკი არიან თავად,
მათი გულეები ძილს მისცემიან,
მხოლოდ ენები ფხიზლობენ მარად¹³².

ჰოი, მსახვრალ სიცოცხლისა, დღიდან შექმნისა,
ნუ აჩქარდები, რაც ინგრევა, ხომ ისედაც წაე-გაჰკრება,
საწუთრო დახრილ შენობას ჰგავს და
განა სადამდე უნდა გაძლოს დაქანებულმა?
მინც მოკვდები, სვესვიანად იცხოვრე, თუნდა,
ბოლო ერთია, ამ ქვეყნიდან წარმავალი ხარ¹³³.

ნაგმ აღ-დინ ათ-თიფლისიმ სიცოცხლის ბოლო პერიოდი დამასკოში გაატარა. აქ ის იყო ერთ-ერთი მეჩეთის იმამი. სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე მან თავისი ბიბლიოთეკა დამასკოს სუმაჰსათიას ხანაკას¹³⁴ უანდერძა. გარდაიცვალა 1234 წლის 8 თებერვალს და მეორე დღეს დაკრძალეს დამასკოს სუფიების სასაფლაოზე.

27. **‘უმარ იბნ აჰმად შამს აღ-დინ ათ-თიფლისი** — თბილისელი ვაჭრან შვილი და თავადაც ვაჭარი და პოეტი. რუმის სელჩუკთა სახელმწიფოში, ქ. სივასში სავაჭროდ ყოფნის დროს შეხვდა ცნობილ ირანელ მისტიკოსს ავჰად აღ-დინ ჭირმანის¹³⁵ (გარდ. 1238 წ.), მიატრევა თავისი საქმეები და გახდა მისი ერთ-ერთი უახლოესი მიმდევარი¹³⁶.

როგორც ზემოთ ვნახეთ, ათ-თიფლისის ნისბას არაერთი სუფი ატარებდა. მათი ცხოვრება დაკავშირებული იყო მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქებთან (ბაღდადი, დამასკო, კაირო, ალექსანდრია). ამასთან, როგორც ჩანს, სუფიზმის გავრცელებისათვის თბილისშიც არსებობდა ხელსაყრელი პირობები. საამისო ცნობა პირველად დავით აღმაშენებლის დროს გვაქვს. სიბტ იბნ აღ-ჯაუზის თანახმად, თბილისის ალების შემდეგ მეფეს აქ აუშენებია „ქარვასლები სტუმართათვის და სახლები მჭადაკებლებისათვის, სუფიებისა (ხაზი ჩვენია. — გ. ჯ.)

¹³¹ აღ-ირბილი, თარბს აღ-ირბილ, გვ. 258—259.

¹³² ლექსი დაწერილია მუღარის პოეტური საზომით.

¹³³ დაწერილია ჭამილის პოეტური საზომით.

¹³⁴ სუფიების ამ ხანაკას შესახებ იხ.: Ибн Джу байр, Путешествие, пер. с арабского, вступительная статья и примечания Л. А. Семеновој, М., 1964, გვ. 208—209.

მეორე ვარაუდით, თუ გავითვალისწინებთ ფიტონიმა ფონეტიკური ვარიანტების მრავალსახეობას, დიალექტურ ფორმათა მრავალფეროვნებას და თურქულისთვის კანონზომიერ k/j მონაცვლეობას (შდრ. tük/tüj), სავსებით დასაშვებია „ქალაქ“ სიტყვისთვის ამოსავალ ფორმად თურქული kалаi, kалаi ошу⁹, (ოსმ.) — salsola (L) — მივიჩნიოთ. ქართ. ბოტ. — „კალია“. კალია საბასეული განმარტებით — ბალახთნაღობი ქვა¹⁰, კალია (солянка)¹¹ — ბუჩქისებრი მცენარეა, ნაყოფი თხილის მაგვარი აქვს. შუა აზიის უდაბნოების ენდემური მცენარეა, საერთოდ მშრალ ადგილებში ხარობს¹². როგორც აღნიშნულია იადიგარში, სამკურნალო თვისებები კალიას ნაყოფს აქვს. მისგან მიღებულ პრეპარატებს სალსოლინს და სალსოლიდინს სედატიური თვისებები აქვს და თანამედროვე მედიცინაშიც იხმარება ჰიპერტონიული დაავადებისას.

ფეიგამბარ ალაჯი — Ligum quajaci. შესიტყვების პირველი კომპონენტი წარმომავლობით სპარსულია. ეს სიტყვა ზოგჯერ ბოტანიკური და ზოოლოგიური ტერმინების პირველ ნაწილად იხმარება (მაგ., თ. ფეიგამბარ ჩიჩი — ლილიო). თურქულში დასტურდება ლექსემა ფეიღამბარალაჩ „გვიაიკის ხე“¹³). საინტერესოა, რომ ქართულში მას შეესატყვისება ოდალაჯი, რომელიც აგრე-

თვე თურქულია წარმომავლობით და ორი კომპონენტისგან შედგება თ. „ილ“
ცეცხლი, „ალაჯი“ — მისი ხე. ქართული დიალექტებიდან იგი აქარულშია
ფიქსირებული და ლევის სინონიმს წარმოადგენს. ამ მცენარის სამცხედრო
თვისებები ხალხურ მედიცინაში კარგადაა ცნობილი¹⁴.

ილ ლავაში (543კვ) — დასადები წამალი. წიგნზე დართულ ლექსიკონში
კეთხულობთ: თ. „ილ“ — კარაქი, ქონი და ქართ. ლავაში — ქონისაგან დამ-
ზადებული შემოსადები წამალი. ტექსტი: „თუ ძარღვი დაჯეკილი ჰქონდეს,
ილ ლავაში დასდევან და შეუხვიონ“.

ზემოთ მოყვანილ განმარტებაში შესიტყვების პირველი კომპონენტის თურ-
ქულობა სწორად არის მითითებული. მითუმეტეს თუ გავითვალისწინებთ, რომ
ილიგარში აღწერილია ერბოს სამკურნალო თვისებები. „ნაღრძობზე მტკივანი
აღვილი თბილ წყალში ჩაუყონ და ერბოთი კარგად დაზილონ“. ხოლო რაც
შეეხება ამ შესიტყვების მეორე კომპონენტს, ლავაში ქართულ ლექსემადაა
მიჩნეული, რაც ჩვენი ვარაუდით მცდარი უნდა იყოს. თუმცა ლავაში ქართუ-
ლისთვის ძველი ნასესხობაა და დამკვიდრებულია ენაში, მაგრამ აღსანიშნავია,
რომ лаваш, лавоши დასტურდება სპარსულში, ტაჯიკურში და პარალელურად
თურქულ ენებშიც იხმარება¹⁵.

ისირღუ (581კ) — ილან ჭუგსა ჰქვია — ავი ჟამი. ტექსტი: „ვინცა ჩორაქ
ოთი დანაყოს, გაცრას და თაფლშიგა ამოსურბიოს და ერთი პირი წამოადღლოს
და თბილ თბილი ისურღუსა შესცხოს, მაშინვე უშველის, და ვითამცა და
ისურღუ ილანჭუგსა ჰქუიან...“; „...კაცსა რომე ილანჭუქი შეექნას, ვითამცა
და ავი ჟამის ნიშანი გამოუვიდეს და წითლად, წითელსა მკედსავითა...“.

ზემოთ ხსენებული ისირღუ / ისურღუ სიტყვა წარმომავლობით თურქულია.
როგორც თურქულ ლექსიკონებშია მითითებული, ისირგი / ილანჯიკ ავადმყოფ-
ობაა¹⁶, ქართულად წითელი ქარი. თურქული ‘ისირგი’ შედგება ისირ+გი
კომპონენტებისგან, სადაც ‘ისირ’ თურქ. ‘ისირმაქ’ ‘კბენა’ ზმნის ფუძეა, ხო-
ლო ღუ/გი ზმნიდან არსებითის მაწარმოებელი აფიქსებია. საინტერესოა, რომ
ამავე ფუძეს უკავშირდება ისირგან — ჭინჭარი, სემანტიკურად ახლო მდგომი
ფუძის შემცველი ლექსემა. ამგვარად თ. ისირ — ‘კბენა’, ისირგან — ‘ჭინჭარი’
(ისუსხება, იკბინება), ასევე თურქ. ისირგინ/ისირგი — წითელი გამონაყარა,
ნასიცხი (ჭინჭრით დასუსხულის მსგავსი). ამგვარად ყველა ხსენებული სიტყვა
თავს იყრის სემანტიკურად გამაერთიანებელ ამოსავალი ძირის გარშემო. ქარ-
თულშიც გვაქვს თითქმის ანალოგიური სემანტიკური გადააზრება: ჭინჭარი —
მცენარე, ჭინჭრის ციება — ავადმყოფობა (გარეგნულად მსგავსი ჭინჭრით და-
სუსხულისა). ასევეა რუსულში крапива — მცენარე, крапивница — ავად-
მყოფობა.

აიდ იაფრალი (282კვ). ეს შესიტყვება ტექსტებზე დართულ ლექსიკონში
განმარტებულია ამაგვარად: „აიდ იაფრალი — უნდა იყოს ისტიფრალი —
სხეულის დაცლა, გაწმენდა, არაბ. (استفراغ) ისტიფრალ — რწყევა, პირღებ-
ნება. ტექსტი: „და თუ კაცსა სიგრილითა თავი ან კეფა და ან საფეთქლება
სტკიოდეს, მოიტანე, აიდ იაფრალი დანაყე და მტკივანსა თავზედა შემოსდევ
და თავის ტკივილსა უშველის“.

ზემოთ მოყვანილი განმარტება საკვლევე შესიტყვებისა და ტექსტისეული
მისი მნიშვნელობა განსხვავებულია. ჩვენი აზრით, აქ უნდა იგულისხმებოდეს
არა არაბული ისტიფრალი, არამედ თურქული აიდ იაფრალი, ანუ ქართულად
მცენარის ფოთოლი. თურქ. აიდ — მცენარეა (Osm. ايد); აიდ ალაჯი-ბეშ-
ბარმაქ¹⁷, ხოლო თ. ბეშბარმაქ ოთუ — (лапчатка ползучая) ამავე ოჯახის

მცენარეა ლაპчатკა прямолистая. ქართ. მარწყვა ბალახი — მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა. მისი სამკურნალო თვისებები კარგად არის ცნობილი. როგორც ხალხურ, ისე ოფიციალურ მედიცინაში. ხალხურ მედიცინაში გამოიყენება მარობელ როგორც ანთების საწინააღმდეგო, ბაქტერიოციდულ, ტკივილდამაყუჩებელ საშუალებას. ამ თვისებით ეს მცენარე ეხმარება იალიგარში ნახსენებ ფიტონიმს.

შესიტყვების ორივე ნაწილი წარმომავლობით თურქულია, თ. აიდ — ქართ. მარწყვა (ბალახია), იაფრალი თურქ. ფოთოლი, ი — სახ. ბრუნვის ნიშანი.

ანზარუთი (135_{გვ}, 445_გ, 668_{გვ}) — ხორცის წებო. ტექსტი: „ვინცა რეჰანის თესლი, მრავალპარღვის თესლი და თეთრი ანზარუთი, სამივე თვითო თვითო ღირჰამი ქნან და ესეები მოხალონ, და ამათ თესლშიგა ათი ღირჰამი შაჰარიცა გაურთონ და მერე თბილის წყლითა ვალესონ და ყოველთა დილასა ამა წამლისგან... ასვან...“. ანზარუთი წარმომავლობით არაბულია, ფიქსირებულია თურქულში მნიშვნელობით: 1. ხის წებო; 2. არგო — არაყი¹⁸. საყურადღებოდ მიგვაჩნია ტექსტში მოყვანილი შესიტყვება თეთრი ანზარუთი. სადაც ლექსებში თეთრი შეიძლება ქართული ფერის აღმნიშვნელი ზედსართავია, მაგრამ შესაძლოა თურქული **كز** — tetrე адрагантовая камедь — ხის წებო, ფისი იყოს. ჩვენი ვარაუდით, საქმე გვაქვს ორ ერთი მნიშვნელობის მატარებელ განსხვავებული წარმომავლობის ლექსემასთან — თ. 'თეთრე', არ. 'ანზარუთი'. აღნიშნული ნივთიერება მცენარეული წარმოშობისაა; (ფისი, ხის წებო) მედიცინაში შემომგარსველი თვისებების გამო იხმარება. მისი მეშვეობით მზადდება აბები და ემულსიები.

ლიტერატურა

1. Söz Derleme Dergisi, c. I, Istanbul, 1939.
2. Будагов Л. З., Сравнительный словарь турецко-татарских наречий, т. I, Спб., 1869, გვ. 53; Радлов В. В., Опыт словаря тюркских наречий, т. I, ч. I, Спб., 1893, გვ. 554.
3. Муравьева Д. А., Гаммерман А. Ф., Тропические и субтропические растения, М., 1974, გვ. 82—83.
4. Севортян Э. В., Этимологический словарь тюркских языков, т. I, М., 1974, გვ. 90.
5. Радлов В. В., Опыт..., т. I, ч. I, გვ. 518.
6. Турецко-русский словарь, М., 1977, გვ. 530.
7. Радлов В. В., Опыт..., т. II, ч. II, Спб., 1899, გვ. 1112; Магазиник Д., Турецко-русский словарь, М., 1939, გვ. 562.
8. Азәрбајҹан дилинин диалектологи лугʻати, Баку, 1964, გვ. 255.
9. Радлов В. В., Опыт..., т. II, ч. I, Спб., 1899, გვ. 226.
10. ორბელიანი ს. ს., ლექსიკონი ქართული, I, თბ., 1966, გვ. 347.
11. შაყაშვილი ა. ა., ბოტანიკური ლექსიკონი, თბ., 1961, გვ. 37.
12. Атлас ареалов и ресурсов лекарственных растений СССР, М., 1980, გვ. 307.
13. შაყაშვილი ა. ა., ბოტანიკური ლექსიკონი, გვ. 56.
14. Атлас ареалов..., გვ. 267; Ковалева Н. Г., Лечение растениями, М., 1972, გვ. 173.
15. Räsänen M., Versuch eines etymologischen wörterbuchs der türksprachen, Helsinki, 1969, გვ. 315; Будагов Л. З., т. II, გვ. 192; Радлов В. В., Опыт..., т. III, ч. I, გვ. 741; Азәрбајҹанҹа-რუსҹა лугʻат, Баку, 1985, გვ. 231.
16. Тагата sözlüğü, IV, Ankara, 1957, გვ. 398; Радлов В. В.; Опыт... გვ. 1389.
17. Радлов В. В., Опыт..., т. I, ч. I, გვ. 50.
18. Турецко-русский словарь, М., 1977, гв. 58. M. Özön, Resimli Türk dili sözlüğü, Ist., гв. 846.

О НЕКОТОРЫХ ТУРЕЦКИХ
ЗАИМСТВОВАНИЯХ В «ЯДИГАРИ ДАУД»

Резюме

В статье рассмотрены и проанализированы некоторые термины и названия растений из лечебной книги «Ядигари Дауд», датированной XVI веком, которые мы причисляем к турецким заимствованиям. Интересующие нас примеры выбраны из соответствующего текста, учтена семантическая сторона лексем, а также некоторые фонетические особенности при заимствований. Со ссылкой на турецкие источники уточнены значения выбранных слов.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. გ. წერეთლის სახელობის
აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის თურქოლოგიის განყოფილება
წარმოადგინა აკად. გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის
ინსტიტუტმა

ლიანა გოგუაძე

 მესხიერების კონტექსტი და პროპოზიციული მიმართების ზმნათა
 ფუნქციონირება თანამედროვე ინგლისურ ენაში

მესხიერების თემასთან დაკავშირებული კონტექსტი არაერთგვაროვანია როგორც სტრუქტურულ-სემანტიკური თვალსაზრისით, ასევე გამოხატვის საშუალებათა სიმრავლითაც. ამ საშუალებათა რიცხვს მიეკუთვნება ზმნები *remember* და *think*¹. ჩვენი მიზანია შეპირისპირებითი ანალიზის საფუძველზე აღვწეროთ ამ ზმნების სემანტიკა, ძირითადი სინტაქსური თვისებები და ხმარების ზოგიერთი თავისებურება მესხიერების კონტექსტში. შემოვიფარგლებით ჰიპოთაქსური სტრუქტურით *I (don't) remember / think that p*, სადაც მთავარი წინადადების ზმნა აწმყო დროის მხოლოდითი რიცხვის პირველ პირში დგას და დაირთავს *რომ* კავშირიან დამატებით დამოკიდებულ წინადადებას. *რომ* კავშირიანი დამოკიდებული აქ მსჯელობის შემცველი თხრობითა წინადადებაა, ადამიანის ნააზრევს გადმოგვცემს და სპეციალურ ლიტერატურაში პროპოზიციის ძირითად სახეობადაა მიჩნეული. ამდენად, *რომ* კავშირიანი დამოკიდებული პროპოზიციული დამატებაა (ამაზე მიუთითებს შემოკლება *that p*), ხოლო *think* და *remember* — პროპოზიციული მიმართების აღმნიშვნელი ზმნები.

პროპოზიციული მიმართების ზმნა, როგორც წესი, გამოხატავს „ადამიანის სუბიექტურ დამოკიდებულებას ობიექტური სინამდვილისადმი, სიტუაციისადმი, რომელიც მის ცნობიერებაში აღბეჭდილია იდეალური ხატის (პროპოზიციის) სახით. ამგვარ სუბიექტურ დამოკიდებულებას პროპოზიციული მიმართება ეწოდება“ [1, 71]. როგორც ვხედავთ, პროპოზიციულ მიმართებაში ორი მხარეა საკულისხმო: ობიექტური სინამდვილე და ადამიანის სუბიექტური დამოკიდებულება ამ სინამდვილისადმი. ჩვენს საანალიზო გამონათქვამში ობიექტური სინამდვილე დაკონკრეტებულია როგორც წარსულის მოვლენა, რომელიც თავის დროზე ცოდნის მარაგში იქნა გადარიცხული იმ საფუძველზე, რომ ადამიანი თვითმზილველი იყო ამ მოვლენისა, თავად მოისმინა, თქვა და ა. შ. ის, რაც ახლა პროპოზიციის შინაარსს შეადგენს. საუბრის მომენტისათვის ეს ცოდნა შესაძლოა მთლიანად შემორჩა მის მესხიერებას, შესაძლოა დავიწყებას მიეცა, ნაწილობრივ ანდა მთლიანად. პროპოზიციისადმი სუბიექტური დამოკიდებულება ცნობიერდ იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანი წარსული მოვლენის ცოდნა-არცოდნას ამტკიცებს — *I (don't) remember that p*, ან ვარაუდს გამოთქვამს ამ მოვლენის თაობაზე: *I think that p*.

დავძენთ, რომ *I remember that p* წარსულის ცოდნის ტოლფასია, რადგან ცოდნის დარად პროპოზიციის ჭეშმარიტებაზე მიუთითებს [2, 89], ხოლო ზმნა *think* სათუთს ხდის პროპოზიციის ჭეშმარიტებას და სააღბათო (სავარაუდო) შეფასებას აძლევს მას. ჭეშმარიტება-მცდარობა და აღბათობა გამონათქვამის უტყუარობის (*certainty*) სხვადასხვა ხარისხის მაჩვენებელია.

როგორც ვარაუდის, ასევე მესხიერების და, ცხადია, ცოდნის ზმნები ადამიანის გონებრივ მდგომარეობას აღწერენ. პროპოზიციული ზმნების შემადგენ-

¹ შევნიშნავთ, რომ ზმნისთვის *remember* მესხიერების აღნიშვნა პირველადი მნიშვნელობაა, ხოლო ზმნისთვის *think* — ერთ-ერთი შესაძლო კონტექსტური მნიშვნელობა.



ლობაში ისინი ეპისტემურ (მენტალურ) ზმნათა ცალკე ჯგუფს ქმნიან. დასაძინებელი დალური მნიშვნელობაც დაერთვის, რაც პროპოზიციის ასახული მნიშვნელობისადმი ადამიანის სუბიექტურ დამოკიდებულებას ვულისხმობს. ამიტომაც აღნიშნულ ზმნებს ზოგჯერ მენტალურ მოდუსს უწოდებენ, ხოლო თუ ლექსიკურ მნიშვნელობასაც გაითვალისწინებთ, ნათელი გახდება, რომ think ვარაუდის მოდუსია, ხოლო remember — მეხსიერების, უფრო ფართო გაგებით კი წარსულის ცოდნის მოდუსი.

საანალიზო მასალის კლასიფიკაციისას კრიტერიუმად გამოვიყენეთ პროპოზიციული მიმართების მოდალური კომპონენტი, რის შედეგადაც მეხსიერების პროპოზიციები სამ ჯგუფად გაიყო. ათელის წერტილად მიჩნეულია და პირველ ჯგუფს ქმნის არცოდნის შემცველი გამონათქვამი: I don't remember that p. მომდევნო ჯგუფებში შესაბამისად გაერთიანდნენ ვარაუდისა და ცოდნის შემცველი გამონათქვამები: I think that p, I remember that p. განვიხილოთ თითოეული მათგანი ცალ-ცალკე.

1. მეხსიერების პროპოზიცია რჩება არცოდნის დონეზე. უკვე ითქვა, რომ აქ ხშირად გვხვდება უარყოფით ფორმაში ნახშირი ზმნა remember². იგი წარმოდგენილია როგორც დამატებით, ასევე უდამატებოდ. დამატება გამოიხატება სახელით, პროპოზიციით ან მათი სუბსტიტუტით: „Was the word 'divorce' mentioned?“ „I don't remember it“ (J. Galsworthy). I don't remember the word. I don't remember. I don't remember that he said these words. I don't remember him saying these words. ბოლო მაგალითში რომ კავშირია პროპოზიცია დაყვანილია ნომინალიზებულ კონსტრუქციაზე him saying. „ნომინალიზაციად იწოდება პრედიკატული სტრუქტურების (წინადადებების) სახელადად გარდაქმნის მექანიზმი და ამ გარდაქმნის შედეგი“ [4, 347]. ნომინალიზებულ პროპოზიციას ყველა ზმნა ვერ იერთებს, რაც ამ უკანასკნელთა სემანტიკურ სპეციფიკაზე მიუთითებს და პროპოზიციულ ზმნათა კვლევის მეტად მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს. ეს საკითხი ვარაუდისა და მეხსიერების ზმნების შეპირისპირებით ანალიზთანა დაკავშირებული და ქვემოთ იქნება განხილული.

დასახელებული კონსტრუქციები ძალზე მჭიდროდაა დაკავშირებული დიალოგის კომუნიკაციურ სტრუქტურასთან. უმეტესად I don't remember წინამავალი კითხვის პასუხია. კითხვას მეხსიერების არეში შემოაქვს წარსულის ესა თუ ის მოვლენა და ზუსტ ცოდნას ითხოვს აღრესატი საგან. ამასთან თუ კითხვა ზოგადია, იგი წინდაწინვე აკონკრეტებს პასუხს და დიახ-არა სიტყვების დიზუნქციურ ჩარჩოში მოაქცევს მას. შდრ. დამოწმებული კითხვის სრული პასუხი: Was the word, 'divorce' mentioned? I don't remember if it was or not. ზემოთ მოკლე პასუხებიც გაეცა ამ კითხვას: ა) I don't remember it, სადაც ნაცვალ-სახელი it სიტყვას ჩაენაცვლა (აქ: სიტყვას divorce) და არა მთელ პროპოზიციას; ბ) I don't remember, სადაც საანალიზო ზმნას საერთოდ არ ახლავს

² რა თქმა უნდა, დაიწყება სხვაგვარადაც გადმოიყვამ: I forget... I can't recall... და ა. შ., მაგრამ forget და recall არსებითად განსხვავდება ზმნისაგან remember. საქმე იმაშია, რომ პროპოზიციული მიმართების გადმოსაცემად გამოიყენება როგორც მოკმედების, ასევე მდგომარეობის აღნიშნული პრედიკატები. შესაბამისად საქმე გვაქვს პროპოზიციული ზმნალობის (მოდუსების) და პროპოზიციული მდგომარეობის ზმნებთან (propositional achievement verbs vs. propositional state verbs [3, 88]. პირველთა რიცხვს მიეკუთვნება to forget, to recall და სხვ. (დამავიწყდა, გამახსენდა, ვერ ვიხსენებ. სხვათა შორის, აქვე შედის I can't remember), მეორეთა რიცხვს — know, remember და think (ვიცი, მახსოვს, ვფიქრობ, მე მგონია). წინამდებარე სტატიაში მხოლოდ პროპოზიციული მდგომარეობის ზმნებია განხილული.



დამატება. როგორც ინფორმანტი მოწმობს, ამ შემთხვევაში უკვე მთლიანად პროპოზიციის ცოდნა უარყოფილი და არა მისი რომელიმე ცალკეული მენტისა. მეხსიერების ზმნის უდამატებო, აბსოლუტური ხმარება გარკვეულ დიფერენციულ ფუნქციას ასრულებს. აქ დამატების არქონა ნიშნადია, რადგან ზუსტად განსაზღვრულ მიზანს — პროპოზიციის უარყოფას ემსახურება.

ირიბკითხვიანი გამონათქვამის კომუნიკაციური ბირთვი თვით პროპოზიციული მიმართების ზმნაა. დამოკიდებულ წინადადებას კომუნიკაციური მახვილი არ მოუდის. ეს ბუნებრივია, რადგან უმეტესად დამატების შინაარსი ისედაც არაორაზროვნად იკითხება წინამავალი კონტექსტიდან და იგი ახალს არაფერს შეიცავს. გამონათქვამის თემატური ნაწილი ადვილად ექვემდებარება სახელთა ჩანაცვლებისა თუ ელიმინირების სინტაქსურ პროცესს.

რამდენადმე განსხვავებულია რომ კავშირიანი პროპოზიციის შემცველი გამონათქვამის კომუნიკაციური სტრუქტურა. I don't remember that he said these words არ არის ისე მკიდროდ ჩართული სადილოგო რეპლიციების ჩარჩოში. რომ კავშირიანი დამოკიდებულის შინაარსი ნაკლებადაა განპირობებული სქემით კითხვა-პასუხი. პროპოზიციის ჩამოყალიბებისას სუბიექტი მეტინიციატივას ფლობს, რის გამოც კომუნიკაციურ პლანში პროპოზიციული დამატება ისევე აქტუალურია, როგორც საანალიზო მეხსიერების ზმნა.

ეპისტემური ზმნები რიგ მომიჯნავე მეცნიერებათა ინტერესის სფეროშია მოქცეული. ხშირად ამ ზმნებზე დაყრდნობით ლოგიკოსები მსჯელობის ჭეშმარიტება-მცდარობას იკვლევენ, ფსიქოლოგები — ცნობიერებაში მიმდინარე პროცესებს, ლინგვისტურ ფილოსოფიაში წარმოებული გამოკვლევები კი ენის სიღრმისეულ შრეებს წვდება და გარკვეულწილად ნათელს ჰფენს ეპისტემურ ზმნათა არა ერთ სტრუქტურულ-სემანტიკურ თავისებურებას. პირველ რიგში დავიმოწმებთ ამერიკელ მეცნიერს ზ. ვენდლერს. იგი შემდეგნაირად აღწერს ცოდნისა და მეხსიერების სუბიექტის მენტალურ მდგომარეობას: „X knows that p ნიშნავს: X ფლობს ხელმისაწვდომ მენტალურ რეპრეზენტაციას p, აღძრულს ფაქტით that p. ხელმისაწვდომს ვამბობთ, რადგან არსებობს დავიწყებისა და შემდგომ გახსენების შესაძლებლობა. ამ შუალედში რეპრეზენტაცია შენარჩუნებულია, ოღონდ, ჩანს, მისადგომია „ბლოკირებული“. ასე რომ არ იყოს, გახსენება ხელახალი სწავლა-გაგება იქნებოდა, რაც სწორი არ არის“ [5, 227]. უნდა ვიფიქროთ, რომ I don't remember წარსულის რეპრეზენტაციის „ბლოკირებას“ ნიშნავს, ხოლო I remember ამ უკანასკნელის მოხსნას. I know არსებითად განსხვავდება ამათგან, რადგან მის სემანტიკაში საერთოდ არ შედის არც „ბლოკირების“ კომპონენტი, არც ინფორმაციის ის დეფიციტი, რომელიც ამ დროს აღენიშნება ადამიანს.

მიუხედავად ამგვარი სემანტიკური სხვაობისა, know და remember ერთნაირი ძალით ამტკიცებენ პროპოზიციის ჭეშმარიტებას, რაც მეტყველებაში მათი შესაძლო ფუნქციური ეკვივალენტობის საფუძველია. ეს ზმნები აღნიშნავს, რომ სუბიექტი ფლობს პროპოზიციით მინიშნებულ ინფორმაციას. არ ვიცი და არ მახსოვს საწინააღმდეგო შინაარსისაა: სუბიექტი არ ფლობს სათანადო ინფორმაციას, საუბრის მომენტში მას არცოდნა აღენიშნება. აქ განსხვავება წარსულის ეპისტემურ მდგომარეობაშია საძიებელი. ცოდნის მოდუსი არ უკავშირდება წარსულს: სადაც ამჟამად არცოდნაა, არც წარსულში აღინიშნებოდა ცოდნა. სადაც ამჟამად დავიწყებაა, წარსულში ცოდნა აღინიშნებოდა — გვაეფიწყება ის, რაც ვიცოდით. „არ ვიცი თვით ინფორმაციის მიღების ფაქტს უარყოფს. ...არ მახსოვს კი ნიშნავს: ადრე ამა თუ იმ წყაროს მეშვეობით მივიღე ინფორმაცია, მაგრამ შემდეგ დამავიწყდა იგი“ [2, 91].



აქვე უნდა განვიხილოთ ისეთი ტიპის გამონათქვამი, როგორცაა **I don't remember that he has ever told lies.** აქ მთლიანადაა ნეიტრალური ცოდნისა და მესხიერების ზმნათა ზემოაღნიშნული განსხვავება **შეიძლება I don't remember** აღნიშნავს არა წარსულის რეპრეზენტაციის ბლოკირებას, არამედ იმას, რომ დასახელებული ფაქტი სუბიექტის ცოდნის მარაგში არ მოიპოვება და არც არასდროს მოიპოვებოდა. მოცემულმა მაგალითმა ცოდნა-მესხიერების ზმნების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ურთიერთკავშირი წარმოაჩინა: მესხიერება ახდენს წარსულის ცოდნის ფიქსაციას და წარსულში მიღებულ ინფორმაციას საუბრის მომენტში არსებულ ცოდნასთან აკავშირებს. თუ წარსულში ესა თუ ის ფაქტი არ აღინიშნებოდა, არც მისი ცოდნაა მოსალოდნელი. მაგრამ მთავარი შემდეგია: დასახელებული ტიპის გამონათქვამი მესხიერებას კი არ უარყოფს, არამედ ცოდნის ობიექტად ირჩევს საპირისპირო შინაარსის პროპოზიციას: **I don't remember that he has ever told lies → He never tells lies./He has never told lies.** ცოდნის მტკიცება აქ უკუთქმითი გზით ხდება, რაც უჩვეულოა და გარკვეულ სტილისტურ ელფერს ანიჭებს გამონათქვამს.

ამრიგად, **I don't remember that p** ჩვენს საანალიზო მასალაში ორი მნიშვნელობით იხმარება. ესენია: მაგალითთა დიდ უმრავლესობაში — დავიწყება, ცალკეულ შემთხვევაში — ცოდნის ემფატური მტკიცება.

ზ. ვენდლერის ციტატაში კიდევ ერთი მომენტი საყურადღებო — ცოდნა-მესხიერების შინაარსის ფაქტობრივი სტატუსი. ამ ზმნებზე დართული პროპოზიცია ფაქტის ანარეკლია. ამიტომაც მესხიერების შინაარსი, ობიექტური ფაქტის დარად, შეიძლება იყოს არა მარტო ერთი, არამედ რამდენიმე ადამიანის „კუთვნილება“. ეს საგრძნობლად ზრდის გახსენების პერსპექტივას, რადგან ინფორმაციის დანაკლისი შესაძლოა სხვა პირმა შეავსოს.

დავიწყებულის აღდგენა და ცოდნაში გადასვლა სცილდება ამ გჯუფის ფარგლებს. ვიდრე ამას შევეხებოდეთ, განვიხილოთ არცოდნა-ცოდნის შუალედური ეპისტემური რგოლი — ვარაუდის მოდუსი.

მესხიერების უზუსტობა (არანრული უტყუარობა). პროპოზიციის საფარული (სააღბათო) შეფასებისას სშირად გამოიყენება ზმნები **think** და **believe**. რას გულისხმობს მესხიერების სააღბათო შეფასება? ჩ. კეიტონი, რომელიც ინტენსიურად იკვლევს მის მიერ „ეპისტემური მისაზღვრელებად“ წოდებულ მენტალურ ზმნებსა და გამოთქმებს, ამგვარ მაგალითს გვთავაზობს: „ვთქვით ჯოუნზმა მითხრა, მომავალ კვირას შეხვედრავი მივლივარო. გადის გარკვეული დრო და მეკითხებიან, ჯოუნზმა სადმე ზომ არ მიდისო. პასუხი: **I think so** ან **I seem to recall he is** ნიშნავს, რომ ზუსტად ვერ ვიხსენებ, რა მითხრა ჯოუნზმა, ან მითხრა თუ არა რაიმე წასვლის შესახებ საერთოდ“ [6, 66]. მაშასადამე, პროპოზიციას აქვია უტყუარობა და საქმე გვაქვს მესხიერების უზუსტობასთან. აქ შეუძლებელია იმის მტკიცება, რომ გახსნილია წარსულის რეპრეზენტაციის მისადგომი ვენდლერისეული გაგებით (ეს გახსენება იქნებოდა). თუმცა არც ის ითქმის, რომ ეს მისადგომი მთლიანადაა „ბლოკირებული“ (როგორც ეს წინა გჯუფში აღინიშნებოდა). ვფიქრობთ, საქმის არსი შემდეგშია.

ცოდნა-არცოდნის და დავიწყება-გახსენების მიღმა ფაქტი იგულისხმება. „სიტყვა **ფაქტი** აღნიშნავს ისეთ მოვლენას, ხდომილებას, რომლის არსებობა დასაბუთებულია „ობიექტურად“ [7, 138]. ფაქტის ენით გადმოცემული ობიექტური სინამდვილე მხოლოდ ორგვარ აღწერას ექვემდებარება: რაღაც მოხდა ან არ მოხდა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, პროპოზიციული მიმართება ფაქტისადმი

ან მტკიცების, ან უარყოფის ენით უნდა გადმოიცეს: I remember that p / I don't remember that p. მესამე გზა არ არსებობს.

Think და believe არაფაქტობრივი ზმნებია. გამონათქვამი I think / ხელმოწერა იმისაა, რომ I think that p ფაქტს კი არ გვაცნობს, არამედ ფაქტებზე დაყრდნობით შემუშავებულ სააღბათო აზრს, ვარაუდს. ვარაუდი უგულვებელყოფს მტკიცება-უარყოფის ზემოხსენებულ დიზუნქციურ ჩარჩოს, რადგან იგი ფაქტზე არ არის ორიენტირებული (მაგალითად, შეუძლებელია ითქვას: *I don't think if he came here or not). ამგვარი „თავისუფლება“ მოლაპარაკეს საშუალებას აძლევს ფაქტობრივი მასალის გამოყენებით, მაგრამ არა უშუალოდ ფაქტების ენით, რამდენიმე (ორი ან მეტი) ინტერპრეტაცია შეიმუშაოს ამა თუ იმ საკითხის თაობაზე. მაგალითად, Jones said that p/Jones said that q/Jones said that r. ამრიგად, იქმნება არჩევანის გარკვეული ზონა, რომლიდანაც ადამიანი საკუთარი შეხედულებისამებრ აარჩევს და გამოთქვამს ერთ-ერთ, ყველაზე ნაკლებად სათუო და ყველაზე სავარაუდო პროპოზიციას. გამონათქვამს ყოველთვის თან სდევს დაეკება მიღებული არჩევანის სისწორეში (იქნებ q ან r უფრო სავარაუდოა, ვიდრე p?). ამგვარადაა ვარაუდის ზმნების სემანტიკა წარმოდგენილი თანამედროვე ეპისტემოლოგიაში [8, 47]. ვარაუდის არსი საერთოდ და მესხიერების კონტექსტი კერძოდ არჩევითობის მოდალობაში მდგომარეობს. ვარაუდის ზმნა იმთავითვე გამოიციხავს ცოდნისათვის დამახასიათებელ უტყუარობას და სწორედ ამით უპირისპირდება ცოდნისა თუ მესხიერების მოდუსს.

საკითხის სულ სხვა მხარეა ის, რომ არსებობს პროპოზიციის ვერიფიკაციის (შემოწმების) შესაძლებლობა. მაგალითად, თუ სიტუაციური განპირობებულობა მოითხოვს, არ არის გამოიციხებული უტყუარი ცოდნის მისაღწევად მოვლენის თვითმხილველსა თუ თანამონაწილეს მიმართონ. მათ შეუძლიათ დაადასტურონ ან უარყონ გამოთქმული ვარაუდი, რაც სააღბათო შეფასებას უტყუარ ცოდნაში გადაიყვანდა. მაგრამ მოცემული ჯგუფის ფარგლებში ეს, როგორც წესი, არ ხერხდება. საძიებელ ცოდნას არავინ არ ფლობს. ზოგ სიტუაციაში კი ცოდნის მიღწევა და უტყუარობა არ არის მიჩნეული რელევანტურ ფაქტორად. მაგ. I believe I mentioned to my wife that I had met the famous Arlena Stuart (A. Christie). მომდევნო კონტექსტი არ შეიცავს არავითარ დაზუსტებას ან ჩაკითხვას, რაც იმას ნიშნავს, მესხიერების თემა ამით ამოწურულადაა მიჩნეული.

აქ დამოწმებულ მაგალითებში მესხიერების უზუსტობა არაფაქტობრივი მსჯელობის ჩარჩოებშია მოქცეული. არსებობს მეორე გზაც, როცა მესხიერების უზუსტობა ფაქტობრივი შინაარსის პროპოზიციით გადმოიციემა. მხედველობაში გვაქვს იგივე ზმნა remember მასზე დართული გარემოებითი მსახლვრელით vaguely: I vaguely remember that she wore a headband. მსჯელობის სავარაუდო შეფასება არჩევანის მოდალობითა და დაეკვებითა განპირობებული. რა სემანტიკური ნიშნებით გამოირჩევა მესხიერების მოდუსის შემცველი გამონათქვამი? დასახლებული გარემოება ვერ ცვლის პროპოზიციის ფაქტობრივ სტატუსს. პროპოზიციული დამატება სინამდვილეს ასახავს, მაგრამ სუბიექტის შეფასებით მოგონება ბუნდოვანია, რადგან მას სიცხადე და გამოკვეთილობა აკლია. არაა გამოიციხებული, რომ მან ეს-ესაა ამოზიდა მესხიერებიდან წარსულის აღნიშნული მონაკვეთი, რაც ენობრივად პროპოზიციული ქმნალობის ზმნით გადმოიციემოდა: I can vaguely remember that p, I seem to recall that p: ბუნდოვნად ვიხსენებ/მახსენდება, რომ... შდრ. აგრეთვე მესხიერების უზუსტობის სხვა ლექსიკურ-გრამატიკული გამოჩნატელები: რაღაც ბუნ-
7. მაიენე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1990, № 1

დღვანდ ვიხსენებ, რომ... თითქოს ვიხსენებ / მაგონდება, რომ... ჩვენ მხოლოდ
საკითხის შედეგობრივი მხარე გვინტერესებს, რასაც ჩვეულებრივ პროპოზი-
ციული მდგომარეობის ზმნა ასახავს: **მახსოვს** (და არა **ვიხსენებ / მახსენებ**)
რომ...

მივყევთ შეპირისპირებითი ანალიზის სვლას: think vs. vaguely remember. ინფორმანტთა კომენტარით ბუნდოვანი მეხსიერება (blurred memory) პროპოზიციის შინაარსზე მეტად პროპოზიციასთან დაკავშირებული დეტალების მახასიათებელია (იგულისხმება ყველაფერი, რაც პროპოზიციასთან ერთად ერთ სიტუაციურ მთლიანობას ქმნის). მოგვყავს ეს კომენტარი: I vaguely remember that p — „გამონათქვამის კეშმარიტება ექვევარეშეა. უბრალოდ მომდევნო კითხვებზე ვერ შევძლებ პასუხის გაცემას“. მაშასადამე, უტყუარობა აკლია ფართო კონტექსტს, და არა მეხსიერების ზმნით აქტუალიზებულ პროპოზიციას.

სემანტიკის დონეზე არსებული დაპირისპირება **მეხსიერების ფაქტობრივი ზმნა — ვარაუდის არაფაქტობრივი ზმნა** განაპირობებს გამონათქვამის რიც სინტაქსურ და კომუნიკაციურ თავისებურებებს. დავასახელებთ ზოგიერთ მათგანს:

1. უკვე აღინიშნა, რომ მეხსიერების ზმნას შეუძლია ნომინალიზებული დამატების მიერთება. სპეციალურ ლიტერატურაში ხაზი ესმის იმ გარემოებას, რომ დამატების სინტაქსურ პოზიციასში აღვიღად ჩაენაცვლება თვით სიტყვა **ფაქტი** და მასთან დაკავშირებული სახელები: **მიზეზი**, **შედეგი** და სხვ. ეს ფაქტობრიობის ამოცნობის ერთ-ერთი ძირითადი ტესტია [5, 228]. მაგ., I (vaguely) remember that he refused to join us → I (vaguely) remember the fact/it. მ.გრამ: * I think the fact/it. აქვე შევნიშნავთ, რომ ნაცვალსახელი it ამჯერად უკვე ნომინალიზებული დამატების სუბსტიტუტია.

რატომ არ ითანხმებს არაფაქტობრივი ზმნა ნომინალიზებულ დამატებას? წინა ჯგუფის განხილვისას შევეცადეთ კომუნიკაციური ფაქტორით აგვეხსნა პროპოზიციის ელიმინირება ან სახელით შენაცვლება — უკვე ნაცნობი ინფორმაცია „უმტკივნეულოდ“ შეიკვეცება, რადგან ეს არ იწვევს ინფორმაციის უკმარისობას. თუ იმავე კომუნიკაციურ ფაქტორს უფრო განვაზოგადებთ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ფაქტი არ არის მხოლოდ ერთი ადამიანის, მოლაპარაკის „კუთვნილება“. იგი ობიექტურ სინამდვილეს ასახავს, რაც ყველასათვის ერთნაირად ხილული და ხელმისაწვდომია და ბევრისათვის — ცნობილიც. როგორც ვხედავთ, მსჯელობა კვლავ ნაცნობი ინფორმაციის, ანუ თემის, საკითხზე იქნა დაყვანილი. არაფაქტობრივი ზმნის დამატება ადამიანის ნააზრევია და არა საყოველთაოდ ცნობილი ფაქტი. ამიტომ პროპოზიციის ძალზე მკიდრო კავშირი აქვს „აქტორთან“ — ამ შემთხვევაში პროპოზიციული მიმართების ზმნის სუბიექტთან. სუბიექტის ნააზრევიდან არც ერთი სიტყვა არ ამოიღება. ასე რომ, არათუ ერთსიტყვიანი ნომინალიზაცია (მაგ., *I think the fact), არამედ კერძო ირიბი კითხვაც ვერ მიუერთდება ვარაუდის ზმნას, რადგან აქ გამოტოვებულია კითხვითი სიტყვით მინიშნებული ინფორმაცია. არაფაქტობრივი ზმნის კონტექსტში პროპოზიციის ყველა კომპონენტი სრულად უნდა იყოს წარმოდგენილი. შდრ.: *I think what he said. vs. I remember what he said. აღნიშნული სინტაქსურ-სემანტიკური სხვაობა პირველად შენიშნა და ცოდნა-ვარაუდის ზმნების მასალაზე დაამუშავა ზ. ვენდლერმა. მანვე დაადგინა ფაქტობრივ-არა-ფაქტობრივი ზმნების სხვა არაერთი საგულისხმო განსხვავება და შემოიღო ფაქტობრიობის კიდევ ერთი, კერძო ირიბკითხვიანი დამატებით შემოწმების ტესტი (ე. წ. wh-test [5, 227]).



2. ერთადერთი სიტყვა, რომელიც ვარაუდის ზმნის მარჯვენა გარემოცვაში ჩაენაცვლება, არის ზმნიზედა so. მაგ. „Did you call him 'darling'?“ „I have, but I don't think so“ (J. Galsworthy). აქ ადგილი აქვს პროპოზიციის პრონომინალიზაციას, მაგრამ ამასთან ისიც უნდა ითქვას, რომ მეხსიერების და ვარაუდის ზმნები სრულიად განსხვავებულ რაიონში წარმოგვიდგენენ ნომინალიზებულ დამატებას. კერძოდ, ნაცვალსახელები it, this სინამდვილის ფაქტზე მიუთითებენ, ზმნიზედა so კი პროპოზიციის შინაარსს ასახავს [9, § 90]. სხვაგვარად რომ ვთქვათ, დასახელებული ნაცვალსახელები პროპოზიციის რაობას გვაცნობენ, ხოლო აღწერითი სიტყვა so — მის რაგვარობას: ეს მახსოვს / ვიცი, მაგრამ: ასე / ამგვარად ვფიქრობ.

3. აქ რამდენიმე სიტყვა უნდა ითქვას საანალიზო გამონათქვამთა კომუნიკაციური სტრუქტურის შესახებ. უპირველეს ყოვლისა აღვნიშნავთ, რომ ზემოხსენებული ფაქტორები მნიშვნელოვნად განსაზღვრავენ გამონათქვამის არა მარტო სინტაქსურ, არამედ კომუნიკაციურ ორგანიზაციასაც. ასე მაგალითად, ის, რაც ცნობილია და ფაქტია, ვერ იქნება გამონათქვამის კომუნიკაციური ბირთვი ანუ რემა. როგორც აღინიშნა, ფაქტობრივი პროპოზიცია უმეტესად გამონათქვამის თემას წარმოადგენს, ხოლო თვით ფაქტობრივი ზმნები მახსოვს, ვიცი — რემას. ცხადია, თემატური ნაწილი უფრო ადვილად დაექვემდებარება შეკვეცა-ელემინირებას, ვიდრე რემა. მაგრამ ამგვარად ვარაუდის ზმნა უფრო გვანტერესებს. „ავტორისეული“ ნააზრევი ადებულია სუბიექტური და არა ობიექტური სინამდვილიდან, სხვებისათვის იგი ახალი და უცნობია. აქ პროპოზიცია, როგორც წესი, გამონათქვამის რემაა და კომუნიკაციური მახვილით წარმოითქმის [10, 298]. სინტაქსური და კომუნიკაციური მახასიათებლები აქაც ავსებენ და განაპირობებენ ერთმანეთს: გამონათქვამის კომუნიკაციური ბირთვი მტკიცე სინტაქსურ „ყალიბს“ ითხოვს და ნაკლებად ექვემდებარება სინტაქსური რედუქციის პროცესს.

4. მეხსიერების ზმნა თავისუფლად იხმარება ბრძანებით კილოში. ვფიქრობთ, ამის ერთ-ერთი ახსნა მის მნიშვნელობაშია საძიებელი. როგორც თავიდანვე ითქვა, remember წარსულის ცოდნის ეკვივალენტია. ჩვენი საანალიზო მასალის ფარგლებში მეხსიერება ყველაზე ახლოსაა უშუალოდ მიღებულ ცოდნასთან, რომლის წყაროსაც ფიზიკური აღქმა (ხედვა, სმენა, შეხება) წარმოადგენს. ფიზიკური ქმედების დარად, მეხსიერების ზმნაც ადვილად ექვემდებარება იმპერატივის აქტს. შდრ. Remember (see / hear) what he has done! აქ ბრძანებითი კილო მომავალზეა ორიენტირებული და დამახსოვრების აქტუალიზაციას ემსახურება. დამახსოვრებას უთუოდ აქვს გარკვეული პრაგმატული გამოიხსნა (მაგ., დაიხსოვე, რათა სათანადო დახკვნა გამოიტანო, შესაბამისად იმოქმედო და ა. შ.). ვარაუდით გამოხატული მეხსიერება კი მხოლოდ რეტროსპექტული ხასიათისაა, განხენებას ემსახურება და პროსპექციის პრაგმატული პარამეტრი მას არ გააჩნია.

5. მეხსიერების კონტექსტში ნახმარი ვარაუდის მოდუსი არ დაირთავს არავითარ გარემოებით სიტყვას. სიტუაციური განპირობებულობის მიხედვით გამონათქვამი I hardly (truly) really think that p გამოხატავს თვალსაზრისს, შეხედულებას, სუბიექტის გულწრფელობას, მაგრამ არა წარსულის სავარაუდო გახსენებას. ამით think უგულებელყოფს ვარაუდის გრადაციის (აღბათობის ხარისხის კლება-მატების) იმგვარ ხერხს, როგორცაა პროპოზიციული მიმართების ზმნაზე ზმნიზედური მსაზღვრელის დართვა.

შეიძლება დასახელებულ იქნეს კიდევ არაერთი განსხვავება (მაგალითად, ვარაუდის ზმნა ვერ იერთებს აღწერითი შინაარსის როგორ დამოკიდებულს. შდრ.: მახსოვს, როგორ უხაროდა ეს. მაგრამ: *მგონი / ვფიქრობ, როგორ უხა-



როდა ეს. შდრ. აგრეთვე ის, რაც მტკიცება-უარყოფის დიზუნქციის (შესაბუთებითვე პირველი ჯგუფის განხილვისას, და ა. შ.), მაგრამ, ეფექტობთ ნიშნულიც საესებით საკმარისია, რათა დაეასკენათ შემდეგი:

მეორე ჯგუფში აქტუალიზდება არაზუსტი მეხსიერება. პროპოზიცია ხასიათდება არასრული უტყუარობით. რასაც ეპისტემური მსაზღვრელები I think და I vaguely remember განსხვავებული სტრუქტურულ-სემანტიკური და კომუნიკაციური ორგანიზაციის გამონათქვამებით წარმოგვიდგენენ მეტყუელებაში. განსხვავება ემყარება ბინარულ ოპოზიციას არაფაქტობრივი ზმნა vs. ფაქტობრივი ზმნა, ვარაუდი vs. ბუნდოვანი მეხსიერება.

რა მიმართება აქვს აღნიშნულ გამონათქვამებს ძირითად ეპისტემურ კატეგორიასთან — ცოდნასთან? სავარაუდოდ (საალბათოდ) შეფასებული მეხსიერება არც ცოდნის ობიექტია და არც არცოდნისა. მაგრამ პროპოზიცია ვერაფერიც არაა, ე. ი. იგი ექვემდებარება შემოწმებას. რაც ქმნის ცოდნაში გაგადასვლის პერსპექტივას. გარკვეული პრაგმატული ფაქტორების გამო ეს პერსპექტივა მოცემული ჯგუფის ფარგლებში არ აქტუალიზდება.

გამონათქვამში I think that p არასაკმარისი უტყუარობა საკუთრივ პროპოზიციის სემანტიკური ნიშანია, ხოლო I vaguely remember that p ამ მხასიათებელს ფართო ეპისტემურ კონტექსტს განუკუთვნებს. გარემოებითი სიტყვა ვერ ცვლის მეხსიერების ზმნის ფაქტობრივ სტატუსს. პროპოზიცია ფაქტადვე რჩება და ამიტომ იგი სუბიექტის ცოდნის ფონდში შედის.

მეხსიერების პროპოზიცია გადადის ცოდნაში. გადასვლა სუბიექტის ეპისტემური მდგომარეობის შეცვლას გულისხმობს. ამასთან უფრო „დაბალი რანგის“ ეპისტემური მსაზღვრელის ადგილას ჩაენაცვლება მეხსიერების ზმნა. ეს მსაზღვრელება უკვე განხილული not to remember და to think. არ არას გამორიცხული დაეიწყების პირდაპირი გადასვლა ცოდნაში, მაგრამ ჩვენ ცოდნის აღდგენის გრადუირებული მოდელი უფრო გვიანტერესებს, სადაც გახსენება გაშუალებულია ვარაუდის ზმნით: don't remember → I think → I remember.

პირველი მაგალითი სწორედ ამგვარ მოდელზეა აგებული და, შეიძლება ითქვას, გახსენების ერთგვარ „ანატომიას“ შეიცავს: მაგ. 1. „Harlington, how long has your uncle had this jar?“, „How long? I really don't know“. „Think. Did he buy it lately?“ „I don't know“. — yes. I believe he did, now that I come to think of it. I'm not very much interested in porcelain myself, but I remember his showing me his recent acquisitions, and this was one of them“ (A. Christie).

მეხსიერებაში აღსაღწევი ფაქტი მოქცეულია კითხვაში „How long has your uncle had this jar?“ თანამოსაუბრე არ ფლობს რაიმე ცოდნას ამის თაობაზე: „I really don't know“. სწორედ აქედან აითვლება პროპოზიციის თანდათანობითი გადასვლა ცოდნაში. უტყუარობის დასაღწენად მოსაუბრე მიმართავს ჩაკითხვის ხერხს და მიმნიშნებელ კითხვას მოიშველიებს: Did he buy it lately? წარმოიქმნება ეპისტემური წრე, სადაც სუბიექტის მენტალური მდგომარეობა ამგვარადაა აღწერილი: ა) ცოდნის კატეგორიული უარყოფა: I really don't know; ბ) ცოდნის უარყოფა, შერბილებულ ვარაუდზე გადასვლით: I don't know—yes. I believe he did; ცოდნის მტკიცება: I remember his showing...; როგორც აღინიშნა, I remember ცოდნის ტოლფასია, რადგან სუბიექტი უტყუარობის გარანტიას იძლევა, ზმნა show კი ცოდნის წყაროს აზუსტებს—ეს პროპოზიცია წარსულში პერსპექტული (კერძოდ მხედველობითი) ცოდნის სახეობას შეადგენდა. მაშასადამე, აქ გახსენებას წინ უძღვის ცოდნის კონკრეტული წყაროს დადგენა, რაც ფაქტობრივად

ცოდნის დადგენას უღრის. (შდრ. მაგალითად ამგვარი ინტერპრეტაციის შესაძლებლობა: ვხედავ, მესმის = ვიცი ეს ფაქტი. არ მინახია, არ გამიგონია = არ ვიცი)

რა თქმა უნდა, არსებობს გახსენების არა ერთი სხვა ვხაც. მაგალითად, როგორც უკვე ითქვა, შეიძლება მივმართოთ მოვლენის სხვა თანამონაწილესა და თვითმხილველს. ამასთან, თუ მეხსიერების საწყისი მდგომარეობა საალბათოდაა შეფასებული, მაშინ მიღწეულ ცოდნას პროპოზიციის ვერიფიკაცია უფვეს საფუძვლად. მაგ. 2. „And if you would shift a few inches to the left, my dear Anne ... Thank you. Discrete, I think, was what I was saying“. „You were“, said Anne (A. Christie).

გახსენება შეიძლება მოხდეს წარსულის სხვა ფაქტის მოშველიებით, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ ეს ფაქტი უტყუარი ცოდნის საგანია და თუ საძიებელი ცოდნა ამ ფაქტთან გარკვეულ კავშირში იმყოფება. ჩვეულებრივ ესაა დროითი კავშირი, საძიებელი და დადგენილი ფაქტების ერთდროულობა ან ერთ-ერთის უწინარეობა. მაგ. 3. „...he has only come to his title within—how long exactly is it, Caroline, since Lord Illingworth succeeded?“ „About four years, I think, Jane. I know it was the same year in which my brother had his last exposure in the evening papers“. (O. Wilde).

წარსულში მიღებული ცოდნის შენარჩუნება დიდადაა დამოკიდებული სხვადასხვა პრაგმატულ ფაქტორზე, რომელთაგან პირველ რიგში დაეასახლებათ დროით ფაქტორს. ახლო წარსულის მოვლენები მეხსიერებაში უმეტესად კარგად არის ხოლმე შემონახული. გამოყოფენ აგრეთვე ზუსტი მეხსიერების ისეთ ფაქტორებს, როგორცაა ინფორმაციის მნიშვნელობა სუბიექტისთვის და გაცნობიერებული აღქმა, ანუ ყურადღების ფიქსაციის ხარისხი. ამასთან დაკავშირებით კვლავ დავუბრუნდებით პირველ მაგალითს. აქ პირდაპირაა ნათქვამი, რომ საძიებელი ინფორმაცია არ შედის სუბიექტის ინტერესის სფეროში (I'm not interested in porcelain myself). ამით ვსაგებავდაა ახსნილი სუბიექტის მენტალური მდგომარეობა, ანუ ის, თუ რატომ არ ახსოვს მას წარსულის არნიშნული ფაქტი. იგივე მაგალითი ცხადყოფს, რომ ყურადღების ფიქსაცია (I think. Did he buy it lately?) არა მარტო დამახსოვრების წინაპირობაა, არამედ რეტროსპექტულ პლანშიც მოქმედებს და ჩაკითხვასთან ერთად გახსენების მიზანს ემსახურება.

მეხსიერების ფაქტორები პროპოზიციის პრაგმატულ მარკერებს წარმოადგენენ. ისინი უტყუარობის გარანტიას იძლევიან და ამით წარსულის ცოდნის პრესუპოზიციას წარმოქმნიან. მარკირებული პროპოზიციის ყოველი სხვაგვარი შეფასება — ვარაუდი, დავიწყება — არღვევს დაპროგრამებულ მოლოდინს და შესაბამის რეაქციას აღძრავს ადრესატში (შდრ. მომდევნო მაგალითში: I think that... და ამით გამოწვეული გაკვირება: Don't you know?) მაგ. 4. „What else did you do?“ „I think we talked.“ „Don't you know? This was an occasion for you, wasn't it?“ „It was the only time I was inside har state—room.“ „In that case you surely remember?“ „We just sat and talked“. Beginning to remember, eh?“ (J. Galsworthy). ფრაზები This was an occasion... It was the only time... ნათელიყოფენ, რომ საძიებელი ინფორმაცია მეტად მნიშვნელოვანია სუბიექტისათვის. ვარაუდს ცოდნის მოთხოვნა უბიროსპირდება: Don't you know? In that case you surely remember. ცოდნისადმი აპელაციას დაახლოებით ამგვარი ქვეტექსტი ახლავს: ასეთ რამეს არ ივიწყებენ, არც საალბათოდ მიიჩნევენ, არამედ იმახსოვრებენ.

აქვე დავძინთ, რომ I really don't know (მაგ. 1) არსებითად განსხვავდება რეპლიკისაგან I don't remember. როგორც დასაწყისში ითქვა, not to know მეხ-



სიკრების „ბლოკირებას“ კი არ მოწმობს, არამედ იმას, რომ პროპოზიცია არასოდეს არ ყოფილა, ან ყოველ შემთხვევაში სუბიექტი თვლის, რომ არ ყოფილა. ცოდნის საგანი. შევადაროთ ამას I don't remember, რომელიც ასევე იწოდება I knew once but I don't know now (I knew, I forgot later, I don't know now). მესხიერების „ბლოკირებისას“ ცოდნის აღდგენას არცოდნა ჩაენაცვლება და მხოლოდ ამგვარი შეპირისპირების ფონზე იქნეს რეალურ მნიშვნელობას ეპისტემური მსაზღვრელი I don't remember. რაც შეეხება საპირისპირო მტკიცებას I remember that p, იგი საწყის ეპისტემურ მდგომარეობას აღადგენს: Now I know again that p. ასეთი წაკითხვა აქვს მას ზემოთყვანილ მაგალითებში: I remember his showing me...; Beginning to remember, eh?

ეს საკითხის მხოლოდ ერთი მხარეა. ზოგ შემთხვევაში I remember შესაძლოა სრულებით არ გულისხმობდეს დაიწყებული, ანუ „ბლოკირებული“ ცოდნის აღდგენას: I remember once he came and asked me for help. ამგვარი ტიპის მაგალითებში პროპოზიციას არ განუცდია რაიმე ეპისტემური სახეცვლილება (ცოდნა → დაიწყება → გახსენება), ამბის მოხდენიდან საუბრის მომენტამდე იგი სულ ცოდნის მარაგში ირიცხებოდა. თუ დაიწყება არ აღინიშნება, რატომღა იხმარება მესხიერების მოდუსი? უფიქრობთ, საქმე იმაშია, რომ აქ გამონათქვამი არ არის პრაგმატულად მარკირებული (ეს ამბავი არაფრით არ იყო გამოჩენული, რომ მესხიერებას შემორჩენოდა. შდრ. აგრეთვე ზმნაზედა once, რაც დროის განუსაზღვრელობასა და ხანგრძლივობას აღნიშნავს). მესხიერების ზმნამ მოხსნა დაიწყების პრესუპოზიცია და წარსულის ცოდნა დაადსტურა იქ, სადაც დაიწყება და არცოდნა იყო მოსალოდნელი. კვლავ სახეზეა მესხიერების და ცოდნის ზმნათა სემანტიკური არაერთგვაროვნების სრული ნეიტრალიზაცია.

შევხებით მესხიერების მოდუსის ექსპლიციტური ხმარების საკითხს. ეს მოდუსი იმაზე გაცილებით უფრო ხშირად აქტუალიზდება, ვიდრე იგი ექსპლიციტურადაა წარმოდგენილი მეტყველებაში. მესხიერების პროპოზიციული მიმართება პრაგმატულ უნივერსალიათა რიცხვს მიეკუთვნება, რაც იმას ნიშნავს, რომ სახეებით შესაძლებელია მისი მინიშნებით გადმოცემა ანუ იმპლიციტება. მართლაც, განა წარსულის ნებისმიერ გახსენებას უძღვის წინ ეპისტემური მსაზღვრელი I remember? რა თქმა უნდა, არა. მომდევნო დილოგი მთლიანად გახსენებაზეა აგებული. მაგრამ ზმნა remember აქ არც ერთხელ არაა ნახმარი. მაგ. 5. „He gave no indication of any bitterness, quarrel, that evening?“ „Not in the least. He said Peter looked well. What a charming girl his new friend was“ (J. Fowles).

მესხიერების ზმნის ძირითადი სემანტიკური ნიშანი — პროპოზიციის უტყუარობა — ამ ზმნის გარეშეც არაორაზროვნად მიეწერება დამოწმებულ გამონათქვამებს. მაშასადამე, სემანტიკურ ფაქტორს გარდა საანალიზო ზმნის ექსპლიციციის სიტუაციური განპირობებულობაც უნდა უწყობდეს ხელს. ლ. ვიტგენშტეინი შენიშნავდა, რომ ზმნა know ექსპლიციტურად მხოლოდ იქ იხმარება, სადაც შეიძლება არცოდნაც იყოს და დაეკვებატ. წინააღმდეგ შემთხვევაში ცოდნის ექსპლიციცია ზედმეტი ზღბა, რადგან ეპისტემური მსაზღვრელის გარეშეც ნათელია, რომ პროპოზიცია ცოდნის რანგს განეკუთვნება [9, §§ 24, 58]³. უფიქრობთ, ვიტგენშტეინის ეს დებულება მესხიერების ზმნა-

³ ის, რაც თავისთავად ცხადია (მაგ., ჩემს წინ მაგიდაა), ან საყოველთაო ჭეშმარიტებაა (მაგ., დედაშია ბრუნავს). ჩვეულებრივ არ საჭიროებს ცოდნის ექსპლიციციას. მაგრამ თუ პროპოზიცია იმგვარი შინაარსისაა, რომ მისი ცოდნა-არცოდნაც დასაშვებია და სავარაუდო შეფასებაც, მაშინ პროპოზიციული მიმართების ზმნა ზუსტად უნდა იქნას დასახელებული: I know for a fact that he very nearly voted Labour in 1945 (J. Fowles).



ზეც ვრცელდება: როგორც ანალიზმა გვიჩვენა და როგორც უკვე აღინიშნა, **I remember** ექსპლიციურებულია იქ, სადაც მანამდე ან დაიწყება აღინიშნება და, ან დაიწყების პრესუპოზიცია. რაც შეეხება ვარაუდის მოდუსს, იგი დაეკვეებას შეიცავს და ამიტომ მეხსიერების კონტექსტში მისი ექსპლიკაცია აუცილებელია.

დასასრულ შევეხებით მეხსიერების პროპოზიციათა ფუნქციურ ასპექტს იმ სახით, როგორც ეს წარმოდგენილია პროპოზიციათა მესამე ჯგუფის ფარგლებში. აქ საილუსტრაციო მასალა მხატვრული პროზიდანაა აღებული. ცალკეული ხელოვნური მაგალითები მხოლოდ დამხმარე როლს ასრულებენ. უმეტესად მხატვრული ტექსტი ან დეტექტიური ენარის ნოველაა, ან რომანი, რომლის სიუჟეტში ჩართულია სასამართლო პროცესის ამსახველი პასაჟები. ორივე შემთხვევაში მაგალითები ჩვენებს მიცემისას შემდგარი დიალოგის ქარგავია მოქცეული.

მეხსიერების ფოკუსში პროპოზიცია ზუსტი პრაგმატული გამიზნულობით შემოდის. წარსულის ცოდნა ჩვენს მაგალითებში მეტად ფართო ეპისტემური კონტექსტის ნაწილს შეადგენს და ეს კონტექსტი გარდუვალად ითხოვს ნაწილის — მეხსიერების ზუსტი შინაარსის დადგენას, რაც გარკვეული პრობლემის გაგებასა და გადაჭრას შეუწყობდა ხელს. ეს ზოგადად, კონკრეტულად კი მეხსიერების პროპოზიცია არის ის წინამძღვარი, რომლის საფუძველზეც სიუჟეტურად აუცილებელი ესა თუ ის დასკვნა უნდა იქნეს გამოტანილი. ჩვეულებრივ საქმე ეხება მოქმედი პირისთვის საინტერესო საკითხთა გარკვევას, რასაც კვანძის გასწვამდე მიჰყავს ნაწარმოები. მიღწეული ცოდნა „ჩაირთვება“ ფორმულაში **თუ x, მაშინ y**, სადაც **x** მეხსიერების კონკრეტული შინაარსით შეესებულებული წინამძღვარია, ხოლო **y** — საძიებელი ცოდნა. ამდენად, მეხსიერების პროპოზიცია სიტუაციურად განპირობებული მხატვრული (და არა მხოლოდ მხატვრული) სინამდვილის ვაკუუმისა და შემეცნების ერთ-ერთი საშუალება და შემადგენელი ნაწილია.

შევაჯამებთ ჩატარებული ანალიზის შედეგებს: მეხსიერების თემის ასახვას ზნნათა საკმაოდ დიდი რაოდენობა ემსახურება, მათ შორის პროპოზიციული მიმართების ზნნები. პროპოზიციულ მიმართებაში ორი რამ იგულისხმება: ან ქმნადობა-მიღწევადობა, ან მდგომარეობა, რაც შესაბამისად დინამიკურ ან სტატიკურ ასპექტში წარმოგვიდგენს მენტალურ მოდუსს.

მეხსიერების პროპოზიციული მდგომარეობის ამსახველ კონტექსტში ყველაზე ხშირად ფუნქციონირებს ზნნა **remember. I remember that p** მოწმობს, რომ სუბიექტის შეფასებით პროპოზიციის შინაარსი სავსებით შეესაბამება ობიექტურ სინამდვილეს. მეხსიერების პროპოზიციამ შესაძლოა საალბათო შეფასებაც მიიღოს — **I think that p. Remember** ფაქტობრივი ზნნაა, პროპოზიციის უტყუარობაზე მიუთითებს და ცოდნის მარაგს განუყოფენებს მას. **Think** არაფაქტობრივი ზნნაა, მასზე დართულ პროპოზიციას უტყუარობა აქლია, მაგრამ პროპოზიცია ვერიფიცირებადია და არ არის გამორიცხული ზუსტი ცოდნის მიღწევა. ამ მიმართებით გამოიყოფა შემდეგი გზები: ცოდნის კონკრეტული წყაროს დადგენა; პროპოზიციის ვერიფიკაცია წარსულის სხვა უტყუარი ფაქტის დამოწმებით; პროპოზიციის ვერიფიკაცია სხვა თვითმხილველის მოხმობით. არასრული უტყუარობა ფაქტობრივი ზნნითაც გადმოიცემა: **I vaguely remember that p.** თითოეული ეპისტემური მსაზღვრელი ზუსტად დადგენილი სიტუაციის ფარგლებში ფუნქციონირებს.

მეხსიერება ერთმანეთთან აკავშირებს წარსულში მიღებულ ინფორმაციას და სუბიექტის ეპისტემურ მდგომარეობას საუბრის მომენტში. კავშირი სუბა-



ექტის მიერ ამ ინფორმაციის ცოდნაში გამოიხატება. ეს ცოდნისა და მესხიერების ზმნათა მჭიდრო ურთიერთკავშირზე მიუთითებს და შესაძლებელია მათ დუნქტორ ეკვივალენტობას მეტყველებაში. დადგენილია მესხიერებისა და ცოდნის ზმნათა სემანტიკური არაერთგვაროვნების ნეიტრალიზაციის კონტექსტები.

მესხიერების მოდუსი პრაგმატული უნივერსალია და ხშირად იმპლიციტურადია წარმოდგენილი მეტყველებაში. როგორც ჩატარებულმა ანალიზმა ცხადყო, I remember ექსპლიციტებულია ისეთ კონტექსტში, სადაც შესაძლებელია სუბიექტის მიერ წარსულის ცოდნის დაიწყება ან დაეყვება ამ ცოდნის სისწორეში.

გაიანლიზებულ მაგალითთა დიდ უმრავლესობაში მესხიერების უტყუარობა პრაგმატულ მიზანს ემსახურება და მესხიერების შინაარსი უფრო ფართო ეპისტემური კატეგორიის — გაგების შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს.

ლიტერატურა

1. Крылов С. А., О содержании термина «предикаты пропозициональной установки», Пропозициональные предикаты в логическом и лингвистическом аспекте, Тезисы докладов рабочего совещания, М., 1987.
2. Дмитриевская М. А., Глаголы знания и мнения (значение и употребление). Автореферат, М., 1985.
3. Vendler, Z., Say What You Think, Studies in Thought and Language, The University of Arizona Press, 1970.
4. Арутюнова Н. Д., Сокровенная связка (К проблеме предикативных отношений). Известия АН СССР., СЛЯ, 1980, т. 39, № 4.
5. Vendler, Z., Telling the Facts, Speech Acts Theory and Pragmatics, Minneapolis 1979.
6. Caton, Ch. On the General Structure of the Epistemic Qualifiers of Things Said in English, Foundations of Language, 1966, v. 2, No 1.
7. Селиверстова О. Н., Второй вариант классификационной сетки и описание некоторых предикатных типов русского языка, //Семантические типы предикатов, М., 1982.
8. Price, H. H., Some Considerations about Belief // Knowledge and Belief, Oxford, 1968.
9. Wittgenstein L., On Certainty, Oxford, 1969.
10. Бэивенист Э., Общая лингвистика, М., 1974.

Л. М. ГОГУАДZE

КОНТЕКСТ ПАМЯТИ И ФУНКЦИОНИРОВАНИЕ ГЛАГОЛОВ ПРОПОЗИЦИОНАЛЬНОЙ УСТАНОВКИ В СОВРЕМЕННОМ АНГЛИЙСКОМ ЯЗЫКЕ

Резюме

В контексте памяти функционирует ряд глаголов пропозициональной установки (ПУ), выражающих как пропозициональное состояние, так и пропозициональное достижение (свершение). В работе рассматриваются глаголы пропозиционального состояния remember и think, на базе высказывания типа I remember/think that р исследуется их семантика, синтаксические свойства и особенности употребления в речи.

Глаголы ПУ выражают «субъективное отношение человека к объективной реальности («ситуации») [1, 71], что в случае эпистемических глаголов remember и think конкретизируется как выражение той или

ной степени достоверности высказывания. В частности, ими актуализируется достоверное знание о прошлом, отсутствие такого знания — полная достоверность суждения. Проводится сопоставительный анализ в рамках оппозиций **фактивный глагол vs. нефактивный глагол**. Источником знания о прошлом является факт, а мнения — рассуждение и сопоставление фактов, которые не находят прямого отражения в пропозиции.

Представляется возможным сделать следующие выводы: с различием по параметру **Фактивность/нефактивность** связаны особенности семантической, синтаксической и коммуникативной организации высказывания (сочетаемость с **что-** и **как-** придаточными, с косвенными вопросами, с номинализованной формой пропозиции и т. д.); контексты, требующие обязательного выхода в область знания, прагматически маркированы; ПУ памяти и мнения эксплицируются там, где возможно незнание или сомнение; в функциональном плане пропозиции памяти являются составной частью более широкого эпистемического контекста понимания.

თბილისის ა. ჭავჭავაძის სახელობის ჯეჯო ენათა სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ინგლისური ენის კათედრა

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა მ. ანდრონიკაშვილმა

კითხვან ჯაში

 თემატური ფორმულა „შინაარსი-ფორმულა“ და მისი რეალიზაცია
 ფრანგულ და ქართულ ენათა ანდაზურ სისტემებში

საკითხი ანდაზათა მეცნიერული კლასიფიკაციის შესახებ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხთაგანია პარემიოლოგიისათვის. არსებობს ანდაზათა სხვადასხვა კლასიფიკაცია. მეცნიერთა უმრავლესობა ანდაზათა კლასიფიკაციისათვის იყენებს თემატურ კრიტერიუმს.

1968 წელს გ. პერმიაკოვმა გამოიყენა ახალი, თანამედროვე ხერხი ანდაზათა კლასიფიკაციისათვის. ძირითადი მასალა აღებული იქნა რუსულ ანდაზათა ვრცელი ანთოლოგიიდან სათაურით „Пословицы и поговорки народов Востока“. ფიცილი მეცნიერი მ. კუუსი წერს: „პერმიაკოვის თამამი და ორიგინალური შრომა, რომელიც ანდაზათა კლასიფიკაციას უძღვნება, წარმოადგენს ანდაზათა შესწავლისადმი ნოვატორულ მიდგომას“ [1, 80].

თავის დროზე თვით მ. კუუსიმ გამოყო ანდაზაში სამი ასპექტი. ესენია: ანდაზური შეტყობინება, ანდაზური ხატი და არქიტექტურული ფორმულა. ანდაზური შეტყობინება გულისხმობს ანდაზის თემას, მის შინაარსს. როგორც აღნიშნავს პერმიაკოვი: „ნებისმიერი ანდაზის ნამდვილ თემას წარმოადგენს... არა ესა თუ ის სიტყვა, არა აღამიანის მოღვაწეობის ესა თუ ის სფერო, არამედ ურთიერთსაპირისპირო არსთა რომელიღაც ინვარიანტული წყვილი, რომელზეც დაიყვანება მოცემულ ანდაზაში გამოყენებულ ხატთა შინაარსი (მნიშვნელობა)“ [2, 105].

მ. გვოზდუვი შემდეგნაირად ხსნის პერმიაკოვის აზრს: „ანდაზის ინვარიანტული მნიშვნელობა — ეს ის მნიშვნელობაა, რომელიც უცვლელად რჩება ანდაზის გამოყენების ნებისმიერ შემთხვევაში, ანდაზური სიტუაციის ის სახასიათო ნიშნები, რომლებიც არაა დამოკიდებული კონტექსტზე“ [3, 45].

პერმიაკოვი გვთავაზობს ანდაზათა ინვარიანტულ თემატურ ჯგუფთა სიას. ვეყრდნობით რა პერმიაკოვის კლასიფიკაციას, ჩვენი კვლევის ობიექტად ვირჩევთ ინვარიანტულ თემატურ წყვილთა 1 კონსტრუქციულ ტიპს. მასში შედის შემდეგი ჯგუფები: „შინაარსი — ფორმა“, „მთელი — ნაწილი“, „დასაწყისი — დასასრული“, „დასაწყისი — გაგრძელება“, „საგანი — ნიშანი“, „თავი — ბოლო“.

სხვადასხვა ენის ანდაზური სისტემების შეპირისპირებისას მხედველობაში უნდა მივიღოთ ანდაზის დონეებრივი სტრუქტურა. ეს ნიშნავს, რომ ზემოთ აღნიშნულ სისტემათა შეპირისპირება უნდა განვახორციელოთ ანდაზათა ყველა სტრუქტურულ დონეზე. სხვანაირად რომ ვთქვათ, შეპირისპირებისას უნდა ვუპასუხოთ შემდეგ კითხვებს: რითი ჰკვანან და რით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან განსხვავებულ ენათა ანდაზები: ა) შეტყობინების პლანში, ანუ სემანტიკურ პლანში? ბ) კონსტრუქციულ პლანში? გ) გამოყენების პლანში?

ანდაზათა შეპირისპირებისას უნდა გავითვალისწინოთ მათი ალეგორიული ბუნება. თუ სხვადასხვა ენის ანდაზები ერთმანეთს ემთხვევიან სემანტიკურ პლანში, ეს იმას ნიშნავს, რომ განსხვავება უნდა ვეძებოთ კონსტრუქციულ პლანში. ამ პლანის ძირითადი ასპექტია ანდაზური ხატი ანუ ანდაზის სტრუქტურაში არსებული ალეგორია. თუ ჩვენ შევეცდებით შეპირისპირებითი პარემიოლოგიის ამ პრინციპის განზოგადებას, მაშინ უნდა ვუპასუხოთ კითხვას:

როგორია ანდაზური ალეგორიის აგების ტენდენციები შესაპირისპირებელ
ენებში?

ანდაზური ხატი, უმთავრესად, მეტაფორული ხასიათისაა. ა. კრიკმანაძის
„ანდაზის სემანტიკური განუსაზღვრელობის ერთ-ერთი მთავარი წყაროთაგა-
ნია ანდაზური ტროპის მრავალმხრივობა“ [4, 87]. ავტორი დასძენს: „ანდაზური
ტროპი უფრო ხშირად პარადიგმატულია ანუ მეტაფორული, ამასთან ერთად
ანდაზათა მეტაფორებს ახასიათებთ გადატანის განსაზღვრული მიმართულება:
აიხსნას რთული მარტივის, ნაკლებად ცნობილი — საკმაოდ ცნობილის მეშვე-
ობით“ [4, 91].

ანდაზის შესამე ასპექტია არქიტექტურული ფორმულა, რომელიც სემიოტი-
კის კვლევის ობიექტს წარმოადგენს. ამიტომ ჩვენ მასზე არ შევჩერდებით.

ყოველი ანდაზა ლინგვისტური თვალსაზრისით წინადადებას წარმოადგენს.
ეს იმას ნიშნავს, რომ ყოველი ანდაზა ექვემდებარება ლინგვისტურ მოდელირე-
ბას. ენათმეცნიერებაში ცნობილია წინადადების მოდელირების სამი ვარიანტი:
1. სინტაქსური (სტრუქტურული) მოდელირება; 2. სემანტიკური მოდელირება
და 3. პრაგმატული მოდელირება.

წინამდებარე სტატიაში ფრანგულ და ქართულ ენათა პარემიოლოგიურ
სისტემათა შეპირისპირებითი ანალიზი ემყარება უნივერსალური კლასიფიკა-
ციის ერთ-ერთ სემანტიკურ ჯგუფს, გამოხატულს ფორმულით „შინაარსი —
ფორმა“. ამ ფორმულით გამოხატულ ანდაზებს ჩვენ ვიხილავთ შემდეგი სტრუქ-
ტურული ნიშნების მიხედვით: ა) წინადადების ტიპი სინტაქსური თვალსაზრი-
სით (საწყისი სინტაქსური მოდელი); ბ) წინადადების ტიპი სემანტიკური თვალ-
საზრისით (საწყისი სემანტიკური მოდელი); გ) წინადადების ტიპი კომუნიკაცი-
ური თვალსაზრისით (საწყისი პრაგმატული მოდელი).

თითოეული ანდაზის ანალიზს ვაწარმოებთ შემდეგი ასპექტების მიხედვით:
1. ანდაზური შეტყობინება; 2. ანდაზური ხატი; 3. სინტაქსური მოდელი; 4. სე-
მანტიკური მოდელი; 5. პრაგმატული მოდელი.

ფრანგული ანდაზების ჯგუფი „შინაარსი — ფორმა“ მოიცავს 29 ანდაზას.
განვიხილოთ რამდენიმე მათგანი.

1. D'une brise on ne saurait faire un épervier: ა) მარტივი წინადადება;
ბ) აქტიური წინადადება; გ) კონსტატივი; დ) ანდაზური ხატი—მეტაფორა.

2. Un diable n'est pas toujours aussi diable qu'il est noir რთული დაქ-
ვემდებარებული წინადადება, რომელიც შედგება ორი ნაწილისაგან: მთავარი წინა-
დადება—un diable n'est pas toujours aussi diable და დაქვემდებარებული წი-
ნადადება— qu'il est noir.

მთავარი—Un diable n'est pas toujours aussi diable: ა) მარტივი; ბ) კვა-
ლიფიკაციური; გ) კონსტატივი—უარყოფითი; დ) ანდაზური ხატი—მეტაფორა.

დაქვემდებარებული — qu'il est noir: ა) მარტივი; ბ) კვალიფიკაციური;
გ) კონსტატივი.

3. Une vache vue de loin a assez de lait: ა) მარტივი წინადადება; ბ) ზო-
გალი მნიშვნელობა: სუბიექტის მიმართება ობიექტთან, რელაციური პრედიკატივით,
რომელიც გამოხატავს მფლობელობას; გ) კონსტატივი; დ) ანდაზური ხატი — მე-
ტაფორა.

4. Tout bois n'est pas bon à faire flèche: ა) მარტივი; ბ) კვალიფიკაციუ-
რი; გ) კონსტატივი—უარყოფითი; დ) ანდაზური ხატი — მეტაფორა.

5. Aux petits sacs sont les meilleurs épices: ა) მარტივი; ბ) კვალიფიკა-
ციური—გამოხატავს ქვემდებარის იდენტიფიკაციას; გ) კონსტატივი; დ) ანდაზური
ხატი — მეტაფორა.

6. Tout ce qui reluit n'est pas or. რთული დაქვემდებარებული დება.

მთავარი — tout ce qui reluit: ა) მარტივი; ბ) აქციური; გ) კონსტატივი.

დაქვემდებარებული—n'est pas or: ა) მარტივი; ბ) კლასიფიკაციური; გ) კონსტატივი—უარყოფითი; დ) ანდაზური ხატი—მეტაფორა.

7. L'habit ne fait pas le moine: ა) მარტივი; ბ) აქციური რელაციური პრელიკატივი; გ) კონსტატივი — უარყოფითი; დ) ანდაზური ხატი—მეტაფორა.

ჩვენ განვიხილეთ ფრანგულ ანდაზათა რამდენიმე მაგალითი, რომლებიც ვაერთიანებული არიან ინვარიანტულ წყვილთა თემატურ ჯგუფში სახელწოდებით „შინაარსი — ფორმა“.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს ჯგუფი მოიცავს 29 ანდაზას. მისმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ იგი შეიცავს 19 მარტივ წინადადებას, 10 რთულს, მათგან 9 რთული ქვეწყობილია, 1 კი თანწყობილი. გამოიყოფა 15 აქციური წინადადება, 9 კვალიფიკაციური; 3 წინადადება — აქციურ-კვალიფიკაციურია; 2 წინადადება რელაციური პრედიატივითაა. 29-ვე ანდაზაში გამოყენებულია მეტაფორა. 20 ანდაზა გამოხატულია თხრობითი წინადადებით. 8 თხრობითია, მაგრამ უარყოფით ფორმაში, ერთი ანდაზა გამოხატულია ბრძანებითი ფორმით. პროცენტული შეფარდებით ანდაზათა 65% გამოხატულია მარტივი წინადადებით, 35% — რთულით, 52% — აქციურით, 31% — კვალიფიკაციურით, 10% ანდაზებისა — აქციურ-თხრობითით, მაგრამ უარყოფით ფორმაში. ანდაზების 4% გამოხატულია ბრძანებითი ფორმით, 100% წარმოდგენილია მეტაფორით. უნდა აღვნიშნოთ, რომ ანდაზათა 24% წარმოდგენილია შემდეგნაირად: მარტივი, აქციური, კონსტატივი, მეტაფორა. 17% — მარტივი, კვალიფიკაციური, კონსტატივი, მეტაფორა. 59% — ანდაზებისა ანალოგიურად არის წარმოდგენილი; მხოლოდ ზოგიერთ პარამეტრში შეიმჩნევა გარკვეული თავისებურებანი.

ამრიგად, ანდაზათა ეს ჯგუფი შეიძლება დაეხასიათოთ შემდეგი დომინანტური ნიშნებით: ა) სინტაქსური მოდელი: მარტივი წინადადება; ბ) სემანტიკური მოდელი: აქციური-კვალიფიკაციური; გ) პრაგმატული მოდელი: კონსტატივი; დ) ანდაზური ხატი: მეტაფორა.

ასლა განვიხილოთ იმავე ჯგუფში შემავალი ქართული ანდაზები. ეს ჯგუფიც „შინაარსი — ფორმა“ მოიცავს 29 ქართულ ანდაზას. განვიხილოთ რამდენიმე მათგანი.

1. „გალია ყველა ერთია, ოქროსი იყოს გინდა ხისა“: რთული წინადადება. I წინადადება: „გალია ყველა ერთია“: ა) მარტივი წინადადება; ბ) კვალიფიკაციური; გ) კონსტატივი; დ) ანდაზური ხატი — მეტაფორა.

II — „ოქროსი იყოს გინდა ხისა“: ა) მარტივი; ბ) კვალიფიკაციური; გ) კონსტატივი; დ) ანდაზური ხატი — მეტაფორა.

2. „ბულბულმა კარგი გალობა იცის, მაგრამ ხორცი არ უვარგაო“. რთული წინადადება.

I — „ბულბულმა კარგი გალობა იცის“: ა) მარტივი; ბ) აქციურ-კვალიფიკაციური; გ) კონსტატივი; დ) ანდაზური ხატი — მეტაფორა.

II — „მაგრამ ხორცი არ უვარგაო“: ა) მარტივი; ბ) კვალიფიკაციური; გ) კონსტატივი — უარყოფითი; დ) ანდაზური ხატი — მეტაფორა.

3. „ქადარი მაღალი იზრდება, მაგრამ ნაყოფს კი არ იძლევაო“. რთული თანწყობილი წინადადება:

I — „ქადარი მაღალი იზრდება“: ა) მარტივი; ბ) აქციურ-კვალიფიკაციური; გ) კონსტატივი; დ) ანდაზური ხატი — მეტაფორა.



II — „მაგრამ ნაყოფს კი არ იძლევაო“: ა) მარტივი; ბ) კვალიფიკაციური; გ) კონსტატივი — უარყოფითი; დ) ანდაზური ხატი — მეტაფორა.

4. „ვარაყინ ნაჭუქსა გული ჰიანი აქვსო“: ა) მარტივი წინადადება; ბ) კვალიფიკაციური რელაციური პრედიკატი; გ) კონსტატივი; დ) ანდაზური ხატი — მეტაფორა.

5. „თეთრი ცხვარი პატრონს მსუქანი ეგონაო“: ა) მარტივი წინადადება; ბ) სტატალური; გ) კონსტატივი; დ) ანდაზური ხატი — მეტაფორა.

6. „განა რაც ბრჭყვიანებს, ყველა ოქროა?“. რთული ქვეწყობილი წინადადება:

მთავარი — „ყველა ოქროა?“: ა) მარტივი; ბ) კვალიფიკაციური; გ) კითხვითი; დ) ანდაზური ხატი — მეტაფორა.

დამოკიდებული — „განა რაც ბრჭყვიანებს“: ა) მარტივი; ბ) აქციური — კვალიფიკაციური; გ) კითხვითი; დ) ანდაზური ხატი — მეტაფორა.

7. „თუ ყვეი ვარდს იშოვის, თავი ბულბული ჰგონია“. რთული ქვეწყობილი წინადადება:

მთავარი — „თავი ბულბული ჰგონია“: ა) მარტივი; ბ) სტატალურ-კვალიფიკაციური; გ) კონსტატივი; დ) ანდაზური ხატი — მეტაფორა.

ამრიგად, ჩვენ განვიხილეთ ქართულ ანდაზათა რამდენიმე მაგალითი, რომლებიც ასევე გაერთიანებული არიან ინვარიანტულ წყვილთა თემატურ ჯგუფში სახელწოდებით „შინაარსი — ფორმა“.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს ჯგუფი მოიცავს 29 ანდაზას. ამ ჯგუფის ანალიზმა გვიჩვენა, რომ იგი შეიცავს 12 მარტივ და 17 რთულ წინადადებას. გამოიყოფა 10 აქციურ-კვალიფიკაციური წინადადება; 5 ლოკალურ-კვალიფიკაციური, 6 კვალიფიკაციური, 2 სტატალურ-კვალიფიკაციური, 2 სტატალურ-კვალიფიკაციურ-აქციური; 1 სტატალური, 1 ეგზისტენციურ-აქციური, 2 აქციური წინადადება რელაციური პრედიკატი.

29-ვე წინადადებაში გამოიყენებოდა მეტაფორა. 23 ანდაზა გამოხატულია თხრობითი წინადადებით, 2 — თხრობითი, მაგრამ უარყოფით ფორმაში, 4 — კითხვითი წინადადებით. პროცენტული შეფარდებით ანდაზათა 42% გამოხატულია მარტივი წინადადებით; 58% — რთულით, 35% — აქციურ-კვალიფიკაციურია, 17% — ლოკალურ-კვალიფიკაციურია, 21% — კვალიფიკაციური, 7% — აქციური რელაციური პრედიკატი, 7% — სტატალურ-კვალიფიკაციურ-აქციურია, 7% — სტატალურ-კვალიფიკაციურია, 3,5% — სტატალურია, 3,5% — ეგზისტენციურ-აქციურია. ანდაზების 79% გამოხატულია თხრობითი წინადადებით, 7% — თხრობითი, მაგრამ უარყოფით ფორმაში, 14% — კითხვითი წინადადებით; 100% ანდაზებისა წარმოდგენილია მეტაფორით.

ანდაზათა 28% ხასიათდება შემდეგი ნიშნებით: რთული, აქციურ-კვალიფიკაციური, კონსტატივი, მეტაფორა; 21% — რთული, ლოკალურ-კვალიფიკაციური, კონსტატივი, მეტაფორა; 21% — რთული, კვალიფიკაციური, კონსტატივი, მეტაფორა; 10,5% — მარტივი, აქციური ან სტატალური, კონსტატივი, მეტაფორა; 10,5% ანდაზებისა ხასიათდება მსგავსი ნიშნებით, მხოლოდ ზოგიერთ ბარამეტრებში შეიმჩნევა გარკვეული თავისებურებანი.

ამრიგად, ანდაზათა ეს ჯგუფი შეიძლება დავახასიათოთ შემდეგი დომინანტური ნიშნებით: ა) სინტაქსური მოდელი: რთული წინადადება; ბ) სემანტიკური მოდელი: აქციურ-კვალიფიკაციურ-ლოკალური; გ) პრაგმატული მოდელი: კონსტატივი; დ) ანდაზური ხატი: მეტაფორა.

ახლა შევამოწმოთ ერთმანეთს ფრანგულ და ქართულ ენათა პარემოლოგიური სისტემების გაანალიზებული ფრაგმენტები. როგორც უკვე იყო აღნიშნული, ორივე ენის ანდაზები გაერთიანებულია ინვარიანტულ წყვილთა



თემატურ ჯგუფში სახელწოდებით „შინაარსი — ფორმა“. როგორც ფრანგულ ენაში ასევე ქართულ გაანალიზებულ ანდაზათა რაოდენობა 29-ს უდრის. ფრანგულ ენაში ანდაზა ძირითადად წარმოდგენილია მარტივი წინადადებით. მართალია, გვხვდება რთული წინადადებებიც, მაგრამ მარტივი წინადადება ქარბობს რთულს და მას პრიორიტეტი შეიძლება მივაკუთვნოთ. ქართულ ენაში კი პირიქით, ქარბობს რთული წინადადება. ფრანგულ ენაში 65% ანდაზებისა გამოხატულია მარტივი წინადადებით, 35% — რთულით; ქართულ ენაში 58% — ანდაზებისა გამოხატულია რთული წინადადებით, 42% — მარტივით; სემანტიკურ ასპექტში ფრანგულ ენაში 52% ანდაზებისა წარმოდგენილია აქციური წინადადებით, 31% — კვალიფიკაციურით, 17% ანდაზებისა გამოხატულია სხვადასხვა სემანტიკური ტიპის წინადადებით. ამრიგად, დომინირებული ადგილი ფრანგულ ენაში სწორედ აქციურ-კვალიფიკაციური ტიპის წინადადებას უჭირავს. ქართულ ენაში ანდაზების 35% წარმოდგენილია აქციურ-კვალიფიკაციური წინადადებით, 17% — ლოკალურ-კვალიფიკაციურით, 21% — კვალიფიკაციური წინადადებით, 27% ანდაზებისა — სხვადასხვა სემანტიკური ტიპის წინადადებით. მუშასადამე, ქართულ ენაში დომინირებული ადგილი უკავია აქციურ-კვალიფიკაციურ წინადადებას. ამ სემანტიკურ ტიპს ემატება ქართულ ენაში ლოკალური ტიპი, რაც ფრანგულ ენაში არ გვქონდა, ე. ი. ქართულ ენაში დომინანტური სემანტიკური ტიპია აქციურ-კვალიფიკაციურ-ლოკალური. ორივე ენაში ანდაზათა 100% მეტაფორული ხასიათისაა. ფრანგულ ენაში ანდაზათა 69% წარმოდგენილია თხრობითი წინადადებით, 27% — თხრობითით, მაგრამ უარყოფით ფორმაში; 4% ანდაზებისა წარმოდგენილია ბრძანებითი ფორმით. პრაგმატულ ასპექტში ქართულ ენაში 79% ანდაზებისა გამოხატულია თხრობითი წინადადებით, 7% — თხრობითით, მაგრამ უარყოფით ფორმაში, 14% — კითხვითი წინადადებით. ფრანგულში გვხვდება ბრძანებითი წინადადება, ქართულ ენაში კი კითხვითი წინადადება. გარდა ამისა, ფრანგულ ენაში პროცენტული თვალსაზრისით თხრობითი წინადადება უარყოფით ფორმაში გაცილებით მეტია, ვიდრე ქართულში (27%—7%). აქედან გამომდინარეობს, რომ ფრანგული ენა უფრო ხშირად მიმართავს უარყოფით ფორმას დადებითი აზრის გამოსახატავად, ვიდრე ქართული ენა.

და ბოლოს, შევადაროთ ერთმანეთს 2 ენის ანდაზური მოდელები.

ფრანგული ენა

ქართული ენა

ჯგუფი „შინაარსი — ფორმა“:

- | | |
|---|---|
| ა) დომინანტური სინტაქსური მოდელი — მარტივი წინადადება; | ა) დომინანტური სინტაქსური მოდელი — რთული წინადადება; |
| ბ) დომინანტური სემანტიკური მოდელი: აქციურ-კვალიფიკაციური; | ბ) დომინანტური სემანტიკური მოდელი: აქციურ-კვალიფიკაციურ-ლოკალური; |
| გ) დომინანტური პრაგმატული მოდელი: კონსტატივი; | გ) დომინანტური პრაგმატული მოდელი: კონსტატივი; |
| დ) დომინანტური ანდაზური ხატი — მეტაფორა. | დ) დომინანტური ანდაზური ხატი — მეტაფორა. |

ფრანგულ და ქართულ ენათა ანდაზურ მოდელებში მსგავსების გარდა შეიმჩნევა განსხვავებაც და ეს განსხვავება შეიძლება სქემატურად გამოვზატოთ შემდეგნაირად:

ქართულ ენაში: სემანტიკური მოდელი: სტატალურ-კვალიფიკაციური; სტატალურ-კვალიფიკაციურ-აქციური; ეგზისტენციურ-აქციური; პრაგმატული მოდელი: კვსიტვი;

ფრანგულ ენაში: პრაგმატული მოდელი: კონსტატივი — უარყოფითი, დარექტივი.

ამრიგად, შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა: მიუხედავად იმისა, რომ ფრანგული და ქართული ენები სხვადასხვა ტიპის ენებია და მათ შორის არაფერია გენეტიკური კავშირი არ არსებობს, მათი პარემიოლოგიური სისტემების შეპირისპირება გვიჩვენებს, რომ ერთსა და იმავე თემატურ ჯგუფში — „შინაარსი — ფორმა“ გაერთიანებულ ანდაზათა დომინანტურ-სემანტიკური მოდელები ჰკვანან ერთმანეთს. მკვეთრი განსხვავება ამ მოდელების შეპირისპირებისას შეიმჩნევა მხოლოდ სინტაქსურ ასპექტში. სხვა დანარჩენ ასპექტებში სრული დამთხვევაა, თუმცა ქართული ენის ანდაზათა სემანტიკურ ასპექტს ემატება კიდევ ერთი ტიპი — ლოკალური.

ლიტერატურა

1. Кууси М., К вопросу о международной системе пословичных типов, Паремнологический сборник, М., 1978.
2. Пермяков Г. Л., О смысловой структуре и соответствующей классификации пословичных изречений, Паремнологический сборник, М., 1978.
3. Гвоздев В. В., Парадигматические отношения в пословичном фонде, «Филологические науки», 1982, № 4.
4. Крикманн А. А., Некоторые аспекты семантической неопределенности пословицы, Паремнологический сборник, М., 1978.

კ. ნ. დჟაში

ТЕМАТИЧЕСКАЯ ФОРМУЛА «СОДЕРЖАНИЕ — ФОРМА» И ЕЕ РЕАЛИЗАЦИЯ ВО ФРАНЦУЗСКИХ И ГРУЗИНСКИХ ПОСЛОВИЦАХ

Резюме

В статье осуществляется сопоставительный анализ французских и грузинских пословиц, построенных по формуле «содержание — форма». Пословицы анализируются с точки зрения входящих в них структурных уровней (сообщение, пословичный образ). Сопоставляются статистические данные результатов анализа.

ი. ჭავჭავაძის სახელობის თბილისის უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ზოგადი ფილოლოგიის კათედრა
წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა შ. ძიძიგურმა

ბაბა უშრღანია

„განმარტებული მენსა“ სტრუქტურისათვის

II

ახლა შევეხებით სიტყვათსიმრავლის გამოვლინების სხვა ფორმებსაც. უწინა-რეს ყოვლისა, შევჩერდეთ სტილურ სიმეტრიაზე. იოანე საბანისძის „აბო ტფი-ლელის წამებაში“ უამრავია ამ ხერხის გამოყენების მაგალითები. დავიმოწმებთ მხოლოდ ერთ წინადადებას: „...რადთა ვაუწყყო, ვითარ ანუ რაბამ იყო, ანუ ვინაჲ მოიწია აქა“ [1, 56].

თხზულებაში სტილური სიმეტრიის მაგალითების სიუხვე, ჩვენი აზრით, უწინარესად მწერლის „განმარტებული ენითა“ შეპირობებული. როგორც ცნობილია, ეს ხერხი მკითხველს უკეთ აღაქმევენებს სიმეტრიის თითოეულ წევრს [19, 448]. უკეთ გააზრდებიან მხატვრულ სახეს. ამავე დროს იგი სა-შუალებას გვაძლევს, უფრო ღრმად ჩავეწვდეთ ავტორის მსოფლხედვას, მის სარწმუნოებრივ მრწამსს, ესთეტიკურ სისტემას, ცალკეული სიტყვების სიმბო-ლიკასა და სემანტიკას [19, 449]. არსებითად ამაში გამოიხატება იოანე საბანის-ძის „განმარტებული ენის“ დანიშნულება.

საილუსტრაციო წინადადებაში სინონიმური პარალელიზმის ნიმუშიც შეი-ნიშნება: „ვითარ ანუ რაბამ“. მისი არსებობა გარკვეულწილად გამოწვეულია იმით, რომ აქ მაიგივებელი კავშირი „ანუ“ მხოლოდ მართებული დანიშნულებით გამოიყენება და იგი პარალელის წევრებს ერთმანეთთან თანაბარ მნიშვნელოვან ელემენტებად აერთებს.

როგორც ვხვდავთ, ნაწარმოების ენისათვის დამახასიათებელი საერთო ლი-ტერატურული ხერხი — გამეორება — სინტაქსის დონეზე თავს იჩენს სიტყვათ-სიმრავლის ზემოაღნიშნული ფორმებით: სინონიმური გამეორებითა და პარა-ლელიზმით, სტილური სიმეტრიით.

ვხვდებოდა ამ ხერხის სხვა სახით გამოვლინების შემთხვევებიც: ზოგან იგი მხოლოდ ჭარბ სინტაგმებს ქმნის და არ განაპირობებს რამდენადმე მნიშვნელო-ვან სინტაქსურ თავისებურებას. მოგვყავს ერთი მაგალითი: „მაშინ უდებ-ყო შჭული იგი მამედისი და წესი იგი მამულისა მის ლოცვისაჲ დაუტევა და შე-ყუარა ქრისტჳ ყოვლითა გულითა“ [1, 57]...

რით შეიძლება, აიხსნას სიტყვათსიმრავლის პრიორიტეტულობა „აბოს წა-მების“ სინტაქსში?

ამის გასარკვევად, საჭიროა, გავიხსენოთ ზოგადად სალიტერატურო ენის თავისებურებანი, ავრთვე, სპეციფიკა საკუთრივ მხატვრული ენისა, რომელიც სალიტერატურო ენის ერთ-ერთი სახეა.

„ლიტერატურულ-კულტურული მეტყველებისას“ გამოხატული აზრის აღქმა ყოველთვის გარკვეულ სიძნელეებთანაა დაკავშირებული. ასეთ დროს მოსაუბ-რე, როგორც წესი, იძულებულია, განმარტოს, თუ რისი თქმა სურს [21, 57]. ამის საპირისპიროდ აღამიანთა შორის ჩვეულებრივი, ყოფითი მეტყველება სიკხადითა და აზრის სინათლითაა აღბეჭდილი [21, 56]. ეს გარემოება უთუოდ იმითაა გამოწვეული, რომ სალიტერატურო ენით მეტყველებისას აღამიანები რთულ საკითხებზე მსჯელობენ.

მეორე მხრივ, მხატვრული ენის არსი მის სრულყოფილებაში, მხატვრულ სიზუსტეში გამოიხატება. ეს სიზუსტე კი მეტად სპეციფიკურია [13, 61], მაგ-რამ იმედროულად — მხატვრული ლიტერატურის აუცილებელი კომპონენტიც

[20, 140; 22, 170]. მხატვრული სიტყვა იდეალურად ზუსტად უნდა ემთხვეოდეს ასასახე მოვლენას, გამოხატავდეს მის შინაგან არსს, ყველა ნიუანსს.

ეს იდეალური სიზუსტე ზოგჯერ ლაკონიურად, ერთი სიტყვით მიიღწევა, ზოგჯერ კი — მრავლით. იოანე საბანისძე, თავისი ენობრივ-სტილური კონსტრუქციიდან გამომდინარე, უპირატესად მეორე გზას მიმართავს. მწერლის სწრაფვა, თითოეული ენობრივი ერთეული მაქსიმალურად მეტი ინფორმაციით დატვირთოს, იმაშიც ვლინდება, რომ იგი რამდენიმე სიტყვით, ხშირად მთელი წინადადებითაც კი, და, მაშასადამე, მრავალწინაგოვნად ახასიათებს მოვლენას.

ასე რომ, სიტყვათსიმრავლე განპირობებულია, ერთი მხრივ, სალიტერატურო, აგრეთვე, მხატვრული ენის სპეციფიკური ბუნებითა და დანიშნულებით, მეორე მხრივ კი, მწერლის მხატვრული მიზანდასახულობით.

აქვე უნდა შევეხოთ იოანე საბანისძის ენის კიდევ ერთ სინტაქსურ თავისებურებას, რითაც ახალი ნიუანსით იჩენს თავს „განმარტებულითა ენითა“ თხრობის პრინციპი.

როგორც სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში მიუთითებენ, ებრაული ენის გავლენით [9, 255] ბიბლიური წიგნების ქართულ თარგმანებში, ასევე ძველ ქართულ ორიგინალურსა და ნათარგმნ ძეგლებში ხშირად წინადადებები, აბზაცები, აზრობრივი ერთეულები იწყება „ყოფნა“ ზმნის ფორმებით — „ყო“, „იყო“, „არნ“ [9, 249—252]. ზემოაღნიშნულ კონტექსტში ეს ფორმები უპირობოდ ზმნის შინაარსით გამოიყენება და ქართული ენის სინტაქსის თვალსაზრისით სრულიად ზედმეტობის შთაბეჭდილებას ტოვებს [9, 249].

ც. ქურციკივე „აბო ტფილელის წამებაში“ ასეთი შემთხვევის მხოლოდ ერთ მაგალითს აფიქსირებს [9, 252]: „ხოლო იყო შემდგომად სივლტოლისა მის ნერსისისა ქართლით წარმოავლინა მაჰდი ამირა მუმენან ბრძანებითა ღმრთისაათა სტეფანოზ“ [1, 61]. ჩვენი აზრით, თხზულებაში ანალოგიური სინტაქსური თავისებურების სხვა ფაქტებიც დასტურდება. მაგალითისათვის დავიმოწმებთ ერთ წინადადებას: „რამეთუ იყო ყამი ოდეს ერისმთავარი იგი ქართლისაჲ, სახელით ნერსე, მჲ აღრნესე კურაპალატისა და ერისმთავრისაჲ, მოწოდებულ იქმნა ქუეყანად ბაბილოვნისა მფლობელისა მისგან მის ყამისა სარკინოზთაჲსა ამირა მუმენსა აბდილაჲსგან“ [1, 55—56]... ვფიქრობთ, ამ წინადადებაშიც მკლავნდება აღნიშნული სინტაქსური თავისებურების კვალი. მართლაცდა, თვით ც. ქურციკიძის მიერ მოხმობილი მაგალითებიდანაც ჩანს, რომ ეს სინტაქსური თავისებურება ქართულ ორიგინალურსა თუ ნათარგმნ ძეგლებში გვხვდება ან მხოლოდ „ყო“ || „იყო“ || „არნ“ ფორმებით, ანდა ამ ფორმებს დაერთვით: „ოდეს“ || „რაჲამს“ || „ეთარცა“ ზმნიზედები. ამჟამად, ზმნიზედადართული ფორმები შედარებით ნაკლებად ტოვებს ხელოვნური კონსტრუქციის შთაბეჭდილებას.

ქართულად ანალოგიურ ფორმათა გამართვას საფუძვლად ძველბერძნულ ტრადიცია დაედო. ძველბერძნულად კი ეს ებრაიზმი სეპტუაგინტაში ან მხოლოდ $\gamma\acute{\iota}\nu\omicron\mu\alpha\iota$ ზმნის ვნებითი გვარის I აორისტისა და საშუალი გვარის II აორისტის ფორმებით — $\xi\gamma\epsilon\nu\acute{\eta}\mu\eta$ || $\xi\gamma\acute{\epsilon}\nu\epsilon\tau\omicron$ — ვადმოდის, ანდა ფრაზის უკეთ გასამართავად ერთ-ერთ ამ ზმნურ ფორმას $\delta\tau\epsilon$ || $\delta\tau\alpha\gamma$ კავშირებიც მიერთვის: 3 $\beta\alpha\sigma$. 14:28, 3 $\beta\alpha\sigma$. 18:1, $\rho\sigma\chi$. 17:11 და სხვ.

ამ მოვლენამ სეპტუაგინტადან ორიგინალურ ძველბერძნულ ახალ აღთქმაშიც შეაღწია: Mt . 7:28, Lk . 1:41, Pr . 10:25 და სხვ. იგი არაერთხელ იჩენს თავს ძველი ქართული მწერლობის ძეგლებშიც.

ამ რიგის მოვლენასთან უნდა გვკონდეს საქმე იოანე საბანისძის ზემოთ ციტირებულ ფრაზაში. მკითხველი იოლად შეამჩნევს, რომ აქ „ყო“ ორგანულაბ. მაკნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1990, № 1

და ჩართული წინადადებაში და იგი ოდნავადაც არ ტოვებს ზედმეტობის
ბეჭდილებას.

როგორი ინტერპრეტაცია შეიძლება მიეცეთ ამ მოვლენას?

ეროვნული
მედიაციის
სამსახური

ჩვენი აზრით, იოანე საბანისძემ ამ შემთხვევაში გააქართულა უცხოენოვანი
სინტაქსური წყობა: ჩასვა მასში სიტყვა „ჟამი“ და წინადადება ნერსეს არა-
ბეთში გაწვევის შესახებ დროის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებად
აქცია.

ასეთსავე ქართულ ელვადობას შეიძენს ც. ქურციკიძის მიერ დამოწმებული
წინადადება „აბოს წამებიდან“, თუკი მას ანალოგიურად გავმართავთ: „ხოლო
იყო ჟამი ოდეს შემდგომად სივლტოლისა მის ნერსესისა ქართლით, წარმოა-
ვლინა მამდი ამირა მუმნმან“...

ამდენად, ჩვენ მიერ მოძიებული მაგალითის სახით გვაქვს წინადადება, რო-
მელიც ეყრდნობა უცხოენოვან სინტაქსურ წყობას, მაგრამ ქართულადაც გამარ-
თული.

აღნიშნული სინტაქსური მოვლენის კვალი ნაწარმოების სხვა პასაჟებშიც
შეინიშნება. მხოლოდ იგი აქ ისეთ ორგანულ ქართულ ელფერს იძენს, რომ,
ერთი შეხედვით, ძნელია, მათში თავდაპირველი ებრაიზმი დავინახოთ.

ნათქვამის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ მაგალითებს: „და იყო დღეთა მათ
შინა კუალად განრისხებაჲ კელმწიფეთა მათ სარკინოზთაჲ ნერსე ერისთვისა
ზედა“ [1, 58]... „ხოლო იყო ესრე სახედ“ [1, 63]...

პირველ წინადადებაში „იყო“ შემასმენელს ზმნის ნაცვლად მასდარი უთან-
ხმდება და ამიტომაც „იყო“ ზედმეტობის შთაბეჭდილებას აღარ ტოვებს. მეორე
შემთხვევაში „იყო“ ზმნას მწერალი ცალკე წინადადებას უთმობს, ამავე წინა-
დადებათი გადმოსაცემ ინფორმაციას კი აბოს წამების მთელი პროცესის აღწე-
რით წარმოადგენს. ცხადია, ამ ორ წინადადებაზე მხოლოდ გულდასმით დაკ-
ვირვება ზღის თვალნათელს მათში თავდაპირველი უცხოენოვანი მოვლენის
კვალს. ჩვენ მიერ ციტირებულ სამ წინადადებაში „განმარტებული უნის“ კონ-
ცეფცია გამოვლინდა ავტორის მცდელობით, ქართველი მკითხველისათვის უცხო
და ქართული სინტაქსისათვის მიუღებელი ებრაული წყობა ქართულ ყალიბში
მოექცია და ორგანული გაუხადა იგი ენისათვის. ასე „განმარტა“ მან წინადადე-
ბაში გადმოცემული აზრი ქართული ენისათვის ორგანული კონსტრუქციის მო-
მარჯვებით.

რატომ მიმართავს იოანე საბანისძე ასეთ სინტაქსურ კონსტრუქციას?

აშკარაა, რომ ასეთი სინტაქსური წყობით გამართული წინადადებები ხაზ-
გასმით გადმოსცემენ მათში აკუმულირებულ აზრს. იოანე საბანისძე სწორედ
ამის გამო იყენებს ასეთ კონსტრუქციებს თხრობის არსებითი მომენტების წარ-
მოსახენად.

აქვე უნდა აღინიშნოს ერთი საგულისხმო გარემოება: უცხოენოვანი სინ-
ტაქსური ყალიბი მით უფრო გაქართულებულია, რაც უფრო მნიშვნელოვან ინ-
ფორმაციას იტევს იგი. ც. ქურციკიძის მიერ ფიქსირებული წინადადება „ხოლო
იყო შემდგომად სივლტოლისა“... ხაზგასმით გადმოსცემს სტეფანოზის ერის-
მთავრად დანიშვნის ამბავს. ამ ისტორიულ-პოლიტიკური თვალსაზრისით საგუ-
ლისხმო ფაქტს აბოს წამებისთან მიმართებაში შედარებით ნაკლები მნიშვნე-
ლობა ენიჭება. ვასათვალისწინებელია ისიც, რომ ქართულ მწერლობაში იმაე-
დროულად მოქმედებს ებრაიზმის პირდაპირი გადმოღების ტრადიცია. ამიტო-
მაც უცხოენოვანი ყალიბი პირდაპირაა წარმოდგენილი.

წინადადებებში „რამეთუ იყო ჟამი ოდეს ერისმთავარი იგი“... და „და იყო
დღეთა მათ შინა კუალად განრისხებაჲ“... უცხოენოვანი ყალიბის გაქართულე-

ბით ხაზგასმითაა წარმოდგენილი კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ფაქტები: სწორედ ნერსეს არაბეთში გაწვევით დაიწყო აბოს თავგადასავალი და, მეორეხარისხით ნერსეს ხაზარეთში გაქცევის შემდეგ ნათელილო აბოში.

უფრო მეტად ორგანულია ქართული ენისათვის წინადადება: „ხოლო იმის შესახებ... მასში განსაკუთრებითაა აქცენტირებული ვადმოსაცემი ინფორმაცია. სინტაქსური ერთეულის მეორე ნაწილად აბოს წამების მთელი პროცესი გვევლინება. ციტირებული წინადადებათ ხერხდება მკითხველის ყურადღების მობილიზება და იგი გადმოცემულ ფაქტებს სრულყოფილად აღიქვამს.

როგორც ვხედავთ, თხზულების ენის ეს სინტაქსური თავისებურება საშუალებას აძლევს მწერალს, განუმარტოს, მიანიშნოს მკითხველს ნაწარმოების უმნიშვნელოვანეს პასაჟებზე და, ა. გაწერელის სიტყვებით რომ ვთქვათ, „სწრაფი ემოციური და ინტელექტუალური რეაგირებით“ [3, 23] აღაქმევინოს ისინი.

ამრიგად, აღნიშნული სინტაქსური თავისებურება თავიდან ბოლომდე პოულობს ახსნას მწერლის ენობრივ-სტილურ კონცეფციაში: იგი განპირობებულია ავტორის მხატვრული მიზანდასახულობით და ქართული ენის ბუნებრივ წყობასაც აღადგენს.

იოანე საბანისძის ენობრივ-სტილური კონცეფცია კიდევ ერთ მნიშვნელოვან სინტაქსურ თავისებურებას განსახლავს. „აბოს წამებაში“ ფაქტობრივად არ გვხვდება მარტივი წინადადება, იშვიათია შერწყმული და რთული თანწყობილი წინადადებებიც. სამაგიეროდ, ფართოდ ეხსენება კარი ზერთულ, რთულ ქვეწყობილ და განკერძოებული გამოთქმების შემცველ სინტაქსურ ერთეულებს.

ამ ფაქტის გამაპირობებელი მიზეზები თავად ამ წინადადებათა ბუნებაშია საძიებელი. მათი უბრალო შედარების დროსაც კი ხდება თვალნათელი ვანსხევა აბოს ცალმხრივ, მშრალად, მოქმედების უბრალოდ გადმოცემასა და მოქმედების, აბოს მრავალმხრივ დახასიათებას შორის.

მართლაც, როგორც ცნობილია, მარტივი (ავტოკობილიც და გაურცობელიც) და რთული თანწყობილი წინადადებები არსებითად საკუთრივ თხრობის მომენტს წარმოაჩენენ.

შედარებით „განმარტებულობით“ ხასიათდება შერწყმული წინადადება: მასში ერთგვაროვანი წევრები მეტ-ნაკლები სისრულით ახასიათებენ მოქმედებას, მოქმედ პირებს, მოქმედების ობიექტსა ან ადრესატს, მოქმედების საგანს ან დროს და ა. შ.

როგორც წესი, უფრო მეტი „განმარტებულობით“ ე. ი. მეტი ინფორმაციული ტევადობით გამოირჩევა რთული ქვეწყობილი წინადადება. მასში ამომწურავადაა დახასიათებული მოქმედება, ან მოქმედი პირი. ანდა მოქმედების საგანი; ამასთან იგი გარკვეულ ინფორმაციას შეიცავს მოქმედ პირსა თუ მოქმედების ობიექტზე, მოქმედების ადგილსა თუ დროზე, მოქმედების ადრესატსა თუ მოქმედების ვითარებაზე და ა. შ. ასეთი წინადადება საშუალებას იძლევა ერთი სინტაქსური ერთეულის ფარგლებში მრავალმხრივი და მრავალგვარი ინფორმაცია მივიღოთ იმ პირებზე, რომელთა მოქმედებასაც მთავარი წინადადება აღწერს.

არსებითად ანალოგიური თავისებურებით ხასიათდება განკერძოებული გამოთქმების შემცველი წინადადებაც. ხშირ შემთხვევებში განკერძოებული გამოთქმები იმდენად მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავს, რომ მათ გარეშე მკითხველს საკმაოდ მრავალი კითხვა დაებადებოდა.

როგორც ვხედავთ, რთული ქვეწყობილი, ასევე განკერძოებულგამოთქმიანი სინტაქსური ერთეულები მთლიანად უზრუნველყოფენ „განმარტებული ენის“



შოთხოვნას — ერთ სინტაქსურ ერთეულში ათავსებენ მრავალმხრივ და მრავალგვარ ინფორმაციას.

აღსანიშნავია, რომ მწერალი ამით არ კმაყოფილდება. მიმართებულნი მაქვემდებარებელი კავშირებით, აგრეთვე სხვა ენობრივი საშუალებებით, სხვადასხვა სახის სინტაქსური ერთეულებიდან იგი ზერთულ სინტაქსურ კონსტრუქციას აგებს.

მწერლის ამოცანაა, რაც შეიძლება, მეტი ინფორმაციით კომპაქტურად და ცხვირით სულ მცირე სინტაქსური ერთეულიც კი და ამით თავიდან აიცილოს ერთი და იმავე მოცულობის ინფორმაციის მოსაწოდებლად რამდენიმე მარტივი წინადადების გამოყენება. ამიტომაც მიმართავს იგი ზერთულ, რთულ ქვეწყობილ, განკერძოებულ გამოთქმიან, ზოგჯერ კი შერწყმულ წინადადებებს.

საინტერესოა შერწყმული წინადადების როლი და ადგილი „აბოს წამების“ ენობრივ-სტილურ სისტემაში. ასეთი წინადადებები, როგორც წესი, დამოუკიდებელი სახით იშვიათად გვხვდება. ისინი უმთავრესად ზერთული სინტაქსური ერთეულის ელემენტებად, ზოგჯერ კი ასეთი ერთეულის აგების პრინციპად გამოიყენება.

საილუსტრაციოდ მოვიყვანოთ ერთი ასეთი წინადადება: „...რამეთუ განვიდა მან ყოველი, რააცა აქუნდა მას, და ჰზრდიდა იგი მშვიერთა და ნაკლულ ევანთა მის თანა პურობილთა მათ“ [1, 66].

როგორც ვხედავთ, ამ ზერთული წინადადების ხერხემალი შერწყმული წინადადებაა. თვით შერწყმული წინადადება ორი ნაწილისაგან შედგება („რამეთუ... მას“ და „ჰზრდიდა... მათ“). პირველი ნაწილი რთული ქვეწყობილი წინადადებაა, საკუთრივ მეორე ნაწილი კი — შერწყმული. ამდენად, ციტირებულ სინტაქსური ერთეული რამდენიმე შრეს შეიცავს: მთლიანად იგი შერწყმული წინადადებაა. მისი ერთი ნაწილი — რთული ქვეწყობილი, მეორე ნაწილი კი საკუთრივ შერწყმული წინადადებაა.

შერწყმული წინადადების გამოყენება სინტაქსური ერთეულის ელემენტად ერთგვარი პრინციპი ზდება იოანე საბანისძის მხატვრული ენისათვის. ხშირ შემთხვევაში შერწყმული წინადადება პირდაპირ ჩაენაცვლება მარტივ სინტაქსური ერთეულის ელემენტად. ამგვარად მწერალი მთელი სინტაქსური ერთეულის, მისი თითოეული ელემენტის შინაარსობრივი სიმჭიდროვის ხარისხს ზრდის და, მამასადავ, ფრაზას მეტ „განმარტებით“ ხასიათს ანიჭებს.

როგორც ანალიზი გვარწმუნებს, ენობრივი გამოხატვის თვალსაზრისით „განმარტებულთა ენითა“ თხრობის პრინციპს სინტაქსურად ზერთულ, რთულ ქვეწყობილ, განკერძოებულ გამოთქმიან და ნაწილობრივ შერწყმულ წინადადებათა ხშირი გამოყენება შეესაბამება. „აბო ტფილელის წამებაში“ სწორედ ამიტომ გვხვდება უხვად ასეთი წინადადებები. მათი სიხშირე და ამ გარემოების გამპირობებელი ფაქტორები უთუოდ განსაზღვრავენ იოანე საბანისძის სტილის თავისებურებას, რაც, თავის მხრივ, მწერლის მხატვრული მიზანდასახულობითაა შეპირობებული.

სწორედ ამ გზით ცდილობს ავტორი, გადაწყვიტოს მხატვრული ამოცანა — ნათლად, გასაგებად მიიტანოს თავისი აზრი მკითხველამდე. მწერლის ენობრივ-სტილურ კონცეფციაში ეს ტენდენციაც პოულობს ახსნას — „განმარტებულნი ენა“ ხომ ნათელ, აშკარა ენას გულისხმობს.

აქვე უნდა აღინიშნოს ერთი არსებითი ხასიათის გარემოება: ენის სინათლე-სიამაყარავე იოანე საბანისძისათვის რამდენადმე სპეციფიკური ცნებაა. ამაში იოლად დავრწმუნდებით, თუკი გავისხენებთ მეტყველების სიცხადეზე თეორიულ ლიტერატურათმცოდნეობაში გამოთქმულ ტრადიციულ შეხედულებას.

მაგალითად, არისტოტელე წერს: „...სტილის დადებითი მხარე სიცხადეში



მდგომარეობს. ამას ამტკიცებს ის, რომ თუ სტილი ნათელი არაა, ვერც მიხვდებით ადწევს, ე. ი. სტილი არ უნდა იყოს არც ამაღლებული, არც მდაბალი, არც მდინარე მისიზანშეწონილი“ [2, 167]. ამ აზრს იმეორებს იგი „პოეტისაკაშიც“: „მეტყველების ღირსება ისაა, იყოს ნათელი და არა — მდაბალი“ [12, 670]. ამავე დროს, იგი იქვე განმარტავს ნათელი მეტყველების ცნებას: „ყველაზე ნათელი მეტყველება ისაა, რაც საყოველთაოდ გავრცელებული სიტყვებისაგან შედგება და, ამავე დროს, არც მდაბალია“ [12, 670]. შემდეგ კი ერთმანეთს უპირისპირებს მეტყველების სახეებს [12, 670—671].

როგორც ვხედავთ, მეტყველების სინათლე კარგი, ნათელი სტილით წერას ნიშნავს. ნათელი სტილის უპირველესი და უმთავრესი პირობა კი ისაა, რომ აზრი, რაც შეიძლება, ნატყფად ჩამოყალიბდეს. ვასაგებად, მარტივად, ნათლად გამოიხატოს (აზრის ნათლად გადმოსაცემად სჭირდება არისტოტელეს საყოველთაოდ გავრცელებული სიტყვები).

თუკი ამ კონტექსტში განვიხილავთ იოანე საბანისძის ენობრივ-სტილურ კონცეფციას, დავრწმუნდებით, რომ მწერალისათვის „განმარტებული ენა“ უპირველესად „ნათელ ენას“ გულისხმობს და არა „ნათელ, კარგ სტილს“. მის თხზულებაში ენის სინათლე ფრანზის, რაც შეიძლება, მეტი ინფორმაციული ტევადობით გამოიხატება. მწერალს ენის სინათლე ესმის, როგორც ყველა ადწერილი მოვლენის მკითხველამდე განმარტებულად, ნუთნასური სიზუსტით მიტანა. ამიტომაც მოგვიტხრობს იგი დაწერილებით და ამიტომაც ტვირთავს ყოველ ენობრივ ერთეულს მაქსიმალური ინფორმაციით ენის ნებისმიერ დონეზე.

ამრიგად, „აბოს წამების“ ენობრივ-სტილური სისტემის უმთავრესი სინტაქსური თავისებურებანი ახსნას მწერლის „განმარტებული ენის“ კონცეფციაში პოულობს.

„განმარტებული ენის“ კონცეფცია მკაფიო გამოხატულებას იძენს ნაწარმოების სტილურ სტრუქტურაში. ამ სტრუქტურის უმთავრესი თავისებურება ისაა, რომ მწერალი თხრობის თემატურად განსხვავებული, სხვადასხვა სიტუაციის წარმოსაჩენად ოსტატურად ირჩევს სხვადასხვა სტილურ ნაკადს. ამ თვალსაზრისის საილუსტრაციოდ თხზულებიდან რამდენიმე ადგილს მოვიყვანთ:

„და იყო დღეთა მათ შინა კუალად განრისხებამა კელმწიფეთა მათ სარკინოზთამ ნერსმ ერისთვისა ზედა და იელტოდა იგი, რამეთუ სასტიკად ჰბრძოდეს მას სარკინოზთა ერი; და უფალმან დაიკვა იგი ჳელთაგან მათთა, და განვლო მან კარი ოვსეთისაჲ, რომელსა დარიალან ერქუმის“ [1, 58].

„რამეთუ არა ხოლო თუ ბერძენთა სარწმუნოებამა ესე ღმრთისამიერი მოიპოვეს, არამედ ჩუენცა, შორიელთა ამათ მკედრთა, ვითარცა წამებს უფალი და იტყვს: „მოვიდოდინან აღმოსავალით და დასავალით და ინაჯ-იდგმიდენ წიალითა აბრაჰამისთა, ისაქისთა და იაკობისთა“ [1, 55].




„შენ კარი იგი სამოთხისაჲ განალე ჳუარითა ქრისტესითა და მკველთა მათ ქერობინთა ცეცხლის მსგავსთა ვერ განგიკითხეს, ვითარმედ ვინ ხარ“ [1, 78].

თვალნათლივ იგრძნობა ამ წინადადებების ენობრივ-სტილური განსხვავება, რაც, „რა თქმა უნდა, განპირობებულია ამ მეტყველებით გადმოცემული ინფორმაციის ხასიათითა და დანიშნულებით“ [15, 233]. ჩვენ მიერ საილუსტრაციოდ მოხმობილი სინტაქსური ერთეულები სწორედ იმის ნიშნულია, როცა მოწოდებული ინფორმაციის თემატიკურ-ჟანრობრივი განსხვავება მეტყველების სტილურ სხვაობაში აისახება.

დანიშნულების მიხედვით ეს სინტაქსური ერთეულები შეიძლება ორ ნაწილად დავაჯგუფოთ: 1. საკუთრივ თხრობა (პირველი წინადადება) და 2. განმარტება (მეორე და მესამე წინადადებები). გადმოცემული ინფორმაციის ხასიათის მიხედვით საკუთრივ მეორე ჳგუფში შეიძლება დამატებით გამოვყოთ: 1. სა-



კუთრივ განმარტება (მეორე წინადადება) და 2. აპოლოგია (მესამე განმარტება)¹. ვფიქრობთ, მკითხველი იოლად ამჩნევს მათ შორის სტილურ სხვაობას. რასაც კიდევ უფრო თვალნათელს ხდის ციტირებულ წინადადებათა სინტაქსურ-სტრუქტურული სქემა:



¹ ზოგადად წმინდანის აპოლოგია განმარტებაა, რადგანაც მოწამის ღვაწლის წარმოჩენას, „განმარტებას“ უწევობს ხელს. თუმცა, ნიუანსური შინაარსობრივი განსხვავება მიიწი შეინიშნება მისა და საკუთრივ განმარტებას შორის. ეს სხვაობა კიდევ უფრო თვალში საცემია ენობრივ-სტრუქტურულ დონეზე.



აგებულიების მიხედვით ზოგადად სამივე წინადადება ერთგვაროვანი — რთულია, თუმცა, საკმარისად განსხვავებულია მათი სინტაქსური სტრუქტურები. მაგალითად, პირველი ზერთული წინადადება შედგება ოთხი თანაბარმნიშვნელოვანი წინადადებისაგან, რომელთაგან პირველი და მესამე მარტივი გავრცობილია. დანარჩენი — მეორე და მეოთხე წინადადებები კი — რთული ქვეწყობილი. მეორე ზერთული წინადადება შედგება ორი თანაბარმნიშვნელოვანი წინადადებისაგან. ამათგან პირველი მარტივი გავრცობილია, მეორე კი — ზერთული ქვეწყობილი, რომლის მთავარი წინადადება განკერძოებულგამოთქმიანი მარტივი გავრცობილია, დამოკიდებული წინადადება კი წარმოდგენილია რთული ქვეწყობილი წინადადებით, რომელშიც მთავარი და დამოკიდებული წინადადებები სინტაქსურად ორივე შერწყმულია. მესამე ზერთული წინადადება ორი თანაბარუფლებიანი წინადადებებისაგან შედგება. აქედან ერთ-ერთი რთული ქვეწყობილია.

როგორც ვხედავთ, ერთმანეთისაგან არსებითად განსხვავდება პირველ და მეორე ზერთულ წინადადებათა სტრუქტურები. თითოეულ მათგანში აშკარად განირჩევა სტრუქტურის აგების ორი წესი. პირველი წარმოდგენილია თანაბარმნიშვნელოვანი წინადადებების შეერთებით, პარატაქსული პრინციპით; მეორე მათგანი კი — წინადადებათა ურთიერთდაქვემდებარებით, ჰიპოტაქსური წესით. წინადადების აგებაში სწორედ ამ პრინციპთა ურთიერთობა განაპირობებს სტრუქტურათა შორის სხვაობას.

პარატაქსული კონსტრუქციისათვის ნიშანდობლივია თხრობითი ხასიათი. ჰიპოტაქსური კონსტრუქცია კი, როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში მოუთხოვენ, „მსაჯელობითი ლიტერატურის“ უცილობელი კომპონენტია [10, 12]. ასეთი სტრუქტურა სიღრმობრივი, შინაგანი გართულებით, ქვესტრუქტურების, მთავარი წინადადების ამხსნელ დამოკიდებულ წინადადებათა არსებობით გამოიხატება.

თუ გავითვალისწინებთ იოანე საბანისძის მხატვრულ მიზანდასახულობას, მის ენობრივ-სტილურ კონცეფციას, აგრეთვე, ნაწარმოების „განმარტებით“ ხასიათს, იოლად დაჯერდებით, რომ „განმარტებული ენის“ სისტემაში პრიორიტეტი სწორედ ჰიპოტაქსურ სტრუქტურას ენიჭება. ამდენად, იგი უკიდურეს შემთხვევაში ნომინალურად მაინც უნდა იყოს წარმოდგენილი.

როგორც სქემიდან ჩანს, პირველ ზერთულ წინადადებაში პრიორიტეტული სწორედ პარატაქსული სტრუქტურაა, თუმცა მისი ორი ელემენტი საკუთრივ წარმოდგენილია ჰიპოტაქსური სტრუქტურით, რომლის არსებობა „განმარტებულ ენაზე“ მიგვანიშნებს. პარატაქსული სტრუქტურის პრიორიტეტულობა კი იმის მაუწყებელია, რომ, მართალია, ავტორი „განმარტებულითა ენითა“ გვესაუბრება, მაგრამ იუი რაიმე ამბავს კი არ გვიხსნის და განგვიმარტავს, არამედ მოგვითხრობს.

მეორე ზერთულ წინადადებაში სამი დონე — ერთი პარატაქსული და ორი ჰიპოტაქსური სტრუქტურით აგებული შრეები — გამოიყოფა. მეორე — ჰიპოტაქსური სტრუქტურით აგებულ — შრეში დამატებით კიდევ ერთი შრე გამოიყოფა. ისიც ჰიპოტაქსური სტრუქტურითაა აგებული. როგორც ვხედავთ, აქ პრიორიტეტულად ჰიპოტაქსური სტრუქტურაა წარმოდგენილი. ეს ფაქტი იმაზე მიგვანიშნებს, რომ ამ შემთხვევაში ავტორისათვის მთავარია რაღაც საკითხის საკუთრივ განმარტება, ახსნა. პარატაქსული სტრუქტურის არსებობა კი იმაზე მეტყველებს, რომ განმარტება თავის თავში თხრობის გარკვეულ ელემენტს შეიცავს.

ამრიგად, იოანე საბანისძის ენობრივ-სტილურ სისტემაში წარმოდგენილია როგორც პარატაქსული, ასევე ჰიპოტაქსური სტრუქტურები. „შინაარსობრივ-

კონცეპტუალური ინფორმაციის“ [17, 28] გადმოცემისას (განმარტებისა) ჰიპოტაქსური სტრუქტურა დომინირებს, „შინაარსობრივ-ფაქულტატური ინფორმაცია“ [17, 27—28] (თხრობა) კი ვერბალიზაციისას პარატაქსულ სტრუქტურის უპირატესობას განაპირობებს.

ზემოთ მოყვანილ წინადადებათა კონტექსტში განხილვა კიდევ უფრო თვალნათელს ხდის ამ სინტაქსური ერთეულებით გადმოცემული ინფორმაციის ხასიათსა და დანიშნულებას. ამ გარემოებით შეპირობებული თავისებურებები ენობრივად წინადადებათა მხოლოდ შინაგან სტრუქტურაში აისახება. ზოგადი სინტაქსური რავგარობის მიხედვით კი, ინფორმაციის მიუხედავად, ორივე წინადადება ერთგვაროვანი — ზერთულია.

მესამე ზერთული წინადადება ორ შრეს — პარატაქსულ და ჰიპოტაქსურ სტრუქტურებს — შეიცავს. ამ თვალსაზრისით იგი ნეიტრალურ სურათს გვიჩვენებს. თუ გავიხსენებთ იმას, რომ ეს წინადადება, მართალია, თავისებური, მაგრამ მინც განმარტებაა, აქ თითქოს ერთგვარ წინააღმდეგობასთან გვაქვს საქმე, რაკი ჰიპოტაქსური სტრუქტურა პრიორიტეტულად არაა მასში წარმოდგენილი. რით შეიძლება აიხსნას ეს გარემოება?

საანალიზო წინადადება „შინაარსობრივ-ქვეტექსტური ინფორმაციის“ [17, 28] შემცველია. მისი შინაარსის კონტექსტისაგან მოწყვეტილი განხილვა გვიჩვენებს, რომ იგი მეტაფორული, მაგრამ მინც ჩვეულებრივი თხრობაა. ამიტომ უკავია მის სტრუქტურაში თხრობით ელემენტს (პარატაქსულ სტრუქტურას) მნიშვნელოვანი ადგილი. ჰიპოტაქსური სტრუქტურა კი თხზულებისათვის უპირატესად ნიშანდობლივი სტილის ზოგადი სისტემაზე — „განმარტებულ ენაზე“ — მიგვანიშნებს.

ამ წინადადების სპეციფიკური არსი მისი შემცველი მეოთხე თავის — „ქების“ — თავისებურებაშია საძიებელი. ეს თავისებურება კი ნათლად ვლინდება ამ თავის ნაწარმოების საერთო კონტექსტთან მიმართებაში განხილვისას.

„ქებაა“ თხზულების ერთ-ერთი განმარტება-ნაკვეთია. იგი ამბის თხრობა კი არაა, არამედ არსებითად აბოს წამების ფაქტის მხატვრული განზოგადება და წამებულის ღვაწლის წარმოჩენა. ამავე დროს, ეს განმარტება-ნაკვეთი თავისი ენობრივი ქსოვილით საგრძნობლად განსხვავდება დანარჩენი განმარტება-ნაკვეთებისაგან. „ქებაში“ უკვე პრიორიტეტული აღარაა „განმარტებული ენის“ ზოგადი სისტემა.

ამ უაღრესად მნიშვნელოვან გარემოებას უსათუოდ სჭირდება ახსნა, რადგან, ერთი შეხედვით, ისეთ მოვლენასთან გვაქვს საქმე, როცა ერთმანეთისადმი შეუსაბამოა მწერლის მხატვრული მიზანი და ამ მიზნით განზორციელების ენობრივ-სტილური საშუალებები. თხზულებაში კი ასეთი წინააღმდეგობის არსებობა გამოირიცხებულია. ამიტომ ზემოაღნიშნულ თავისებურებას სხვაგვარი ახსნა უნდა მოვუძებნოთ.

დაკვირვება თვალნათლივ ავლენს მეოთხე თავში რამდენიმე შინაარსობრივი და, აქედან გამომდინარე, ენობრივ-სტილური ნაკადის არსებობას. უზოგადესი კრიტერიუმებით ეს თავი მთლიანობაში განმარტებულ წარმოგვიდგება, რადგან იგი არსებითად მინც აბოს წამების ფაქტს „განმარტავს“. ამავე დროს „ქებაში“ ადვილად დაიძებნება საკუთრივ განმარტება („აწ მოვედით, ქრისტეს მოწმუნენო, და ვდღესასწაულობდეთ კსენებასა ახლისა ამის წმიდისა მოწამისასა, რომელი ყოველსა ამას სოფელსა ჩუენსა ქართლისასა მეოხად ჩუენდა ქრისტემან მოგუანიჭა“ [1, 76]... და სხვ.), აბოს ღვაწლის მეტაფორული გააზრება (არსებითად თხრობა) და ა. შ. თუ გავიხსენებთ გ. ვინოკუროს მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ სხვადასხვა მეტყველება სტილურად მათში გადმოცემული ინფორმაციის ხასიათისა და დანიშნულების მიხედვით განსხვავდება, მაშინ, შე-



გვიძლია, დავასკვნათ, რომ მეოთხე თავი თავისი დანიშნულებით განმარტდება ხასიათით კი — წმინდანის აპოლოგია. თუმცა, აქვე უნდა შევნიშნოთ, რეჟიმურ ცნებები ჩინური კედლით არ არის ერთმანეთისაგან გამიჯნული. მართალმანი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან, მაგრამ არცთუ ისე მკვეთრად, თუმცა ეს მცირეოდენი განსხვავებაც კი ენობრივ-სტილურ არაერთგვაროვნებას განაპირობებს; უფრო მეტიც, სპეციფიკური ხასიათი ისეთ თვალნათელ განსხვავებას ანიჭებს მეოთხე თავს, რომ ბევრ მკვლევარს უდავოდ მიაჩნია მისი სტილური განსხვავება „აბოს წამების“ სხვა ნაკვეთებისაგან და ქანობრივი თავისებურების რანგშიც კი აპყავს. მაგალითად, „ქების“ ზოგიერთი მეცნიერი ჰიმნოგრაფიის ერთ-ერთ ნიმუშად თვლიდა [4, 353; 5, ა — ზ; 7, 598—599].

როგორც არაერთხელ აღვნიშნეთ, იოანე საბანისძის მიზანია, მკითხველს სრულყოფილად გააზრებინოს მარტილის სახე. ნაწარმოების ბოლოს ამ გააზრებისათვის ერთგვარ აკორდს ქმნის „ქება“, რომელიც თავისი ხასიათით აპოლოგიაა. აქ მწერალმა ისე უნდა გადმოსცეს ინფორმაცია, რომ მკითხველმა სწრაფი ემოციური და ინტელექტუალური რეაგირებით აღიქვას იგი. ამიტომაც ტექსტის ენობრივ ქსოვილისათვის ახლა შედარებით ნაკლები მნიშვნელობა ენიჭება წინადადების ინფორმაციული ტევადობის გაზრდას, რადგან იგი ერთგვარად ძნელად აღსაქმელს ხდის გადმოცემულ ინფორმაციას.

ამ გარემოებათა გამო ამჭერად უკვე ფრაზის სიცხადე-სინათლე და რაფინირებულობა ხდება მწერლის მხატვრული მიზანდასახულობის ენობრივ-სტილურად გამომხატვის უმთავრესი საშუალება. გმირის აპოლოგიისათვის მას უკვე სხარტი, ლაკონიური, ემოციური მუხტით აღბეჭდილი ფრაზები სჭირდება. აქ ფრაზა თავისუფლდება იმ ერთგვარი ხელოვნურობისაგან, რასაც წინადადებას ინფორმაციული ტევადობის გადიდება იწვევდა. ასე იქმნა იგი იმ სიმსუბუქეს, რაც მას თითქმის მთელ თხზულებაში აკლია. საოცარი გამომსახველობით აღიბეჭდება მწერლის ენა. აქედან ჩანს, ავტორს კი არ ჰქონია საერთოდ მძიმე და ძნელად აღსაქმელი ენა, არამედ ეს ენობრივი სირთულე შეპირობებული ყოფილა მწერლის სპეციფიკური მხატვრული მიზნით, რომლის განხორციელებებისათვის, თავის მხრივ, საჭირო გამხდარა სპეციფიკური ენობრივი სისტემა.

ერთი მხრივ, რამდენიმე სტილური ნაკადი, მეორე მხრივ კი, ფრაზის სინათლისათვის პრიორიტეტის მინიჭება განაპირობებს „ქების“ სინტაქსურ სიჭრელეს. თხზულების სხვა ნაკვეთებთან შედარებით აქ ხშირად გვხვდება რთული თანწყობილი და შერწყმული წინადადებები. ამ ნაკვეთისათვის ნიშანდობლივი აპოლოგეტიკურ-განმარტებითი სტილითვეა პირობადებული „ქებაში“ სამი მარტივი წინადადება [1, 78, 80]. ფრაზის სინათლე ამ თავისათვის ნიშანდობლივ სტილში იმდენად მნიშვნელოვან ფაქტორად ქცეულა, რომ მწერლის მიერ გამოყენებული ზერთული და რთული ქვეწყობილი წინადადებები თავისუფლდება ადრინდელი სიმძიმისაგან და აზრის სინათლით ტოლს არ უღებს მარტივ სინტაქსურ ერთეულებს.

ენობრივ-სტილური თვალაზრისით მეტად საინტერესოა „ქების“ ზოგიერთ სხვა ჰიმნოგრაფიულ ნიმუშთან, კერძოდ, ისეთ ნაწარმოებებთან შედარება, როგორებიცაა: უცნობი ავტორის „დასდებელნი წმიდისა ჰაბოასი“ [5, ზ — ი], იოანე ქონჭოზისძის „გალობანი ქრისტეს ნათლის ღებისანი და ჰაბო ისმაიტელყოფილისა ქართველისა“ [5, ლთ — მე], სტეფანე სანანოასძის „დასდებელნი ნათლის ღებისა და წმიდისა მოწამისა ჰაბოასი“ [5, რა — რნ], მიქაელ მოდრეკილის „დღესასწაულობა ნათლის ღებისათვის უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესა და ჯსენება ღუაწლით შემოსილისა უძლეველისა მოწამისა ჰაბო ისმაიტელყოფილისა ქართველისა“ [5, რთ — რპ] და „დასდებელნი ნათლის ღებისა და წმიდისა მოწამისა ჰაბოასნივე“ [5, რა — რპ].



უცნობი ავტორის თხზულება პრინციპულად განსხვავდება „ქებისაგან“² ეს განსხვავება, უპირველეს ყოვლისა, თავს იჩენს ინფორმაციული და, ამდენად, მომდინარე, ენობრივ-სტილური თვალსაზრისით.

„აბოს წამების“ სხვა ნაკვეთებით მკითხველი გაცნობილია წამებულის მარტვილობის ამბავს. ამიტომაც იოანე საბანისძეს საშუალება აქვს, „ქებაში“ პირდაპირ მიმართოს გმირის აპოლოგიას და ეს ნაკვეთი ზედმეტად არ დატვირთოს აბოს ცხოვრების ფაქტებით³, სრულყოფილად წარმოაჩინოს გმირის მხატვრული სახე და მასში მეტაფორულად თვით მაცხოვარი გაიაზროს [8, 57—61]. ყოველივე ეს საშუალებას აძლევს მწერალს, განტვირთოს ფრაზა ზედმეტ სიმჭიმისაგან და მოქნილობითა და სისხარტით აღბეჭდოს იგი.

ამის საპირისპიროდ, უცნობი ავტორის მიზანია, კიდევ გადმოსცეს აბოს თავგადასავალი და კიდევ განდიდოს იგი. ასეთი მიზანდასახულობა თავისთავად განსაზღვრავს ნაწარმოების ენობრივ-სტილურ სპეციფიკას, ამძივებს მის ენას და ექსპრესიულობას უქარავს მას.

თუ იოანე საბანისძის „ქებაში“ ხოტბის ობიექტად აბო გვევლინება, უცნობი ავტორი აბოს კი არა, აბოს თავგადასავალს, მისი წამების ამბავს განდიდებს. ამასთან იოანე საბანისძის „ქებისაგან“ განსხვავებით, მის თხზულებაში წმინდანი არ გვევლინება უშუალო მიმართვის ობიექტად.

ეს არსებითი გარემოებები უცნობი ავტორის ენას საგრძნობლად განასხვავებს იოანე საბანისძის „ქების“ ენისაგან. მართალია, კ. კეკელიძე მოუთითებდა ამ ორ ნაწარმოებში საერთო სიტყვებისა და ფრაზების არსებობაზე [7, 599], მაგრამ ძალზე ჭირს ასეთი ადგილების დაძებნა. რაც მთავარია, ძნელია „განმარტებული ენის“ სისტემის გავლენის წარმოჩენა უცნობი ავტორის თხზულებაში.

იოანე საბანისძის „ქებასთან“ მნიშვნელოვან იდეურ-ესთეტიკურ მსგავსებას ამვლავნებს იოანე ქონქოზისძის ნაწარმოები, თუმცა განსხვავებაც თვალნათელია მათ შორის. ამ საკითხზე აქ არ შეეჩერდებით და ჩვენთვის საინტერესო პრობლემის მხლოდ უმთავრეს მომენტებს შევეჩებთ.

იოანე საბანისძის სპეციფიკურ თხზულებას სპეციფიკური ფინალი — ჰიმნოგრაფიული ნაწილი სჭირდება. ეს უკანასკნელი კი, რომელიც თხზულებაში „ქების“ სახით ხორციელდება, „აგებულია იმ საავიოგრაფიო შასალაზე, რომელიც მოუტანია ავტორს პირველ სამ ნაწილში, ერთი დეტალის მიმატებით“ [7, 599]. ამიტომ „ქების“ ფორმა რამდენადმე შეზღუდულია თხზულების საერთო არქიტექტონიკით. იოანე ქონქოზისძე კი სრულიად თავისუფალია წინასწარი ჩარჩოებისაგან. იგი არც აბოს თავგადასავალს გადმოსცემს. პირდაპირ მიმართავს გმირის აპოლოგიას.

ყოველივე ეს გარკვეულ ასახვას პოულობს ამ ავტორთა ენობრივ-სტილურ სისტემებში. იოანე საბანისძე „განმარტებული ენის“ ფარგლებში ცდილობს მხატვრული ენის სრულყოფას. იოანე ქონქოზისძის ნაწარმოები კი საერთოდ უგულვებელყოფს „განმარტებული ენის“ მოთხოვნებს. მისთვის უმთავრესია ნაწარმოების ენის რიტმულ-ემოციური დატვირთვა. რიტმულ-ემოციურობა არც იოანე საბანისძის „ქებისთვისა“ უცხო, მაგრამ, იოანე ქონქოზისძის ნაწარმოე-

² თუმცა, „ქებაში“ გაპარულია ერთი სულმოკლე ქრისტიანის ამბავი. როგორც კ. კეკელიძე მოუთითებდა, „აბოს წამებაში“ ამის შესახებ სხვაგან არაა საუბარი [7, 599].

³ კ. კეკელიძის მიერ დასმული პრობლემა იოანე საბანისძისა და უცნობი ავტორის იდეოლოგიის შესახებ [7, 599], რომელიც ამ ორ ნაწარმოებში აბოს შესახებ საერთო ბიოგრაფიულ ცნობებსა და ენობრივ მონაცემებს ემყარება, ცალკე განხილვის საგნად მიგვაჩნია და ამაზე აქ არ შეეჩერდებით.

ბისაგან განსხვავებით, აქ რიტმულობა სისტემის ხასიათს არ იძენს. იოანე ქონ-
ქოზისძის „გალობანი“ ჩამოყალიბებული ლექსითი ნაწარმოებია.

შეიძლება დავასკვნათ, რომ „ქებაში“ იოანე საბანისძე ჰიმნოგრაფიის მა-
რითად შტრიხებს კვეთავს, იოანე ქონქოზისძე კი უკვე ჩამოყალიბებული ჰიმ-
ნოგრაფიული პრინციპებით შექმნილ ნაწარმოებს გვთავაზობს.

არსებითად იგივე შეიძლება ითქვას სტეფანე სანანოშვილის ჰიმნზეც. იოანე
საბანისძის „ქებასა“ და მას საერთო ის აქვთ, რომ ორივე მათგანი მიმართვის
ფორმითაა დაწერილი და აბოს ფიგურას ორივე მეტაფორულად გაიაზრებს,
თუმცა, სხვადასხვა პოზიციებიდან. ამასთან, ერთი შეხედვითვე თვალნათელია
მათ შორის ენობრივი განსხვავება.

ასევე რაფინირებული ჰიმნოგრაფიული თხზულებებია მიქაელ მოდრეკილის
აბო ტფილელისადმი მიძღვნილი ორივე ჰიმნი. ენობრივი თვალსაზრისით მწე-
რალი „დღესასწაულობაში“ უპირატესობას გართულებულ სინტაქსურ ერთეუ-
ლებს ანიჭებს და მასში ფრაზას უპირველესად სინათლე-სიაშკარავის მოთხოვნა
არ წაყენებს. ასეთივე გარემოებასთან გვაქვს საქმე ამავე ავტორის „დასდებელ-
თა“ პირველ ნაწილში. ეს ჰიმნი „ქებასთან“ ენობრივ მსგავსებას იმით ამკლავ-
ებს, რომ მასში გადმოსაცემი ინფორმაციის მიხედვით რამდენიმე სტილური
ნაკადის არსებობა იგრძნობა.

ჩვენი აზრით, სწორედ ასეთი პოზიციებიდან უნდა განვიხილოთ იოანე სა-
ბანისძის ნაწარმოების მეოთხე თავის ენობრივ-სტილური თავისებურებები. ეს
თავისებურებანი ავტორის მხატვრულ სისტემაში რაიმე გამოჩაყლისი კი არა,
არამედ მისი ნიშანდობლივი მხარეა, რაც, თავის მხრივ, პირობადებულია ავ-
ტორის განსხვავებული მხატვრული მიზანდასახულობით.

ახლა ბუნებრივი იქნება დავსვათ კითხვა — რაში გამოიხატება ენობრივ-
სტილური თვალსაზრისით იოანე საბანისძის ნოვატორობა?

ამ კითხვაზე პასუხი რომ გავცეთ, საჭიროა გამოვკვეთოთ იოანე საბანისძი-
სეული ენის მიმართება როგორც სხვა ჰაგიოგრაფიული თხზულებების, ასევე
ქართული სახარების ენასთან. უნდა გავარკვიოთ საკითხი: არის თუ არა სხვა
ჰაგიოგრაფიული ძეგლების, ასევე ქართული სახარების ენა „განმარტებული“
და თუ არის, მაშინ რაში გამოიხატება იოანე საბანისძის ენის თავისებურება?

ჰაგიოგრაფიულ ნაწარმოებთა ენობრივ ქსოვილზე დაკვირვება გვიჩვენებს,
რომ ასეთ თხზულებებში მინცდამინც ხშირად არ გამოიყენება მარტივი წი-
ნადადებები, თუმცა, ჰაგიოგრაფი მწერლები აქტიურად, თანაც გარკვეული კა-
ნონზომიერებით მიმართავენ სხვადასხვა ტიპის სინტაქსურ ერთეულებს.

ნათქვამის საილუსტრაციოდ რამდენიმე მაგალითს მოვიხმობთ.

პირველი. თხზულებაში „მარტილობა და მოთმინება ეგსტათი მცხეთე-
ლისაჲ“ აღნიშნულია: „და შემდგომად სამისა წლისა შემოვიდა ვეყან ბუზმირ
ქართლისა მარზაპნად. და წარვიდეს სპარსნი მცხეთით, შემასმენელნი ნეტარისა
ეგსტათისანი, ტფილისა და წარდგეს წინაშე ვეყან ბუზმირ მარზაპნისა და
პრქუეს: „კაცი არიან“ [1, 34]...

ზემოდამოწმებული ორი წინადადიდან პირველი მარტივი გავრცობილია.
ამ სინტაქსური ერთეულით ავტორი ფაქტს აღგვიწერს. მეორე წინადადება, რო-
მელიც ბოლომდე არ მოგვეყავს, ზერთულია. ამ სინტაქსური ერთეულით მწერა-
ლი ამბავს მოგვითხრობს, თუმცა, ერთ ადგილას იგი გაკვიმარტავს და ამ მო-
მენტში ხანკერძოებულ განსაზღვრებას იყენებს. ამდენად, იგი თხრობისას მა-
მართავს როგორც მარტივ, ასევე ზერთულ წინადადებებს.

როგორც ვხედავთ, ციტირებულ ფრაზაში სინტაქსურ ერთეულთა ტიპები
არაა დეტერმინირებული ამ წინადადებებით გადმოცემული ინფორმაციის ხა-
სიათითა და დანიშნულებით. ეს გვაპარაუდებინებს, რომ აზრს ენობრივი ფორ-



მირებისას „ევსტათი მცხეთელის წამების“ ავტორისათვის მაინცდამაინც უნდა ეთმინებინათ ერთმანეთისაგან გამიჯნული საკუთრივ თხრობისა და საკუთრივ განმარტების მომენტები.

ორიოდე მაგალითს მოვიყვანთ უცნობი ავტორის თხზულებიდან „ცხოვრება და წამება კოსტანტინის ქართველისა“:

„და მრავალი განსუენება და ნუგეშინის-ცემა მიემაღლა მათ. ხოლო მათ მრავლითა ლოცვითა და კურთხევითა წარმოვზენეს იგი“ [1, 166].

„ხოლო გუამი მისი დამოკიდეს ძელსა ფრად მალასა. ყოველმან ერმან იხილეს სასწაული დიდი გუამსა მას ზედა. და მივიდა წმიდა იგი მოწამე ქრისტისი ადგილსა მის გამსასუენებელისასა, რომლისგან განმორებულ არიან ყოველნი საღმობანი, მწუხარებანი და ჭირნი, სადა-იგი ჰხედავს ნათელი პირისა შენისა, უფალო, სადა-იგი ვერ მოსწუთებია ენანი ძვრის-მეტყუელთანი, არამედ სიხარული დაჰსრულებელი არს მუნ და წმიდათა ანგელოზთა თანა მოქალაქობა“ [1, 170].

ციტირებულ ფრაზებში შედარებით მკაფიოდაა გამიჯნული საკუთრივ თხრობისა და საკუთრივ განმარტების ელემენტები. ამაში გვარწმუნებს ამ ელემენტების შემცველ ენობრივ ქსოვილთა სხვაობა. არსებითად უცნობი ავტორი იოანე საბანისძისეული პრინციპებით წერს.

საინტერესო დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა იოანე საბანისძისა და ქართული სიტყვის სწორუბოვარ ოსტატთა იაკობ ხუცესისა და გიორგი მერჩულეს ენათა ზოგადი ურთიერთშედარება.

ჩვენი დაკვირვებით, იაკობ ხუცესი უმეტესად (შეიძლება ითქვას, როგორც წესი) რთულ და ზერთულ წინადადებებს იყენებს. მაგრამ მისი ფრაზა იმდენად ნათელი და ცხადია, რომ მკითხველი ფაქტობრივად აღარც კი აღიქვამს რთულად მის მიერ გამოყენებულ სინტაქსურ ერთეულებს — შერწყმულ, რთულ და ზერთულ წინადადებებს. ამასთან იგი არცთუ იმე იშვიათად იყენებს მარტივ წინადადებებსაც.

გიორგი მერჩულე კიდევ უფრო მეტად უხსნის კარს გართულებულ სინტაქსურ ერთეულებს. ამასთან იგი არ ანაწილებს სინტაქსურ ერთეულებს ვადმოცემული ინფორმაციის ხასიათისა და დანიშნულების მიხედვით. ეს გარკვეულწილად უფლებას ვეძლევათ რთული სინტაქსური ერთეულებით წერა ამ დიდი მწერლის სტილისათვის დამახასიათებელ ნიშან-თვისებად მივიჩნიოთ.

ამრიგად, მოკლე შედარებითი ანალიზიც კი თვალნათელს ხდის პავიოგრაფიული მწერლობისათვის დამახასიათებელ საერთო ტენდენციას — ორიენტაცია უპირატესად აღებულია გართულებულ სინტაქსურ ერთეულებზე. ამავე დროს ენობრივ-სტილური თვალსაზრისით საცნაური ხდება ამ ენარის ნაწარმოებთა შორის არსებული სხვაობაც. მაგალითად, იაკობ ხუცესის, „ევსტათი მცხეთელის წამების“ უცნობი ავტორის, გიორგი მერჩულესა და ზოგიერთი სხვა პავიოგრაფი მწერლის თხზულებებში სინტაქსური ერთეულები არ განირჩევა მათში ჩადებული ინფორმაციის ხასიათისა და დანიშნულების მიხედვით. იოანე საბანისძე და „კონსტანტი კახის წამების“ ავტორი კი, პირიქით, სწორედ ამ ფაქტების მიხედვით განარჩევენ ნაწარმოებში სინტაქსურ ერთეულთა ტიპებს.

იოანე საბანისძის ენობრივი ნოვატორობის წარმოსაჩენად აუცილებელია „განმარტებული ენის“ სახარების ქართული თარგმანის უნასთან მიმართებაში განხილვა. როგორც ცნობილია, პავიოგრაფიული და სხვა ენარის თხზულებათა შრავილი თავისებურება სწორედ სახარებაში პოულობს ახსნას.

სახარების ქართულ თარგმანში ნაკლებადაა წარმოდგენილი მარტივი წინადადებები, რაც, ვფიქრობთ, სახარების განმარტებული ხასიათითაა პირობადებული. ორიენტაციის უპირატესად სწორედ სახარებაზე აღებამ განაპირობა

ორიგინალურ პაგიოგრაფიულ ლიტერატურაში რთული სინტაქსური ერთეულების სიუხვე და, აქედან გამომდინარე, ენობრივად მათი ტიპოლოგიური მსგავსებაც. ყოველივე ამან, ჩვენი აზრით, გარკვეული გავლენა მოახდინა კლასიკური ქართული სალიტერატურო ენის, როგორც შედარებით მყარი ფორმების ენის, ჩამოყალიბებაზე, აგრეთვე იმ გარემოებაზე, რომ სალიტერატურო ენაში სუსტად ჩანს მისი განვითარების ანდა ხალხური მეტყველების ზეგავლენის კვალი. როგორც მიუთითებენ, სახარება მარტივი ბერძნული ხალხური ენით დაიწერა. მის ყოველ, ისევე როგორც ქართულ თარგმანს, ბუნებრივია, თავისი თანადროული ეპოქის ხალხური ენა დაედო საფუძვლად. ისიც არ უნდა იყოს სადავო, რომ ეს ხალხური ენა მოგვიანო საუკუნეებისათვის ვედარ იქნებოდა კვლავინდებურად სადა და მარტივი და ამიტომაც ვედარ ასახავდა ქართულ ენის განვითარების სურათს. ამ თვალსაზრისით ითვლება ქართული სახარების ენა მყარ ენად, რომელმაც შედარებით ნაკლებად განიცადა საუკუნეთა მანძილზე ხალხური ენის განვითარებით გამოწვეულ ცვლილებათა გავლენა. ამ მომენტების გათვალისწინების გარეშე გავიჭირდება იოანე საბანისძის ნოვატორობის, იმ სიახლის წარმოჩენა, რასაც ენობრივ-სტილური თვალსაზრისით იჩენს „აბოს წამების“ ავტორი.

როგორც თხზულებაზე დაკვირვება გვარწმუნებს, იოანე საბანისძე ცდილობს, ყველა მნიშვნელოვანი პასაჟი გაიზაროს და ისე გამოიყენოს თავის თხზულებაში. იგი შესანიშნავად ახერხებს ამას და, რაც მთავარია, მკითხველს ერთობ გასაგებადაც მიანიშნებს ამის თაობაზე. ასეთი პოზიციიდან უდგება იგი კანონიკურად ქცეულ სახარების არქიტექტონიკას და შემოქმედებითად ითვისებს მას. ნაწარმოებში ჩნდება დასათაურებელი თავები. უფრო მეტიც, ავტორი თხზულების დასაწყისში ნაწარმოების გვემსაც კი გვთავაზობს. ამ ფაქტის თაობაზე არაერთხელ აღნიშნულა სპეციალურ ლიტერატურაში. მკვლევარები სრულიად სამართლიანად მიიჩნევენ ამ გარემოებას იმის დამამტკიცებელ საბუთად, რომ მწერალი საცესებით გააზრებულად ეკიდება თავის მოთხრობას და მას ამკარად გამოკვეთილი მიზანდასახულობა ამოძრავებს [6, 45; 7, 131; 11, 76—77].

ასევე მიზანმიმართულია იოანე საბანისძის დამოკიდებულება ქართული სახარების ენის მიმართაც. თავისი ეპოქის მწერალთა უმეტესობისაგან განსხვავებით, იგი აზრის ენობრივად ფორმირებისას პირდაპირ, გაუცნობიერებლად კი არ იღებს ორიენტაციას სახარების ენაზე, არამედ ცდილობს, ღრმად გაიზაროს ამა თუ იმ ენობრივი ნაკადის ხასიათი და არა მარტო გაიზაროს, არამედ მიუსადავოს კიდევ იმ ინფორმაციის დანიშნულებასა და ხასიათს, რაც ამ ენობრივი საშუალებებით უნდა ვადმოიცეს.

როგორც ვხედავთ, მწერალი საკუთარი მიზანდასახულობის შესატყვისი სპეციფიკურ ენობრივ-სტილურ სისტემას ირჩევს. იგი იმთავითვე ხაზგასმით მიგვიითთებს ამის შესახებ, რაც არსებითად მისი ენობრივი კონცეფციის ხმამალალი ვაცხადებაა. ყოველივე ეს ერთხელ კიდევ გვარწმუნებს, რომ ენობრივ-სტილური (და არა მარტო ენობრივ-სტილური) თვალსაზრისით „აბოს წამება“ მკაფიოდ გააზრებულ პოზიციას ემყარება. აქ, თითქოსდა, გაუმართავი ფრაზებიც კი, რომლებიც თავის ღროზე მწერალს ლაფსუსად, უყურადღებობად ჩაუთვალეს, სრულიად გარკვეულ მხატვრულ ფუნქციას ასრულებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სათანადო ინტერპრეტაცია უნდა მიეცეს იოანე საბანისძის ენობრივ ნოვატორობას; ამასთან, უწინარეს ყოვლისა, ერთმანეთისაგან უნდა გავარჩიოთ ენობრივი და სტილური ნოვატორობა. როგორც ცნობილია, ეს ცნებები მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისაგან [16, 7]. თუმცა, როგორც რ. ბუღაგოვი შენიშნავს, „სიტყვის ლიდოსტატთა შე-

მოქმედებაში ნოვატორობის ორივე ტიპი განუყოფელია. საუბარი შეიძლება ამ ორი ნოვატორობიდან ერთ-ერთის უპირატესობაზე ამა თუ იმ მწერალთან ან თუ იმ ეპოქაში“ [14, 248].

ვფიქრობთ, იოანე საბანისძე ძირითადად სწორედ ენის ნოვატორობს გვეუბრება, რადგან იგი ენაში არსებული პოტენციის საფუძველზე ქმნის ახალ ენობრივ კონსტრუქციებს და მათ სამწერლობო მეტყველებაში აკვიდრებს⁴. იმავედროულად „აბოს წამების“ ენობრივი ქსოვილის ზოფიერთი თავისებურება მას თანადროულ ანდა უფრო ადრეულ ძეგლებშიც გვხვდება; იოანე საბანისძემ ახლებურად გაიაზრა ეს კონსტრუქციები და ასეთნაირად გამოიყენა ისინი თავის სამწერლობო პრაქტიკაში. ამიტომაც მისი ეს ნაბიჯი შეიძლება სტილურ ნოვატორობად შევაფასოთ.

ამრიგად, „აბოს წამების“ ენობრივ-სტილური სისტემის ერთიანი ლიტერატურათმცოდნეობით განათმეცნიერული ანალიზი თვალნათეს ხდის, რომ „განმარტების ენა“ ესთეტიკური თვალსაზრისით უმაღლესი დეკაბრივი ჰემმარტების მიმართ გახსნილ ენას გულისხმობს. ამ პრინციპის ენობრივ-სტილური რეალიზაციისათვის იგება „განმარტებული ენის“ სტრუქტურა, რომლის უპირველესი მოთხოვნაა ყველა ენობრივ დონეზე თითოეული ენობრივი ერთეულის მაქსიმალური ინფორმაციული ტევადობით დატვირთვა. ესაა თხზულებისათვის უპირატესად ნიშანდობლივი სტილის ზოგადი პრინციპი. გადმოსაცემი ინფორმაციის ხასიათითა და დანიშნულებიდან გამომდინარე, იგი მეტ-ნაკლებად იჩენს თავს თხზულების სხვადასხვა ნაკვეთში.

ენობრივ ერთეულებში ხელოვნურად აკუმულირებული ინფორმაცია ხშირად ამძიმებს და ძნელად აღსაქმელს ხდის ფრაზას. ამ უხერხულობის დასაძლევად, აგრეთვე, იმისათვისაც, რომ მკითხველმა ინტელექტუალური და ემოციური რეაგირებით აღიქვას გადმოცემული ინფორმაცია, იოანე საბანისძე ხშირად მიმართავს გამეორების ხერხს, რაც სხვადასხვაგვარად იჩენს თავს სხვადასხვა ენობრივ დონეზე.

მწერლის მიერ ასეთი ენობრივ-სტილური სტრუქტურის არჩევა გარკვეულწილად ქვეცნობიერი ფაქტორებითაცაა განპირობებული. როგორც სამართლიანად მიუთითებს ბ. გრიფცოვი, „...მწერალი ვერასოდეს ვერ ახსნის, თუ რატომ დაუკავშირდა აუცილებლად მოცემული შესიტყვება განცდას. იმის რწმენა, რომ განცდა ერთადერთი გზით შეიძლება გამოიხატოს, მაინც ძირითადი იქნება ყველა მწერლისათვის“ [18, 96].

იოანე საბანისძის ენობრივ-სტილური კონცეფცია სხვადასხვა ენობრივ-სტრუქტურულ დონეზე სხვადასხვა თავისებურებას განაპირობებს. ეს კონცეფცია ფონოლოგიურ დონეზე ხორციელდება ერთი და იმავე ფონემებით, აგრეთვე, აგებულებით ერთნაირი, მაგრამ სხვადასხვა გრამატიკული დანიშნულების მქონე ფორმანტებით გაფორმებულ სიტყვათა ხშირი გამოყენებით. „განმარტებული ენის“ სინტაქსურ სტრუქტურაში მიმავრთვებით კავშირები რთულ სინტაქსურ ერთეულებსა და სინონიმურ გამეორებებს ქმნიან, მავრთებელი კავშირები კი — სინონიმურ პარალელიზმსა და სტილურ სიმეტრიას. ამ სტრუქტურაში ავტორის მხატვრული მიზანდასახულობის შესაბამისად ებრაული სინტაქსური ყალიბი მოხერხებულადაა გამოყენებული და გაქართულებული; მასში, აგრეთვე იგნორირებულია მარტივი, იშვიათია შერწყმული და რთული თანწყობილი წინადადებები. სამაგიეროდ, ფართოდაა წარმოდგენილი ზერთული, რთუ-

⁴ შესაძლოა, ეს კონსტრუქციები იმდროინდელ ხალხურ მეტყველებაშიც არსებობდა და იოანე საბანისძემ მხოლოდ სამწერლობო მეტყველებაში გადმოიტანა ისინი. ასეთ შემთხვევაში მწერალი სტილურ ნოვატორად მოგვევლინებოდა. იმდროინდელი ხალხური მეტყველების მაფიქსირებელ ტექსტთა უქიანობის გამო ახლა ამაზე რაიმეს გადაჭრით თქმა შეუძლებელია.

ლი ქვეყნობილი და განკერძოებულგამოთქმის სინტაქსური ერთეულები. სტილურ სტრუქტურაში თხრობისას თემატური თვალსაზრისით განსხვავებულ სიტუაციის წარმოსაჩენად ოსტატურად მონაცვლეობენ სხვადასხვა სტრუქტურული ნაკადები. მათ შორის სხვაობას ფრაზებში პარატაქსულ და ჰიპოტაქსულ სტრუქტურათა ურთიერთშეთავსება განაპირობებს.

ენობრივ-სტილური თვალსაზრისით „აბოს წამების“ სხვა ჰაგიოგრაფიულ, აგრეთვე ზოგიერთ ჰიმნოგრაფიულ ძეგლთა შედარება თვალნათლივ ავლენს იოანე საბანისძის ცდას, გაუცნობიერებლად კი არ აიღოს ორიენტაცია სახარების ენაზე, რაც მასშინ სალიტერატურო ენის ნორმად მიიჩნეოდა, არამედ მთელი სიღრმით გაიზაროს თითოეული სტილური ნაკადის ხასიათი და საკუთარ მხატვრულ მიზანდასახულობას შეუხამოს იგი.

ამჟამად ისიც, რომ მწერალი მიზანმიმართულად ირჩევს ენობრივ-სტილურ სისტემას საკუთარი მხატვრული მიზანდასახულობის შესაბამისად. მეტიც, ეს სისტემა მწერლის მხატვრული მიზნის ენობრივად ფორმირების აუცილებელი პირობაა. ყოველივე ეს უფლებას გვაძლევს, „აბოს წამება“ ერთიან, მყარად ორგანიზებულ მხატვრულ სისტემად მივიჩნიოთ.

იოანე საბანისძემ შეძლო, ახლებურად გაეზარებინა ჰაგიოგრაფიული ნაწარმოების დანიშნულება და მისთვის სპეციფიკური ფორმა მოენახა. იგი ღრმად ჩაწვდა ქართული ენის ბუნებას, შესანიშნავად გაერკვა მის გამომსახველობით შესაძლებლობებში, რამაც საშუალება მისცა, შემუშავებინა თავისი იდეურ-მხატვრული მიზანდასახულობის შესატყვისი ენობრივ-სტილური სისტემა — „განმარტებული ენის“ კონცეფცია. რაც მთავარია, მწერალმა არა მარტო გააცხადა ამ პრინციპის არსი, არამედ დიდი წარმატებითაც გამოიყენა იგი თავის სამწერლობო პრაქტიკაში. სწორედ ამაში გამოიხატება მისი ნოვატორობა.

1. ძველი ქართული აგოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I (V—X სს.), ილ. აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბ., 1964.

2. არისტოტელე, რიტორიკა, ძველბერძნულიდან თარგმნა, შესავალი წერილი, შენიშვნები და სიძიებელი დაურთო თ. კუკავამ, თბ., 1981.

3. ა. გაწერელია, ნარკვევები, პორტრეტები, ლექსთმცოდნეობა, თბ., 1988.

3. ბ. ინგოროყვა, თხზულებათა კრებული შედ ტომად, ტ. III, თბ., 1965.

5. ბ. ინგოროყვა, ძველ-ქართული სასულიერო პოეზია, წ. I, ტექსტები, VIII—X საუკუნეები, ტფ., 1913.

6. კ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, XIV, თბ., 1985.

7. კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბ., 1960.

8. რ. სირაძე, ლიტერატურულ-ესთეტიკური ნარკვევები, თბ., 1987.

9. ც. ქუციანიძე, ერთი სტილისტური თავისებურებისათვის ძველ ქართულში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შობამე, XX XVI: 1, თბ., 1961.

10. შ. ძიძიგური, რთული წინადადების პრობლემა ქართულ ენაში (კავშირებისა და საკავშირებელი სიტყვების საფუძველზე), თბ., 1989.

11. ივ. ჭავჭავაძის შრომა, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. VIII, თბ., 1977.

12. Аристотель, Соч. в четырех томах, т. IV, М., 1984.

13. Р. А. Будагов, К вопросу о языковых стилях, журн. «Вопросы языкознания», М., 1954, № 3.

14. Р. А. Будагов, Писатели о языке и язык писателей. М., 1984.

15. Г. О. Винокур, Избр. раб. по русскому языку, М., 1959.

16. Г. О. Винокур, Маяковский — новатор языка, М., 1947.

17. И. Р. Гальперин, Текст как объект лингвистического исследования, М., 1981.

18. Б. А. Грифцов, Психология писателя, М., 1988.

19. Д. С. Лихачев, Избр. раб. в трех томах, т. I, Л., 1987.

20. Г. де Мопассан, Предисловие к роману «Пьер и Жан», в кн.: Литературные манифесты французских реалистов, М., 1935.

21. А. М. Пешковский, Избр. труды, М., 1959.

22. Л. Н. Толстой, Пол. собр. соч., т. XIX, М., 1940.

К СТРУКТУРЕ «ТОЛКУЮЩЕГО ЯЗЫКА»

К особенностям синтаксической структуры «толкующего языка» Иоанэ Сабанидзе относятся также:

— велеречивый стиль его произведения. Автор постоянно прибегает к синонимическим повторам и синонимическому параллелизму, стилистической симметрии, создаваемым при помощи присоединительных и сочинительных союзов, а также к множеству синтаксисов, не характеризующих какими-либо особыми синтаксическими качествами;

— активное использование распространенной в древнегрузинской литературе еврейской синтаксической матрицы, в целях акцентирования передаваемой информации. В зависимости от значимости информации такая конструкция часто принимает сравнительно более органичную для грузинского языка окраску;

— почти полное отсутствие простых предложений при скупом использовании также сложносочиненных и с однородными членами синтаксических единиц. Автор широко применяет сверхложные, сложноподчиненные и содержащие обособленные выражения предложения.

Стилистическая структура «Мученичества Або» становится органическим выразителем характера и назначения передаваемой информации. В соответствии с этим в авторской речи четко прослеживается совмещение двух структур — пара- и гипотаксической. При повествовании доминирует паратаксическая, а при толковании — гипотаксическая.

Вышеупомянутые языково-стилевые особенности произведения заключаются не столько в ясности стиля, сколько языка, большой информативной вместимости фразы.

Особенно многообразна стилистически четвертая глава — «Похвала». Это обусловлено, с одной стороны, несколькими стилевыми потоками, а с другой — стремлением автора к ясности фразы.

Стиль «Похвалы» выражает в определенной мере ее принадлежность гимнографическому жанру. Свообразие же этой главы определяется ее общей подчиненностью системе «толкующего языка».

При сравнении «Мученичества Або» с другими агнографическими произведениями становится очевидным, что Иоанэ Сабанидзе, как и другие агнографы, берет ориентацию на язык грузинского перевода евангелия. Но, в отличие от других, у него эта ориентация не носит механистического характера. «Толкующий язык» позволяет писателю целенаправленно использовать стилевые потоки в соответствии с характером и назначением передаваемой информации.

Мастерство Иоанэ Сабанидзе заключается главным образом в его языковом и во многом стилистическом новаторстве. Все языково-стилевые особенности «Мученичества Або» определяются глубоко осмысленной авторской позицией и несут конкретные художественные функции. Произведение представляет собой художественное целое, каждая деталь которого вписывается в целостную систему «толкующего языка» как органического способа воплощения художественной цели писателя.

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი
 წარმოადგენს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ბ. ჯორბენაძემ

შИАЛА МЕНАБДЕ

АКТУАЛЬНОЕ ЧЛЕНЕНИЕ И ОБЫЧНАЯ СТРУКТУРА ПРОСТОГО (ЭРГАТИВНОГО) ПРЕДЛОЖЕНИЯ ЯЗЫКА БАСКОВ

1. К вопросу об актуальном членении баскского простого предложения мы уже обращались в предыдущей публикации¹, где выдвигали как основное то положение, что актуальный предикат в баскском простом предложении всегда стоит перед глаголом-сказуемым (если таким предикатом не является сам глагол-сказуемое): в иных терминах позиция актуализации в баскском — это всегда превербальная антепозиция (причем данная закономерность нарушается только тогда, когда оказывается актуален сам глагол-сказуемое, то есть когда актуальный предикат как бы сдвигается дальше на место обычного предиката/глагола-сказуемого и сливается с последним).

Собственно, эта закономерность вовсе не является неизвестной как всей учебной прагматике, так и всей области традиционных грамматических дескрипций баскского языка. Во всяком случае, в соответствующей **новейшей** литературе указанную закономерность обычно принято отмечать, ср.: «В баскском предложении... самая доминирующая (*privilegié*) : позиция, которой является позиция непосредственно перед глаголом, служит для целей стрессирования (*mise en relief*): *anaiak ezagutu du arreba...* „свою сестру узнал брат...“²; под стрессированием (*mise en relief*) здесь, как видим, явно понимается синтаксическая актуализация.

Ср. далее: «Синтагма (слово или группа слов), которая является ключом ответа, идет в баскском языке сразу перед глаголом. Это правило фундаментально и относится исключительно к утвердительным предложениям: *Nor da hau?* «Кто есть это?» *Hau Antton da* (*Antton da hau*) «Это Антон есть»³. Сразу уточним: как будет видно из ниже следующей цитаты и как это видно уже и из самого данного примера с вопросительным словом *nor* данное правило не распространяется только на **отрицательные** предложения, но вполне относится к вопросительным. «В баскском предложении имеется ключевой элемент, который должен ставиться сразу перед глаголом, так и в вопросе, так и в ответе на него, если этот ответ утвердительный. Ключевым элементом в вопросительном предложении может быть вопросительное местоимение (*nor, zer, zein...*) или какая-либо синтагма (*neska* «девушка», *handia* «большой», *mutil txiki hori* «этот маленький парень»)... Если же ответ отрицательный, то отрицаемый элемент лучше ставить после глагола. В таком случае остальные элементы, как и обычно, могут быть поставлены как перед глаголом, так и после него»⁴. Здесь под «ключевым» явно понимается опять-таки, конечно, актуальный элемент, точнее — актуальный предикат.

Уточнение к этой второй цитате: как видим, согласно последней нормальным является среди отрицательных предложений тип *Neska hori ez da aundia* «Эта девушка не высокая», а не тип *Neska hori aundia ez da*, хотя последний вариант тоже вовсе не исключается и, следовательно, даже для отрицательных предложений указанное правило актуализации в значительной степени остается в силе.

2. Теперь от проблематики актуального членения простого предложения (АЧПП) и вообще АЧ перейдем к проблематике **структуры**

обычного простого предложения языка басков, который (это известно) является эргативным как по оформлению его именных членов, так и по доминирующей структуре его глагола.

Обычное простое трехчленное (всегда эргативное) предложение с субъектом и объектом в языке басков имеет, как известно, структуру SOV при варианте OVS, стилистически специализированном⁵, ср. *apaiak arreba ezagutu* «брат узнал сестру», где объект в отличие от русского переводящего предложения стоит перед глаголом - сказуемым (SOV), но ср. также *arreba ezagutu du apaiak* с тем же значением «брат узнал сестру» при некоторой однако стилистической специфике последнего варианта, где субъект оказывается уже в постпозиции: OVS.

Как бы эти два стилистически разных варианта ни соотносились между собой, в частности, в их диахронии, мы видим, что позиция объекта в любом из них остается неизменной и это — вновь позиция перед глаголом, т. е. та же, что и позиция актуального предиката в АЧПП.

Возникает вопрос: как можно объяснить такое совпадение позиций?

Наиболее простым нам кажется следующее объяснение. В структуре обычного простого предложения как в эргативной, так и в номинативной, рематическим членом, иначе говоря, актуальным предикатом является объект. Так, если мы возьмем неспециализированное простое предложение русского языка с объектом «Коля принес портфель», то здесь актуальным предикатом будет именно объект — «портфель», и можно высказать то предположение, что именно данное обстоятельство и лежало в основе теории Теньера⁶, согласно которой прямое дополнение с его объектностью является доминирующим членом номинативного предложения. Точно так же в обычном (т. е. не специализированном по актуальности) простом предложении эргативной структуры с объектом, актуальным предикатом является именно объект: баск. *Nik makilla da-kar-t* «Я приношу палку», где актуальным предикатом является *makilla* «палка», причем постановка этого члена на какое-либо другое место, кроме предглагольного, невозможна.

Если в баскском языке в силу каких-то обстоятельств общей позицией актуального предиката (независимо от того, объект или не объект он собой представляет) стала, исторически оказалась отработанной позиция перед глаголом, то не является ли естественным, что именно эта позиция принадлежит и объекту в обычном простом предложении эргативной структуры, поскольку объект в нем сам по себе наиболее актуален.

Здесь же, однако, можно спросить: в силу каких именно обстоятельств могла отработаться в баскском языке в качестве актуализирующей именно позиция перед глаголом, а, например, не после глагола? И почему, следовательно, объект как наиболее доминирующая (семантически) часть неспециализированного ПП тоже оказался здесь перед глаголом, а не после него?

На этот вопрос, как нам кажется, ответить неизмеримо труднее: Ю. В. Зыцарь считает, что поиски ответа надо начинать уже не с актуального предиката, а с объекта, точнее, с исторической позиции объекта в неспециализированном ПП, которая по его мнению определила затем или повлияла на выбор позиции для всякого актуального предиката.

Мы лично затрудняемся высказать наше мнение по данному вопросу, однако тоже считаем, что определение исторической позиции в баскском неспециализированном ПП при любых обстоятельствах очень важно и может пролить тот или иной свет на поставленный выше вопрос: почему в баскском актуальна именно превербальная, а не поствербальная позиция?

Что же в таком случае можно сказать об исторической позиции

объекта в баскском ПП? Здесь, как нам кажется, может быть сделана с достаточной, если не с полной уверенностью, следующая категоризация: объект не только в настоящее время стоит в баскском ПП перед глаголом (как в варианте SOV, так и в варианте OVS), но и **всегда исторически занимал** эту позицию.

В самом деле, маркер объекта в любой личной форме баскского глагола стоит перед ее основой: *da-kar-t* «его приношу я», где префикс является показателем объекта; *pa-kar-k* «меня приносишь ты» вновь с префиксом — показателем объекта и т. д., и т. п. Эти личные формы являются, как известно, ПП в миниатюре (микросинтаксис): они отражают, иначе говоря, структуры тех баскских ПП, которые существовали тогда, когда возникали эти личные формы. Перед нами, следовательно, каждый раз не просто ПП в миниатюре, но исторически исходное ПП в миниатюре (исторический микросинтаксис), и поскольку в этих исходных ПП в миниатюре показатель объекта стоит на первом месте, то следовательно и сам объект соответствующих ПП некогда стоял в них на первом месте.

Далее: закономерность превербальной постановки объекта в эргативных языках прослеживается настолько широко, что его можно считать, по-видимому, универсалией (пусть неполной) эргативных языков, включая и такие, как аварский с его классными показателями, где объект стоит также впереди и самого предложения, и личных форм глагола, как это имеет место и в баскском или каком-либо америндейском языке.

В целом ряде своих важнейших работ эту закономерность постановки объекта в эргативном предложении отмечал в свое время академик А. С. Чикобава⁷, который одновременно всегда подчеркивал и историческую первостепенность объекта, его доминирующий характер в эргативном предложении, и с такой его ролью как раз и связывал его превербальную позицию, а также его частое положение в абсолютном начале эргативного предложения.

Последнее действительно особенно показательно, поскольку, например, выдвигание подлежащего или субъекта в абсолютное начало предложения любого типа связано, как известно, со становлением и развитием подлежащего или субъекта как главного актанта, главного именного члена предложения⁸. Не очевидно ли, что и постановка объекта в эту позицию в свое время должна была быть связана с его некогда доминировавшей ролью в предложении.

В настоящее время о препозиции и ведущем характере объекта в кавказских языках, как о чем-то универсальном для этих языков, пишут и современные кавказоведы⁹.

Если теперь мы вновь вернемся к баскскому материалу, к баскскому предложению типа *Nik makilla da-kar-t* «Я палку приношу» (SOV, но в глагольной форме OVS), то согласно уже сказанному (о глагольной форме как ПП в миниатюре) мы должны будем считать структуру этого предложения вторичной и происходящей из структуры OVS, пережиточно сохраняющейся в составе глагольной формы *da-kar-t*.

В свою очередь это означает, что в баскском ПП S, в связи с его превращением в подлежащее и оформлением подлежащего как доминантного члена, тоже в свое время выдвинулся на первое место, а раньше представлял второстепенный член и поэтому стоял на последнем месте (ср. специализированную структуру OVS, существующую до сих пор); до этого же впереди всего предложения стоял объект, как и в глагольной форме, который и был, очевидно, доминирующим членом.

На основании именно структуры баскской глагольной формы бывший доминирующий характер объекта и последующий выход вперед



субъекта постулирует для баскского языка и шведских ученых Нильс Хольмер (личное письмо к Ю. В. Зыцарю). И не менее важно его выход вперед субъекта по мере превращения его в подлежащее, как доминирующий член, устанавливается в современной лингвистике для самых различных многочисленных языков мира¹⁰.

В ряде своих работ по эргативной конструкции к положению о бывшей доминирующей роли объекта и второстепенности субъекта подходит со своей стороны и Ю. В. Зыцарь¹¹, причем он субъекту, когда последний был второстепенным членом, отказывает в самом именовании «субъект» и именует его «адъектом»¹², к чему сейчас приходят и некоторые немецкие ученые.

Из всего изложенного следует, что свое место перед глаголом объект в баскском ПП занял тогда, когда он был еще главным членом этого предложения, причем его доминирующий характер и был причиной занятия этого места. Последнее сохраняется им как нечто унаследованное от исторически исходной структуры OVS. Это место/эта позиция стала исторически позицией актуальности вообще (общей позицией актуального предиката) в силу того, что первоначально она была позицией доминирующего члена в неспециализированном ПП.

Прибегая к приведенным уже примерам, это значит, что тип ПП *anaiak ezagutu du arreba* «сестру признал брат» с актуализованным *S(anaiak «брат»)* за счет превербальной позиции является вторичным, производным по отношению к типу ПП *anaiak arreba ezagutu du* «брат признал сестру» (а тем более по отношению к типу *arreba ezagutu du anaiak id.*) с актуализованным *O (arreba «сестра»)* за счет той же превербальной позиции.

Что же касается такого типа ПП, как *au liburua da liburua da au* «это - книга» (букв. «это книга есть»/«книга есть это»), где *liburua* «книга» актуализовано опять-таки за счет превербальной позиции при глаголе-связке, то в его сложении могла, конечно, сыграть свою роль и такая непереходная структура, как *gizona dabil* «человек идет», но более всего, как вторичный, тип *au liburua da/liburua da au* (с его превербальной позицией актуального предиката) должен быть обязан своим появлением, опять-таки, типу *anaiak arreba ezagutu du/arreba ezagutu du anaiak*.

примечания

¹ Ю. В. Зыцарь, Ц. Г. Менабде, Об актуальном членении баскского простого предложения, Сообщения Академии наук Грузинской ССР, 128, № 3, 1987, с. 645 — 647.

² L. M i c h e l e n a, La langue basque в сб. *Etre basque*, Toulouse, 1983, с. 251.

³ J. A. L e t a m e n d i a, Bakarka, Euskera a distancia I, Gazteiz, 1985, 28.

⁴ Там же, с. 31.

⁵ Этим вопросом (порядка основных актантов в баскском) на фоне всей соответствующей типологической проблематики особенно много и глубоко занимался А. Товар. См. прежде всего А. Т о в а р, Comparación: léxico estadística y tipología, Iker I, Bilbao, 1981, с. 139—165; ег о ж е, Comparaciones tipológicas del euskera.— Euskera, XXII (*977), с. 449—476; ег о ж е, Typologische Perspektiven des Baskischen. In: Sprachkontakte im Nordseegebiet, Tübingen, 1978, с. 67—81; ег о ж е, Vasco y lenguas caucásicas: indicios tipológicos, Euskera, 24, (1979) с. 13—33, груз. перев. ИКЯ, X, Тб., 1983, с. 364. См. также R. de R i j k, Is Basque an SOV language?—FLV, с. 319—352; N. H o l m e r, A historic-comparative analysis of the structure of the

basque language,—FLV, 4 (1970), с. 5—40; T. Wilbur, Ergative and pseudoergative in basque,—FLV, 4 (1970), с. 57—66.

6. L. Tésnière, *Éléments de syntaxe structurale*, Paris, 1959. Ср. также его *Esquisse d'une syntaxe structurale*, P. 1953, *Comment construire une syntaxe*, Bull. de la Fac de Lettres. Strassburg, 7(1937).

7. Ари. Чикобава, Проблема эргативной конструкции в иберийско-кавказских языках, П; Теории сущности эргативной конструкции, Тб., 1961 (груз.).

8. С. Д. Кацнельсон, *Типология языка и речевое мышление*, Л., 1972.

9. Структурные общности кавказских языков, под ред. Г. А. Климова, М., 1978.

10. Цит. С. Д. Кацнельсон, *Типология языка и речевое мышление*, Л., 1972.

11. Ю. В. Зыцарь, К типологической характеристике эргативной структуры языка басков, ВЯ, № 3, 1977, исп. перевод FLV, № 29, (1978); Yu. Vi Zysar Sobre el pasivo del (Verbo) Vasco, Euskera, V, 1978/FLV № 28 (1978); на русском языке в кн.: Ю. В. Зыцарь, *Реконструкции в области баскского языка*, Тбилиси, 1988, часть III; его же, О так называемом пассиве эргативных языков, Известия АН ГССР, Язык и литература, 1977, № 2.

12. Ю. В. Зыцарь в двух последних цит. работах.

Кафедра иностранных языков АН Грузинской ССР

Представил академик АН Грузинской ССР Ш. В. Дзидзигури

ენის მკვლევართა კავშირი

ზოგიერთი უნარების მიმართების შესახებ
 თანამედროვე ინგლისურ ენაში

მიმღობა, ანუ პარტიციპლი, ზმნის ის უპირო ფორმაა, რომელშიც შერწყმულია ზედსართავი სახელისა და ზმნის გარკვეული თვისებები. ინგლისურ ენაში სიტყვა participle ლათინური participium-იდან მომდინარეობს და მონაწილეობის მიღებას ნიშნავს — participle ფრანგ. ←participe←ლათ. participium (pars, partis=a part; capere=to take).

მიმღობის ზმნური თვისებებიდან საგულისხმოა დროისა და გვარის კატეგორიები. მიმღობით წარმოდგენილი დრო არსებითად განსხვავდება ზმნის პირიანი ფორმებით გადმოცემული დროის კატეგორიისაგან. სხვა უპირო ფორმების მსგავსად მიმღობით გადმოცემული დროითი ფორმა რელატიურია, მიმართებითია, ანუ იგი გარკვეულ მიმართებაში იმყოფება პირიანი ზმნით გადმოცემულ დროის კატეგორიასთან — გამოხატავს თანხვედრილობას ან წინარეობას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მიმღობით გადმოცემული დრო გვიჩვენებს, რომ მოქმედება ემთხვევა ან წინ უსწრებს პირიანი ზმნით გადმოცემული მოქმედების დროს. ასე მაგალითად:

He came	}	carrying a heavy burden on his back.
He comes —		
He will come		
Feeling tired	}	I went to bed early.
		I go to bed early.
		I shall go to bed early.

მიმღობის ერთი და იგივე ფორმა მოყვანილ მაგალითებში პირველ შემთხვევაში ნამყოფი, მეორეში — აწყო, მესამეში კი — მომავალი. იგი უშუალოდ და დამოკიდებული პირიანი ზმნით გამოხატულ მოქმედების დროზე და მასთან თანხვედრილობას გადმოგვცემს.

შემდეგ მაგალითებში კი მიმღობა წინარეობაზე მიუთითებს. წინარეობის გადმოსაცემად, ჩვეულებრივ, მიმღობის პერფექტული ფორმა იხმარება: Having finished the painting, he gave a sigh of relief.

ზოგჯერ წინარეობა მიმღობის მარტივი ფორმითაც გადმოიცემა. ასეთ შემთხვევაში ის ფაქტია ხაზგასმული, რომ მიმღობით გადმოცემული მოქმედება ახლოსაა დროის თვალსაზრისით პირიანი ზმნით გამოხატულ მოქმედებასთან. შესაბამისად, მიმღობის პერფექტული ფორმა მიუთითებს, რომ ინტერვალი პირიანი ზმნით გამოხატულ დროსა და მიმღობით გამოხატულ დროს შორის დიდია. შეადარეთ: Reading the instructions, he snatched up the fire extinguisher. Having invited you, I expected you to come.

აღსანიშნავია, რომ ინგლისურის მსგავსად ქართულშიც მიმღობის დრო მიმართებითია. აკ. შანიძის „ქართული ენის გრამატიკის საფუძვლებში“ ვკითხულობთ: „პირიან ფორმათა დროის დაგება ემყარება იმას, თუ როგორია ურთიერთობა ზმნით აღნიშნული მოქმედების დროსა და საუბრის მომენტს შორის იმ თვალსაზრისით, უსწრებს ერთი რომელიმე მათგანი მეორეს, თუ ემთხვევა

ერთი მეორეს; მიმლეობის დროის გაგება კი ემყარება იმას, თუ რა ურთიერთობაა მიმლეობით აღნიშნულ დროსა და წინადადებაში ნახმარი ზმნის დროს შორის იმ მხრივ, თუ რომელი რომელს უსწრებს. მაგალითი: „ვიციღე სკოლაში წლოდ დასაკლავი ინდაური“, — ეს ნიშნავს: ნაყიდი ინდაური ყიდვის დროს ცოცხალი იყო, დაკვლა კი ყიდვის შემდეგ უნდა მომხდარიყო. ამიტომ დრო მომდევნოა. იგივე ვითარება გვექნება, თუ ვიტყვი: „ვიციღლოდ დასაკლავ ინდაურს“, ან კიდევ: „ხვალ ვიყიდი საახალწლოდ დასაკლავ ინდაურს“. რომელი დროული ფორმითაც უნდა ავიღოთ „ყიღვა“ ზმნა, „დასაკლავ“ სიტყვის ფორმა მასთან შედარებით მომდევნო დროის გაგებას მოგვცემს.

ახლა ეს მაგალითი ვნახოთ: „საახალწლოდ ვიყიდე დაკლული ინდაური“ და შევედაროთ მას ორი სხვა წინადადება: „ვიციღლოდ დაკლულ ინდაურს“ და „საახალწლოდ ვიყიდი დაკლულ ინდაურს“. აქ იგივე ფორმებია, რაც ზემოთ ვნახეთ, მაგრამ მიმლეობის ფორმა (დაკლული) აღნიშნავს დროს, რომელიც ყველა ზმნის დროს უსწრებს და ამის გამო უწინარესია.

მაშასადამე, მიმლეობის დრო არა დამოუკიდებელი დროა, როგორც პირიან ფორმებში საზოგადოდ. არამედ მიმართებითი: იგი მიემართება იმ დროს, რომელიც წინადადებაში ნახმარ პირიან ზმნას აქვს“ (1, გვ. 568)

ამგვარად, ნათელია, რომ მიმლეობა ინგლისურსა და ქართულში მსგავს დროით მიმართებას გამოხატავს.

როგორც აღვნიშნეთ, ინგლისურ ენაში მიმლეობა ხასიათდება გვარის კატეგორიითაც. გვარი მიმლეობას ორი აქვს: აქტივი (მოქმედებითი) და პასივი (ენეზითი). ამის მიხედვით ვანარჩევნ -ing და -ed (-en) -იან მიმლეობას. მოქმედებითი გვარის მიმლეობა -ing სუფიქსით ამოიცნობა, ენებითი გვარისა კი — -ed (-en) სუფიქსით. ამ ორი სახის მიმლეობას ჩვეულებრივ ასხვავებენ ხოლმე ტერმინებით: მიმლეობა I და მიმლეობა II, ან აწმყოს მიმლეობა და ნამყოს მიმლეობა, ან კი აქტიური და პასიური მიმლეობა. ჩვენი აზრით, არც ერთი ეს ტერმინი არ გამოდგება მიმლეობის დასახასიათებლად. მაგალითად, თანამედროვე ეტაპზე სრულიად გაურკვეველია, რატომ არის ერთი სახის პარტიციპლი მიმლეობა I, მეორე კი — მიმლეობა II. ასევე, საფუძვლეს მოკლებულია ტერმინი present და past participle, რადგან ორივე სახის მიმლეობა ვადმოგვეყენს როგორც აწმყო, ისე ნამყო და მომავალ მიმართებებს. ტერმინები active და passive participle ვაცილებით უფრო გამოსადეგია, ვიდრე პირველი ორი, რადგან -ing მიმლეობა მნიშვნელობით აქტიურია, ხოლო -ed (-en) მიმლეობა — თითქმის ყოველთვის პასიური. მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც აქტიური მიმლეობას აქვს პასიურის მნიშვნელობა, ხოლო პასიურს — აქტიურის. ასე მაგალითად, გარდაუვალი ზმნების -ed მიმლეობა მნიშვნელობით აქტიურია: a retired teacher, fallen rocks, the vanished treasure, a faded flower, a grown man.

ჩამოთვლილი მიზეზების გამო მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ვიხმაროთ ტერმინები -ing participle და -ed (-en) participle, რადგან ეს ტერმინები ზუსტად ასახავენ პარტიციპლის ფორმას ინგლისურში, ხოლო ფორმის გაცნობის შემდეგ უკვე შეიძლება იმ შინაარსზე მსჯელობა, რომელიც თითოეულ მათგანშია ჩადებული.

როგორც აღვნიშნეთ, -ing-იანი მიმლეობა მნიშვნელობით აქტიურია, -ed-იანი მიმლეობა კი თითქმის ყოველთვის პასიური. პირველი მათგანი გამოხატავს ძირითადად მოქმედებას, ხოლო მეორე — მოქმედების შედეგს. -ing მიმლეობის მნიშვნელობიდან გამომდინარე მას აქვს მხოლოდ მოქმედებითი გვარის (აქტივის) ფორმები; -ed მიმლეობას კი — ენებითი გვარის (პასივის) ფორმები. შესაბამისად, -ing მიმლეობას აქვს 4 ფორმა. simple, continuous, perfect და per-



fect continuous. გარდამავალი ზმნის -ed მიმღობას 3 ფორმა აქვს: simple, continuous და perfect, გარდაუვლი ზმნისას კი მხოლოდ ერთი — simple-ის დევი დიაგრამა ნათლად გვიჩვენებს მიმღობის ფორმებს გარდამავალი და გარდაუვლი ზმნების მაგალითზე:

	-ing მიმღობა	-ed მიმღობა
Tense-aspect	Active	Passive
Simple	examining speaking	examined spoken
Continuous	being examining being speaking	being examined —
Perfect	having examined having spoken	having been examined —
Perfect — continuous	having been examining having been speaking	—

როგორც დიაგრამიდან ჩანს გარდამავალ ზმნას აქვს მიმღობის 7 ფორმა: 4 აქტიური და 3 პასიური, ხოლო გარდაუვალ ზმნას — 5 ფორმა: 4 აქტიური და 1 პასიური. ჩვენ მიგვაჩნია, რომ being examined და having been examined -ing მიმღობის ენებით გვარის ფორმები კი არ არის, არამედ -ed მიმღობის continuous და perfect-ის დროით ასპექტური ფორმებია. მეორე მხრივ, -ing მიმღობას აქვს არა მარტო simple და perfect-ული ფორმები (როგორც ეს ჩვეულებრივ არის მიჩნეული), არამედ continuous და perfect continuous-ის ფორმებიც. მართალია, ეს უკანასკნელი არცთუ ისე ხშირად იხმარებიან, მაგრამ მათი ხმარება არამც და არამც არ შეიძლება ჩაითვალოს ნორმის დარღვევად. შემდეგი წინადადება ამის კარგ ილუსტრაციას წარმოადგენს: Having been working on his paper for more than a month, John decided to give it up.

მიმღობა თავისი ბუნებით ძალზე ახლოს დგას ზედსართავ სახელთან. აა, როგორ განსაზღვრავს მიმღობას აკ. შანიძე: „მიმღობა ჰქვია ზმნის უფლევბელ ფორმას, რომელიც იბრუნვის და წინადადებაში უმეტესად ისეა გამოყენებული, როგორც ზედსართავი“ (1, გვ. 567). მართალია, ინგლისურ მიმღობას ბრუნვის კატეგორია არ გააჩნია, მაგრამ იგი აშკარად ავლენს ინგლისური ზედსართავი სახელის დამახასიათებელ რივ თვისებებს. ზოგჯერ მიმღობის გავლესართავება იქამდე მიდის, რომ ბევრი მათგანი:

ა) შეიძლება განისაზღვროს ისეთი ინტენსიფიკატორებით, როგორიცაა: very, too, greatly, deeply, extremely, quite, rather, genuinely და ა. შ. მაგალითად: very tiring /tired, too alarming/ alarmed, greatly amusing /amused, extremely disgusting/disgusted, quite encouraging/encouraged, rather shocking/shocked, genuinely pleasing/pleased.

ბ) აწარმოებს შედარების ხარისხებს (ანალიზურად): tiring, more tiring, most tiring; complicated, more complicated, most complicated.

გ) ირთავს -ly სუფიქსს ზმნიზედის საწარმოებლად: surprisingly, jokingly, admiringly, decidedly, admittedly და ა. შ. მაგალითად: I got a surprisingly worded letter from my niece yesterday. He is decidedly interested in linguistics.

მიმღეობის ზედსართავი ბუნება განსაკუთრებით კარგად ჩანს მის ტიპურ თად სინტაქსურ ფუნქციაში — განსაზღვროს არსებითი სახელი. ინგლისურ ენაში განსაზღვრების ფუნქციით მიმღეობა გვხვდება როგორც პრემოდიფიკაციაში, ასევე პოსტმოდირფიკაციაში. არის გარკვეული სემანტიკური განსხვავება პრემოდიფიკაციაში და პოსტმოდირფიკაციაში ნახმარ ერთსა და იმავე მიმღეობას შორის. როდესაც მიმღეობა მიუთითებს არსებითი სახელის თვისებაზე, მის ტიპურ დამახასიათებელ ნიშანზე, ის წინარე პოზიციას იკავებს. მომდევნო პოზიციას კი მიმღეობა ხაზს უსვამს მოქმედებას, რომელიც ახასიათებს არსებით სახელს განსაზღვრულ მომენტში, ანუ ის გვიჩვენებს საზღვრული არსებითი სახელის ტემპორალურ, დროებით დამახასიათებელ თვისებას. შეადარეთ: a climbing plant (მცოცავი მცენარე) და a man climbing the tree (კაცი, რომელიც ხეზე მიცოცავს). პირველ შემთხვევაში climbing (მცოცავი) არის ზოგიერთი მცენარის მუდმივი, დამახასიათებელი თვისება. მეორე შემთხვევაში კი ცოცვა ახასიათებს კაცს დროებით, დროის გარკვეულ მონაკვეთში: ჩვენ ვხედავთ მას მოქმედების პროცესში. შესაბამისად, უჩვეულოა ვთქვათ a climbing man (მცოცავი კაცი), რადგან ცოცვა არ არის მისი მუდმივი დამახასიათებელი თვისება. ამ სახის განსხვავება კარგად ჩანს წინადადებათა შემდეგ წყვილებში: I'll never get married—I don't want to spend my life surrounded by dirty washing and screaming children. Did you hear that child screaming? Screaming პირველ მაგალითში ბავშვის მუდმივი დამახასიათებელი თვისებაა, მეორეში კი — ტემპორალური. შევნიშნავთ, რომ a smiling face უფრო ბუნებრივია, ვიდრე a smiling person, რადგან მომღიმარი სახე ადამიანის შინაგან თვისებას წარმოადგენს. პიროვნება კი, ჩვეულებრივ მუდამ მომღიმარი არ არის. ასევე, a wandering minstrel (მოხეტიალე მენესტრელი, მუსიკოსი, პოეტი) ბუნებრივი შესიტყვებაა, რადგან მუსიკოს მენესტრელის, პოეტის ტიპზე მიუთითებს. A wandering man კი ინგლისურისათვის არაბუნებრივია, არ არის სწორი. ამიტომ, შეკითხვა *Who is the wandering man? (*ვინ არის ის მოხეტიალე კაცი?) არ არის სწორი. ეს წინადადება სწორი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მიმღეობას wandering პოსტმოდირფიკაციაში ვიხმართ: Who is the man wandering down the street? (ვინ არის ის კაცი, ქუჩაში რომ დახეტობა?). ანალოგიურად, პიროვნება, რომელიც საინტერესოდ პყვება ამბებს, იქნება a (very) entertaining person, მაგრამ ამას ვერ ვიტყვით პიროვნებაზე, რომელიც ლაპარაკის მომენტში აართობს მეგობრებს საინტერესო ამბების თხრობით.

ანალოგიურ თვისებებს ამჟღავნებს -ed მიმღეობაც. პრემოდიფიკაციაში იგი გამოხატავს მდგომარეობას ან თვისებას, ხოლო პოსტმოდირფიკაციაში ის ხაზს უსვამს მოქმედებას. შეადარეთ: The wounded soldier და The soldier wounded on the battlefield. The broken window და The window broken last night.

ყველა -ed მიმღეობა როდი გვხვდება ორივე პოზიციაში. აქტიური მნიშვნელობის მქონე -ed მიმღეობები იშვიათია ორივე პოზიციაში. მაგრამ, თუ მათ წინ ერთვით ზმნიზღებები, მაშინ ისინი წარმატებით იხმარება პრემოდიფიკაციაში. ასეთი პრეპოზიციული მიმღეობებია:

a well-read woman, a much-travelled man, a soft-spoken person,

a newly-born child, our recently-departed friend და ა. შ.

ბევრი გარდამავალი ზმნის -ed მიმღეობა გვხვდება როგორც პრე-, ისე პოსტმოდირფიკაციაში. მაგალითად: I have his written promise. Here is

ta letter written by Charles I. The knight still grasped his broken sword. The knight stood at bay; his sword broken in the fight was useless. ქართულში
სიტყვების
მნიშვნელობა

მაგრამ ზოგიერთი ვარდამავალი ზმნის -ed მიმღეობა, როგორცაა discussed, questioned, left და ა. შ., გვხვდება მხოლოდ პოსტმოდიფიკაციაში, რადგანაც ისინი გამოხატავენ უფრო მოქმედებას, ვიდრე მდგომარეობას ან თვისებას. მაგალითად: The problems discussed at the meeting excited us. Many of the people questioned refused to answer.

ზოგჯერ ერთი და იგივე -ed მიმღეობას ერთი მნიშვნელობა აქვს პრემოდიფიკაციაში და მეორე — პოსტმოდიფიკაციაში. მაგალითად: The people concerned (the people in question), a concerned expression (a worried expression). The people involved (the people in question), an involved style/explanation (a complicated style/ explanation). The solution adopted (the solution chosen), an adopted child (a child who lives with people who are not his biological parents). Jobs wanted (jobs wanted by individuals), wanted persons (persons wanted by the police).

და ბოლოს, შეეჩერდებით მიმღეობის კიდევ ერთ სინტაქსურ ფუნქციაზე — მიმღეობა როგორც შედგენილი ზმნური შემასმენლის ნაწილი.

როგორც -ing-იანი, ასევე -ed-იანი მიმღეობა შეიძლება დაერთოს კატენატურ ზმნას და შეადგინოს მასთან ერთად შედგენილი ზმნური კატენატური შემასმენელი. სიტყვა catenate ნიშნავს „დაკავშირებას, ჯაჭვურ ბმას“. კატენატური ერთეული — შედგენილი ზმნური კატენატური შემასმენელი შედგება სრულმნიშვნელოვანი — კატენატური ზმნისა და ზმნის უპირო ფორმისაგან. ზმნის უპირო ფორმათაგან ყველა, მეტ-ნაკლები ოდენობით, ერთვის კატენატურ ზმნებს, რომლებიც ქმნიან 15-მდე სემანტიკურ ჯგუფს. მიმღეობიანი მათგან ყველაზე ნაკლებპროდუქტიულია.

კატენატური ზმნები, რომლებსაც დაერთვის -ing მიმღეობა შემდეგია:

1. ზმნები, რომლებიც გარკვეულ პოზიციაში ყოფნას ან ფარკვეული მიმართულებით მოძრაობას გამოხატავენ: sit, stand, lie, hang; come, go. მაგალითად: Frank sat reading the „Independent“. John stood waiting for the bus. The wounded dog lay bleeding on the road. The lamp hung shining from the ceiling. Edith came running towards us. They went hurrying to the station.

2. მენტალური და ფიზიკური აქტივობის გამოხატველი ზმნები ვნებით გვარში: see, observe, spot, hear, feel, find, catch, keep, leave, start, get. მაგალითად: The man was last seen boarding a train in London. The pickpocket was observed taking the man's wallet. They were caught smoking in the playground.

-ed მიმღეობა დაერთვის შემდეგ კატენატურ ზმნებს:

1. sit, stand, lie, hang; come, go. მაგალითად: He stood amazed. Her complaints went unnoticed.

2. find, see, hear, watch, etc. ვნებით გვარში. მაგალითად: The car was found abandoned. The children were seen being beaten. His name was heard mentioned twice.

მიმღეობის დანარჩენი ფუნქციები საკმაოდ კარგად არის დამუშავებული და გამოუკებელი ლინგვისტურ ლიტერატურაში და ჩვენ მათ არ შეეხებოთ.

1. ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1973.
2. Бархударов Л. С., Штелинг Д. А., Грамматика английского языка, М., 1960.
3. Huddleston R., Introduction to the Grammar of English, Cambridge, 1985.
4. Кобринა N. A., Корнеева E. A., Оссо夫ская M. I., Guzeeva K. A., An English Grammar, Morphology, M., 1985.
5. Leech G. N., Meaning and the English Verb, London, 1973.
6. Palmer F. R., A Linguistic Study of the English Verb, London, 1968.
7. Quirk R., Greenbaum S., Leech G., Svartvik J., A Comprehensive Grammar of the English Language, London, New York, 1985.
8. Swan M., Practical English Usage, Oxford, 1981.

Н. Н. МАМАЦАШВИЛИ

НЕКОТОРЫЕ ЗАМЕЧАНИЯ О ПРИЧАСТИИ В СОВРЕМЕННОМ АНГЛИЙСКОМ ЯЗЫКЕ

Резюме

Показано, что английское причастие имеет некоторое сходство с грузинским, в частности, глагольная категория времени в причастии в обоих языках относительна.

Причастие *na-ing* по своему значению активно, тогда как *na-ed* почти всегда пассивно. Следовательно, причастие *na-ing* имеет формы только лишь активного залога, а *na-ed* — пассивного. Исходя из этого, причастие *na-ing* имеет четыре формы, причастие *na-ed* переходных глаголов — три, а причастие *na-ed* непереходных глаголов — одну.

В английском языке, как и в грузинском, причастие выявляет большое сходство с прилагательным. Адъективизация причастия в английском языке порой достигает такой степени, что многие из них приобретают грамматические категории имени существительного.

Изменение позиции причастия, т. е. его употребление в препозиции или постпозиции, влечёт за собой определённые изменения в семантике.

В статье также выделен новый тип составного глагольного сказуемого — составное глагольное катенативное сказуемое.

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინ-
გლისური ფილოლოგიის კათედრა
წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონ-
დენტმა მ. ანდრონიკაშვილმა

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

ჯემალ ჯინჯიხაძე

ბასკური კალენდარი და მისი ტერმინოლოგია (შედგები და პერსპექტივა. ქართველი ბასკოლოგის გამოკვლევის გამო)

წინამდებარე სტატიის ავტორი მისი კერძო ფილოლოგიური სპეციალობით, ანუ, როგორც ამჟამად ამბობენ, მიკროსპეციალობით, არ არის კალენდარისტი, მაგრამ თავის წინანდელ გამოკვლევებში თვლის წარმოშობისა და განვითარების ადრეულ ეტაპზე! საკმაოდ ხშირად და ზოგჯერ ფართოდაც ეხებოდა კალენდრის ზოგადი ტიპოლოგიის საკითხებს, კერძოდ, წლის წარმოშობისა და დღე-ღამის დაყოფის შესახებ. უცანასკნელ ხანს კალენდრის სფეროში სპეციალურ მუშაობას ეწევა ქართველი მეცნიერი მედეა ლლონტი. იგი შეისწავლის ბასკურ კალენდარს, მის ტერმინოლოგიას, ტერმინოლოგიურ მიკროსისტემათა ისტორიული ფორმირების ეტაპებსა და მასთან დაკავშირებულ სხვა ლინგვისტურსა თუ ექსტრალინგვისტურ მასალას. მედეა ლლონტი ერთ-ერთი პირველი ქართველი ბასკოლოგია, რომელმაც თავისი საკვალი დატოვა ნაშრომში ბასკოლოგიურ თემატიკას მიუძღვნა. ნოშანდობლივია ისიც, რომ კვლევის ობიექტი მის მიერ ტიპოლოგიური ასპექტით განიხილება და, აქედან გამომდინარე, მსოფლიოს მრავალი ენიდან იგი შესაბამის ტიპოლოგიურ მასალას მოუძებნოს.

საინტერესო ნაშრომის — „ტიპოლოგიური გამოკვლევაში ბასკური ენის კალენდარული ლექსიკის სფეროდან (კვირის ტერმინოლოგია)“ (1984) — დასრულებისათვის მ. ლლონტს ამ თემაზე უკვე გამოქვეყნებული ჰქონდა რამდენიმე ნაშრომი¹. დისერტაციის დაცვის შემდეგ იგი მონაწილეობას იღებს თბილისის ბასკოლოგთა გჯუფის (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიასთან არსებული ბასკური ენისა და კულტურის საზოგადოება, თავმჯდომარე აკად. შ. ძიძიგური) საგამომცემლო საქმიანობაში². ამ სფეროში კვლევის ზოგიერთი შედეგი ასახულია სპეციალურ საზღვარგარეთულ პუბლიკაციაში³.

დაბოლოს, ყოველივე ეს დავირგვინდა მონოგრაფიის გამოცემით: „ბასკური კალენდრის ტიპოლოგიისათვის (კვირის სახელდება, ტერმინოლოგიური სისტემები და მათი ფორმირება“ (რუსულ ენაზე), თბილისი, „მეცნიერება“, 1988, ტირაჟი 1300, 7 საავტ.-თბ.), აღნიშნულ მონოგრაფიულ გამოკვლევას საბჭოთა ბასკოლოგიის დარგში წინ უსწრებს აკად. შ. ძიძიგურის წიგნი „ბასკები და ქართველები“, თბ., 1982, და ი. ზიცარის წიგნი „რეკონსტრუქციები ბას-

¹ ჯ. ჯინჯიხაძე, თვლის ექვსობითი სისტემის შესახებ მსოფლიოს ენათა წარსულსა და დღევანდლობაში, საკანდიდატო დისერტაციის ავტორფერატი, თბ., 1988; ჯ. ჯინჯიხაძე, ი. ზიცარი, წელი და წრე, საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე, 1987, 128, № 3; ჯ. ჯინჯიხაძე, შემერთა თვლის სამოცობითი სისტემის წარმოშობის პრობლემისათვის, საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1986, № 2 (ყველა სტატია რუსულ ენაზე).

² იხ. მ. ლლონტი, კვირის დღეთა სახელები ბასკურ ენაში, საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1982, № 2, გვ. 124-131; კვირის დღეთა ბისკაური სახელები (რუსულ ენაზე), მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1983, № 2, გვ. 108-117; პლანეტარული კვირა და მისი ლათინური მოდელი (რუსულ ენაზე), მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 1983, № 2, გვ. 110-119; ხუთშაბათის აღმნიშვნელ ბასკურ სახელწოდებათა შესახებ (ესპანურ ენაზე), ეთნოგრაფია, XXIX (1984, 2), 29, ბილბაო, გვ. 743-747.

³ იხ. ნ. მარი, ბასკურ-კავკასიური ლექსიკური პარალელები (რუსულ ენაზე), თბ., 1987. დასასრულს უახლოვდება მუშაობა მსოფლიოში ცნობილი ინდოევროპეისტიკა და ბასკოლოგიის, აწ განსვენებული ლ. მიჩელენის რჩეული ბასკოლოგიური შრომების კრებულზე.

⁴ იხ. მ. ლლონტი, ბისკაური კვირის სახელდება (გერმანულ ენაზე), ევროპისა და აზიის ენები, ფრ. შილერის სახ. უნივერსიტეტის შრომები (იენა), 1985, გვ. 35-50; კვირის რამდენიმე უძველესი სისტემის ფორმირების შესახებ (მე-ეპრ. შაბათ, ბასკ. ასტე), (ესპანურ ენაზე), ფონტეს ლინგუე ვასკონემ, 1988, 51, გვ. 19-32.



კური ენის სფეროში“ (რუსულ ენაზე, თბ., 1988. უნდა შევნიშნოთ, რომ თსუ პროფესორი ი. ზიცარი მედია ლოზონის სამეცნიერო ხელმძღვანელობა.

ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ბასკური კალენდარი არათუ ჩვენს ქვეყანაში, არამედ მედ საერთოდ მსოფლიოში სპეციალური მონოგრაფიული კვლევის საგანად დღემდე არ ქცეულა. ამ მხრივ გამოხატვის შეადგენს ესპანური და ბასკური ეთნოგრაფიის ცნობილი მკვლევარს ბ. კარო ბაროხას წიგნი „ბასკთა უძველესი რელიგიისა და კალენდრის შესახებ“ (ესპანურ ენაზე, II გამ., სან სებასტიანი, 1980), რომელშიც ავტორი ბასკური კალენდრის პრობლემატიკის ძირეულ საკითხებს კომპლექსურად შეისწავლის ბასკურ ეთნოგრაფიისთან, ფოლკლორსა და მითოლოგიასთან ერთად. დღემდე ბასკმა მეცნიერმა ამ წიგნით დავაინახა, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია მოცემულ თემატიკაზე მუშაობა რელიგიური აზროვნებისა და კულტის, საზოგადოდ დასავლეთ ევროპის ეთნიკური ისტორიის საიდუმლოებათა სიღრმეებში შეღწევის თვალსაზრისით. შეიძლება ითქვას, რომ მედია ლონტი თავის მონოგრაფიაში არსებითად განავრცობს და ავითარებს ბ. კარო ბაროხას ძირითად მეცნიერულ ხაზს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბასკური ენისა და ლინგვისტიკური ტიპოლოგიის ამ დარგში (კალენდარში) მიმუშავებთა თვალში საცემი მცირე რაოდენობა, ისევე როგორც ამ პრობლემატიკისადმი მიძღვნილ სპეციალურ გამოკვლევათა სიმცირე, ვერ ახსნება მოცემული დარგის მეორეხარისხოვნობით ან მისი შორეული პერსპექტივით: აქ ვადაშუქვით: და განსაზღვრულ როლს მივაკუთვნებდით თავად ბასკური ენის ფენომენს, კალენდარული ტიპოლოგიის თავისებურებებსა და სირთულეს, რაც მისი შესწავლის კომპლექსურ ხასიათთან კავშირშიაც განიხილება (ივლისსხეუბა კალენდრის სფეროში ორგანულად შემაჯავრებელი დარგები: ასტრონომია, ასტროლოგია, ისტორია, ფოლკლორი, ეთნოგრაფია, არქეოლოგია, რელიგიის ისტორია, ნაწილობრივ გეოგრაფია, რომ არაფერი ვთქვათ ამ მასალისადმი ლინგვისტიკურ კრილიზ მიდგომაზე).

ბ. კარო ბაროხას წვლილის უდიდესი მნიშვნელობის მიუხედავად, დღემდე ბასკური კალენდრის ლექსიკის, კერძოდ, კვირის ტერმინოლოგიის, კვლევისას ჟერ კდევ არ იყო დამკვეთი ძველი, ახლა უკვე შეიძლება ითქვას, დრომოქმული წარმოდგენები ბასკური კვირის, მისი ფორმირების სათავეების, მთავრის ცვლისა და დღეთა სახელდების ღრმად დაკავშირების შესახებ. ეს კი განსაკუთრებით ანელებდა ეტიმოლოგიურ თუ სხვა ხასიათის კვლევას — თითქმის ორი ასეული წლის განმავლობაში საკითხის შესწავლა ერთსა და იმავე გზას ტყენიდა და ბევრი საყვანძო მოშენტი კვლავ გადუქრული რჩებოდა. (სხვათა შორის, მხოლოდ ბასკური კვირის ტერმინოლოგია ფარგლებში, რომ არაფერი ვთქვათ თვეთა სახელდებზე, ლექსიკურ სახელგანთავსება რაოდენობა არ ასეულამდე აღწევს. იხ. მ. ლონტი, კვირის დღეთა სახელები ბასკურ ენაში. ასე რომ, ყოველგვარი ეტიმოლოგიური ძიება აქ, როგორც ჩანს, სრულიადაც არ ირის ადვილი).

გარდა ამისა, ბასკურ ლინგვისტიკაში, იმავე კალენდარულ სფეროში, არ იყო მკვეთრად განსაზღვრული ეტიმოლოგიური ძიების ძირითადი და ყველაზე უფრო პერსპექტიული მიმართულებანი. დაბოლოს, მესამე, მთავი პრობლემატიკის შესწავლისას ჩვეულებრივ არ იკავებდა სათანადო ადგილს თუნდაც ხმელთაშუაზღვისპირეთის რეგიონის ენათა საქმოდ ვრცელი მასალა, და საერთოდ უგულვებელყოფილი იყო ამერიკისა და აფრიკის კონტინენტების, ან სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის შესაბამისი ლინგვისტიკური თუ სხვ. მასალა.

ჭარბოვან ბასკოლოგი სწორედ ამ სამი კაპიტალური პუნქტის მიზეზით რადიკალურად ცვლის აღნიშნული პრობლემატიკის კვლევის გზას. თავისი მასწავლებლის კვალდაკვალ იგი, ჟერ ერთი, კრიტიკულად ანალიზებს ბასკური კვირის წარმოშობის შესახებ ე. წ. ლუნარული თეორიის გადმონათმობებს და საბოლოოდ უკუაგდებს მას (იხ. მონოგრაფიის თავი I, პარაგრაფი I); მეორე, განსაზღვრავს კვლევის მთავარ და პერსპექტიულ მიმართულებას — სახელდობრ, ბასკთა საკუთარი, უძველესი სამღლიანი კვირის შეიღლიანად ტრანსფორმაციის გზას იმის აუცილებელი გათვალისწინებით, რომ კვირის სისტემის გარდაქმნა-რომშიანი სიწყაროს მნიშვნელოვანი გავლენის ქვეშ ზორციელდებოდა. ამის საფუძველზე იქმნება კონკრეტული ბასკური კვირის ტრანსფორმაციის შესახებ, რაც ავტორის მიერ სათანადოდ არაგუმენტირებელი არა მხოლოდ ცალკეული, არამედ ასევე სისტემური ხასიათის ეტიმოლოგიებითა და დიდიძალი ექსტრალინგვისტიკური მასალის მოხმობით სლავური, გერმანული, კელტური, ალბანური, ფინური, ბალტიისპირული, ძველბერძნული, ქართული, სომხური, აზერბაიჯანული, სპარსული, თურქული და სხვ. ენებიდან, რომელთა შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს შესაბამისი ძველებრებული მასალა და მისი (ანუ ძველებრებული კვირის ტერმინოლოგიის) ისტორიულ-ლინგვისტიკური ანალიზი (იხ. თავი II, პარაგრაფი I). ამ დიდიძალი მასალის სათანადო და-

⁵ მ. ლონტიმა 1988 წელს ესპანეთში გამოქვეყნებული ნაშრომი თავის მასწავლებელს მიუძღვნა.

⁶ იხ. ი. ზიცარი, რეკონსტრუქციები ბასკური კალენდრის სფეროში, „საქართველოს“ სსრ მეცნ. აკადემიის მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, 1984, № 2, (რუსულ ენაზე).



მუშაების შემდეგ ავტორი პოულობს ხმელთაშუაზღვისპირეთის აღმოსავლეთ ნაწილის კვირის/მრავალი პარადიგმის პირველწყაროს, რომლის მიხედვითაც სპეციალურად შესწავლულა მისი/გორც ბასკური, ასევე სხვა კვირათა ციკლების ისტორიული ფორმირება და ტერმინოლოგია.

არ იქნება გადამარბებული იმის თქმა, რომ აღნიშნული ტრანსფორმაციული თეორია შე-საძლებელი ხდის, დაისახოს ახალი ეტაპი ბასკური კვირისა და მისი ტერმინოლოგიის კვლევის სფეროში. ჩვენ აქ დაწვრილებით ვერ შევხებით მეცნიერის მიერ შემოთავაზებულ და მრავალ-მხრივი არგუმენტაციით დასაბუთებულ ეტიმოლოგიებს, რომლებიც ავტორმა სწორედ ტრანს-ფორმაციული თეორიის ფარგლებში დამუშავა; მათ შორისაა სხვადასხვა ბასკოლოგთა ის ეტი-მოლოგიებიც, რომლებიც სათანადო, საკმაოდ დამაჯერებელი კრიტიკის შემდეგ საბოლოოდ არის უკუგდებული.

ცალკე უნდა აღინიშნოს კვლევისადმი ავტორის ინდივიდუალური მეთოდური მიდგომის ღირსებათა შესახებ. კვირის ტერმინოლოგია თავისთავად წარმოადგენს პარადიგმას, რომლის შიგნითაც ტერმინები მჭიდროდ უკავშირდებიან ერთმანეთს და ამ დროს ფაქტობრივად გამო-ირჩევა ტერმინთა „თავისუფალი გადაადგილება“ (ეს დებულება კვირის პირველწყაროს შეე-ხება, რადგანაც, მაგალითად, ბასკურ კვირაში, როგორც კალენდრულ ტერმინოლოგიურ სის-ტემაში, გამოიყენებიან ამ მხრივ უხედავ მოიპოვება). კვირის სისტემის ამგვარი სტრუქტურა ეტიმოლოგს არ შეიძლება, არ ეხმარებოდეს უფრო მეტად, ვიდრე იმგვარ ტერმინთა სტრუქ-ტურა, სადაც პარადიგმული, ანუ სისტემური, ხასიათი არა გვაქვს. ახალგაზრდა ქართველ ბას-კოლოგს ყოველივე ეს კარგად ესმის და კვლევისას აღნიშნულ დებულებას ხშირად წარმატე-ბით ატარებს. მაგალითად, ავტორი ერთი ტერმინის მიხედვით მიკროსისტემის ერთი შეხედ-ვით დაუჯერებელ რეკონსტრუქციას წარმოგიდგენს; მაგრამ თუკი ფეხდაფეხ მივყვებით ახალ-გაზრდა მეცნიერის მიერ ჩატარებულ კვლევას, დავრწმუნდებით, თუ რაოდენ დიდი შესაძლებ-ლობები უჩნდება ეტიმოლოგისტს, როდესაც საქმე აქვს სისტემურ რეკონსტრუქციასთან, სადაც მასალის დიალექტური და მორფო-ფონეტიკური ანალიზი, თავის მხრივ, უფრო მეტად ამაჯარებს საერთაშორისო რეკონსტრუქციას: ბასკური კვირის ორ დიალექტურ პარადიგმათაგან აღმოსავლურში მოიპოვება ე. წ. სამეული — ასტე-ლენ „ორშაბათი“, სიტყვისიტყვით „ასტე-პირველი“, ასტე-არტე „სამშაბათი“, სიტყვისიტყვით „ასტე-შუა, სამულო“ და ასტე-ასენ „ოთხშაბათი“, სიტყვისიტყვით „ასტე-ბოლო, უკანასკნელი“. ამის პარალელურად ბისკაიურ (დასავლურ) პარადიგმაში არის მსოლედ ერთი ეგუ-ასტენ „ოთხშაბათი“, სიტყვისიტყვით „ეგუ-უკანასკნელი“ (ორშაბათისა და სამშაბათის აღმნიშვნელი ტერმინები კალენბა ლათინუ-რიდან), და იგი — ეგუ-ასტენ — ანალოგიურია აღმ.-ბასკ. ასტე-ასენისა. ერთი მხრივ, აღმო-სავლურ-ბასკური მიკროსისტემის (სამეულის) არსებობა და, მეორე მხრივ, 3- და 4-დღიანი კვირის არსებობა მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში (იხ. მასალა II თავის I პარაგრაფში) ავ-ტორის საშუალებას აძლევს, აღადგინოს ბისკაიური (დასავლური) მიკროსისტემა ასევე სამეულ-ლის სახით, სადაც I და II წევრები შესაბამისად იქნება: *ეგუ-ლენ *ეგუ პირველი“ და *ეგუ-არტე *ეგუ-სამულო“. ორივე დიალექტურ მიკროსისტემაში შემავალ კომპოზიტთა პირ-ველი წევრები (ასტე- და ეგუ-) სინონიმურნი უნდა ყოფილიყვნენ თავიანთი პირველადი სე-მანტიკური მნიშვნელობით, მეორე წევრები კი ერთმანეთს ემთხვევიან როგორც სემანტიკე-რად, ასევე ფონეტიკურად (იხ. თავი II, პარაგრაფი II).

ჩატარებულ ეტიმოლოგიურ კვლევაში ახალგაზრდა მეცნიერი ეყრდნობა ლ. მიჩენლენას ნაშრომებს შესაბამის დარგში. იგი იზიარებს ხ. გოროსტიავას ზოგიერთ ეტიმოლოგიას, ზოგი-ერთს კი თავად აეთიარებს. ავტორი ითვალისწინებს ბასკოლოგ-კალენდარისტების მისთვის ხელმისაწვდომ ყველა ძირითად შრომას, დაწყებული XIX საუკუნიდან.

მონოგრაფია შეიცავს მეტად მნიშვნელოვან დანართებს: ბასკური ენის დიალექტური რუკა, ბასკური კვირის ლექსიკა დიალექტების მიხედვით, ხმელთაშუაზღვისპირეთის რეგიონის კვირის ტერმინოლოგია; თითოეულ დანართს ახლავს კომენტარი.

მედვა ლონტის გამოკვლევის ყურადსაღებ ნაწილს შეადგენს ბასკთა გაქრისტიანების ქრო-ნოლოგიასთან დაკავშირებული საკითხები. ტრანსფორმაციული თეორიაზე დაყრდნობით, მთელი ბასკური მასალის ლინგვისტურ ანალიზთან ერთად, ავტორის მიერ მიღებულია დასკვნები, რაც ბასკურ ისტორიულ მეცნიერებმა უკანასკნელ ხანს წარმოშობილი ბასკთა ადრეული ნა-წილობრივი გაქრისტიანების თეორიას უმაჯარებს მხარს, კერძოდ: ბისკაიის, ბასკეთის დასავ-ლეთი ნაწილის გაქრისტიანება ქრონოლოგიურად თავსდება V—VI სს-მდე, აღმოსავლეთ ბასკე-თისა კი — X—XI სს-თავისაა საერთაშორისო (იხ. თავი III, პარაგრაფები 1 და 6; თავი II, პარა-გრაფები 3 და 4). ავტორი იცნობს შესაბამის ლიტერატურას, თუმცა მის ზეტო ვერ მოხდა ბოლო წლებში ესპანეთსა და ბასკეთში გამოსული დიდძალი სპეციალური ლიტერატურა. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ამ უახლესი ისტორიული ლიტერატურის გამოყენება ძალზე და-ეხმარებოდა ახალგაზრდა მეცნიერს, საკუთარი თვალსაზრისის დასაცავად უფრო უხვი არგუ-მენტირება წარმოედგინა. ვიმედოვნებთ, ეს ხარვეზი მომავალში გამოიწორდება. უნდა აღინიშ-ნოს, რომ ბასკოლოგიური ლიტერატურა ჩვენში მეტად მწირად მოიპოვება.

კ ო რ ნ ე ლ ი დ ა ნ ე ლ ა

ს ა ლ ი ნ ა შ რ ო მ ი ტ ი მ ს ტ ი ს ლ ი ნ ვ ა მ ი ს ტ ი კ ი ს პ რ ო გ ლ ი მ ი მ ბ ე

გამომცემლობა „განათლება“ 1989 წ. გამოსცა ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის, დოცენტ ვლადიმერ სერგაის მონოგრაფია „ტექსტის ლინგვისტიკა (ახალი ქართული მხატვრული სალიტერატურო ენის მონაცემთა მიხედვით)“. მასში ტექსტის ლინგვისტიკის თითქმის ყველა არსებით ზოგად-თეორიულ საკითხზეა მსჯელობა, იქნება ეს ტექსტის ცნება, პარამეტრები, სტრუქტურა, კატეგორიები, ფუნქციონალური ტიპები თუ მეტატექსტის ცნება (სტრუქტურა, მის კომპონენტთა დაკავშირების საშუალებანი) და სხვ. ნაშრომი ერთგვარად შემაჯამებელი ხასიათისა და, ამდენად, ისიც ვასაგებია, რომ საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს მიერ ეს წიგნი დამტკიცებულია დამხმარე სახელმძღვანელოდ უმაღლესი სასწავლებლების ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის.

ცხადია, ზოგად-თეორიულ ასპექტში ტექსტის ლინგვისტიკის პრობლემური საკითხების განხილვა ერთობ რთულია, რადგან, ჯერ ერთი, სპეციალური ლიტერატურის ამომწურავად მოხელთება და გამოყენება თითქმის შეუძლებელია, და, მეორეც, ხშირად ერთმანეთს საპირისპირო შეხედულებათა შემცველ უხარმარს ლიტერატურაში, სადაც თითო ტექსტის განსაზღვრაშიც ქაოსია, სწორი ორიენტაციის დაკერა და ორიგინალური ინტერპრეტაციის წარმოდგენა სრულებით არ არის იოლი.

მიუხედავად არსებობის არცთუ დიდი დროისა (40-ოდე წელს ითვლის), ტექსტის ლინგვისტიკა თანდათან მტკიცედ იკედებს ფეხს ლინგვისტურ დისციპლინებს შორის და ეს უბანი ქართულ ენათმეცნიერებასაც არ ურჩება უყურადღებოდ. მკვლევარს, ცხადია, შრომის შექმნაში ხელს უწყობდა არა მარტო უცხო, არამედ უახლოეს ხანს შექმნილი ქართველ ენათმეცნიერთა შრომებიც, კერძოდ, მ. გვენცაძის, დ. გოციჩიძის, თ. მეზუკის, დ. დლაქიშვილის, რ. ენუქიძის, შ. შენგელაიას, გ. კვარაცხელიას მონოგრაფიული გამოკვლევები, რომლებშიც განხილულია ტექსტის ზოგადი თეორიისა და კონკრეტული ენის ლინგვისტიკის ისეთი პრობლემური საკითხები, როგორიცაა: ტექსტის სტრუქტურა და კლასიფიკაცია, აზნაის სტრუქტურა, ფრაზული ტექსტის ტიპოლოგიური ინტერპრეტაციის პრინციპები, სხვადასხვა ტიპის ტექსტების სემანტიკური და სტილური სისტემები და სხვ.

მკვლევარმა სცადა კრიტიკულად მიმოიხილა და შეეფასებინა საკვლევი ობიექტის შესახებ არსებული მეტად მრავალრიცხოვანი სამეცნიერო ლიტერატურა, გარკვეულიყო მათს ავ-კარგში და აქამდე ჩატარებულ კვლევის ყველაზე პოზიტიურ, რაციონალურ შედეგებზე დაყრდნობით ქართული ლიტერატურული მონოლოგიური ტექსტის ანალიზით შექმნილი ქართულ და კონკრეტული ენის ტექსტთა, ასე ვთქვათ, სინთეზური, მაგრამ ერთგვარად სისტემური კურსი. ეს განსაკუთრებით საგრძნობია ტექსტისა და მეტატექსტის რანგების, პარამეტრების, მათი განმსაზღვრელი კატეგორიების დადგენისას, და, ვფიქრობთ, ეს ნაშრომის ერთ-ერთი მთავარი ღირსებათაგანია. მეცნიერულ სიახლედ შეიძლება ჩაითვალოს ტექსტისა და მეტატექსტის ზედა და ქვედა ზღვრების და სტრუქტურათა დადგენის ცდაც.

გ. სერგაის ნაშრომი 6 თავისა და 40-მდე ქვეთავ-პარაგრაფისაგან შედგება, თითოეულ თავს ახლავს თავ-თავისი დასკვნები, რაც აადვილებს კვლევის პოზიტიური შედეგების აღქმას. ჩვენ არ შევუდგებით შრომის სტრუქტურისა და შინაარსის თუნდაც მოკლე გადმოცემას, დადასტვლებით მხოლოდ მნიშვნელოვან ადგილებს და თავების სახელწოდებებს, საიდანაც კარგად ჩანს, თუ საკითხთა რა ფართო წრეა ნაშრომში განხილული: 1. ტექსტის ლინგვისტიკის ზოგადი საკითხები, 2. მეტატექსტი, 3. ტექსტის პარამეტრები, 4. ტექსტის სტრუქტურა, 5. ტექსტის კატეგორიები, 6. ტექსტის ძირითადი ფუნქციონალური ტიპები.

ტექსტის კვლევის ისტორიასთან დაკავშირებით მკვლევარი გვაწვდის საინტერესო ცნობებს ქართული გრამატიკული აზრის ისტორიისათვის, ვთქვათ: ლათინური წარმოშობის სიტყვა ტექსტი ქართულ სამწიგნობრო ენაში პირველად ფიქსირებულ იქნა 1904 წელს (ი. იმედაშვილის „უცხო სიტყვათა ლექსიკონში“), ხოლო მისი ლინგვისტიკური მნიშვნელობა ქართულში პირველად ფიქსირებული იქნა 1985 წელს (ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 9) (გვ. 38).

მკვლევარი საგანგებოდ განიხილავს ტექსტის ცნებაზე არსებულ აჟარტებელ მოსაზრებებს (ტექსტი როგორც ენის არსებობის უპირველესი ფორმა, საკომუნიკაციო ერთეული, მეტყველების აქტი, გამონათქვამი, ერთი წინადადება, წინადადებათა ჯგუფი ან თანმიმდევრობა, კომპონენტების იერარქია და სხვ.), უარყოფს მასში ლიტმოდუნეობითი შინაარსის საჭიროებას და

გვთავაზობს მის ერთელ ლინგვისტურ განსაზღვრას: „ტექსტი არის უმაღლესი დონის ენის რიცხვ-სამეტყველო ერთეული, რომელსაც აქვს საკუთარი თემა, გრაფიკული სახე, სტრუქტურული და სემანტიკური მთლიანობა, აზრობრივი დამთავრებულობა და საკომუნიკაციო მიზანმიმართულობა“ (გვ. 51).

საყურადღებოა მკვლევრის დაკვირვება ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში გამოთქმულ აზრზე, წინადადებაზე დიდი ერთეულის ოდენობაზე, კერძოდ, პერიოდზე, როგორც წინადადებათა გარკვეულ კავშირსა (ანტირა 1) თუ რთულ ან ზერითულ წინადადებაზე (გაიოზ რექტორი, ს. ლოდაშვილი, ს. ხუნდაძე...), ან ამ შინაარსის სხვა ტერმინებზე, როგორცაა: საუბარი/სიტყვა (თ. კობლანია), სათქმელი (ი. სიხარულიძე), წყობილი სიტყვაობა (მ. კვიციანი) (გვ. 107—119).

ამ შრომის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი დათმობილი აქვს მეტა-ტექსტის პრობლემას, მისი ცნების, სტრუქტურის, კომპონენტთა დაკავშირების საშუალებათა დადგენას. მკვლევრის მტკიცებით, მეტა-ტექსტი შუალედური ერთეულია წინადადებასა და ტექსტს შორის, რომელსაც აქვს აზრობრივი და სტრუქტურული მთლიანობა. მისი კომპონენტთა ორგანიზაცია ხორციელდება კავშირებით, ანაფორული ნაცვალსახელებითა და ზმინზედებით, ლექსიკური გამოხატვებით, სინონიმური ჩანაცვლებითა და სხვ. (გვ. 178).

სარეცენზო ნაშრომში საფუძვლიანი მსჯელობაა ტექსტის პარამეტრების დასადგენად. ასეთებად მიჩნეულია: თემა, ტექსტის სტრუქტურული და სემანტიკური მთლიანობა, მისი საკომუნიკაციო დანიშნულება, ხოლო ტექსტის კატეგორიებად გამოყოფილია გაბმულობა, თანმიმდევრობა და მოდალობა. დასასრულ დახასიათებულია ტექსტის ფუნქციონალური ტიპები: აღწერითი, თხრობითი, მსჯელობითი და კონტამინირებული.

ასეთია სქემატურად ნაშრომში განხილული საკითხების ფართო წრე. ალბათ, არ შეეცდებით, თუ ვ. სერგვის სოლიდური ნაშრომის მთავარ ღირსებად მივიჩნევთ ტექსტის ლინგვისტიკასთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე მკვეთრად გამოხატულ ავტორისეულ ფორმული რებებს. შთელ შრომაში აშკარად იგრძნობა უარყოფით და მტკიცებით ტონთა კანონზომიერების მონაცვლეობა, იგრძნობა დიდი სურვილი, რომ ახალი საბუთიანობა შეემატოს როგორც სადაო შეხედულებების უარყოფას, ასევე მისაღები შეხედულებების დამაყრებლობას. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ტექსტის ლინგვისტიკის თეორიულ საკითხებზე მსჯელობისას მოხმობილია მარკვედ შერჩეული ქართული მხატვრული ტექსტის ნიმუშები და, ამდენად, მომავალში ქართული ენის ტექსტის ლინგვისტიკის ცალკეულ საკითხთა მონოგრაფიულად ცვლევის პერსპექტივააა გამჟღავნებული, ის შეიძლება ჩაითვალოს საყურადღებო ფაქტად ენათმეცნიერების ამ ახალ უბანში.

ამასთანავე ნაშრომში ზოგი რამ სადაფთა და ზოგიც მიუღებელი და ეს ბუნებრივია. ვ. სერგვის შრომაში, რომელიც ენათმეცნიერების ისეთ ახალ დისციპლინას ეხება, რომელიც საბოლოოდ ჯერაც არ ჩამოყალიბებულა, არ შეიძლება არა თუ რაიმე, არამედ ბევრც კი საკამათო არ იყოს. აღნიშნავთ რამდენიმეს:

1. უპირველესად შენიშვნას იწვევს გამოკვლევის სათაურსა და თვით ნაშრომის შინაარსს შორის არსებული შეფარდება — „ტექსტის ლინგვისტიკა“. თემის ამ ზოგადი სათაურის დასაზუსტებლად ფრჩხილებში ჩასმულია „ახალი ქართული მხატვრული სალიტერატურო ენის მონაცემთა მიხედვით“. სათაურით მიინშნებულა, რომ ნაშრომში განხილულია ტექსტის ლინგვისტიკის — ენათმეცნიერების ამ ახალი დარგის ყველა არსებითი საკითხი ზოგადთეორიული თვალსაზრისით, ხოლო ფრჩხილებში ჩასმული დამაზუსტებელი ცნობით ისაა მითითებული, რომ საანალიზო, სალიტერატურო მასალად მოხმობილია ახალი ქართული მხატვრული სალიტერატურო ენის ძეგლები. თუ ვიკითხავთ, სადისერტაციო ნაშრომის რომელი მხარეა არსებითი, უფუყანოდ შეიძლება ითქვას: — ტექსტის ლინგვისტიკის ზოგად-თეორიული საკითხების განხილვა. ამას სათაურთან ერთად თვით ნაშრომის სტრუქტურა და შინაარსი ცხადყოფს. რადგან ეს ასეა, კითხვა ჩნდება: შეაქვს კი რაიმე არსებითი ევოლუცია ქართულ მასალებს ტექსტის ლინგვისტიკის ზოგად-თეორიული საკითხების შესწავლაში? თუ პასუხი დადებითი იქნება, მაშინ წიგნის სათაური აჭოებდა ასე ყოფილიყო: „ქართული მხატვრული ლიტერატურულ ძეგლთა ტექსტის ლინგვისტიკის საკითხები“. ავტორი ნაშრომის წინასიტყვაობაში წერს კიდევ: „ჩვენი ნაშრომი ეძღვნება ქართული ენის ტექსტის ლინგვისტიკას“ (გვ. 3). ამასვე იმეორებს მკვლევარი, როცა გადმოსცემს კოსეროუს აზრს ტექსტის ლინგვისტიკის სამი სახის (ზოგადის, კონკრეტულის, ტიპოლოგიურის) არსებობაზე და თავის ნაშრომს მიაყოტუნებს კონკრეტული ენის (ქართულის) ტექსტის ლინგვისტიკას (გვ. 30), მაგრამ აქვე ნათქვამია, რომ რადგან ნაშრომი წარმოადგენს ტექსტის ლინგვისტიკის საკითხთა სისტემატური გადმოცემის პირველ ცდას ქართულ სამწერლო ენის მონაცემებზე დაყრდნობით, ამან განაპირობა საკმაოდ შემოკლებილია ტექსტის ზოგადი თეორიის საკითხებიცო. ჩვენ ვფიქრობთ, რომ სწორედ ეს უკანასკნელია არსებითად განხილული ამ ნაშრომში. სასურველი იყო ზოგადად ტექსტის ლინ-

გვისტიკის და ქართული ენის ტექსტის ლინგვისტიკის საკითხების განხილვაში ყოფილიყო მეთაურად.



2. შესავალში მე-19-ე გვერდზე ნათქვამია, რომ ნაშრომის ძირითად წყაროდ გამოყენებულია ქართული ლიტერატურული ნაწარმოებები. ეს იმით, რომ „წერითი მეთყველბა“ არის ენობრივი სისტემის რეალიზაციის ყველაზე უფრო ადეკვატური ფორმა. ჩვენს დასკვნებში ემყარება ქართული მხატვრული ლიტერატურის მონაცემთა ანალიზს, მაგრამ ვებუდავთ — ეს დებულება ვარგისად გამოვაცხადოთ ყველა სახის ტექსტის მიმართ, მიუხედავად მათი სოციალური თუ სემანტიკური დატვირთვისა და დანიშნულებისა, რადგან ენა ერთიანი (მთლიანი) მის მრავალსახიან გამოვლინებაში“.

აქ დაუსტებებს ითხოვს: წერითი მეთყველება არის კი ენობრივი სისტემის რეალიზაციის ყველაზე უფრო ადეკვატური ფორმა? წერითი მეთყველება, როგორც ვარკვეული სახის ტექსტად რეალიზებული და როგორც ნორმირებული და, ამდენად, რამდენადმე ზელოცნურცი, საეკოა ენის სისტემას და მის სტიქიას უფრო ადეკვატურად გამოხატავდეს, ვიდრე არაწერითი, ზეპირი, ბუნებრივი მეთყველება.

შეორც, ქართულ მხატვრული ნაწარმოებების ანალიზით მიღებული დასკვნები რატომ უნდა გამოცხადდეს ვარგისად „ყველა სახის ტექსტის მიმართ“ ვთქვათ, მეცნიერულის, პოლიტიკურის, იურიდიულის თუ კანცლარიული ტექსტის მიმართ? ასე რომ იყოს, ტექსტის ლინგვისტიკაში არ იქნებოდა გამოყოფილი ტექსტის 15-მდე სახე და რამდენიმე ფუნქციონალური ტიპი (აღწერითი, თხრობითი, მსჯელობითი თუ კონტაინირებული). თვით ტექსტის ლინგვისტიკის ერთ-ერთ ამოცანად ზომ ისიცაა მიჩნეული, რომ ვაარკვიოს, რას წარმოადგენს ტექსტი, რა მახასიათებლებში შეიძლება მისი მოცუთვნება ტექსტის რომელიმე სახესთან ან ტიპთან (იხ. ნ. შენგელაია, ლინგვისტიკა და ტექსტის ლინგვისტიკა, თსუ-ს შრ., ტ. 267, 1984, გვ. 396).

3. ენისა და მეთყველების ცნებების გამიჯვნა-დაპირისპირების იდეას, რომელიც ჰუმბოლდტის, განსაკუთრებით სოსიურის, შრომებიდან იკიდებს ფეხს, თავიდანვე ჰყავდა მოწინააღმდეგეები ვანდრიგის, მეიეს, ბლუმფელდისა და სხვათა სახით. რადგან მკვლევრის მსჯელობის ობიექტია ტექსტი, კერძოდ, საკითხი: ტექსტი ენის ფაქტია, თუ მეთყველების, ის მოკლედ ჩამოთვლის, გამოყოფს იმ მახასიათებლებს, რომლებითაც სხვაობენ ერთმანეთისგან ენა და მეთყველება (გვ. 23—24). თავად მკვლევარი იმ თვალსაზრისს იზიარებს, რომლითაც ენა და მეთყველება ორი განსხვავებული ფენომენი კი არაა, არამედ ერთი მთლიანი.

შემდეგ კი წერს: მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ „ენა და მეთყველება სხვადასხვა მოვლენებია ან ერთი მთლიანი სხვადასხვა მხარეები. ისინი ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთგანპირობებულები არიან. ამიტომ ისინი უნდა განვიხილოთ მთლიანობაში, ერთიანობაში“ (გვ. 22). ცხადია, მკვლევრის უფლებაა არ გაიზიაროს ის თვალსაზრისი, რომ ენა და მეთყველება სხვადასხვა მოვლენებია, მაგრამ ამასთანავე იმის თქმა, რომ ისინი „ერთი მთლიანის სხვადასხვა მხარეებიც“ არ არიან, ზუსტად არ უნდა იყოს.

4. მკვლევარი ტექსტის ნაირგვარი განსაზღვრის თაობაზე მსჯელობისას სწორად გამოიტყვის ტექსტის განსაზღვრებიდან წმინდა ლიტერატურათმცოდნეობით ასპექტებს და ტოვებს მხოლოდ ლინგვისტურს. ამიტომ არ თვლის ტექსტად მოთხრობას, რომანს, თხზულებათა კრებულს, მეცნიერულ მონოგრაფიას და ა. შ. და მათ ტექსტთა ერთობლიობას, ორიდან N ტექსტამდე ერთობლიობას ემახის, სადაც ერთი ძირითადი თემის გასაშლელად მოიხმობა სხვადასხვა ქვეთემები. ამაზე შეიძლება დავეთანხმოთ პატ. აგორის, მაგრამ საილუსტრაციოდ მოხმობილი „ვეფხისტყაოსნის“ თემისა და ქვეთემაზე მსჯელობისას სიზუსტე არ არის დატული, როცა ნათქვამია: „შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ ძირითადი და მთავარი თემა სიყვარულია... ამ დიდ და ამაღლებულ თემის თან ერთვის მრავალი თემა ქვეყნისა და ხალხის მრავალი კეთხობიან. საბოლოოდ ვიდრეობ არა მარტო სიყვარულის ტომიკას, არამედ XII საუკუნის საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური, სოციალური და ა. შ. ცხოვრების მაღალმატერულსა და იმადროულად მეცნიერულად სწორსა და უტყუარ სურათს. ამდენად, „ვეფხისტყაოსანი“ ერთი ტექსტი კი არ არის, არამედ ასეულობით (თუ მეტი არა) ტექსტის (ლინგვისტური გაგებით) მთლიანობა“ (გვ. 44—45). ცხადია, კარგა ტექსტის გაგებაში ლიტმოდნეობითი და ლინგვისტური ასპექტების გამიჯვნა, მაგრამ დაუდგენელი რჩება წერლობითი ნაწარმოების, როგორც მთლიანი ტექსტის, პარამეტრები და არც „ტექსტთა ერთობლიობა“ გამოდგება ლინგვისტურ ტერმინად. არც ისაა ზუსტი, რომ „ვეფხისტყაოსანი“ XII საუკუნის საქართველოს „მეცნიერულად სწორსა და უტყუარ სურათს“ წარმოადგენს, რადგან არც ერთი მაღალმატერული ნაწარმოები და მით უმეტეს რუსთაველის პოემა, რომელიც მხოლოდ მაღალი ენისა და საუფო კარის იდეალიზებულ სურათს ხატავს, არ შეიძლება ქართულ სინამდვილეს „მეცნიერულად სწორად“ ასახავდეს.

5. კითხვაზე — რა სახისაა ტექსტი? — ენათმეცნიერები სამგვარად პასუხობენ: ზეპირი სახე აქვს (არნოლდი, ხარიტონოვი, პრავდინი...), წერითი სახე აქვს (გალპერინი, ნიკოლაევა, 10. მაიცი, ენისა და ლიტერატურის სერია, 1990, № 1



ლოსევა...), **ორივე** სახე აქვს (დრესლერი, ბარტი, ფრიდმანი...). ავტორი ამის თაობაზე წერს: „ჩვენი გაგებით, ტექსტს გრაფიკული სახე აქვს ყოველთვის“ (გვ. 46). და უცებ **ტექსტის** სახედრების, პარამეტრების, მისდამი სემიოტიკურ მიდგომაზე მსჯელობს (გვ. 47-48). სურველი იყო ასეთი განცხადებისათვის რაიმე ახალი არგუმენტი მოყვანა, თორემ მოთხველი ირალად ვერ დაიჭრება, რომ ტექსტი არ შეიძლება არსებობდეს ზეპირი სახით, ასე რომ იყოს, უმწერლობო ენები ვერ შეძლებდნენ ინფორმაციის შენახვასა და გადაცემას თაობიდან თაობამდე. თანაც, შემთხვევითი არაა, რომ ტექსტის რაობის ნაირგვარ გაგებაში მეტყველება ყველაზე მეტად ფიგურირებს. შდრ. ნაშრომის 121-ე გვერდზე: „სხვადასხვა ავტორთა მიერ ტექსტი გაგებულა, როგორც: ენის არსებობის უპირველესი ფორმა, ენის ერთეული, სემიოტიკური ერთეული, **მეტყველების** აქტი, **სამეტყველო წარმონაქმნი, განმარტავი...**“, ან მისივე განსაზღვრა, რომ „ტექსტი არის უმაღლესი დონის ენობრივ-სამეტყველო ერთეული“ (გვ. 51).

6. ავტორი ცდილობს, გამოყნოს მეტატექსტი და აბზავი, აღნიშნავს, რომ მეტატექსტს თავისი მიკროთემა აქვს და მისი პარამეტრია აზრობრივი დამთავრებულობა, რომელიც მიიღწევა დამოუკიდებელ წინადადებათა კომპოზიციური სახით. აბზავი კი მიკროთემა არა აქვს, ის სხვა სტრუქტურისაა, იშვიათად ემთხვევა მეტატექსტს, უფრო კი რამდენიმე აბზავი შედის მეტატექსტში, ეს უკანასკნელი განფენილია ერთ, ორ, სამ და მეტ აბზავში (გვ. 133). მაგრამ იქვე მკვლევარს მოჰყავს ნაწყვეტი ა. წერეთლის „ბაში-ახუკიანი“ (ანდუშაილის მიერ შედის დაყოფა და მზეთუნახავ ქალთან შეხვედრა) და თვლის, რომ ერთ აბზავში ოთხი მეტატექსტი გამოყოფათ (გვ. 136). რატომაა ასეთი შეუსაბამობა? როგორ მოხდა, რომ მიკროთემის უქონელ აბზავში, როგორც დისერტანტი ამტკიცებს, ოთხი მეტატექსტი, სხვაგვარად რომ ეთქვათ, ოთხი მიკროთემა აღმოჩნდა გაერთიანებულ? მაცუთრი არის ტექსტის წერითი სახე. მოყვანილ ვრცელ ნაწყვეტში ოთხი აბზავი, როგორც ტექნიკურად გათვალისწინებული ახალი სტრუქტურის დაწყებით, არაა დატული ნაბეჭდში. მაგრამ ეს არ იძლევა საფუძველს ისეთი მსჯელობისათვის, თითქოს ერთ აბზავში რამდენიმე მეტატექსტი შედიოდეს. ასეა ეს, თუ მეტატექსტს ლინგვისტურ ენებობა ვცნობთ და არა კომპოზიციურ საშუალებად.

7. მკვლევარი როცა მსჯელობს მეტატექსტის კონსტიტუენტთა დაკავშირების საშუალებებზე, გამოყოფს მათგან მათგან და მაქვედმდებარებელ კავშირებთან ერთად შესაძლებელს — მიკროთემა კავშირებს, უფრო სწორად მიკროთემითი კავშირების ფუნქციით და, მაგრამ, კი, რომ, და ასეთ ფორმებს: **ბოლოს, ამის, შედეგ, მაშინ** (გვ. 182), განსაკუთრებით ვრცლად ვრცელდება და-ს მიკროთემით ფუნქციაზე. ჩვენ ერთ-ერთ შრომაში და-ს მხარეების სიმბოლურ ბიბლიურ წიგნთა ქართულ თარგმანებსა და პავიოგრაფიულ ძეგლებში ებრაული ვავ-ის, უკეთ, ბერძნულ **χα** კალკური გადმოვებით ვხსნიდით. ავტორი კი ასეთ შემთხვევაშიც და-ს მიკროთემითი ფუნქციის კავშირად თვლის. მაგრამ ეს რომ მთლად ასე არაა, იქიდანაც ჩანს, რომ და-ს მიკროთემითი კავშირის ფუნქციით გამოყენების სიმბოლურ კლებულობს საერო ხასიათის ძეგლებში. ასევე დაუსტებებს მოითხოვს არის თუ არა „ვეფხისტყაოსანში“ სტროფის ბოლო ტაქტის წინ ნახშირი და მიკროთემითი ფუნქციისა. პოემის ამ „და“-ზე საგანგებოდ მსჯელობენ სპეციალურ შრომებში ნ. მარტი, ვ. ბერიძე, შ. ძიძიგური, კ. დანელია, ი. გიგინეიშვილი და სხვები. მაგრამ რატომღაც მონოგრაფიაში არც ერთის ნაშრომი არაა დამოწმებული.

8. თვალშისაცემა უცხო ტერმინების სიჭარბე. ვსააგებია, რომ ეს სპეციალური ლიტერატურის ვაგლენით აისწება. ჩვენ უკიდურეს პერიზმს როდი მოვიტოვებთ, მაგრამ ევროპულ თუ ამერიკულ მეცნიერთა შრომებში ნახშირი ყველა ტერმინისათვის გზის ვახსნა ქართულ გრამატიკული ტერმინოლოგიისადმი გულგრილ დამოკიდებულებაში არ უნდა გადაიზარდოს. ავტორს ისე მოსკარბებია უცხო ტერმინები, რომ საჭიროდ ჩათვალა თვით ნაშრომისათვის დაერთო „ტექსტის ლინგვისტიკის მიერ ლექსიკონი“ (გვ. 231—232). ჩვენ არაფერს ვამბობთ, რამდენად საჭირო იყო თეორიულ ნაშრომში ასეთი ლექსიკონის დართვა, მაგრამ ჩნდება კი-თხეა: თუ ამ უცხო ტერმინების უხეტი შინაარსობრივი ქართული ფარდები მომხოვება, ხომ შეიძლება და ეს უკანასკნელი ეხმარა ავტორს, ეთქვათ, **დენოტაციისა და სიგნიფიკაციის** მაგიერ **აღნიშვნისა და აღნიშვნელი, კონსტიტუენტის** ნაცვლად **შემადგენელი ნაწილი, კომპონენტულობის** ნაცვლად **გამყოფობა** და სხვ. არ გვიჩნდა მკაცრი ვიყოთ და დაუდევრობად ჩათვალათ, მაგრამ უხერხულობა, ეთქვათ, როცა ერთ წინადადებაში სამ ისეთ უცხო ტერმინს ვაწყვდებით, რომ წინადადების შინაარსის აღსაქმლად სპეციალისტად კი დაყოფება უხდება. ეთქვათ, „**სპეციალიზაციურ საშუალებათა რეკურენტულობა** იმის მაჩვენებელია, რომ საქმე გვაქვს **კორეფერენციასთან**“ (გვ. 48). ესაღია, შეიძლება ავტორს უფრო ბუნებრივად გამოეთქვა აზრი.

მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, რომ მეტიც რომ იყოს სადავო წარმოდგენილ ნაშრომში, ეს მხოლოდ მის უშუალო ნაცვლად კი არ უნდა წარმოვიდგინოთ, არამედ ჩამოყალიბების პროცესში წყოფილ ტექსტის ლინგვისტიკის მეთოდური და თეორიული საყრდენების არამდგრადობის შედეგადაც. შრომის პოზიტივის დებულებებთან ერთად ეს ვარაუდებს ვეაძლევა საფუძველს, რომ ვ. სერგაის გამოკვლევა მივიჩნიოთ საყურადღებო მოვლენად ქართული ტექსტის ლინგვისტიკის სფეროში.

Ю. В. ЗЫЦАРЬ, Э. Н. ЧХОТУА

ТИПОЛОГИЯ ТРАНЗИТИВНОСТИ И ГЛУБОКАЯ ДИАХРОНИЯ ГРУЗИНСКОГО ЯЗЫКА

(НЕСКОЛЬКО КОММЕНТАРИЕВ К ОДНОЙ ГИПОТЕЗЕ)

Несмотря на наличие многих капитальных исследований и целых теорий или концепций, посвященных формированию основ системы (строю) грузинского языка, вся соответствующая проблематика продолжает привлекать внимание исследователей в плане не только самого грузиноведения, но и континентальной типологии языков — типологии исторической (чтобы не сказать по-стерому—стадиальной) фундаментального значения, связанной с такими понятиями, как эргативность и номинативность, переходность/непереходность и т. п. Из этого «невооруженным глазом» видно, сколь многое здесь ожидает своего решения, как видно и то значение, которое имеет или может иметь для типологов-континенталистов материал грузинского языка.

Среди других ученых к данной проблематике обращается Говард И. Аронсон, завидно соединяющий в себе грузиноведа и типолога в самом широком и лучшем смысле этого термина. В частности, в 1979 году Г. И. Аронсон опубликовал работу *Towards a typology of transitivity: a strange case of the georgian subject*, напечатанную в издании: *The Elements: a parasession on linguistic units and levels* (april 20—21, 1979), including *Papers from the Conference on non-slavic languages of the USSR*, april 18, 1979, ed. by P. R. Clyne, W.F. Hanks, C. L. Hofbauer, pp. 299—306¹.

Гипотеза, заявляемая Г. И. Аронсоном, настолько интересна, значительна и важна, что, по мнению такого специалиста, как Б. А. Джорбенадзе, она не может не оказать влияния на весь ход соответствующих исследований и уже это одно в достаточной степени говорит о необходимости ознакомить нашего читателя с содержанием работы американского ученого. Цель такого ознакомления — прежде всего информативная — как раз и ставится в настоящей статье, где на этой основе мы собираемся высказать и несколько комментариев.

Данная цель продиктована еще и тем обстоятельством, что уже в силу сложности развиваемой Г. И. Аронсоном концепции, как и самого ее предмета, для нас было бы довольно трудно предложить читателю простой ее перевод (во всяком случае, перевод, который с нашей точки зрения был бы несомненно и во всем достаточно точным), но скорее лишь соответствующий пересказ: вполне возможно, что указанная концепция у нас предстает скорее так, как мы ее понимаем. И это при всех наших усилиях сохранить всю библиографическую и другую оснастку статьи, да и вообще все, что возможно — все, что есть в ней оригинального.

Итак, перейдем к нашему пересказу².

¹ «Материалы к научной сессии по проблемам лингвистических единиц и уровней языка (20—21/4—1979), включая тексты докладов с конференции по неславянским языкам СССР (18/4—1979)», редакция П. Р. Клайна, В. Ф. Хэнкса, К. Л. Хофбауэра, с. 299—306. (Издание Чикагского Лингвистического Общества и Чикагского Университета). Сама работа называется «К типологии транзитивности: странный случай грузинского субъекта», хотя с таким же успехом в подзаголовке речь могла бы идти о странном случае грузинского объекта.

² Кроме изложения ст первого лица, сохраняем все примечания и библиографию статьи Аронсона (в его же последовательности) и даем все это после наших комментариев — в конце настоящей работы.

Оппозиция транзитив/интранзитив или переходность/непереходность должна рассматриваться как свойственная тем или иным языкам, т. е. частная лингвистическая категория, а никак не универсалия. Климов (1972, 1974, 1977) показал, что для языков, имеющих по его определению активную типологию, указанная оппозиция является иррелевантной; вместо нее здесь релевантна оппозиция активность/инактивность, или активность/статичность. У Сешира (1917:86) этот языковой тип носил название или обозначение «тип 2» — дакота. В другой работе (Аронсон, 1977) мы пытались продемонстрировать, что для современного английского языка оппозиция транзитивность/интранзитивность уже не в такой степени характерна, т. е. что она в этом языке постепенно ослабевает и в широком масштабе замещается оппозицией «личное (одушевленное) — безличное (неодушевленное)» как в именной, так и в местоименной системах. Языки номинативной и эргативной структуры внутри своей глагольной системы уже обязательно имеют оппозицию транзитивности.

Правда, даже относительно языков с номинативной или эргативной структурой мы не можем и не должны говорить об универсальности оппозиции транзитивность/интранзитивность. Поэтому нами и выдвигается здесь то утверждение, что транзитивность является не универсальной, а частной языковой категорией и что вследствие этого мы можем пытаться выявить типологию транзитивности — от языка к языку /1/. Эта типология должна иметь расположение по двум осям: синтагматической и парадигматической. Парадигматически транзитивной мы называем глагол или глагольную форму с обязательной (обязательной) транзитивностью как скрытой, так и явной; при такой транзитивности, иначе говоря, всегда должно быть (в номинативных языках) прямое дополнение при глаголе — подразумеваемое или выраженное, явное. Синтагматическая транзитивность в отличие от этого показывается не формой глагола, а скорее структурой всего предложения, самостоятельного или включенного. Например, русский глагол «читать» не обязательно транзитивен, он может иметь, а может и не иметь при себе прямое дополнение, ср. «Иван читает мою газету» и «Иван читает очень громко». Как видим, здесь только благодаря присутствию прямого дополнения «мою газету» можно определить тот факт, что первое предложение является переходным, т. е. содержит переходный глагол. Во втором же предложении нет переходной конструкции (оно является непереходным) несмотря на присутствие переходного глагола «читает». Сравним эти русские предложения со следующими венгерскими, эквивалентными им: «Ианош олвасса аз уйсагомат» и «Нанош нагйон хангосан олвас». В этих венгерских примерах оппозиция переходности/непереходности маркируется парадигматически: олвасса переходен, олвас непереходен.

Интересно отметить, что лингвисты стараются либо избежать определения транзитивности, либо же определяют эту категорию через присутствие прямого дополнения, что является по существу тавтологией. Существует, правда, и попытка определения транзитивности через присутствие пациенса действия. Все эти попытки не учитывают, однако, специфики транзитивности в конкретных языках. И хотя данная категория имеет в них много общего и это общее улавливается в указанных определениях, тем не менее, как уже говорилось, для того, чтобы полностью соответствовать реальности, определение транзитивности должно быть дано с учетом конкретной специфики языков.

Мы попытаемся определить специфику транзитивности картвельских языков, но прежде, чем попытаться это сделать, рассмотрим, как варьирует эта категория в некоторых других языках. Возьмем вновь венгерский. В этом языке парадигматически непереходные глаголы (т. е. такие, которые никогда не получают т. наз. прямого дополнения или объекта в винительном падеже) имеют свой тип спряжения; в настоящее время в ед. числе это, например, аллок «стою» адлж «стойши», алл «стойт». Переходные глаголы здесь имеют два других типа спряжения: один из них вступает в действие, когда прямой объект третьего лица является определенным, другой — когда этот же объект является неопределенным или отсутствует, делая предложение непереходным. Для первого из этих типов ср. адом «даю это, его», адод «даешь это, его», адия «дает это, его». Для второго из этих типов ср. адок «даю» (что—то), адж «да-

есть» (что-то), ад «дает» (что-то). Как видим, неопределенное спряжение переходных глаголов здесь формально идентично непереходному спряжению. Хотя это, конечно, отрицается с полной определенностью (Майтнинская 1960:60), кажется, что в венгерском имеются достаточные основания рассматривать так наз. неопределенное спряжение как **непереходное**. Следовательно, определение переходности для венгерского языка, видимо, нуждается в указании на определенность пациенса при соответствующем глаголе.

В финском языке пациенс при переходном глаголе может стоять либо в винительном падеже (обычно идентичном родительному падежу у существительных ед. ч. и именительному во множ. ч.), либо в партитивном падеже. В винительном падеже он стоит в том случае, если «объект полностью охватывается действием, выраженным в глаголе» (Грамматика, 1958:77). Партитивный же падеж пациенса показывает, что «объект лишь частично охватывается действием» (Грамматика, 1958:79), или же не подвергается ему совсем, что бывает в том случае, если глагол стоит в отрицательной форме. В высшей степени важной приводящей чертой оппозиции аккузатив/партитив в финском языке является ее отношение к видовой оппозиции перфектив/имперфектив; ср. *minä luin kirjaa* (партитив) «я читал» в имперфективе и *minä luin kirjan* (аккузатив) «я прочитал книгу» в перфективе (Грамматика, 1958:79).

Характеризуя в целом балто-финский, Лаанест (1975:108) определяет «полный объект» (т. е. объект в аккузативе) как такой, который имеет одновременно три следующие черты: а) присутствие в утвердительном предложении; б) связь с действием, доведенным до конца и имеющим результат; в) связь с действием, полностью охватывающим объект или определенную его часть. Объект, не отвечающий этим условиям, ставится в партитиве. Поскольку за исключением сферы времени и пространства, т. е. соответствующей пространственной и временной функции, аккузатив используется только для маркирования прямого объекта транзитивного глагола, а партитив может маркировать также и объект непереходного глагола (ср. *minä rakastan häntä* «я люблю ее», *odotamme heitä* «мы ждем их», *he pelkivät minua* «они боялись меня»; Whitney:37), очевиден тот вывод, что транзитивность в финском языке не может быть определена в терминах партитивного падежа объекта. Поскольку это так и поскольку определение транзитивности должно быть дано здесь, следовательно, в терминах винительного падежа объекта, мы не можем считать объект, оформленный партитивным падежом, прямым дополнением или объектом, /2/, — разумеется, в данном и только в данном языке. Иначе говоря, определение транзитивности для финского языка должно быть дано в терминах трех указанных выше критериев Лаанеста.

Близка к этой и ситуация в общеславянском. Здесь, если потенциальный пациенс переходного глагола не подвержен полностью его действию, т. е. если, например, глагол отрицателен (стоит в отрицательной форме), этот пациенс оказывается закодированным в форму родительного падежа, а не винительного (или скорее родительного, чем винительного). Это заставляет думать, что определение переходности для общеславянского должно предполагать по крайней мере частичную охваченность или подверженность пациенса действию, обозначенному глаголом. Здесь имеется отличие от финского языка, где пациенс при переходном глаголе должен быть полностью подвержен обозначаемому действию.

Из приведенных примеров, число которых можно сильно увеличить, мы видим, что синтагматическая транзитивность может определяться в терминах других грамматических категорий, таких, как определенность объекта, партитивный падеж, отрицание, перфектив. На уровне предложения переходность/непереходность может маркироваться глаголом — как в венгерском языке, или же именем, — как в финском. При всем том, главным остается необходимость учета специфики языка для определения транзитивности.

Имея это в виду, обратимся теперь к картвельским языкам. К числу крупнейших проблем, с которыми сталкиваются исследователи этих языков, относятся: а) проблема типа глагольной структуры в картвельском (и также в грузинском в различные периоды его истории): идет ли, иначе говоря, речь о номинативном или эргативном языке? б) почему агенс при транзитивных глаголах /3/ стоит в презентной серии в именительном падеже, тогда как в аористной серии он стоит в эргативном падеже и почему пациенс в первой из этих серий стоит в дательном падеже, а во второй — в



именительном? Мы надеемся показать, что эти две проблемы внутренне тесно связаны.
 В настоящее время общепринято, что современный грузинский не может риваться как язык эргативной конструкции предложения (см. Аронсон 1970:296, Харрис 1976:388—405, Климов 1977:216—217); скорее это язык номинативной типологии предложения. Нам удалось показать (Аронсон 1976:229—230), что древнегрузинский, в сильной степени обнаруживающий черты номинативности, был, вероятно, языком переходной структуры от эргативной к номинативной.

А как же остальные картвельские языки? В отношении интересующих нас форм (презентной серии и серии аористой) сванский обнаруживает ту же падежную дистрибуцию, что и грузинский. В мегрельском субъект стоит в именительном падеже в презентной серии как при переходном, так и при непереходном глаголе, тогда как в аористой серии он стоит в эргативном падеже при переходном и непереходном глаголах, что также является особенностью номинативной структуры. В лазском или чанском языке субъект в обеих сериях стоит, однако, в эргативном падеже при переходных глаголах и в именительном при непереходных, что во многих отношениях аналогично эргативной конструкции предложения (Климов 1967:150).

Мегрельский и лазский — очень близкие родственные языки, настолько, что многие исследователи рассматривают их как два диалекта одного и того же языка, называемого занским. С учетом этого обстоятельства расхождение в синтаксических конструкциях данных языков является, очевидно, относительно поздней инновацией. Что же касается исходной для них обеих конструкции предложения, то наиболее реальным кажется то допущение, что она была близка к существующей ныне в сванском или в грузинском: при переходном глаголе агенс стоял в именительном падеже в презентной серии времен и в эргативном — в аористой; пациенс ставился в дательном падеже в презентной серии и в именительном — в аористой; при непереходном глаголе грамматический субъект получал в обеих сериях форму именительного падежа. В мегрельском и лазском имело место распространение эргатива в его употреблении, причем в мегрельском оно носило, так сказать, горизонтальный характер — от аористой серии транзитивного глагола к аористой серии интранзитивного, в лазском же характер вертикальный — от аористой к презентной серии одного и того же транзитивного глагола.

С условием этого нам не остается ничего другого, как принять, что падежная дистрибуция в пракартвельском была в сущности та же, что и в современном грузинском и сванском языках. Это не согласуется с воззрениями А. С. Чикобава (напр., 1967:20) и Г. А. Климова по состоянию на 1973 год (с. 159—160), согласно которым в пракартвельском в презентной серии при переходном глаголе агенс должен был иметь форму эргативного падежа. Однако, как раз такая «смешанная система» с номинативной конструкцией в презентной серии переходных глаголов реконструировалась Г. И. Мачавариани (1966:8) /4/.

